

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა (ფაკულტეტი)

სოფიო კეკუა

ოდში-აფხაზეთის ონომასტიკა
ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით

სადოქტორო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება“

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ გვანცელაძე, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2017

შინაარსი

ანოტაცია	5
Annotation	7
წინასიტყვაობა	8
შესავალი	13
I თავი. ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული პირსახელები	
ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით	19
1.1. პირსახელთა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები	19
1.1.1. პირსახელთა სემანტიკური ჯგუფები	20
1.1.1.1. ღმერთთან და რელიგიურ ცნებებთან დაკავშირებული პირსახელები	22
1.1.1.2. ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების გამომხატველი პირსახელები	23
1.1.1.3. თვისება-ხასიათის გამომხატველი პირსახელები	29
1.1.1.4. კნინობით-ალერსობითი პირსახელები	33
1.1.1.5. დროის (პერიოდის) განმსაზღვრელი პირსახელები	34
1.1.1.6. გრძნობის გამომხატველი პირსახელები	38
1.1.1.7. ფრინველთა სახელებისაგან მომდინარე პირსახელები	40
1.1.1.8. მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე პირსახელები	43
1.1.1.9. სოციალურ ტერმინებთან დაკავშირებული პირსახელები	43
1.1.1.10. ნაზმნარი პირსახელები	46
1.1.1.11. კანონიკური პირსახელები	47
1.1.1.12. გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე პირსახელები	57
1.2. პირსახელთა სტრუქტურული მოდელები	58
1.2.1. პირსახელები წმინდა ფუძის სახით	58
1.2.2. მაანთროპონიმებელი სუფიქსების შემცველი პირსახელები	59
1.2.3. კომპოზიტური წარმოების პირსახელები	70
II თავი. ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული გვარსახელები	
ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით	75
2. 1. გვარსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები	75
2.1.1. გვარსახელთა ისტორიისათვის	75
2. 2. გვარსახელთა სემანტიკური ჯგუფები	80

2. 2. 1. თვისება-ხასიათის ამსახველი გვარსახელები	82
2. 2. 2. გარეგნული (ფიზიკური) ნიშნების გამომხატველი გვარსახელები	87
2. 2. 3. ეთნონიმური, თემონიმური გვარსახელები	91
2. 2. 4. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებისაგან მომდინარე გვარსახელები	95
2. 2. 5. დროის აღმნიშვნელი გვარსახელები	96
2. 2. 6. ფრინველთა და ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე გვარსახელები	98
2. 2. 7. ციური სხეულებისა და ბუნების მოვლენათა სახელებისაგან მომდინარე გვარსახელები	101
2. 2. 8. სადაურობის სახელთაგან მომდინარე გვარსახელები	103
2. 2. 9. გამქრალი გვარსახელები	109
2.3. გვარსახელთა სტრუქტურული მოდელები	111
2. 3. 1. სიტყვაწარმოებითი მოდელები გვარსახელებში	111
2. 3. 1. 1 -ია დაბოლოებიანი გვარსახელები	114
2. 3. 1. 1. 1. -იან > -იან სუფიქსიანი გვარსახელები	117
2. 3. 1. 1. 2. ე-ა > ი-ა დაბოლოებიანი გვარსახელები	130
2. 3. 1. 2. -ვა დაბოლოებიანი გვარსახელები	132
2. 3. 1. 2. 1. -აა დაბოლოება გვარსახელებში	142
2. 3. 1. 2. 2. ნულოვან აფიქსიანი გვარსახელები	143
2. 3. 1. 3. უა დაბოლოებიანი გვარსახელები	144
2. 3. 1. 3. 1. -ო-ა > -უ-ა დაბოლოებიანი გვარსახელები	146
2. 3. 1. 3. 2. -უ-ა დაბოლოებიანი გვარსახელები	148
2. 3. 1. 4. -ში დაბოლოებიანი გვარსახელები	151
2. 3. 1. 5. -ბერე, -სკირი სუფიქსოიდები გვარსახელებში	153
2. 3. 1. 6. კომპოზიტიური გვარსახელები	157
III თავი. ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმთა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები	159
3. 1. ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმთა სემანტიკური ჯგუფები	161
3. 1. 1. ქორონიმები	161
3. 1. 2. ოიკონიმები	166
3. 1. 3. პოლისონიმები	169

3. 2. ტოპონიმთა სტრუქტურული მოდელები	173
3. 2. 1. ტოპონიმები აპელატივის წმინდა ფუძის სახით	174
3. 2. 2. მატოპონიმებელი აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები	182
3. 2. 3. პირსახელებისაგან მომდინარე ტოპონიმები	187
3. 2. 4. გვარსახელებისაგან მომდინარე ქორონიმები	190
3. 2. 5. გვართა დასახლებების სახელები	193
3. 2. 6. წინა ვითარების ამსახველი ტოპონიმები	195
3. 2. 7. კომპოზიტური წარმოების ტოპონიმები	198
3. 2. 8. მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმად	202
ძირითადი დასკვნები	208
დამოწმებული ლიტერატურა	213

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი „ოდში-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით“ წარმოადგენს სემანტიკურ და სტრუქტურულ ანალიზს XVI-XVIII საუკუნეების ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული პირსახელების, გვარსახელებისა და ტოპონიმებისა. საკვლევი მასალა დაცულია „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეულში, რომელიც მოიცავს X-XIX სს. შორის შედგენილ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებს. შესაბამისად, აქ წარმოდგენილი თითოეული პირსახელი თუ გვარსახელი ოფიციალურად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ პირსახელს აშკარად გამოხატული კნინობით-ალერსობითი დატვირთვაც აქვს.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში ორ ქვეთავად არის წარმოდგენილი პირსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელების ანალიზი. ქვეთავები შედგება უფრო მცირე ნაწილებისაგან, კერძოდ: პირსახელთა სემანტიკურ მოდელში გამოიყოფა 12 ერთეული, იმის გათვალისწინებით, თუ რა სემანტიკის შემცველია თითოეული მათგანი. ხოლო პირსახელთა სტრუქტურულ მოდელში ამგვარი ერთეულები გამოყოფილია პირსახელთა წარმოების ტიპისა და მაწარმოებელ აფიქსთა მიხედვით.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია გვარსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები. საკითხის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ცალკე ქვეთავად არის წარმოდგენილი გვარსახელთა სემანტიკური ჯგუფები, რომელშიც გამოიყოფა 9 ქვეჯგუფი. ყოველ სემანტიკურ ჯგუფში მოცემულია მასში წარმოდგენილ გვარსახელთა სრული ანალიზი. გვარსახელთა სტრუქტურულ მოდელში გვარსახელები გაანალიზებულია მაწარმოებელ სუფიქსთა და შემადგენელ კომპონენტთა გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ ნაწილში გამოყოფილია 7 ქვეჯგუფი.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმთა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები. ტოპონიმები დაყოფილია 3 სემანტიკურ ჯგუფად. ტოპონიმთა სტრუქტურულ მოდელებში კი გამოიყოფა 8 ქვეჯგუფი მათი წარმოების ტიპის გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პირსახელების, გვარსახელებისა და ტოპონიმების სემანტიკურმა და სტრუქტურულმა ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ გვარსახელები და ტოპონიმები ქართველური წარმოშობისაა და არცერთ შემთხვევაში

არ დასტურდება მათი აფხაზური წარმომავლობა, ხოლო პირსახელების უმრავლესობა ქართველურია, მეორე ნაწილი კი ნასესხებია სხვა ენებიდან (უპირატესად ბერძნულიდან). საეკლესიო საბუთები აბსოლუტური სიზუსტით ასახავენ ქართველურ სინამდვილეს. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ოდითგანვე დასახლებული ყოფილა ქართული მოსახლეობით.

Annotation

Doctoral Thesis „**Odish-Abkhazian Onomastic According to Historical Ecclesiastic Documents**“ is the semantic-structural analysis of names, family names and toponyms spread on the territory of Odish-Abkhazia in XVI-XVII cc. The research materials are preserved in the eight-volume book of „Georgian Legal Documents“ which includes compiled between X-XIX cc. formal legal documents. Consequently every name and family name presented here is recognized to be formal, notwithstanding that many names have visible diminutive- pet-name character.

Personal name analysis of semantic and structural models is represented in two sub-chapters of the **first chapter** in the doctoral thesis. Sub-chapters consist of smaller parts, namely: considering the semantic of this or that first-name, twelve units are identified in the semantic model of personal names. As for the **structural models of personal names**, such models are marked out according to types of formation and modifying affixes of the personal names.

The **second chapter** of the thesis covers **the semantic and structural models of names and family names**. After the brief review of the subject, semantic groups of family-names, where 9 subgroups are identified, are represented in a separate sub-chapter. There is an overall analysis of family names represented in each semantic group. **In the structural model**, family names are analyzed according to their suffixes and comprising components. Correspondingly there are seven units in this subgroup.

The **third chapter** of the thesis represents **semantic groups of historical toponyms and structural models of Odish-Abkhazia**. Toponyms are divided into three semantic groups. As for **the structural models of toponyms**, eight subgroups are marked out there according to their type of formation.

Semantic and structural analysis of represented in the doctoral thesis names and family names clearly relieve that the family names and toponyms are of Georgian origin and nothing confirms their Abkhazian origin; as for the names, the majority of them are of Georgian origin, as for the other part – they are borrowed from other languages (mainly from Greek). Ecclesiastic documents with absolute accuracy reflect Georgian reality. All these indicate that the territory of present Abkhazia has, from the ancient times, been inhabited by the Georgia population.

წინასიტყვაობა

თემის აქტუალურობა. ონომასტიკური კვლევა-ძიება მეტად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. თითოეული სახელი - პირსახელი, გვარსახელი, გეოგრაფიულ ობიექტთა სახელები ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის წარსული ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური ვითარების შესწავლის მხრივ. ისინი თაობიდან თაობას გადაეცემა, ზოგჯერ შეცვლილი, ზოგჯერ კი - უცვლელი სახით. ფიქსირდება მათი გაქრობის არაერთი შემთხვევა. სახელები, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, ხშირად პირდაპირ მიგვითითებენ მათ წარმომავლობაზე, მათ შემქმნელთა ეროვნებაზე, ავტოქთონობაზე თუ მოსულობაზე და ა. შ. ამიტომაც აუცილებელია ონომასტიკური მასალის სრულყოფილი ანალიზი, რათა სახელის ზუსტი ეტიმოლოგიის საფუძველზე დადგინდეს, თუ რა უდევს საფუძვლად თითოეული მათგანის წარმოშობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეთნონიმური და თემონიმური, ტოპონიმიზებული პირსახელებისა და გვარსახელების ანალიზი. ონომასტიკა, ერთგვარი საგანძურია, გზამკვლევა ქვეყნის წარსულისაკენ. ამის ფონზე, სადისერტაციო ნაშრომის თემა - „**ოდიმ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით**“ - აქტუალურად წარმოგვიდგება, ვინაიდან, იგი მიზნად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი მხარეების ონომასტიკურ ანალიზს, როგორიცაა ისტორიული ოდიშ-სამეგრელო და თანამედროვე აფხაზეთი. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის შერჩევა და მისი შემდგომი ანალიზი განპირობებულია სწორედ იმით, რომ კიდევ ერთხელ დავინახოთ ის უწყვეტი კავშირი აფხაზეთისა საქართველოსთან, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჰქონდა ამ მხარეს.

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები. სადოქტორო ნაშრომის მიზანი: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას, მონოგრაფიულად, სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ ის პირსახელები, გვარსახელები და ტოპონიმები, რომლებიც გავრცელებული იყო XVI-XVIII საუკუნეების ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე. კერძოდ, კვლევისას მიზნად დავისახეთ ცალ-ცალკე გაგვეანალიზებინა:

- პირსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები;
- გვარსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები;
- ტოპონიმთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები;

- ოდიშ-სამეგრელოსა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულ საბუთებში ასახულ ონომასტიკურ ერთეულთა ეტიმოლოგია და მათი მიმართება, ერთი მხრივ, ქართველურ და, მეორე მხრივ, აფხაზურ ენობრივ სამყაროებთან.

ასეთი კლასიფიკაცია დაგვჭირდა იმისათვის, რომ ჩავრღმავებოდით საკითხის ისტორიას და დაგვედგინა, თუ რა ონომასტიკური მდგომარეობა იყო გვიან შუა საუკუნეებში ოდიშ-აფხაზეთში; გაგვერკვია რა წარმომავლობისაა იმ პერიოდის ქართულ იურიდიულ საბუთებში დოკუმენტირებული პირსახელები, გვარსახელები და ტოპონიმები და როგორ იწარმოებოდა თითოეული მათგანი. ყოველი ონომასტიკური ერთეულის (პირსახელის, გვარსახელისა, თუ ტოპონიმის) ანალიზი იმთავითვე გულისხმობდა მათი ენობრივი წარმომავლობის გარკვევას და ამ მიზნით მათ შედარებას, ერთი მხრივ, ქართველური, კერძოდ, მეგრული და, მეორე მხრივ, აფხაზური პირსახელების, გვარსახელებისა და ტოპონიმების შესაბამის სტრუქტურულ-სემანტიკურ მოდელებთან, რათა დაგვედგინა, თუ რომელი ენა და ეთნოსი ცხოვრობდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზეც გავრცელებული იყო საანალიზო მასალა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრა ამოცანებიც:

- საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა;
- პირსახელების, გვარსახელებისა და ტოპონიმების კლასიფიცირება მათი სემანტიკისა და სტრუქტურის გათვალისწინებით;
- ჯგუფებში წარმოდგენილ სახელთა სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი და მიღების გზების დადგენა გამოვლენილი ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით;
- მასალაში გამოვლენილი სახელების ძირ-ფუძეთა და მაწარმოებელ აფიქსთა წარმომავლობის დადგენა.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე. სადოქტორო ნაშრომი არის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც კომპლექსურად არის გაანალიზებული საქართველოს ორი მხარის, ოდიშ-სამეგრელოსა და აფხაზეთის ონომასტიკური ვითარება შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო საბუთების მიხედვით. გაწეული მუშაობის შედეგად პირველად დადგინდა, რომ:

- საეკლესიო იურიდიულ საბუთებში საერთოდ არ დადასტურდა აფხაზური წარმოშობის პირსახელები და გვარსახელები, რაც იმისი მიმნიშვნელია, რომ

საანალიზო პერიოდში ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები არ იყვნენ ქრისტიანობის აღმსარებელნი და, შესაბამისად, ქრისტიანული ეკლესიის მრევლის წევრნი, თუ მისი ყმები;

- გამოვლინდა ისეთი ქართველური (მეგრული) წარმოების გვარსახელების ერთი ჯგუფი, რომლებიც საფუძვლად უდევს აფხაზთა შორის დღეს გავრცელებულ და აფხაზურ წარმოშობისად მიჩნეულ გვარებს;

- საკვლევ მასალაში გამოვლენილ ტოპონიმთა აბსოლუტური უმრავლესობა არ იხსნება აფხაზური ენის საფუძველზე. ამ ფონზე დადასტურდა ორიოდე გეოგრაფიული სახელი (სოფლები **აითარნე**, **აითარნეს მთა** და სოფელი **არუხა** ბიჭვინთის მიდამოებში), რომელთა ძირები არ არის აფხაზური წარმომავლობისა, მაგრამ მათზე დართულია საკუთრივ აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარი, რაც იმისი უტყუარი ნიშანია, რომ ამ ტოპონიმთა გაჩენამდე ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველები ცხოვრობდნენ, ხოლო აფხაზთა წინაპრები გვიან დასახლდნენ;

- მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ნათლად გამოჩნდა, საკვლევ მხარეში XVI-XVIII საუკუნეებში დადასტურებულ პირსახელთა, გვარსახელთა და ტოპონიმთა ქართველური წარმომავლობა;

- გაირკვა პირსახელების, გვარსახელებისა და ტოპონიმების დიდი ჯგუფის ეტიმოლოგია; ახლებური მიდგომის საფუძველზე უარყოფილ იქნა, ან დაზუსტდა ზოგი მეცნიერის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა ნაწილი, ხოლო ახალი არგუმენტებით გამყარდა სხვა ვარაუდები; შემცირდა იმ ონომასტიკურ ერთეულთა რაოდენობა, რომელთა ეტიმოლოგია აქამდე დაუდგენლად, ან სადავოდ მიიჩნეოდა.

დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე, როგორც დამხმარე მასალა როგორც საენათმეცნიერო, ისე ისტორიული, ეთნოლოგიური და არქეოლოგიური დისციპლინებისათვის; კონკრეტული და ზოგადი დასკვნები გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ მიმართულებით მომუშავე და ზოგადად ოდიშ-აფხაზეთის ისტორიის საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს.

კვლევის მეთოდები. საკითხის შესწავლისას გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურის აღწერა. კვლევის მიზნებისა და დასახული ამოცანების შესაბამისად არის წარმოდგენილი ნაშრომის სტრუქტურაც; კერძოდ: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, წინასიტყვაობის, 3 თავის, ძირითადი დასკვნებისა და დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურის სიისაგან.

ნაშრომის **პირველი თავი** შედგება ორ ქვეთავისაგან, რომელშიც ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი პირსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელების ანალიზი. თითოეულ ქვეთავში გამოყოფილია შესაბამისი ჯგუფები, კერძოდ: **პირსახელთა სემანტიკური ანალიზი** მოიცავს 12 ქვეჯგუფს, იმისდა მიხედვით, თუ რა სემანტიკის შემცველია ესა თუ ის პირსახელი. ხოლო **პირსახელთა სტრუქტურული ანალიზი** მოცემულია იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ტიპის წარმოებისაა იგი და რა სახის მაწარმოებლები დაერთვის.

ნაშრომის **მეორე თავში** განხილულია **გვარსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები**. ცალკე ქვეთავად წარმოდგენილია **გვარსახელთა სემანტიკური ანალიზი**, რომელიც იყოფა შესაბამის 9 ქვეჯგუფად. ხოლო **გვარსახელთა სტრუქტურული ანალიზისადმი** მიძღვნილ ქვეთავში საკითხები განხილულია მაწარმოებელ სუფიქსთა და შემადგენელ კომპონენტთა მიხედვით. შესაბამისად, გამოყოფილია 7 ქვეჯგუფი.

ნაშრომის **მესამე თავში** წარმოდგენილია **ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმთა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები**. საანალიზო მასალაზე დაკვირვების საფუძველზე, დასახლებულ ტერიტორიათა და პუნქტთა მიხედვით ტოპონიმები დაყოფილია 3 სემანტიკურ ჯგუფად. **ტოპონიმთა სტრუქტურული მოდელებში** კი გამოიყოფა 8 ქვეჯგუფი მათი წარმოების ტიპის გათვალისწინებით.

ნაშრომის აპრობაცია. კვლევის თემატიკა, მიმდინარეობა, ძირითადი შედეგების ნაწილები ეტაპობრივად აისახა სამეცნიერო მოხსენებებსა თუ სტატიებში. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნეთ შემდეგი სტატიები:

1. **ბიბლიური და კანონიკური სახელები „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთრის“ მიხედვით.** ონომასტიკური კრებული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალციხე, 2014, გვ. 115-122;

2. ბერძნული პირთა კალენდარული სახელები ქართული სამართლის ძეგლების ერთ ჯგუფში. ქართველური ონომასტიკა, ტ. VII. თბილისი, 2015, გვ. 171-186;
3. გვარები და გვართა დასახლებები სოფელ ღუმურიშში. ონომასტიკური კრებული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალციხე, 2015, გვ. 133-141;
4. ქართველური ანთროპონიმები „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთრის“ მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XIX. ქუთაისი, 2015, გვ. 79-84;
5. -ვა დაბოლოებიანი გვარსახელები შუა საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებში. წაკითხულია მოხსენებად იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. გორი, 2016;
6. ამჟამად გამქრალი გვარსახელების ერთი ჯგუფი შუა საუკუნეების ქართულ იურიდიულ ძეგლებში. წაკითხულია მოხსენებად საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენციაზე. თბილისი, 2016.

შესავალი

ქართული სამართლის ძეგლები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. X-XIX საუკუნეებში შედგენილი იურიდიული ხასიათის დოკუმენტები ასახავენ სხვადასხვა პერიოდში ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, თუ სოციალური კუთხით. ამ ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საეკლესიო-ისტორიულ საბუთებს, რომელთა მონაცემები საყურადღებოა ისტორიული, ეთნოლოგიური, რელიგიურ-კონფესიური, სოციალური, ლინგვისტური და სხვა თვალსაზრისით.

ისტორიულ იურიდიულ დოკუმენტებში მდიდრულადაა ასახული ონომასტიკური ერთეულები: პირსახელები, გვარსახელები და ტოპონიმები, რომელთა შორის წარმოდგენილია მრავალი ისეთი სახელი, ამჟამად რომ სრულებით აღარ დასტურდება, ანდა სერიოზული ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებები აქვთ განცდილი. გარდა ამისა, საკმაოდ ხშირად ამგვარი საბუთების მონაცემები გვაწვდის იმ ინფორმაციას, რაც სხვა წყაროებიდან ან სრულიად უცნობია, ან კიდევ საჭიროებს დამატებით დადასტურებას. მაგალითად, ძველი საბუთების მიხედვით შესაძლებელია დადგინდეს ამა თუ იმ გვარის თავდაპირველი საბინადრო, მისი მიგრაციის გზა, ანდა ამ გვარის ნაწილის მიერ ენისა და ეროვნების ცვლის მიზეზი. ასევე შესაძლებელია კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტში გავრცელებული ონომასტიკონის საფუძველზე გაირკვეს, თუ ვის უცხოვრია თავდაპირველად მოცემულ ადგილას და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, აღიწეროს და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით გაანალიზდეს თანამედროვე სამეგრელოსა (ისტორიული ოდიშისა) და აფხაზეთის ტერიტორიებზე გავრცელებული ონომასტიკონი, კერძოდ, პირთა სახელები, გვარსახელები და ტოპონიმები შუა საუკუნეებში შედგენილი საეკლესიო იურიდიული დოკუმენტების მონაცემთა მიხედვით. ნაშრომის საკვლევი მასალის უმრავლესობა ქრონოლოგიურად მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს, ხოლო გეოგრაფიული არეალი გულისხმობს ამჟამინდელ სამეგრელოს მთლიანად, დაწყებულს მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდინარე ენგურამდე და სვანეთიდან გურიამდე. რაც შეეხება ახლანდელ აფხაზეთს, საკვლევი მასალის გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები იწყება მდინარე ენგურიდან და უწყვეტად მიდის მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირის ერთ ნაწილამდე, ამჟამინდელი გულრიფშის რაიონის ტერიტორიის შუაგულამდე, ამის

იქით კი სახელდება მხოლოდ ბიჭვინთა და მისი ახლომდებარე 3 სოფელი; საბუთებში სრულებით არ იხსენიება კოდორ-ფსოუს შუამდინარეთის არცერთი სხვა მსხვილი, თუ მომცრო გეოგრაფიული ობიექტი, ცხუმის გარდა, და მათში მოსახლე ადამიანთა პირსახელები და გვარები, რაც, ბუნებრივია, ახსნას მოითხოვს. ამ თავისებურების ჩვენეული ახსნა ამგვარია:

როგორც დადგენილია ისტორიკოსთა მიერ, ამჟამინდელი სამეგრელო და აფხაზეთი იმთავითვე ქართველური ეთნიკურ-ენობრივი კონტინუუმის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენდა, ხოლო XVI საუკუნიდან დაიწყო ამჟამინდელი აფხაზეთის მიწებზე კავკასიონის გადაღმიდან თანამედროვე აფხაზეთა წინაპრების ინტენსიური ექსპანსია, რასაც მოწმობს უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე არსებული ქართული თუ უცხოური წყაროები. XVI საუკუნეს საქართველო სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაშლილი შეხვდა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ დასავლეთ საქართველო, მათ შორის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, იმერეთის სამეფოში გაერთიანდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი იმერეთის სამეფოს საერისთავოდ ითვლებოდა, იგი იმერთა მეფეზე უფრო ოდიშის მთავარს ემორჩილებოდა. XVI ს-ის დასაწყისში თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი „ანაკოფიის მდინარემდე“ ჯერ კიდევ ოდიშის სამთავროში შედიოდა. კ. ოკუჯავა თ. ბერაძეზე მითითებით აღნიშნავს, რომ გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ყველაზე სრული და ზუსტი აღწერილობა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში და მის მიერ შედგენილ რუკათა ატლასებში გვხვდება. ამ თხზულებაში და შესაბამის რუკებზე აფხაზეთა სამთავრო და საერთოდ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები იმ საზღვრებშია მოცემული, რომელიც მათ XV-XVI სს-ის მიჯნაზე, ერთიანი საქართველოს დაშლის დროისათვის ეკავათ (ოკუჯავა, 2007: 161).

XIV-XV სს-ში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ეკლესიურად დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის კათოლიკოსს (მას ბიჭვინთის კათოლიკოსსაც უწოდებდნენ) ექვემდებარებოდა. ეს საკათოლიკოსო ოთხ საეპისკოპოსოდ იყო დაყოფილი. მდინარე ენგურსა და „დადის წყალს“ (ერისწყალს) შორის მოქცეული სოფლები წალენჯიხის ეპარქიაში შედიოდა; ერისწყალსა და მოქვის წყალს შორის ტერიტორია ბედიელის სამწყსოს წარმოადგენდა; მოქვისწყლიდან მდინარე

კოდორამდე - მოქვის ეპისკოპოსის, ხოლო მდინარე კოდორიდან ანაკოფიის ჩათვლით - დრანდის საეპისკოპოსოს სამწყსო იყო. საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო ეკლესიურად უშუალოდ აფხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდა (ოკუჯავა, 2007: 164). აფხაზეთის კათალიკოსის მთავარ რეზიდენციას XVI ს-ის 50-იან წლებამდე ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესია წარმოადგენდა. 1568-1578 წლებში, როდესაც კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე იყო, მისი რეზიდენცია გახდა გელათის მონასტრის წმიდა გიორგის ეკლესია. ბიჭვინთიდან რეზიდენციის გადატანა განაპირობა აფხაზეთში წარმართ მთიელთა მასობრივმა ჩამოწოლამ ჩრდილოეთ კავკასიიდან, რასაც საერისთავოს მაშინდელ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების დაცარიელება, სამღვდელოების სრული ევაკუაცია და ქრისტიანობის განადგურება მოჰყვა.

XVII საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებამდე აფხაზეთი ჯერ ისევ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. აფხაზი თავადები დამოკიდებულნი იყვნენ დადიანზე, რაც სხვადასხვა სახის ვალდებულებებში გამოიხატებოდა, კერძოდ, იხდიდნენ სადადიანო გადასახადს და ომის შემთხვევაში „ულაშქრებდნენ მას“. აფხაზეთის ოდიშისაგან გამოყოფა და მისი ცალკე სამთავროდ თუ სათავადოდ ჩამოყალიბება XVII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დასრულდა, როდესაც შარვაშიძეებმა მოიშორეს ყოველგვარი სადადიანო ვალდებულებები. ამიერიდან ისინი უშუალოდ ემორჩილებოდნენ იმერეთის მეფეს. თუმცა ოდიშიდან გამოყოფისა და ოდიშის მნიშვნელოვანი მიწების მიტაცების მიუხედავად, აფხაზეთი არ წარმოადგენდა ისეთსავე მყარ პოლიტიკურ ერთეულს, როგორც მისი მეზობელი ოდიშის სამთავრო იყო. ის იმთავითვე დაიშალა ცალკეულ სათავადოებად. 1702 წელს ოდიშის მთავარმა შეძლო ენგურიდან ღალიბგამდე მდებარე მიწების დაბრუნება, თუმცა ამ კუთხის მმართველად კვლავ შარვაშიძეთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი რჩებოდა, რომელიც დადიანს ექვემდებარებოდა (ოკუჯავა, 2007: 175).

XVI საუკუნიდან მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობა. დაცარიელებულ ბარის მხარეებში მთიელები სახლდებოდნენ, რომლებიც გადმოდიოდნენ ჩრდილოეთიდან. ასე იყო კახეთში, შიდა ქართლში... ამგვარივე ვითარება შეიქმნა აფხაზეთშიც, სადაც ჩრდილოეთკავკასიური - ჯიქურ-აფსუური თემები მკვიდრდებიან

(ოკუჯავა, 2007: 175). შესაბამისად, ამ მხარეში იცვლება ეთნიკურ-ენობრივი მდგომარეობაც.

ისტორიკოსი კ. ოკუჯავა ყურადღებას ამახვილებს ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც დაფიქსირებულია, **1615 წ. 2 მარტს**, სამეგრელოს სოფელ მოქვში დაწერილ ლუი დე გრანჟიეს მოხსენებაში. ამ წყაროს მიხედვით, მოქვი სამეგრელოში იგულისხმება. გარდა ამისა, **გრანჟიე საჭიროდ სცნობს სამოღვაწეოდ შეისწავლოს მეგრული და სამწიგნობრო ქართული**. მაშასადამე, ეს მხარე მეგრელებითაა დასახლებული, ქართული კი სახელმწიფო და ქრისტიანობის ენაა. იმ დროს რომ აქ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს, კერძოდ, თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს ეცხოვრა, გრანჟიე იმ ხალხის ენის შესწავლასაც საჭიროდ დაინახავდა (ოკუჯავა, 2007: 179).

თ. გვანცელაძე არსებული წერილობითი, ლინგვისტური და კარტოგრაფიული ცნობების საფუძველზე ასკვნის, რომ აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო მდებარეობდა კავკასიონის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანის აუზში, ხოლო აფხაზთა წინაპრების მასობრივი ჩამოსახლება ქედს აქეთ დაიწყო XVI საუკუნეში (გვანცელაძე, 2007: 204). მისივე დაკვირვებით, აფხაზურ ენაში არსებული ქრისტიანული ტერმინების უმრავლესობა, მათ შორის ბერძნული სიტყვებიც მეგრული მეტყველებიდან და ქართული სამწიგნობრო ენიდანაა ნასესხები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ აფხაზები მხარის ძირძველ მოსახლეობას არ წარმოადგენდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ დასჭირდებოდათ ქრისტიანული ტერმინების სესხება დასახლებული წყაროებიდან, არამედ ეს სიტყვები უშუალოდ უნდა მიეღოთ ბერძნულიდან. მეცნიერი აღნიშნავს, რომ აფხაზთა ავტოქთონობის შემთხვევაში აფხაზურ-აბაზურ ლექსიკაში უეჭველად უნდა ჩანდეს, ერთი მხრივ, ბერძნულთან უშუალო მჭიდრო კავშირის კვალი, მეორე მხრივ, წარმოდგენილი უნდა იყოს საკუთრივ აფხაზურ-აბაზური წარმოშობის ლექსიკა, მესამე მხრივ კი - ბიბლეიზმები. მისივე დაკვირვებით, აფხაზურ ენაში ქართველური, ან ქართველიზებული საკულტო ლექსიკით გადმოიცემა ძირითადი ქრისტიანული ცნებები: **ჯვარი, ქრისტე, ქრისტეშობა, ქრისტიანი, მთავარანგელოზი** და მრ. სხვა. აფხაზთა შორის ქრისტიანობის XVI-XVII სს-ში გავრცელება და პოზიციის სისუსტე (რწმენის ზედაპირულობა) ჩანს იქიდანაც, რომ აფხაზეთში არ დასტურდება არცერთი აფხაზური ტოპონიმი, რომელიმე

ქრისტიანული ცნების, ან წმინდანის სახელთან რომ იყოს დაკავშირებული (გვანცელაძე, 2007: 208, 210).

ბ. ხორავა აღნიშნავს, რომ წინა საუკუნეებთან შედარებით განსხვავებული იყო ვითარება XVIII ს-ის აფხაზეთში: ეს იყო ახალი აფხაზეთი, ახალი პოლიტიკური ერთეული და ბევრად მცირე ტერიტორიით, მოსახლეობის განსხვავებული ეთნიკური შემადგენლობით, სხვა სარწმუნოებით, უფრო მაღალი სტატუსით (საერისთავო ფაქტობრივად იქცა სამთავროდ). ქართულ სამყაროსთან შესუსტებული კავშირის მიუხედავად, სამთავრო სახლი და წარჩინებულთა წრე მჭიდრო ნათესაურ ურთიერთობაში იყო ოდიშის, იმერეთის, გურიის მმართველ სახლებთან. აფხაზთა მთავრები თავს ქართულ სამყაროს მიაკუთვნებდნენ. ქართულ ენაზე მუშაობდა მთავრის კანცელარია (ხორავა, 2007: 221).

ცნობილია ისიც, რომ აფხაზთა წინაპრებმა მხოლოდ XVII-XVIII სს. მიჯნაზე დაიწყეს კოდორის მარცხენა მხარეს, ანუ ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის მიწაზე დასახლება (ოკუჯავა, 2007: 187-172). ბუნებრივია, ახლად მოსულ უპირატესად წარმართ და/ან მაჰმადიან აფხაზებს აფხაზეთის საკათოლიკოსოს, ქართული ეკლესიის წინაშე არანაირი იურიდიულ-სოციალური ვალდებულებები არ ჰქონდათ, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებულ ისტორიულ საეკლესიო საბუთებში არ იხსენიება აფხაზური წარმომავლობის პირსახელები, გვარსახელები და გეოგრაფიული ნომენკლატურა. სამაგიეროდ, მდინარე კოდორიდან დაწყებული იმერეთის საზღვრამდე ათეულობით ონომასტიკური ერთეული დასტურდება, რომლებიც ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური მოდელების მიხედვითაა აგებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე და ჩვენს საანალიზო მასალაზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იმდროინდელი აფხაზეთის ნაწილი მდ. ენგურიდან მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირის ნაწილამდე ნამდვილად ქართული (მეგრული) მოსახლეობისაგან შედგებოდა, რაზეც მიუთითებს საანალიზო დოკუმენტებში გამოვლენილი ონომასტიკური მასალა. ამ მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს თითოეული მათგანის ქართველური წარმომავლობა. არცერთ შემთხვევაში არ დასტურდება აფხაზური წარმოშობის სახელები. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, ქართველური წარმოშობის პირსახელი, გვარსახელი, თუ ტოპონიმი უდევს საფუძვლად

ამჟამად უკვე აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმირებულ, ან ამ ენის ფონოტაქტიკის წესების საფუძველზე სახეცვლილ აფხაზთა შორის გავრცელებულ პირსახელებს, გვარებსა და ტოპონიმებს. ამრიგად, ქართული ისტორიული იურიდიული საბუთების კვლევამ აჩვენა, რომ XVI საუკუნემდე ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ჩანს არაქართული მოსახლეობის ბინადრობის არანაირი კვალი არც პირსახელებში, არც გვარებსა და არც ტოპონიმებში. ეს მხარე სამეგრელოს ონომასტიკური სივრცის უშუალო გაგრძელებაა.

I თავი

ოდში-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული პირსახელები ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით

1.1. პირსახელთა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები

ანთროპონიმი არის ონიმის სახეობა, ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელი, როგორიცაა: პიროვნული სახელი, გვარსახელი, მეტსახელი, ზედწოდება, ფსევდონიმი, კრიპტონიმი, ფიქტონიმი და სხვ. (ცხადაია, 1988: 17).

ანთროპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი გზა არის აპელატივის გადაქცევა ადამიანის საკუთარ სახელად, რასაც ანთროპონიმიზაცია ეწოდება. დროის ცვლილებას თან სდევს სახელების ფორმოზომიერების თუ შინაარსობრივი ცვლილება, რაც აისახება ზოგადად ონომასტიკონში და მის ქვედარგებში, მათ შორის ანთროპონიმიაში. ამდენად ანთროპონიმია მუდმივ კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ჩვენ მიერ წარმოებულ კვლევას საფუძვლად ედება XI-XIX საუკუნეებში შედგენილი ისტორიული და საეკლესიო საბუთების ტექსტებში ასახული ანთროპონიმები.

ქართველური ანთროპონიმიის კვლევის თვალსაზრისით ამჟამად უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული: გამოქვეყნდა ათეულობით სამეცნიერო სტატია და მრავალი მონოგრაფია, გამოიცა პირსახელთა, გვარსახელთა და მაკრო და მიკროტოპონიმთა ამსახველი მრავალი კრებული, თუმცა საკეთებელი კვლავაც ბლომად რჩება.

ქართველური ანთროპონიმიის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ქართლის მოქცევამ ქრისტეს რჯულზე. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ სახელრქმევის პრეროგატივა სამღვდელოების ხელში გადავიდა, რამაც გამოიწვია ტრადიციული ანთროპონიმიის თანდათანობითი შეზღუდვა, მისი დიდი ნაწილის განდევნა და ქრისტიანული კალენდარული სახელების ფართოდ დამკვიდრება. მართალია, ტრადიციული სახელები მაინც ცოცხლობდა ხალხში და თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მაგრამ მხოლოდ მეორე (არაკალენდარული) სახელის სახით, ოფიციალური გამოყენების გზა კი მას მნიშვნელოვნად შეზღუდული ჰქონდა. კალენდარული სახელების დამკვიდრება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ვინაიდან ხალხი ვერ ეგუებოდა ტრადიციული სახელების ახლით, უცხო სახელებით

ჩანაცვლებას. მიუხედავად ამისა, „ქართული-ქართველური სახელები მაინც არ ეძლეოდა დავიწყებას და ხშირად მეორე ანუ ზედმეტი სახელების სახით ვრცელდებოდა, ისინი განსაკუთრებით შემორჩნენ მთის რეგიონებსა და სამეგრელოში“ (თოფჩიშვილი, 2000: 173). როგორც გ. გვანცელაძე აღნიშნავს, „მეორეული ანთროპონიმები დამოუკიდებელ სახელებად და გვარსახელთა საყრდენ ფუძეებად გამოიყენებოდა უპირატესად დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელთა (ყმებს, ვაჭრებს, გლეხებს...) შორის, არისტოკრატიაში კი ამგვარი ვარიანტები არც დამოუკიდებელ სახელებად დასტურდებოდა და არც გვარსახელთა საყრდენ ფუძეებად, მაგრამ გვიან შუა საუკუნეებში ეს სოციოლინგვისტური „აკრძალვა“ მოიხსნა და თანდათანობით გამრავლდა მეორეულ ვარიანტთა გამოყენება ჯერ დამოუკიდებელ სახელებად, შემდეგ გვარების შიგნით გამოყოფილ პატრონიმიათა სახელების საყრდენ ფუძეებად, პატრონიმული სახელები კი დროთა მანძილზე დამოუკიდებელ გვარსახელებად გაფორმდა“ (გვანცელაძე, 2015: 15).

შუა საუკუნეებში შედგენილი იურიდიული ხასიათის საბუთები, რომლებშიც ასახულია თანამედროვე სამეგრელოსა და აფხაზეთის ონომასტიკური ვითარებაც საუკუნეთა განმავლობაში, მეტად საინტერესო და მდიდარ მასალას გვთავაზობს პირსახელთა შესწავლის თვალსაზრისით. დოკუმენტებში უცხოური წარმოშობის პირსახელების გარდა, დასტურდება საკუთრივ ქართველურ ნიადაგზე წარმოქმნილი ათეულობით ანთროპონიმიც. საბუთებში გამოვლენილი პირსახელები საინტერესოა როგორც სემანტიკურად, ასევე სტრუქტურულადაც.

1.1.1. პირსახელთა სემანტიკური ჯგუფები

სემანტიკური გამჭვირვალობის თვალსაზრისით ანთროპონიმთა 2 ჯგუფი გამოიყოფა:

1. არამოტივირებული, ანუ სემანტიკადაბინდული სახელები;
2. მოტივირებული, ანუ სემანტიკადაუბინდავი (გოდერძიშვილი, 2012: 50).

საანალიზო საბუთების პირსახელთა შორის ორივე ჯგუფის ანთროპონიმები დასტურდება. სემანტიკურ მოდელებში გამოვლენილი ანთროპონიმები ძირითადად ქართველური წარმოშობისაა და შესაბამისად სახელების მოტივაცია უმეტეს

შემთხვევაში გამჭვირვალეა, თუმცა დასტურდება ბუნდოვანი სემანტიკის ანთროპონიმთა მცირე ნაწილიც. საკვლევ მასალაში დადასტურებული ყველა ანთროპონიმის ეტიმოლოგია არ არის მოცემული სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ აქ წარმოვადგენთ თანამედროვე სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად გავრცელებული ზოგიერთი პირსახელის ეტიმოლოგიების ჩვენებულ ცდას. აქვე დავძენთ, რომ ამ ანთროპონიმთა სემანტიკურ ჯგუფებში დასტურდება მხოლოდ მამაკაცთა პირსახელები, რასაც გ. გვანცელაძე ხსნის იმით, რომ „საკვლევ ეპოქაში იურიდიულ საკითხთა გადაწყვეტა მამაკაცთა პრეროგატივა იყო და ამ საქმეში ჩვეულებრივ ქალებს არ რევდნენ“ (გვანცელაძე, II, 2009: 69).

ანთროპონიმთა სემანტიკურ მოდელებში გამოიყოფა როგორც მარტივფუძიანი, ისე კომპოზიტური წარმოების პირსახელები. მათი დაჯგუფება შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რას გამოხატავს ეტიმოლოგიურად მოცემული სიტყვა. ამ მხრივ გამოიყოფა პირსახელთა შემდეგი ჯგუფები:

1. ღმერთთან და რელიგიურ ცნებებთან დაკავშირებული;
2. ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების გამომხატველი;
3. თვისება-ხასიათის აღმნიშვნელი;
4. კნინობით-ალერსობითი;
5. დროის (პერიოდის) განმსაზღვრელი სიტყვები პირსახელებად;
6. გრძნობის გამომხატველი;
7. ფრინველთა სახელებისაგან მომდინარე;
8. მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე;
9. სოციალურ ტერმინებთან დაკავშირებული;
10. ნაზმნარი პირსახელები;
11. კანონიკური პირსახელები;
12. გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე პირსახელები.

ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ ყველა დასახელებულ ჯგუფში შემავალ პირსახელებს.

1.1.1.1. ღმერთთან და რელიგიურ ცნებებთან

დაკავშირებული პირსახელები

ღმერთთან დაკავშირებულ სახელებს ქ. გოდერძიშვილი მიაკუთვნებს თეოფორულ ჯგუფს. მისი თქმით: „თეოფორული ანთროპონიმები მომდინარეობენ ღვთაების აღმნიშვნელი საზოგადო თუ საკუთარი სახელებიდან: ღვთისო // ღვთისია, ქიტესა, ქრისტეშია, უფლისა // უფლოს, არმაზელა, კვირია, ქრისტინე, დალი, აპოლონი, ვენერა, აფროდიტე, დიანა...“ (გოდერძიშვილი, 2012: 55). ჩვენ მიერ გამოკვლეული მასალის მიხედვით ძველ საბუთებში დასტურდება ღმერთთან და რელიგიურ ცნებებთან დაკავშირებული შემდეგი ანთროპონიმები: **ქ~ეკოჩი**, **ქეკოჩაი**, **ქრისტეკოჩი**, **ქ~შია**, **ქრისტეშია**, **ჯუარისა**, **წყალ[ო]ბია**, **შენაწირი**, **შენაწირა**.

ღმერთთან დაკავშირებული სახელი ხშირად დასტურდება ქართველურ ზმნურკომპონენტთან კომპოზიტურ ანთროპონიმებში. ჩვენი მასალის მიხედვით ასეთია კომპოზიტური სახელები: **ქ~ეკოჩი** // **ქეკოჩაი**, რომლებიც ერთმანეთის გვერდით დასტურდება ერთსა და იმავე დოკუმენტში სოფელ ხიბულაში 1621 წელს: „მართებს **ქ~ეკოჩი** ქავთარიას საპურობო და 1 საკლავი...“; „მართებს **ქეკოჩაის** ბკერალიას საპურობო და საკლავი...“ (ქსძ, III, 1970: 415). პირველ შემთხვევაში ქარაგმით ჩაწერილი **ქ~ეკოჩი** პროფ. ი. დოლიძის მიერ იმავე დოკუმენტში აღდგენილია **ქეკოჩაი** ფორმით. ჩვენი აზრით, კომპოზიტის პირველი ნაწილი უნდა იყოს **ქირსე** „ქრისტე“. შესაბამისად, **ქ~ეკოჩი** აღდგება, როგორც **ქირსე კოჩი** „ქრისტე კაცი“.

ასევე დაქარაგმებულია წარმოდგენილი 1621 წ. სოფელ სუბვში მცხოვრები გლეხის სახელი **ქ~შია**: „მართებს **ქ~შიას** არტონიას 20 კოკა ღვწო, ერ[თ]ის თეთრის რაგინდარა, 4 ჯამი ღომი და მოინალობა“ (ქსძ, III, 1970: 428). ქარაგმა უდავოდ უნდა გაიხსნას როგორც **ქრისტეშია** „ქრისტესია“, რომელიც სრული **ქრისტეშია** ფორმითაც დასტურდება უფრო ადრე - 1550 წ. შედგენილ დოკუმენტში: „**კუტალია ქრისტეშია** - ემართა ხოფის ღმრთისმშობლის ეკლესიის ოცი თეთრი“ (პალ, 1993: 543).

1616-1621 წწ. სოფ. ცაიშში იხსენიება ვარიანტები: **შენაწირი** ბაბაკვა და **შენაწირა** საღარია (ქსძ, III, 1970: 450). როგორც ჩანს, ორივე გლეხი, ან მათი წინაპრები თავადთა, ან მაღალი რანგის სასულიერო იერარქთა მიერ იყო შენაწირი რომელიმე ეკლესიისათვის. სხვა ვარიანტი: მშობლებმა შვილი დაბადებისთანავე შესწირეს რომელიმე სალოცავს. პირსახელებიც ამის საფუძველზე გაჩნდა. ამ ვარიანტთაგან

პირველადია მიმღებური წარმოშობის **შენაწირი**, ხოლო მეორე ფორმა მისგან მომდინარეობს მაანთროპონიმებელი -ა სუფიქსის დართვით.

1621 წ. სოფელ ნაგუაზაუში დასტურდება პირსახელი **წყალბია** (ქსმ, III, 1970: 412). ვვარაუდობთ, რომ ან ტექსტის დამწერს მოუვიდა მექანიკური შეცდომა, ანდა პროფ. ი. დოლიძეს გაეპარა კორექტორული შეცდომა წიგნის ბეჭდვის დროს. **წყალბია** აშკარად უნდა იკითხებოდეს როგორც **წყალობია**. შდრ. მეგრ. პირსახელი **კყოლოვა** „წყალობა“. ამ სახელის გაჩენა ალბათ იმან განაპირობა, რომ ნანატრი შვილის შეძენა ღვთის წყალობად მიაჩნია ნებისმიერ ოჯახს.

1.1.1.2. ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების გამომხატველი

პირსახელები

საანალიზო საბუთებში გამოვლენილი მასალის მიხედვით **ადამიანის ფიზიკური (გარეგნული) ნიშნით** მახასიათებელი პირსახელები მეტნაკლებად სხვაობენ ერთმანეთისაგან. სხვაობას იწვევს სახელდების მოტივაცია.

1621 წ. დოკუმენტში დასტურდება კომპოზიტური წარმოების ანთროპონიმი **პირნათე** (პალ, II, 1993: 515) და მისი ვარიანტი - **პირნათელ**, რომელიც დასტურდება 1616-1621 წწ. სოფელ დარჩელში მცხოვრების პირსახელად (ქსმ, III, 1970: 464). ანთროპონიმის სემანტიკიდან გამომდინარე, ეს სახელი ისეთი პიროვნებისათვის უნდა შეერქმიათ, რომელსაც ჰქონდა ნათელი, თეთრი პირისახე. ამოსავალი ჩანს **პირნათელ(-ი)** ბგერათა შეკვეცის შედეგად მივიღეთ მეგრული **პირნათე** ვარიანტი. **პირნათე < პირნათელ // პირნათელ-ი**.

პირსახელთა სემანტიკურ მოდელებში ყველაზე ხშირად გამოიყენება ლამაზის აღმნიშვნელი **სკუამ // სკვამ // სქვამ** ძირი, რომელიც გაფორმებულია სხვადასხვა წარმომქმნელი აფიქსებით. ამ გზით მიღებულია შემდეგი ანთროპონიმები:

სკუამ-ილ-ი „გალამაზებული“ - პირველად დასტურდება 1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“. ამ დოკუმენტის მიხედვით **სკუამილი** სოფ. მუხურის მცხოვრების სახელია (ქსმ, III, 1970: 427). **სკვამ-ილ-** ა „ლამაზა“ - პირველად დასტურდება 1616-1621 წლების „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ სოფ. ჯგალის მცხოვრების სახელად (ქსმ, III, 1970: 471).

სკუამ-ილ-ე-ი // სქვამ-ილ-ე-ი < *სქვამ-ილ-ა-ი < *სქვამ-ილ-ა-მ „გალამაზებული“ (1621 წ.) სოფელ ხოირში მცხოვრების სახელია (ქსმ, III, 1970: 424).

მი-სკუამ-ა „ლამაზი“ (1621 წ.) - სოფ. ხიბულა (ქსმ, III, 1970: 415).

სკუმ-იშ-ი-ა „ლამაზისა“ (1621 წ.) სოფ. გუფში (გუფუ) მცხოვრები (ქსმ, III, 1970: 433). ამ სახელში გამორჩენილია ძირისეული ა ხმოვანი: სკუამ-იშ-ი-ა > სკუმ-იშ-ია.

უ-სკვამ-ა, უ-სკუამ-ა და უ-სკუამ-ად-ა „ულამაზესი“. ამათგან უ-სკვამ-ა ყველაზე ადრე დასტურდება 1616-1621 წწ. სოფ. ცაიშში (ქსმ, III, 1970: 443) და უ-სკუამ-ა - 1621 წელს სოფ. ხოირში (ქსმ, III, 1970: 424). უსკუამადა ასევე 1621 წელს სოფ. ხიბულასა და ნაჟანულში (ქსმ, III, 1970: 418, 422), ხოლო 1616-1621 წწ. - სოფ. ცაიშში (ქსმ, III, 1970: 453). სკუამ ძირი შეიცავს უმარცვლო ჯ ბგერას, შდრ. სკვამ- ვარიანტი: სკვამ-ი > სკუამ-ი. რაც შეეხება სკ // სქ მონაცვლეობას, იგი მეგრულისათვის დამახასიათებელი მოვლენაა: ასიმილაციის შედეგად მკვეთრი კ სისინა და შიშინა ბგერების მეზობლობაში იქცევა ფშვინვიერ ქ-დ. ამის არაერთი მაგალითი დასტურდება მეგრულ მეტყველებაში: სკუა // სქუა „შვილი“, სკიბუ // სქიბუ „დოლაბი“, შკირენ // შქირენ „შიმშილი“, შკირატუა // შქირატუა „ჩაქრობა“ და სხვ. ორივე ვარიანტი თითქმის თანაბრად რეალიზდება. ზემოთ დასახელებულ ანთროპონიმებში ძირის ფონეტიკურ ვარიანტებს დართული აქვთ სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსები -ილ, *-ილ-ა-მ > -ილ-ე-მ, სიტყვათმაწარმოებელი კონფიქსი მი-_-ა, სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსის ფუნქციის შემთავსებელი ნათესაობითი ბრუნვის -იშ ნიშანი და მასზე მართული კნინობითობის -ი-ა სუფიქსი, ხოლო უ-სკუამ-ა და უ-სკუამ-ად-ა სახელები წარმოადგენს სქვამ-ი // სკვამ-ი ზედსართავი სახელის აღმატებითი (უფროობითი) ხარისხის მაწარმოებელი უ-_-ა და უ-_-ად-ა კონფიქსებიან ფორმებს.

ამავე ჯგუფს განეკუთვნებიან შემდეგი კომპოზიტიური წარმოების პირსახელის ვარიანტები:

თო-სკუამ-ი-ა // თო-სკვამ-ი-ა „თვალმშვენიერი“ < თოლი სკვამ-ი // თოლ-ი სკუამ-ი „თვალი ლამაზი“. სახელის ორივე ვარიანტი ყველაზე ადრე დასტურდება 1616-1621 წლებში შედგენილ საბუთში სოფელ დარჩელში მცხოვრებთა სახელებად (ქსმ, III, 1970: 459, 463). თავდაპირველად ამ სახელის მტარებელ ადამიანებს ლამაზი თვალები უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს პირსახელი სწორედ ამ დადებითი სემანტიკის გამო მალე გადაიქცეოდა ფართო გამოყენების საკუთარ

სახელად და ისეთ ახალშობილებსაც შეარქმევდნენ, ვის თვალებსაც ლამაზს ვერ უწოდებს კაცი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირსახელი „მოდურ“ ანთროპონიმთა კატეგორიაში გადაინაცვლებდა.

პირსახელი **თოლიკაკა** პირველად დასტურდება 1616-1621 წლებში სოფელ დარჩელში მცხოვრების სახელად (ქსმ, III, 1970: 462). სემანტიკა თითქოს გამჭვირვალეა - სახელს უდევს შემდეგი სემანტიკა: „თვალი ერთი“, „ცალი თვალი“. პირსახელის პირველი კომპონენტი **თოლი** მართლაც ნიშნავს თვალს, ხოლო მეორე კომპონენტად შემავალი **კაკა** იგივეა, რაც მეგრული **კაკა** // **კაკალი** „ერთი“, „ცალი“. მაგრამ **კაკა** სიტყვას მეგრულ მეტყველებაში სხვა მნიშვნელობებიც აქვს: **კაკა** „1. ღილ-კილო; 2. ცალი; ცალი ძაფი; **კაკალ-ი**, **კაკა-ი** - ერთი; ცალი. ჩქიმი ართი **კაკალი ჯიმა დინაფილ მაფუდუ** - ჩემი ერთადერთი ძმა მყავდა დაკარგული“ (ქაჯაია, II, 2002: 99). **კაკა** „კაკალი, თითო, მარტოხელა; **კაკალი** - კაკალი, მძივი, მარცვალი“ (ქობალია, 2010: 352). მეგრულში **ერთ** ფუძეს შეესატყვისება **ართ-ი**, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მის ეკვივალენტად გამოიყენება **კაკალ-ი**. ზოგ შემთხვევაში **ართი** და **კაკალი** ერთად გვხვდება კონტექსტში: **ართ კაკალს** ვამუერთუმ „არცერთი არ მოსულა“, ზოგჯერ კი ცალკე **კაკალი** გვხვდება: **კაკალია** ვეპალუდ „არცერთი არ ჩანდა“. ამდენად, **თოლიკაკა** შეიძლება ერქვა მშობლების ერთადერთ შვილს და მისი სემანტიკა იყო: „ერთი თვალი“, გადატანით „თვალისჩინი“. არ გამოირიცხება არც ის, რომ **თოლიკაკა** მეტსახელი იყო ისეთი ადამიანისა, რომელსაც ცალი თვალი დაკარგული ჰქონდა, შდრ. (კ)აკა **თოლამ** „ცალთვალა“. ასეა, თუ ისე, ამჟამად ჭირს იმის ზუსტად დადგენა, რა ამოსავალი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ანთროპონიმს, ის კი დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს, რომ კომპონენტი **კაკა** უდავოდ მომდინარეობს ზოგადქართული **კაკალი** სიტყვისაგან და მიღებულია **ლ** თანხმოვნის მოკვეცის გზით.

გარეგნულ მახასიათებლებს განეკუთვნებიან შემდეგი სახელებიც: **უჩა-ი-ა**, **უჩ-ი-ა** და **უჩა-ლ-ე-ი** „შავი, შავტუხა“, **უჩა-რდი-ა** „შავი იყავი“, **უჩა-კოჩ-ი** „შავი კაცი“, **უჩა-კოჩ-ა** „შავკაცა“. საანალიზო მასალის მიხედვით, **უჩა** ძირით ნაწარმოები სახელები ხშირი გამოყენებისაა, რომლებსაც ვხვდებით სხვადასხვა სოფლებში. მათგან **უჩა-ი-ა** ქავთარია პირველად იხსენიება 1621 წ. სოფ. ხიბულაში (ქსმ, III, 1970: 416). იმავე წელს, სოფ. ნაჭანულში დასტურდება ვარიანტი - **უჩია** (ქსმ, III, 1970: 419). 1621 წ. და 1616-1621 წწ. ვლინდება რამდენიმე პირის სახელად **უჩაკოჩი** (ქსმ, III, 1970: 414, 429, 434, 458).

უჩარდი-ა შონია დასტურდება 1621 წ. სოფლებში: ღაჩუსა და გუფში (ქსმ, III, 1970: 432, 433), ხოლო 1616-1621 წწ. საბუთების მიხედვით - სოფ. დარჩელში მცხოვრების სახელად (ქსმ, III, 1970: 457). **უჩა-ლ-ე-ი** გვხვდება სოფ. თილითში 1621 წელს (ქსმ, III, 1970: 427). **უჩაკოჩა** მოხსენიებულია 1621 წლის საბუთში სოფ. დარჩელში (ქსმ, III, 1970: 444). ნ. ჯომიდავა **უჩაია** და **უჩარდია** სახელებს განიხილავს გვარსახელებში. ჩვენი აზრით კი, ესენი პირსახელებია, რის საფუძველსაც გვაძლევს დოკუმენტებში წარმოდგენილი მათთან ერთად მოხსენიებული გვარსახელები **ქავთარია** და **შონია**, რომლებიც დღესაც ფართოდ გავრცელებული გვარსახელებია. ჩვენს ვარაუდს ამყარებს ისიც, რომ **უჩას** და მისგან მომდინარე პირსახელებს: **უჩაკოჩი**, **უჩანა**, **უჩარდია...** საკუთარ სახელებში განიხილავს ალ. ღლონტიც (ღლონტი, 1967: 129). დასახელებული ანთროპონიმები ასახავენ კანის ფერს. მეგრულში **უჩა** აღნიშნავს „შავს“. როგორც ჩანს, ამ სახელის პირველი მტარებლები შავტუხები იყვნენ.

აპელატიური სახელის ფუძეზე მაანთროპონიმებული -ა და -ი-ა სუფიქსების დართვითაა ნაწარმოები შემდეგი პირსახელები:

1616-1621 წწ. შედგენილი საბუთის მიხედვით, სოფ. ცაიშში გვხვდება ვინმე სავარია **ბახულია** (პალ, IV, 2007: 124). მეგრ. **ბახ-ულ-ი-ა** < **ბახ-ულ-ი** „ბუთხუზა, ჩასუქებული“. ამ სახელის პირველი მტარებელიც ბუთხუზა უნდა ყოფილიყო.

1621 წ. სოფ. საქუჩულორიოსა და ნაჟანულში გვხვდება პირსახელი **ბუბუტია** (ქსმ, III, 1970: 413; 420). მეგრულ მეტყველებაში **ბუბუტი** // **ბუბუტია** არის „ჩამრგვალებული“ (ითქმის ჩვილზე). შესაბამისად, **ბუბუტია** უნდა შეერქმიათ ბუთხუზა ახალშობილისათვის. **ბუბუტ-ი-ა** < **ბუბუტ-ი**.

გვგვ-ა < **გვიგვ-ი-ა** < **გვიგვ-ი** „სიმკვრივე“, „გამაგრება“. **გვგვ-ა** პირველად დასტურდება 1621 წლის საბუთში საქუჩულორიოს მცხოვრების სახელად (ქსმ, III, 1970: 414). **გვიგვი**-საგან მეგრულში იწარმოება **გვიგვალი** „უხეში, დაჯირჯვლებული, უმწოდ მსხვილი“. თუ ახალშობილს შეარქმევდნენ ამ სახელს, სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო პუტკუნა და მკვრივი ბავშვი, ხოლო მეტსახელის შემთხვევაში, სახელდებული პირი არც ისე სასიამოვნო აღნაგობისა შეიძლება ყოფილიყო.

„ქოჩორას“ მნიშვნელობა აქვს მეგრულში **კოჭო** სახელს (ქობალია, 2010: 374), რომლისგანაც მომდინარეობს საანალიზო მასალაში დადასტურებული ანთროპონიმი:

კოჭ-ოლ-ა < *კოჭო-ოლ-ა, რომელიც დასტურდება 1621 წ. სოფ. ნაჭანულში (პალ, IV, 2007: 413).

კუკურ-ი-ა „პატარა, კუკურა“, შდრ. სალიტ. ქართ. საყვავილე კვირტის აღმნიშვნელი კუკურ-ი // კოკორი (ქეგლ, ერთტომეული, 1986: 266 და 271). კუკურია პირველად დასტურდება 1616-1621 წლებში შედგენილ საბუთში სოფ. ცაიშის მცხოვრების სახელად (ქსძ, III, 1970: 439).

1621 წ. სოფ. ჭალაში დასტურდება პირსახელი მარღია (ქსძ, III, 1970: 435). მარღ-ი-ა < მეგრ. მარღ-ი „თვალჭრელი, ავთვალი; ალბინოსი“ (ქობალია, 2010: 391), შდრ. სალიტ. ქართ. მარღ-ი „თვალთეთრი“ (ორბელიანი, I, 1991: 443). მეგრულში მარღე სიტყვა სიარულის გარკვეული სახეობის აღმნიშვნელია: მარღე-მარღეთ მოურს „ქვეშ-ქვეშ ცქერით, ქვეგამოხედვით მოდის“. იგულისხმება მოშურნე ადამიანი, რომელიც ნელი სვლით მოდის და თანაც ჩუმად, შეუმჩნევლად აკვირდება ყველაფერს.

მ[ა]რსალია // ამარ[ს]ალა ვარიანტებიდან მარსალია პირველად გვხვდება 1621 წლის შედგენილ საბუთში სოფ. ნაჭანულში მცხოვრების სახელად (ქსძ, III, 1970: 420), ხოლო ამარსალა - 1616- 1621 წწ. ცაიშში (პალ, IV, 2007: 379). მარსალია და ამარსალა მომდინარეობენ მარსა სახელისგან, რაც მეგრულში ნიშნავს „მესერს“. მარსალია „აყუდებული, სარივით მაღალი, აყლაყუდა“ (ქობალია, 2010: 391).

ერთხელ გამოვლინდა მაძღუაბ(ა)ლა სოფ. გუფში მცხოვრების სახელად (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 433). ვფიქრობთ, სახელისათვის ამოსავალი უნდა იყოს ძღვაბუა „უგულოდ ჭამა, ციცქნა“ ზმნისაგან ნაწარმოები მა-ძღუაბ-ალ-ი, რომელიც გაფორმებულია მანტოროპონიმებული -ა სუფიქსით.

1616-1621 წლებში ჯგალში დასტურდება ქვაჩილია (ქსძ, III, 1970: 473). მეგრულში გვხვდება ქვაჩ- ძირით ნაწარმოები რამდენიმე სიტყვა, რომლებიც თითქმის ერთნაირი სემანტიკისაა: ქვაჩ-ალ-ა // ქვაჩ-ალ-ი // ქვაჩ-ალ-ერ-ი „შრიალი; აქოჩრილი, გაშლილი, აბულულებული (ჩალა)“ (ქობალია, 2010: 635). ასევე, ცალკე სიტყვაა ქვაჩ-ი „ქოჩორა; მშვიდი, აუღელვებელი ადამიანი, რომელსაც კარგი ურთიერთობა გამოუდის ყველასთან“ (იქვე). ვფიქრობთ, ქვაჩილია ერქვა თმაქოჩორა ადამიანს.

სოფ. დარჩელში 1616-1621 წლებს შორის დასტურდება პირსახელი ლაღაბია (ქსძ, III, 1970: 461). მეგრ. ლაღაბ-ი-ა < ლაღაბ-ი „ლაბაბი“; ანტოროპონიმი მეტსახელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ლაღაბია უნდა შეერქმიათ ლაბაბის მქონე პირისათვის.

მეტსახელისაგან მომდინარეობს **ყელგრძელი**, რომელიც პირველად დასტურდება 1621 წლის საბუთში სოფ. მუხურში მცხოვრების სახელად (ქსმ, III, 1970: 426). როგორც ჩანს, ამ სახელის მტარებელს ჰქონდა მაღალი, გრძელი ყელი.

1621 წ. სოფ. ნაგუაზაუში დასტურდება პირსახელი **ხახ-უტ-ა** (ქსმ, III, 1970: 413). მეგრ. **ხახ-უტ-ა < ხახ-უტ-ი-ა** „ხატულა, მოქარგული, დაჭრელებული; ჭრელა (ძროხა); თვალჭროლა, თვალჭრელი (ადამიანი)“ (ქობალია, 2010: 720). ვფიქრობთ, **ხახუტა** პირსახელის გაჩენა განაპირობა იმ პიროვნების ლამაზმა, ჭრელმა თვალებმა, რომელსაც ეს სახელი შეარქვეს. **ხახუტელ** და **რ-ნ** ჩართული - **ხა(რ)ხუ(ნ)ტელ** ვარიანტები დღესაც ხშირად გამოიყენება მეგრულ მეტყველებაში ჭრელის, მოხატულის მნიშვნელობით.

პირსახელი **ხვიჩია** (პალ, V, 2015: 405) მომდინარეობს **ხვიჩა**-საგან - „მდიმარი, გაბადრული“ (ქობალია, 2010: 726). მეგრულში ხშირად გამოიყენება ხვიჩასგან ნაწარმოები **ხვიჩ-ალ-ი**, რომელიც აღნიშნავს „ნათელს“, ანდა „ჩახჩახას“.

1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო მოსაკრებლის“ მიხედვით, სოფ. ცაიშში დასტურდება პირსახელი **ხუხუბია** (ქსმ, III, 1970: 452). **ხუხუბია** // **ხუხუბა** არის „შუაზე გადაჭრილი დოქი, ჯამი, ღრმა თევში; ტანდაბალი ადამიანი“ (ქობალია, 2010: 733). მაშასადამე, **ხუხუბ-ი-ა** უნდა იყოს მეტსახელი ტანდაბალი ადამიანისა.

1621 წ. სოფ. ნაქანელში იხსენიება ვინმე **ხუხურია** (ქსმ, III, 1970: 421). შდრ. მეგრ. **ხუხურია** „ჩამრგვალებული, ტანდაბალი“. შესაბამისად, ეს სიტყვა მეტსახელია ტანდაბალი ადამიანისა.

1621 წ. სოფ. ხოირში მცხოვრებად დასტურდება პირსახელი **ხუხულია** (ქსმ, III, 1970: 425). **ხუხულია** **ხუხურია**-ს ფონეტიკური ვარიანტია (**რ-ლ** ბგერათა მონაცვლეობა). **ხუხულ-ი-ა** // **ხუხულა**-ს ემახიან „პატარა სახლს, ქოხს, ხუხულას“. ს. საბას განმარტებით, „**ხუხულა** არს ყრმათა მიერ ბედითი ნამუშაკარი, რეცა სახლაკი“ (ორბელიანი, 1993: 435). **ხუხულა** „1. ბავშვის მიერ გაკეთებული სათამაშო სახლი. 2. სახელდახელოდ, ზერელედ აშენებული სახლი, - ქოხმახი“ (ქგელ, VIII, 1965: 1538). სახლის აღმნიშვნელი სიტყვა **ხუხულია**, სავარაუდოდ, სიმცირის გამომხატველი სემანტიკიდან გამომდინარე ქცეულა პირსახელად. ამდენად, **ხუხულია**, **ხუხუბია**-სა და **ხუხურია**-ს მსგავსად, შესაძლოა რქმეოდა პატარა ტანის, ჩია ადამიანს.

1621 წ. სოფ. ხიბულაში გვხვდება პირსახელი **ხუტკუბ-ი-ა** (ქსძ, III, 1970: 414; 418). შდრ. **ხუტკუბია** „ხუთმტკაველა, ცეროდენა; პეშვებში ჩასატევი“ (ქობალია, 2010: 732). **ხუტკუბია** შესაძლოა შეერქმიათ ციცქნა ჩვილისათვის.

დოკუმენტებში ერთხელ დასტურდება პირსახელი **ხუჭუჭ-ი-ა**. იგი, 1616-1621 წლებს შორის შედგენილი საბუთების მიხედვით, გვხვდება სოფ. ცაიშში (ქსძ, III, 1970: 455). მეგრული **ხუჭუჭია** იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში **ხუჭუჭა** „თმახუჭუჭა, ხვეულთმიანი“. ამ სახელის მტარებელი ხუჭუჭთმიანი უნდა ყოფილიყო, შდრ. აპელატივი **ხუჭუჭია** „ხუჭუჭა; ხუჭუჭი“ (ქობალია, 2010: 733; ქაჯაია, III, 2002: 589). **ხუჭუჭ-ი-ა < ხუჭუჭ-ი**.

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფში სამწიგნობრო ენის პირსახელებს ჭარბობს მეგრული დიალექტური ლექსიკის ფუძეები.

1.1.1.3. თვისება-ხასიათის გამომხატველი პირსახელები

თვისება-ხასიათის გამომხატველი პირსახელები გაფორმებულია -ა სუფიქსით:

1616-1621 წწ. დასტურდება შანგლაია **ახუმარა**, რომელიც ყოფილა შანგლაია ართიმელიას სახლიკაცი (პალ, V, 2015: 117). სახელი ერთი შეხედვით აფხაზური ენიდან ნასესხების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს მოჩვენებითია: აფხაზურში არსებობს მასდარი **ა-ხმარ-რა** „თამაში; ხუმრობა“, რომელშიც გამოიყოფა ამ ენისათვის დამახასიათებელი სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი და მასდარის მაწარმოებელი **-რა** სუფიქსი. შედარებით ძნელი მოსალოდნელია, რომ პირსახელის ფუნქციით მეგრულ მეტყველებას არაბული წარმომავლობის ის მასდარი ესესხებინა აფხაზურისაგან, რომლის ფუძეც თვითონ ჰქონდა ნასესხები, შდრ. **ხუმარ-ა**. უფრო უპრიანი იქნებოდა არა მასდარის, არამედ მოქმედი პირის სახელის (მიმღეობის) სესხება, მაგრამ აფხაზურში არსებული **ა-ხმარ-გვ** „მოთამაშე; ხუმარა“ ფონეტიკურად ძალიან შორს დგას მეგრული ანთროპონიმის ფორმისაგან. ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ პირსახელი **ახუმარა** აფხაზურიდან არაა შესული მეგრულში, მაგრამ მისი სტრუქტურა საკვლევეია.

გუაგუალ-ა იგივეა, რაც **გვანგვალა** „მოგავი, მოგოგმანე“. ზოგადქართველური კანონზომიერების მიხედვით, თანხმოვანთა უმრავლესობის, განსაკუთრებით კი

უკანაენისმიერთა მომდევნო პოზიციაში კბილბაგისმიერი ვ გადადიოდა და დღესაც გადადის წყვილბაგისმიერ ჟ-ში. მაგალითად, გვარი > გჳარი, ქვა > ქჳა, კვალი > კჳალი, ჯვარი > ჯჳარი, თვალი > თჳალი და სხვ. ეს მოვლენა დამახასიათებელია არა მხოლოდ სალიტერატურო ქართულისათვის, არამედ მისი დიალექტებისთვისაც. ამის ნათელი დადასტურებაა საანალიზოდ აღებული პირსახელი: გუაგუალ-ა < გვანგვალ-ა. ტ. ფუტკარაძე ძველ ქართულშიც კი გამორიცხავს კბილბაგისმიერ ვ ფონემას. მისი აზრით, „ქართული ენის ყველა ქვესისტემაში (ისტორიული ხანის ქართულის ჩათვლით), ვ, ჳ, უ და ი, ძ ბგერები შესაბამისად /უ/ და /ი/ სონანტების ალოფონები არიან. უ-ს ორ უმარცვლო ალოფონს შორის ძირითადია წყვილბაგისმიერი ჳ და არა კბილბაგისმიერი ვ სპირანტი“. საბოლოოდ, მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ანბანის შექმნის დროს ქართულში ძირითადი იყო ჳ ვარიანტი ვ-სთან შედარებით (ფუტკარაძე, 1999: 169-170; ვრცლად იხ. ასევე: ფუტკარაძე, 1998).

1621 წ. სოფ. ხოირში დასტურდება ვაჟ-ი-კოჩ-ა „ვაჟკაცა“ და მხიარულ-ა „მხიარული“ პირსახელები (ქსმ, III, 1970: 425).

იმავე წელს სოფ. ტყავრუში მცხოვრების სახელად დასტურდება თავაზ-ა „თავაზიანი“ (ქსმ, III, 1970: 434). თავაზ-ა ისეთი პიროვნებას შეიძლება ეწოდოს, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავაზიანობა.

1621 წელსვე სოფ. ხიბულაში მცხოვრების სახელად გვხვდება მახუტ-ი-ა (ქსმ, III, 1970: 417). მეგრ. მახუტ-ი, მახუტ-ი-ა, შდრ. მახუტ-ელ-ა „ჩასახუტებელი (ბაღლი)“ (ქობალია, 2010: 399). მახუტია შესაძლოა ეწოდოს ისეთ პიროვნებას, რომელსაც ჩახუტება უყვარს, ან ჩახუტების, მოფერების სურვილს იწვევს.

121 წელსვე სოფ. ხიბულაში ფიქსირებულ პირსახელ მახუჭ-აბა-ს (ქსმ, III, 1970: 416) ამოსავლად, შესაძლებელია, მივიჩნიოთ მცენარის სახელი მახუჭია, რომელიც ეწოდება „კვირისტავს“ (მცენ.) (ქობალია, 2010: 399), მაგრამ უფრო რეალურია მისი დაკავშირება მოხუჭუა სიტყვასთან, რაც მეგრულში ნიშნავს „მომუწვას (პირისა), მონაოჭებას; მოხუჭვას (თვალისა)“. ა - ო ცვლილება კი ბუნებრივი პროცესია მეგრულისათვის ერთი და იმავე სემანტიკის შემცველ სიტყვებში: მარაგადე // მორაგადე „მოსაუბრე“; მალართი // მოლართი „წამოდი“; მალედ // მოლედ „წამოიდე“ და სხვ. თუმცა ორივე შემთხვევაში აუხსნელი რჩება -ბა მარცვლის ფუნქცია. სხვა ვერსიით, იგი შეიძლება მივიჩნიოთ თ. გვანცელაძის მიერ მრავალ ქართულ პირსახელსა და

გვარსახელში გამოვლენილი სიტყვათმწარმოებელი -ობ-ა, -ებ-ა, -იბ-ა, -(ა)ბ-ა სუფიქსი. შდრ. პირსახელები: ბარნობა < ბარნა, გიგაბა < გიგა, კაციბაი, მახობა < მახო, სოსება < სოსო... (გვანცელაძე, 2011: 157-172).

1616-1621 წწ. სოფ. დარჩელში დასტურდება პირსახელები: სამართალ-ა „სამართლიანი“ (პალ, II, 1993: 510); უწყენარ-ა „უწყინარი“; ჯგეკოზ-ა „კარგკაცა“ (ქსმ, III, 1970: 456; 460; 463); ამავე წლებში პირსახელად გვხვდება მსუბუქ-ა „არასერიოზული, მსუბუქი თვისების მქონე“ (ქსმ, III, 1970: 479); ქაქალ-ა „მომრავი, ჭკუამსუბუქი“ (პალ, V, 2015: 306), შაქარ-ა „შაქარივით ტკბილი“ (პალ, IV, 2007: 220) და სხვ.

ძველქართულ იურიდიულ საბუთებში ხშირად დასტურდება ნაზმნარი სახელი მახარ-ა. მაგალითად, გვარსახელის თანხლების გარეშე ეს ანთროპონიმი 1537-1538 წლიდან მოყოლებული წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა სახელად შემდეგ სოფლებში: კარშაგარში, ბახვში, კორთხში, ჭოლევეში, ყანდახში, ღვერთეთს, ბუეთს, გორუნჯუკს, დაღეთში, ხვედურეთში, თვალს, გრძელას, ნაბახტევში, ღუროში, გოსტიბეში, ახრისს, კუარხითს, სობისს, ტყიურეთში, ორჭომანში, აკურისში, აგრეთვე ყინცვისის მონასტერში მცხოვრებ პირთა საკუთარ სახელად (პალ, 2004: 119). ამავე სახელის ვარიანტი მახარე გვხვდება მე-17 საუკუნის შუა ხანებში შედგენილ საბუთში, სადაც მახარე არის ვინმე ბასილას ხუთიდან ერთ-ერთი შვილი (პალ, I, 1991: 465). სახელი მახარა სამნაირად შეიძლება აიხსნას: 1. იგი შესაძლოა მომდინარეობდეს სამპირიანი ხარება ზმნის წყვეტილის ფორმისაგან: მახარა მან მე ის; 2. სახელი მომდინარეობს იმავე სამპირიანი ზმნის წყვეტილის სხვა (გა)მახარე შენ მე ფორმისაგან (შდრ. გალის რაიონში დღემდე გავრცელებული გვარსახელი გამახარია < გამახარე-ა); 3. პირსახელი მახარა მიღებულია მახარ-ი-ა სახელისაგან. პ. ცხადაია გამოყოფს მახარა პირსახელისაგან მომდინარე მეგრულ ტოპონიმებს: ნამახარუ, სამახარიო // მახარია. მისივე ცნობით, მახარია სამეგრელოში სახელიც არის და გვარიც, რომელიც მიღებულია მახარე-საგან -ა სუფიქსის დართვით (მახარე-ა > მახარია) (ცხადაია, 2000: 110). მახარია ა. ქობალიას მიხედვით, არის მიმართვის ფორმა: „ჩემო სიხარულო, გამხარებელო“. ხოლო მახარე - საკუთარი სახელი, რაც ნიშნავს: „მახარობელს; ერთგვარ ფრინველს“ (ქობალია, 2010: 399).

პირსახელი აშუნა პირველად იხსენიება 1616-1621 წწ. სოფ. ჭალაში (დღევანდელი სოფ. ჭლოუ ოჩამჩირის რ.) (ქსმ, III, 1970: 441, 468). სახელი უნდა მომდინარეობდეს

ამუნათ-ისაგან: **ამუნ-ა** < **ამუნათ-ი**. შდრ.: **ამუნათი** „ლამაზი, საუკეთესო; ჭკვიანი. ამუნათი სქუა ცუნსია - კარგი შვილი ჰყავსო“ (ქაჯაია, I, 2002: 185); **ამუნათი** „ამანათი, საჩუქარი (ბედისა); ერთადერთი შვილი; უმემკვიდრეო, უნათესაო, ხიზანი“ (ქობალია, 2010: 35). თუ მოცემულ განმარტებებს გავითვალისწინებთ, **ამუნა** შეიცავს როგორც კარგის, ჭკვიანის, ასევე ლამაზის სემანტიკასაც. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ არის ერთადერთი შვილი. არსებობს **ამუნა** სახელის სხვაგვარად ახსნის შესაძლებლობაც: **ამუნ-ა** უნდა მომდინარეობდეს წმიდანის სახელისაგან: **ამონი** „ქვიშიანი“ (ეგვიპტ.); „მხატვარი, დახელოვნებული ოსტატი“ (ებრ.). **ამონი** სახელით ცნობილია 2 წმიდანი: ეგვიპტელი ღირსი ამონი (მისი ხსენების დღეა 17 ოქტომბერი) და ჰერაკლეელი დიაკონი, მღვდელმოწამე ამონი (იხსენიება 14 სექტემბერს) (იხ.: წმიდანთა სახელები).

მხიარულ-ა < **მხიარულ-ი**. სემანტიკა გამჭვირვალეა, **მხიარულა** ისეთი ადამიანის სახელი უნდა იყოს, რომელიც მუდამ მხიარულია.

1616-1621 წწ. ცაიშში დადასტურებული **უწყინარ-ა** (ქსძ, III, 1970: 440) შეიძლება პირსახელის ეპონიმს შეარქვეს მისი თვისებიდან, მშვიდი და უბოროტო ხასიათიდან გამომდინარე. **უწყინარ-ა** < **უწყინარ-ი**.

ხუმარ-ა < არაბ. **ხუმარ** ფუძე, სემანტიკა გამჭვირვალეა. ამ სახელის ეპონიმი უნდა ყოფილიყო ხუმარა პიროვნება.

რთული კნინობით-ალერსობითი **-ი-ა** სუფიქსით არის ნაწარმოები შემდეგი ანთროპონიმები, რომლებიც პირველად იხსენიება 1621 წელსა და 1616-1621 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტებში. კერძოდ: 1621 წელს ნაჟანეულში ნახსენებია **ინგარ-ია** - შდრ. მეგრ. **(ნ)გარა** „ტირილი“ (ქსძ, III, 1970: 420), სოფ. ხოირში - **ქაქალ-ია** „მოძრავი, ჭკუამსუბუქი“ (ქსძ, III, 1970: 424), **ქუაქუალ-ია** „ცუნცულა, სწრაფად მოსიარულე“ სოფ. სუბვში (ქსძ, III, 1970: 426); 1616-1621 წწ. - **გატანჯ-ია** „ტანჯულა“ სოფ. ცაიშის მცხოვრებად (ქსძ, III, 1970: 451), **მიშველ-ია** „მეშველი, მეოხი“ (პალ, III, 2004: 283); **ხუხუნ-ია**, **ხუხინ-ია** „მფშვინავი“ სოფ. ცაიშში (ქსძ, III, 1970: 448), **სამართალ-ია** სოფ. დარჩელში (იქვე, 457), **მიჰამ-ია** < **ჰამო** „ტკბილი; ამო, საამო“ სოფ. დარჩელში (ქსძ, III, 1970: 458), **მარცვალ-ია** „მცვეთავი“, **ხუხუტ-ია** სოფ. ჭალაში (ჭლოუ) (ქსძ, III, 1970: 467) და სხვ.

1616-1621 წწ. დასტურდება პირსახელი **კაჭულია** (ქსძ, III, 1970: 454). ვფიქრობთ, მისთვის ამოსავალია სიტყვა **კაჭი**, რაც მეგრულში ნიშნავს: „ჭინკას, ემშაკუნას“

(ქობალია, 2010: 356). შდრ. **კაჭია** „პატარა, ცელქი; ჭინკა“. ამ სახელის მატარებელი ადამიანისთვის ბავშვობაში დამახასიათებელი იქნებოდა ცელქობა, ეშმაკობა. პირსახელი ასე უნდა იყოს მიღებული: **კაჭ-ულ-ი-ა < კაჭ-ულ-ი < კაჭ-ი**.

პირსახელ **ართამელია**-ს პირველი კომპონენტი **ართა** მეგრულში ნიშნავს „აქცევას (გვერდისა)“, ხოლო მეორე კომპონენტი ცხოველის სახელი **მელია-ა**. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ცხოველს ტრადიციულად ცბიერ, სწრაფ არსებად მიიჩნევენ და მეტაფორულად აღნიშნავს ეშმაკ, ჩუმჩუმელა, ქვეშეკვმა და ვერაგ ადამიანს (იხ. გვანცელაძე, 2005: 55), უნდა ვივარაუდოთ, რომ საანალიზო ანთროპონიმი მეტსახელისგან მოდის. ჩვენი ვარაუდით, **ართამელია**-დ წოდებული პიროვნებისათვის დამახასიათებელი იქნებოდა სისწრაფე, ცბიერება, ვერაგობა.

1621 წ. ხოირში დასტურდება პირსახელი, რომელიც ადამიანის ასაკზე მიუთითებს: **უკულაში** ლასურია (ქსმ, III, 1970: 423). შდრ. მეგრ. **უკულაში** „უმცროსი“.

1.1.1.4. კნინობით-ალერსობითი პირსახელები

საანალიზო მასალის მიხედვით, გარდა ზემოთ განხილულ ჯგუფებში შემავალი სახელების ნაწილისა, ხშირად გამოიყენება კაცის აღმნიშვნელი მეგრული **კოჩ**- ფუძე კნინობით-ალერსობითი შინაარსით. მას ერთვის შესაბამისი სემანტიკის გამომხატველი **-ა, -ია, -ილ-ა** სუფიქსები. საბუთებში დასახელებულნი არიან შემდეგი პირები: **კოჩა** ზარქუა 1621 წ. სოფ. ხიბულაში (ქსმ, III, 1970: 417), იმავე წელს სოფ. ნაჟანულში **კოჩილეი** (< **კოჩ-ილ-ა-ი**) დიდია (იქვე, 420), **კოჩილა** მარკოზია (იქვე, 421), **კოჩია** ცისტარია და **კოჩილა** ელიშია (იქვე, 422).

კოჩ ძირისაგან ნაწარმოები სახელები სემანტიკით და ფუნქციით უტოლდება სალიტერატურო ქართული ენის **კაც-ა // კაც-უნ-ა** ფორმებს. დღეს **კოჩ** ფუძით ნაწარმოები კნინობით-ალერსობითი ელფერის მქონე პირსახელები ოფიციალური ფორმით აღარ გვხვდება. თუ სადმე დასტურდება, სავარაუდოდ მეტსახელის ფუნქცია ექნება.

საყურადღებოა **ვაჟობა** სახელის დადასტურება ჩვენს მასალებში, რომელიც პირველად იხსენიება 1621 წ. სოფ. სუბვში (ქსმ, III, 1970: 426). როგორც თ. გვანცელაძე აღნიშნავს, ანთროპონიმი **ვაჟობა-ც** სწორედ ამავე ჯგუფის სახელია: იგი მიღებულია

აპელატივ ვაჟის ფუძეზე -ობ-ა სუფიქსთა დართვით, შდრ. საერო ისტორიულ საბუთებში ასახული პირსახელები: თვალ-ობა, კოჩ-ოფა „კაცობა“ // კოჩ-ობა... (გვანცელაძე, 2011: 158, 168). სამეგრელო-აფხაზეთთან დაკავშირებულ 1621 წლის დოკუმენტში მხოლოდ ორი პიროვნება დასტურდება ამ სახელით და ორივე ამჟამინდელი გალისა და ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიაზე მდებარე სოფლების მცხოვრები ყოფილა: ვაჟობა გრიგოლია ხოირის (ამჟ. ოჩამჩ. რ., ს. ოხურეი) (ქსძ, 1970: 424) მოსახლე ყოფილა, ხოლო ვაჟობა ჯაკონია - ახლანდელი გალის რაიონის სოფ. მუხურისა (პალ, 191: 724; ქსძ, 1970: 286), შდრ. პირსახელები: ვაჟ-ა, ვაჟ-იკ-ა, ვაჟ-ია; ამ სახელის თავდაპირველი ფუნქციის დადგენაში უნდა გვშველოდეს იმ ეთნოლოგიური გარემოების გათვალისწინება, რომ ჩვენს სინამდვილეში ვაჟის შეძენა უფრო მეტად ახარებს ოჯახს, ვიდრე ქალისა. კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატული გენდერული სხვაობა უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეებში, როცა მიიჩნეოდა, რომ მამაკაცი იყო ოჯახის ბურჯი, რაკი იგი ოჯახში რჩებოდა, ასრულებდა ყველაზე მძიმე ფიზიკურ სამუშაოებს და ამრავლებდა გვარს, ხოლო ქალი სხვა ოჯახის წევრი ხდებოდა და იქ ამრავლებდა სულადობას. შესაბამისად, ვაჟის დაბადების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაჟობა, კაცობა // კოჩოფა ტიპის გენდერულად მარკირებული ანთროპონიმების შერქმევითაც გამოხატავდნენ.

1.1.1.5. დროის (პერიოდის) განმსაზღვრელი პირსახელები

საკვლევ დოკუმენტებში დასტურდება ისეთი ტიპის პირსახელები, რომლებიც ასახავს ახალშობილის დაბადების პერიოდს.

1621 წელს სოფ. თილითში იხსენიება სიტყვა თუთაშხია როგორც პირსახელის, ისე გვარსახელის ფუნქციით: პირსახელია იგი, როცა ახლავს გვარი გულუა - თუთაშხია გულუა, მაგრამ გვარსახელია ის, როცა ახლავს პირსახელი ქუფაჩა - თუთაშხია ქუფაჩა (ქსძ, III, 1970: 429). რა თქმა უნდა, თუთაშხია უკავშირდება თუთაშხა სიტყვას, რომელიც მეგრულში აღნიშნავს ორშაბათ დღეს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, თავის მხრივ მეგრული თუთაშხა „ორშაბათი“ მომდინარეობს *თუთაშ დღა „მთვარის დღე“ შესიტყვებისაგან და ჩვენი წინაპრები მთვარეს განსაკუთრებული ფუნქციების მქონე მამრობითი სქესის უძლიერეს ღვთაებად მიიჩნევდნენ

(ჯავახიშვილი, 2012: 125). ამიტომ მოსალოდნელია, რომ ამ ღვთაების გულის მოსაგებად სახელი **თუთაშხია** ერქმეოდათ არა მხოლოდ ორშაბათს, არამედ ნებისმიერ სხვა დღეს დაბადებულ ახალშობილებსაც.

1621 წელს ხიბულაში გვხვდება **ობიშხა**, რომელიც აშკარად პირსახელია: „...მართებს **ობიშხას** ქავთარიას საპურობო...“ (ქსმ, III, 1970: 417). **ობიშხა** ეწოდება მეგრულად პარასკევს, რომელსაც უკავშირებენ ტაროსის, ამინდის ღვთაების **ვობი** სახელს. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „პარასკევის დღისა და ღვთაების წარმართობის-დროინდელი ქართული სახელი მარტო მეგრულსა და სვანურს-ღა აქვთ შემორჩენილი. პარასკევის მეგრული სახელი „**ობი-შ-ხა**“ და სვანურის „**ვები-შ**“ ღვთაების სახელად „**ობი**“-სა და „**ვები**“-ს გვამცნებს“ (ჯავახიშვილი, I, 2012: 133). საფიქრებელია, რომ, ამ შემთხვევაშიც, პარასკევს დაბადებულ ბავშვებს ტაროსის ღვთაების საპატივცემოდ არქმევდნენ **ობიშხა**-ს. ამავე მოტივით უნდა იყოს გაჩენილი პირსახელები, რომლებიც დაფიქსირებულია ალ. ლლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“: **ობიშხე, ობიშხელა, ობიშხია** (ლლონტი, 1967: 112).

პირსახელი **თასია** პირველად დასტურდება 1621 წელს თილითში (ქსმ, III, 1970: 429). იგი მეგრულად აღნიშნავს „თესვას“. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ამ სახელს თესვის სეზონში დაბადებულ ბავშვებს არქმევდნენ.

1616-1621 წლებს შორის შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, ორიოდე შემთხვევაში პირსახელად გვხვდება თვეების ზოგიერთი მეგრული სახელწოდება: **ივანება** „ივნისი“ სოფ. ჯგალში და **კვირკებია** „ივლისი“ სოფ. დარჩელში (ქსმ, III, 1970: 456; 471). როგორც ცნობილია, 7 ივნისი წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის დღეა. ამიტომაც ეწოდა ამ დღეს **ივანობა** < ***იოანობა**, ხოლო მთლიანად ივნისის თვეს ამ დღესასწაულის მიზეზით **ივანობისთვე** დაერქვა. საინტერესოა, რომ მეგრულ მეტყველებაში თვის სახელში გამოყენებულია არა **-ობა** სუფიქსი, როგორც ეს სამწიგნობრო ენაში გვაქვს, არამედ მისი ვარიანტი **-ება**. სახელი **ივანება** სავარაუდოდ ივნისის ნებისმიერ დღეს, ანდა მხოლოდ ივანობის დღესასწაულზე, 7 ივნისს დაბადებულ ბავშვებს ერქმეოდა. თ. გვანცელაძეს ძველქართულ იურიდიულ საბუთებში გამოვლენილი აქვს პირსახელებსა და გვარსახელებში წარმოდგენილი **-ებ-ა** სუფიქსიანი სხვა ფუძეებიც. შდრ.: **სოს-ებ-ა, ქოც-ებ-ა, ღამ-ებ-ა, ჩოჩ-ებ-ა...**; **ანთ-ებ-ა-ძე**,

აღვს-ებ-ა-ძე, გვინ-ებ-ა-შვილი, გოგ-ებ-ა > გოგ-ებ-ა-შვილი, გონ-ებ-ა-შვილი, ცხოვრ-ებ-ა-ძე, ხარ-ებ-ა-ძე... (გვანცელაძე, 2011: 157-170).

მსგავსი ისტორია აქვს პირსახელ კვირკვია-საც, რომელიც მომდინარეობს ივლისის მეგრული კვირკვე სახელწოდებისაგან. კვირკვე თავის მხრივ უკავშირდება წმ. მოწამე კვირიკეს სახელს, რომლის ხსენების დღე აღინიშნება 27 ივლისს. როგორც ჩანს, მეგრულში არსებობდა კვირიკობის აღმნიშვნელი კვირკვ-ება // კვირკ-ება სახელებიც, რომლებიც სამწიგნობრო ენის კვირიკ-ობა სახელის ვარიანტები იქნებოდა. დროთა განმავლობაში ამ დღის პატივსაცემად მთელი ივლისის აღმნიშვნელი სახელის ფუნქცია შეითავსა სამწიგნობრო ენის კვირიკობა-მ და მეგრულმა კვირკება-მ; შდრ. ზემოთ: ივანება და ივანობა. ვვარაუდობთ, რომ სახელი კვირკვ-ია თავიდან ერქმეოდა მხოლოდ წმ. კვირიკესა და ივლიტას ხსენების დღეს, ანუ 27 ივლისს დაბადებულ ბავშვებს, შემდეგ კი - ივლისის ნებისმიერ დღეს დაბადებულ ახალშობილებსაც. საინტერესო დეტალია ის, რომ პირსახელ ივანება-საგან განსხვავებით, კვირკვია გაფორმებულია კნინობით-ალერსობითის -ია სუფიქსითაც, რაც ანთროპონიმიზაციის ერთ-ერთი ხერხია.

ვინმე მრ~ტიშია თიფშხუა 1621 წ. იხსენიება სოფ. თილთში (ქსმ, III, 1970: 428). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ქარაგმის ნიშანი შეცდომით სხვა ადგილას არის დასმული და ამ სიტყვაში იგულისხმება მარტის თვე. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას გვიდასტურებს 1616-1621 წწ. შედგენილ დოკუმენტში ხსენებული ვინმე მარტიშია გეგებერია (ქსმ, III, 1970: 440). მარტიშია „მარტისა“ სახელს შეარქმევდნენ მარტში დაბადებულ ახალშობილს.

1621 წელს სოფ. ხაუჭელში და 1616-1621 წწ. შორის შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, სოფ. ცაიშში ნახსენებია პირსახელი გაჭირდია „გაჭირვება“ (ქსმ, III, 1970: 432; 439). შესაძლებელია, ანთროპონიმი სოციალურ მდგომარეობას აღნიშნავდეს: ოჯახს შვილი ისეთ დროს შეეძინა, როცა სოციალურად უჭირდათ და ძნელი იყო ბავშვის აღზრდა.

გვანიშია „გვიანობისა, ნაგვიანევი“. სახელი 1621 წელს შედგენილ საბუთში ორჯერ დასტურდება სოფ. ნაჟანელში: გვანიშია ბაგუძლა და გვანიშა კონჯარია (ქსმ, III, 1970: 421; 423). სავარაუდოდ, ამ სახელს გვიან შეძენილ, ხანდაზმული მშობლების ნაბოლარა შვილებს არქმევდნენ.

ანთროპონიმი **უღვინობა** ორჯერ დასტურდება: **უღვინობა** კერშილავა 1616-1626 წლებში ჯგალის ციხის მეზეგრედ სახელდება (პალ, 1993: 497), ხოლო **უღვინობა** ქარცხია - 1621 წელს ხიბულას მცხოვრები ყოფილა (ქსძ, 1970: 416). სახელის სემანტიკა გამჭვირვალეა. ჩვენი ვარაუდით, მას არქმევდნენ ისეთ დროს დაბადებულ შვილებს, როდესაც ოჯახს ღვინო შემოეღოდა. ამ დასკვნის სისწორეს ადასტურებს თ. გვანცელაძის მიერ გამოვლენილი ანტონიმური ანთროპონიმი **ღვინ-ობა**, რომელიც 1601 წლისათვის რქმევია სვეტიცხოველისათვის მეფის მიერ შეწირულ ჯიმითელ (ამჟ. გურჯაანის რაიონი) გლეხს, გვარად კოპისშვილს (პალ, 1993: 528; გვანცელაძე, 2011: 170). აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ზოგი ქართული გვარსახელის შემადგენლობაში წარმოდგენილ **-ობა** სუფიქსის წარმომავლობაზე, რომელიც ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით აფხაზური წარმოშობისაა. როგორც პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე აღნიშნავს, ქართველ და აფხაზ ავტორთა ერთი ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას ზოგიერთი ქართული გვარსახელის აფხაზური წარმომავლობის შესახებ. ამ მოსაზრების მთავარი „არგუმენტი“ ასეთ გვარსახელებში **-ძე**, **-შვილი**, **-ვა**, **-ია** დაბოლოებათა წინ წარმოდგენილი **ბა** მარცვლის ფონოლოგიური (ბგერითი) იგივეობა აფხაზურ გვარსახელთა **-ბა** < **-იფა** „მისი (მამაკაცის) ძე, მისი ვაჟი“ სუფიქსოიდთან, ე. ი. ივარაუდება, რომ **ბა** მარცვლიანი ქართული გვარები ნააფხაზარია და ორმაგი სუფიქსაციის (აფხაზური **-ბა** + ქართული **-ძე**, **-შვილი**, **-ვა**, **-ია**) გზითაა ჩამოყალიბებული. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ეს ჰიპოთეზა პირველად ნ. მარმა გამოთქვა, როცა მეგრულ გვარსახელთა **-ვა** დაბოლოება აფხაზური წარმომავლობისად გამოაცხადა: **-ვა** < ***-ვარ** მომდინარეობს აფხაზური **-ბა** < ***-ბარ** „ძე“ დაბოლოებისაგანო. თ. გვანცელაძის სიტყვით, ნ. მარი არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ რეალურად მეგრულ მეტყველებაში გვარსახელები **-ვა** მარცვალზე კი არა, ოდნავ დაგრძელებულ ა ხმოვანზე ბოლოვდება და ეს ხმოვანი ვერ მიიღებოდა აფხაზური **-ბა** სუფიქსოიდისაგან. გარდა ამისა, როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, ეს ვარაუდი მიუღებელია იმის გამოც, რომ არ ჩანს ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება და ანგარიში არ ეწევა მოცემული ფორმანტის ფუნქციონალურ სხვაობას: აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მტარებელს, მეგრულში კი - ორივე სქესისას. და ბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული - როდის უნდა ყოფილიყო ასეთი წამლეკავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე (გვანცელაძე, 2011:

152) თ. გვანცელაძემ გაარკვია, რომ XI-XIX საუკუნეებში შედგენილ ქართულ საისტორიო წყაროებში არის დიდი რაოდენობის ისეთი ანთროპონიმები და გვარსახელები, რომლებიც შეიცავენ ბა მარცვალს, მაგრამ ისინი აშკარად არ არის აფხაზური წარმოშობისა. წერილობით წყაროებში აფხაზური გვარსახელები მასობრივად მხოლოდ XIX საუკუნეში იჩენენ თავს და -იფა > -იბა > -ბა სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელთა მოდელების ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა არა ადრეულ შუა საუკუნეებში, როგორც ამას ნ. მარი სრულიად უსაბუთოდ აცხადებდა, არამედ XIX საუკუნის მიწურულისთვის (გვანცელაძე, 2011: 156). მეცნიერი ასახელებს ჩვენთვის საინტერესო -ობა სუფიქსიან შემდეგ გვარსახელებსა და ანთროპონიმებს: ახ-ობ-ა-ძე, კაკ-ობ-ა-შვილ-ი...; პირსახელები: კაკუა < *კაკო-ა, კაკ-ობ-ა < *კაკო-ობ-ა; ჩიქ-ობ-ა-ვ-ა // ჩიქ-ობ-ელ-ი < *ჩიქ-ობა-ელ-ი; კაცობა - კაც-ობ-ელ-ა; კოჩ-ობა // კოჩოფა „კაცობა“; წყალობაძე (შდრ. ანთროპონიმი წყალობა); ღვინობა, უკოჩობა, ჭყოლოფა (შდრ. წყალობა) და სხვ. სადაც გამოსაყოფია არა აფხაზური წარმოშობის მაგვარსახელებელი - ბა სუფიქსი, არამედ რამდენიმე ქართული სუფიქსი: -ობ-ა, -ებ-ა, -იბ-ა, -(ა)ბა, რომელთაგან ზოგიერთს დამატებით შეიძლება ერთვოდეს კნინობითობის ქართული სუფიქსები: -ელ-ა, -ია... (გვანცელაძე, 2011: 151-167).

1.1.1.6. გრძნობის გამომხატველი პირსახელები

საანალიზო მასალებში გამოვლინდა ისეთი პირსახელებიც, რომლებიც გამოხატავენ პირშმოს დაბადებით გამოწვეულ სიხარულს. ესენია: მახარობელ(-ი) // მახარებელ-ი „მახარებელი“, სანატრელ(-ი), ნანატრია // ნანატრია, „ნანატრი არის“, საბედო.

ამ სახელებიდან პირველი წყვილი მახარობელ(-ი) // მახარებელ-ი პირველად იხსენიება 1621 წ. სოფ. ნაგუაზაუსა და ხიბულაში მცხოვრებ საეკლესიო ყმათა სახელებად (ქსძ, III, 1970: 413; 417). მახარებელი გვხვდება, ასევე, 1616-1621 წწ. სოფ. დარჩელში (იქვე, 459). იგივე ვარიანტები საკმაოდ ხშირად დასტურდება საერო შინაარსის ძველქართულ იურიდიულ საბუთებშიც. მაგალითად, ვარიანტი მახარებელი გვარსახელის გარეშე წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა მხარის 34 მოსახლის სახელის როლში 1247-1260 წლებიდან (პალ, 2004: 124-126), ხოლო ვარიანტი

მახარობელ-ი 11 პირის სახელია XIV საუკუნის შემდგომ იმავე მხარეებში (პალ, 2004: 127-128). საერო შინაარსის საბუთებში ერთხელ შეგვხვდა კნინობითობის -ა სუფიქსით გაფორმებული **მახარობელ-ა** ვარიანტიც ამჟამინდელ ხონის რაიონში მდებარე სოფელ გვაზაურში მცხოვრები გლეხის სახელად (პალ, 2004: 127). რაც შეეხება სახელის ძირითად ვარიანტთა ეტიმოლოგიას, იგი გამჭვირვალეა: წარმოადგენს **ხარება** ზმნის მიმღეობას და გაფორმებულია შესაბამისი აფიქსებით: **ხარ-** ძირზე დართული **-ებ // -ობ** თემის ნიშნებითა და მიმღეობის მაწარმოებელი **მა-** **-ელ** კონფიქსით. პირსახელი **მახარებელი** საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ თ. გითოლენდიას დაკვირვებით, სწორედ ეს ფორმა უდევს საფუძვლად აფხაზურ გვარსახელს **მახარებელ-იფას**, რომელიც დასტურდება სოფ. მერხეულიდან 1867 წელს რუსების მიერ განდევნილ აფხაზ მუჰაჯირთა სიებში. შდრ. ქართ. **მახარობლიძე**. როგორც ავტორი მიიჩნევს, **მახარებელი** აფხაზურს დიდი ხნის ნასესხები არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც აფხაზურში სწორედ ე ხმოვნის შემცველი ფორმაა შესული, რაც ქართულ სალიტერატურო ენაში გვაქვს, ეს ხმოვანი კი, როგორც თ. გვანცელაძემ დაადგინა, აფხაზურ ენაში მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა. **მახარობელი** დიალექტური ვარიანტია **მახარებელი** ფორმისა (გითოლენდია, 2008: 62-63; გვანცელაძე, 2011: 31).

ასევე გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვთ სახელებს: **სანატრელ-ი** „ვისაც ნატრობენ“. პირსახელი იხსენიება 1621 წ. სუბვში (ქსძ, III, 1970: 427), იმავე წელს სოფ. გუფში დადასტურებულია **-ბედ-** ძირზე **სა- _ო** კონფიქსის დართვით მიღებული ანთროპონიმი **საბედო** „ვისაც ბედი უნდა ეღირსოს (იგულისხმება საცოლე ან საქმრო)“ (ქსძ, III, 1970: 433) და **გაწირულ-ი** „ვინც გაწირეს, ვინც მიატოვეს“ (პალ, V, 2015: 306). არ ჭირს არც **ნანატრია** და **ნანარტია** სახელის მეგრულის ნიადაგზე ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი თავდაპირველი **ნანატრია** ვარიანტის აღდგენაც, რომლებიც რეალურადაა ნახსენები 1616-1621 წწ. შედგენილი დოკუმენტში სოფ. ცაიშსა და დარჩელში მცხოვრებთა სახელებად (ქსძ, III, 1970: 440; 461). მოსალოდნელია, რომ სახელი **გაწირული** ანთროპონიმთა იმ ჯგუფს განეკუთვნებოდეს, რომელთა მიზანი იყო ნანატრი შვილის დაცვა მძიმე სენისგან, ან ავი ბედისწერისაგან: ამგვარი სახელებით სენის მფარველ სულს და ბედისწერას „არწმუნებდნენ“, ეს ბავშვი უკვე ბედისგანაა განწირული და ნუ შეეხებითო.

ზოგიერთი პირსახელი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ გვაფიქრებინებს, მშობელი განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავს შვილისადმი. მაგალითად, დედის ან მამის გამორჩეულ შვილს ჰქვია: **ბაბა-შ-ი-ა** „მამის, მამისა“ (პალ, IV, 2007: 337), **დედის კეთილი** (1550 წ.) (პალ, II, 1993: 507); **მამა-ლე-ი** < ***მამა-ლა-ი, მამ-ულ-ი-ა** (1621წ.) (ქსძ, III, 1970: 422, 424), **სი-მამ-ულ-ი, მამ-ილ-ობა, მამ-ის-შურ-ი** „მამის სული“ (პალ, IV, 2007: 271), **მამა-გულ-ი** < **მამა-ს გულ-ი, მამისახარა** (1616-1621 წწ.) (იქვე, 439) < **მამ-ისა ხარ, მამახუტა** „მამის ჩასახუტებელი“, **მამა-ში** „მამისა“ (პალ, V, 2015: 156). ასეთივე უნდა იყოს **მამაკუკუ**, რომელიც დასტურდება 1616-1621 წწ. (ქსძ, III, 1970: 439), თუმცა მისი მეორე კომპონენტის რაობა და ამოსავალი სემანტიკა ბუნდოვანია.

აქვე დავასახელებთ ისეთ პირსახელებსაც, რომლებიც ნათესაობის აღმნიშვნელია: **ბაბადია** „მამიდა“, პირველად ნახსენებია 1621 წ. სოფ. ხოირში (ქსძ, III, 1970: 424), **ბაბადიში** > // **ბაბადიშა** „მამიდაშვილი“ (ზედმიწ. „მამიდიისა“) დასტურდება 1621 წ. სუბესა და ხიბულაში (ქსძ, III, 1970: 427; პალ, II, 1993: 570).

აღსანიშნავია, რომ აქ განხილული პირსახელების უმრავლესობა ქართული სალიტერატურო ენიდანაა შესული მეგრულ მეტყველებაში. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე **ბაბადია, ბაბადიში, ბაბადიშა** სახელთა პირველი კომპონენტი **ბაბა** „მამა“, რომელიც თურქული ენიდანაა ნასესხები დასავლურ და სამხრულ დიალექტებში, თურქებთან მეტ-ნაკლებად მჭიდრო კონტაქტი კი ამ კილოებზე მეტყველ მოსახლეობას მხოლოდ XV-XVI საუკუნეებიდან ჰქონდათ, რაც დასახელებულ ანთროპონიმთა და მათი ამოსავალი ნათესაობის ტერმინის შედარებით სიახლეზე მიგვითითებს.

1.1.1.7. ფრინველთა სახელებისაგან მომდინარე პირსახელები

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ როგორც მამაკაცის, ისე ქალის ანთროპონიმებად ძალზე ხშირად გამოიყენება ცხოველ-ფრინველთა და სხვა სულიერთა აღმნიშვნელი ონიმები. მათ ქ. გოდერძიშვილი ზოოფორულ ანთროპონიმებს უწოდებს და აღნიშნავს: „ზოოფორულ ანთროპონიმებად მიჩნეულია ცხოველთა და ფრინველთა (ფაუნის) აღმნიშვნელი სახელებისაგან წარმოქმნილი ონიმები: კრავი, წიწილ, ბელურა, ბულბულა, კურდღელა, მგელა // მგელია // მგელიკა // მგელიტა // მგელუკა, ფოცხვერა, ირემა // ირმისა, ძაღლიკა, ლომა // ლომიკა, დათვია,

ჩიტა // ჩიტო, შოშია // შოშიტა, ჩიორა, ბუა, ბულბულა, ყორანა, ვეფხვია, პეპელა, კალმახი, გვრიტა // გვრიტინე, მერცხალა, მწყერა, ჯოღორია, თუნთია...” (გოდერძიშვილი, 2012: 55). მკვლევარ გ. გვანცელაძეს დადგენილი აქვს ამგვარ ანთროპონიმთა წარმოქმნის ისტორია ქართულში: თავიდან ცხოველების მფარველ ტოტემურ სულთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით ჩვეულებრივი ონიმები ყოველგვარი სიტყვათწარმოქმნელი მაწარმოებლების დართვის გარეშე გამოიყენებოდა პირსახელებად, ანუ საზოგადო არსებითი სახელები ითავსებდნენ საკუთარ სახელთა ფუნქციებს, მაგრამ იმის გამო, რომ ამოსავალი ონიმი და ანთროპონიმი ბგერადობის მხრივ სრულად ემთხვეოდა ერთმანეთს, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად დაიწყო ამგვარ სახელებზე ნაირგვარი წარმოქმნელი აფიქსების დართვა. ამ გზით ენამ ომონიმია აიციდინა თავიდან და საგრძნობლად გაიმდიდრა ანთროპონიმთა მარაგიც (ვრცლად იხ.: გვანცელაძე, 2009: 64). ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში დადასტურდა შემთხვევები, როდესაც ანთროპონიმებად გამოიყენება უპირატესად ფრინველის აღმნიშვნელი სახელები, მაგრამ თითქმის არ აღმოჩნდა სხვა სულიერთა სახელებისაგან მომდინარე ზოოფორული სახელები. ქვემოთ განვიხილავთ ამ ჯგუფის ანთროპონიმებს:

1621 წელს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, სოფ. ხიბულაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება **გუგუ**, **გუგულა**, **გუგუტა** პირსახელები (იხ. ქსმ, III, 1970: 414-415), რომლებიც, ვფიქრობთ, ფრინველ გუგულის სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. ამოსავალი მარტივი ხმაბადვითი **გუგუ** ფუძე უნდა იყოს (შდრ. აფხაზური **ა-კუკუ** „გუგული“, რომელიც ასევე ხმაბადვითია და არ შეიცავს სიტყვათმაწარმოებელ აფიქსებს). შესაბამისად, **გუგუ** ვარიანტისაგან მომდინარეობს ზოგადქართული აპელატივი **გუგული**, რომლისგანაც, თავის მხრივ, ნაწარმოებია **გუგულ-ა** და **გუგუ-ტ-ა** ანთროპონიმები. არსებობს ახსნის სხვა შესაძლებლობაც: მეგრ. **გუგუ** // **გუგულა** განიმარტება შემდეგნაირად: „**გუგუ** ვაკეში განმარტოებით მდგარი ბორცვი, სადაც მოდის სამოვრად გამოუსადეგარი ბალახი; ეული, მარტოკაცი; გუგული (დოლაბისა); გუგულე (თუნისა)“; „**გუგული** გუგული; მარტოხელა, ეული (გადატ); დიდი ხვართქლა (მცენ.)“ (ქობაღია, 2010: 219). გვიჭირს იმის გადაჭრით თქმა, ამ ორი ვარაუდიდან რომელი უფრო მართებულია.

პირსახელი კუატა დავადასტურეთ 1621 წელს შედგენილ საბუთში სოფელ ხიბულაში მცხოვრების სახელად (ქსძ, III, 1970: 415). იგი მომდინარეობს იხვის აღმნიშვნელი დასავლურქართული კვატ-ი // კვატ-ა საზოგადო სახელისაგან.

1621 წელს სოფლებში: ნაჟანულში, გუფსა და ჭალაში პირსახელად გვხვდება ფრინველის აღმნიშვნელი მეგრ. მაჭირხოლ-ის „მერცხალი“ ვარიანტები მაჭიხოლ-ი // მაჭიხოლ-ია // მაჭიხოლ-ა (ქსძ, III, 1970: 422; 434). მაჭი[რ]ხოლი შესატყვისია მერცხალი სიტყვისა. როგორც ტ. გუდავა აღნიშნავს, მეგრულში არსებობს მარჭიხოლი // მაჭირხოლი ფორმები. სწორედ მეგრ. მარჭიხოლ- შეესატყვისება სალიტ. ქართულის მერცხალ- ფუძეს, რომელსაც გარკვეული ფონეტიკური ცვლილება განუცდია. მეგრ. მარჭიხოლ-ის მიხედვით, მეცნიერი აღადგენს *მერწიხალ ფორმას: *მერწიხალ- > *მერწხალ- > მერცხალ-. რწიხ მარცვალში ჩავარდნილია ი ხმოვანი, რომელიც შემონახულია მეგრ. მარჭიხოლ-ში. საბოლოოდ, ავტორის ვარაუდით, საქმე გვაქვს ხმაბაძვით ფუძესთან, რომელიც მერცხლის ხმიანობას, მის ჭიკჭიკს ასახავს და მერცხალი < მერწიხალი // მეწირხალი ეტიმოლოგიურად „მოჭიკჭიკეს“ ნიშნავს. მისი ბადალი ხმაბაძვითი ჭირხ- ფუძე კი მეგრულშია შემონახული (გუდავა, 1964: 144-145).

1616-1621 წლებს შორის შედგენილ საბუთში სოფ. დარჩელში დასტურდება ვარიანტები წიწ-ილ-ა // წიწ-ი-ა „წიწილა“ (ქსძ, III, 1970: 456; 465). ამ ხმაბაძვითი სახელის წიწია ვარიანტი ლ ბერის დაკარგვის შედეგად უნდა იყოს მიღებული.

დასტურდება პირსახელები ჭუჭუ-ლ-ია, ჭუჭუ-რ-ია, ჭუჭუ. ამათგან 1616-1621 წწ. სოფ. ჭალაში (ჭლოუ) გვხვდება ჭუჭუ-ლ-ია ვარიანტი (ქსძ, III, 1970: 467), 1621 წლით თარიღდება სოფ. ტყავრუში დადასტურებული პირსახელი ჭუჭურია (პალ, V, 2015: 352), ჭუჭუ კი პირველად იხსენიება იმავე 1621 წელს სოფ. ნაჟანულში (ქსძ, III, 1970: 423); სამივე ანთროპონიმი ხმაბაძვითი სახელებია. სულხან-საბას განმარტებით, „...ჭუჭული არს მართვენი ბატთა, იხვთა, კარაპთა და ყოველთა წყალთა შინა მყოფთა ფრინველთასა...“ (ორბელიანი, II, 1993: 411). ამ ანთროპონიმთაგან ამოსავალია უფრო მარტივი სტრუქტურის ჭუჭუ ფორმა, ხოლო ზოგადქართული ჭუჭულ-ი // ჭუჭურ-ი მისგან უნდა მომდინარეობდეს -ილ // -ირ სუფიქსის დართვისა და სუფიქსის ხმოვნის დაკარგვის გზით: ჭუჭუ > ჭუჭუ-ულ-ი // ჭუჭუ-ურ-ი > ჭუჭუ-ლ-ი // ჭუჭუ-რ-ი.

ოთხფეხთა სახელებისაგან ნაწარმოები პირსახელებიდან ჩვენს მასალაში დასტურდება ლომ-ინ-ა // ლომ-ინ-ია. ამათგან ლომინია გვხვდება 1621 წ. სოფ.

თილითში (ქსძ, III, 1970: 430), ხოლო **ლომინა** - 1616-1621 წწ. სოფ. ცაიშში (ქსძ, III, 1970: 445). **ლომინა** ვლინდება 1492 წლის საერო შინაარსის ძველ საბუთში, როგორც იმ პირის სახელი, ვისგან ნაყიდი მიწაც ვინმე ელიაზარ ელიოზიშვილმა შიომღვიმის მონასტერს შესწირა (პალ, 1993: 573). გ. გვანცელაძე ამ სახელებს **ლომის** აღმნიშვნელი სიტყვისაგან მომდინარედ მიიჩნევს (გვანცელაძე, II, 2009: 81). შდრ. 1636 წლის საერო შინაარსის საბუთში წარმოდგენილი ვარიანტი **ლომ-ინ** (პალ, 1993: 573).

1.1.1.8. მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე პირსახელები

მცენარეთა აღმნიშვნელ სახელთაგან საკვლევ დოკუმენტებში გამოვლინდა ერთადერთი პირსახელი, რომელიც ნაწარმოებია მანთროპონიმებული სუფიქსის დართვით: **ვარდ**-ისაგან მიღებულია პირსახელი **ვარდი-ა**, ანუ საქმე გვაქვს სპარსული წარმოშობის აპელატივის ანთროპონიმიზაციასთან. ანთროპონიმი დასტურდება 1616-1621 წწ. სოფ. დარჩელში (ქსძ, III, 1970: 466), თუმცა არ გამოვრიცხავთ მის წარმომავლობას **ვარდან** პირსახელისაგან.

1.1.1.9. სოციალურ ტერმინებთან დაკავშირებული პირსახელები

ჩვენს საანალიზო ტექსტებში გვხვდება სოციალურ ტერმინებთან დაკავშირებული ანთროპონიმები: **ბერი**, **პაპა**, **პაპია**, **პაპიშია**, **პაპუნა**, **პაპაკუდა**, **მესტუმრია**.

ბერი დასტურდება 1616-1621 წწ. საბუთში სოფელ ცაიშში მცხოვრების სახელად (ქსძ, III, 1970: 446). **ბერ-** ფუძე უკავშირდება სიბერეს. **ბერი** „დიდი ხნის ადამიანი, ბებერი, ბერიკაცი, დედაბერი“. **ბერი** ეწოდება ასევე მონაზონ მამაკაცს, ბერად აღკვეცილ პირს. არნ. ჩიქობავას მიხედვით, **ბერე** ქანურში გამოიყენება „ბავშვის, შვილის“ აღსანიშნავად. მისივე ცნობით, **ბერ-** მეგრულში გამოიყენება მხოლოდ გვარებში: **ბერია**, **ბერაია**, **გიგიბერია...** ხოლო ქართულში - გვარებშიც: **ბერიძე**, **ბეროძე**, **ბერიშვილი...** აღსანიშნავია ისტორიული სახელები: **ჭიაბერი**, **კახაბერი...** (იხ.: ჩიქობავა, 2008: 39-40). **ბერი** ანთროპონიმის ფუნქციით მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ხშირად დასტურდება საერო შინაარსის დოკუმენტებშიც. მაგალითად, ისტორიულ საბუთებში გვარის გარეშე ეს ანთროპონიმი წარმოდგენილია 28 პირის საკუთარ სახელად (პალ, I,

1991: 515-516), ხოლო მათგან ერთ შემთხვევაში, 1660-1678 წლებს შორის დაწერილ საბუთში **ბერ-ი** და მისგან მომდინარე **ბერ-უ-ა** ვარიანტებით ერთდროულად იხსენიება დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზ ათანელის (თანელას) ერთ-ერთი ძმა (პალ, I, 1991: 89 და 515).

პირსახელი **პაპა** იხსენიება 1621 წ. სოფ. ნაგუაზაუში (ქსძ, III, 1970: 413). შეიძლება გვევარაუდა, რომ ეს კაცი ღვთისმსახური იყო: მეგრულში მღვდელს დღესაც ბერძნული ენიდან ნასესხები **პაპა** სიტყვა აღნიშნავს, რომელიც ანთროპონიმადაც იქცეოდა, შდრ. პირსახელები: **ხუცესი**, **ხუცი** (გვანცელაძე, 2010: 59), მაგრამ ტექსტი არ იძლევა ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას, რადგან მხოლოდ გვარით მოხსენიება ამ დოკუმენტებში ძალზე იშვიათია. ვფიქრობთ, სახელი **პაპა** სულაც არ უნდა იყოს ბერძნულიდან მომდინარე და ქართულივე **ბაბუა** სიტყვის სინონიმური **პაპა** აპელატივისაგან მომდინარეობდეს. ამას გვაფიქრებინებს საკვლევ მხარეში 1621 წელს სოფელ ნაგუაზაუში დადასტურებული ოფიციალური პირსახელები: **პაპა** და **პაპაკუდა** (ქსძ, III, 1970: 412-413). შეიძლება გვეფიქრა, რომ **პაპაკუდა**-ში ბერძნული **პაპა** სიტყვაა კომპოზიციის პირველ წევრად, ხოლო მთლიანად კომპოზიტი ნიშნავს „კუდიან მღვდელს“-ო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ანთროპონიმი **პაპაკუდა** გვხვდება საქართველოში ქრისტიანობის საყოველთაოდ გავრცელების პერიოდში და იმ საბუთს, რომელშიც ამ სახელის მტარებელი პირი აღინუსხა, ადგენდნენ ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლები, სასულიერო პირთა შეურაცხმყოფელ ანთროპონიმს ისინი ვერ იგუებდნენ. ამიტომ გვგონია, რომ სახელი **პაპაკუდა** მეტსახელისაგან მომდინარე ზოგადქართული ფორმაა და ნიშნავს „ბაბუის კუდს, ანუ ბოლო შვილიშვილს“. იმავე ქართული **პაპა** „ბაბუა“ სახელისგან უნდა იყოს ნაწარმოები 1621 წ. სოფელ სუბვში და 1616-1621 წწ. სოფელ ცაიშში დადასტურებული **პაპ-იშ-ია** და **პაპ-ია** ანთროპონიმები (ქსძ, III, 1970: 427; 439).

საანალიზო დოკუმენტებში ასევე გვხვდება სოციალურ ურთიერთობათა ამსახველი შემდეგი ანთროპონიმებიც:

1621 წლის ერთ-ერთ საბუთში იხსენიება ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე ადრე არსებულ სოფელ ნაჟანულში მცხოვრები ვინმე **მესტუმრია დავითია** (ქსძ, III, 1970: 421). ერთი შეხედვით ძნელი გასარკვევია, რომელია ამათგან სახელი და რომელი - გვარი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც **მესტუმრე** დღესაც

გვხვდება გვარსახელებში (იხ. სილაგაძე, თოთაძე, 1997: 138). ერთი მხრივ, დიდი ალბათობაა იმისა, რომ **მესტუმრე** დავითის ხელობის სახელი, ან მეტსახელი ყოფილიყო. ეს დავითი შეიძლება ისეთი ადამიანი იყო, ვისაც მესტუმრის ხელობა ჰქონდა რომელიმე დიდებულის სასახლეში, მაგრამ ეს ვარაუდი გამოსარიცხია თუნდაც იმიტომ, რომ დასახელებული პირი საეკლესიო ყმაა და იმავდროულად სხვისი, კერძოდ, საერო პირის საკუთრებაც ვერ იქნებოდა. მეორე მხრივ, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ **დავითია** შეცდომით ჩაწერილი იგივე **დავითაია** გვარია, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევრის სხვა საბუთში მოხსენიებულია საეკლესიო გლეხი ივანე **დავითია** (პალ, 1993: 25), რომელსაც **ივანე** რქმევია, რაკი გვარსახელი **ივანე** არც წარსულში არსებობდა და არც ამჟამად გვაქვს, ხოლო **დავითია** უდავოდ გვარსახელია. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები **მესტუმრია დავითია**-ს გვარად **დავითია** უნდა მივიჩნიოთ. **მესტუმრე**-ს დამოუკიდებელ პირსახელად მიჩნევას მხარს უჭერს იმავე დოკუმენტში დადასტურებული სხვა მაგალითებიც: **მესტუმრია** ქაჯაია და **სტუმრია** სიჭინავა (ქსძ, III, 1970: 414; 421). ექვგარეშეა, რომ აქ **ქაჯაია** და **სიჭინავა** გვარებია, ხოლო **მესტუმრია** და **სტუმრია** - პირსახელები. **მესტუმრია**-ს მიღების გზა შეიძლება ასეთი იყოს: **მესტუმრ-ია** < **მესტუმრე-ა** < **მესტუმრე**. რაც შეეხება **დავით-ია**-ს იგი **დავითის** კნინობითი ფორმაა და იწარმოება მანთროპონიმებული -ა სუფიქსის საშუალებით. **დავით**-ისგან მიღებულია გვარები: **დავითაია**, **დავითაშვილი**, **დავითაძე**. ამავე მოდელისაა სახელი **მიხილია**. ტექსტში გვხვდება **მიხილია** უჩაია 1621 წ. სოფ. ნაჟანულში (ქსძ, III, 1970: 419) და **მიხილია** ვარდანია 1621 წ. სოფ. გუფში (ქსძ, III, 1970: 433). **მიხილია** < **მიხილე-ა** < **მიხილე**. ამ შემთხვევაშიც **მიხილია** უჩაია ერთად უნდა მოვიაზროთ როგორც მიმართვის ფორმა. **მიხილია**-ს პირსახელად მიჩნევას მხარს უჭერს დავთარში დადასტურებული მეორე მაგალითი: **მიხილია** ვარდანია, სადაც ვარდანია რეალურად გვარსახელია.

1.1.1.10. ნაზმნარი პირსახელები

საკვლევი მასალაში საყურადღებოა ზმნის პირიან ფორმათაგან მომდინარე პირსახელები, რომლებიც ნაწარმოებია ზმნურ ფორმაზე მანთროპონიმებული -ა და -ია სუფიქსების დართვის გზით:

პირსახელი **გემჭიშია** „დამწეველი“ დასტურდება სოფ. ნაჟანულში 1621 წ. (ქსმ, III, 1970: 421). შდრ. **გემჭიშე** // **ქიგემჭიშე** „დამაწიე; დამაწევინე შენს თავს“, ანუ „დამელოდე; მოიცადე, რომ დაგეწიო“.

ანთროპონიმი **გირდია** წარმოდგენილია სოფელ ხაუჯელში 1621 წელს. შდრ. **გირდი** „გაიზარდე, ფიზიკურად შეივსე“. ასეთი წარმოების ორი პირსახელი გვერდი-გვერდ გვხვდება ერთსა და იმავე ტექსტში. ორივე **გირდიას** მართებს გარკვეული სახის ბეგარა (ქსმ, III, 1970: 432). მაგალითებიდან ჩანს, რომ ორივე სხვადასხვა პიროვნებაა. შესაძლებელია, ამ გვარის განაყარნი იყვნენ აფხაზი **გინდიები**, რომლებიც ოჩამჩირის რაიონში სახლობენ, სოფელი ხაუჯელი კი სწორედ ამ რაიონის მიწაზე მდებარეობდა, სოფ. ჭალას (ჭლოუს) მახლობლად. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ უნდა ვფიქროთ, რომ მოხდა **რ** და **ნ** ფონემათა მონაცვლეობა, გვარის ქართულ წარმომავლობაზე მისი სემანტიკაც მიუთითებს, აფხაზურ ენაში კი -ია სუფიქსიანი მოდელები არ არსებობს.

მჭიშია „მომსწრებელი“(?). პირსახელი ფიქსირდება XVI ს. II ნახევარში (პალ, II, 2004: 246). შესაძლოა, **მჭიშია** ისეთი პიროვნების მეტსახელი იყო, ვინც ყველაფერს ასწრებდა.

ასევე იწარმოება 1621 წელს სხვადასხვა სოფლებში: ხიბულაში, ნაჟანულში, სუბვსა და თილითში დაფიქსირებული შემდეგი ანთროპონიმები: **მახუტოლ-ა** < შდრ. **მახუტოლი** (ქიმახუტოლ) „ჩამეხუტე“; **მირჩქილი-ა**, შდრ. **მირჩქილი** „მისმინე“ (პალ, IV, 2007: 312); **ინგარი-ა**, შდრ. **ინგარი** „იტირე“; **ქოძირ-ა**, შდრ. **ქოძირი** „ნახე“; **მორდილი-ა**, შდრ. **მორდილი** „მოზრდილი“; **მომარდია** „გამზრდიხარ“; **გოკურცხი-ა**, შდრ. **გოკურცხი** „გაიღვიძე, გამოფხიზლდი“ (ქსმ, III, 1970: 415; 419; 420; 423; 424; 427; 429).

აქვე უნდა დავასახელოთ ნაზმნარი პირსახელები, რომლებსაც ბოლოკიდურა ა ხმოვანი გადმოყოლილი აქვთ ზმნური ფორმიდანვე, ანდა არც ზმნურ ფორმაში და არც ნაზმნარ ვარიანტში არ შეიცავენ ამ ხმოვანს: 1. ა ხმოვნიანები: **მიძირუდა** „მენახე“ (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 421); **მოირდინა** (1621), შდრ. **მოირდ** „გაგიზარდე“, ან „გაგიზრდია“; 2. ამ ხმოვნის არმქონე: **გაირჩქინი** (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 432) „გაგიჩინე“; **დოხვადი**

„დახვდი“ (1616-1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 453), **გაიჩქინდი** „გაგიჩნდი“ (პალ, V, 2015: 191), **ვაგიკონდი** (1616-1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 444) „არ გინდოდი“ და სხვ. **გამიგონი** „გამიგონე“ და მისი -ა სუფიქსით წარმოებული ვარიანტები: **გამიგონ-ა** // **გინაგონ-ა**, რომლებიც აშკარად პირსახელებია, რასაც ადასტურებს მათ მტარებელ პირთა გვარები: **გამიგონა ლომაია** (ქსძ, III, 1970: 415), **გამიგონა ქარცხია** (ქსძ, III, 1970: 414), **გინაგონა ლომაია** (იქვე, 419).

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ამ სახელთა დიდი ნაწილი დასტურდება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

1.1.1.11. კანონიკური პირსახელები

შუა საუკუნეებში შედგენილი დოკუმენტების მიხედვით, საკვლევ მხარეში დასტურდება კანონიკური პირსახელებიც, რომელთა შორისაც წარმოდგენილია როგორც ქართული, ისე უცხოური წარმოშობის ბიბლიურ პერსონაჟთა და წმინდანთა პირსახელები. კანონიკური პირსახელები წარმოდგენილია როგორც პირვანდელი, ისე მათგან წარმოებული მეორეული ვარიანტების სახით, რომელთა გაჩენა განპირობებულია სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების ზემოქმედებით.

ქართული ანთროპონიმის განვითარებაზე თავისებური გავლენა იქონია ქართლის მოქცევამ. ეკლესიებში გაჩნდა მოთხოვნა, რომ ყოველ ქრისტიანს დარქმეოდა ქრისტიანული სახელი, რომელიც სპეციალურ კალენდარში (წმინდანის დაბადების, ან გარდაცვალების დღე) იყო შეტანილი. ამგვარად, წარმოიშვა კალენდარული სახელები (იხ. ლლონტი, 1986: 13). ქართულ ანთროპონიმულ სივრცეში სახელთა სესხება ჩვეულებრივი მოვლენაა. ხშირია ბერძნული, ებრაული, ირანული, ლათინური წარმოშობის კანონიკური სახელები. ზოგიერთი უცხოური საკუთარი სახელი დროთა ვითარებაში ისე შეჰგუებია ქართულს და შეუცვლია თავდაპირველი მოდელი, რომ ჭირს მისი არაქართულად მიჩნევა (ლლონტი, 1967: 19).

საანალიზო მასალის მიხედვით, კანონიკურ სახელთა შორის ძირითადად მამაკაცთა სახელებია წარმოდგენილი.

ბერძნული წარმოშობისაა ქალის სახელი **ელენე** „ჩირადდანი“, რომელიც საანალიზო მასალაში დასტურდება 1657-1660 წწ. და წარმოადგენს დედოფალ ელენეს საკუთარ სახელს: „დედოფალმან პატრონმან **ელენე**“ (ქსძ, III, 1970: 535).

საყურადღებოა სესხების დროს მიმდინარე პროცესები ბერძნულიდან ქართულში. როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ბერძნულში **ბζ**-ით დაბოლოებული პირთა სახელები ქართულში **ე** ხმოვნით ბოლოვდება. ამ მოვლენას მეცნიერი უკავშირებს ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში და ამ გზით პირსახელთა სესხებას. მისი აზრით, პირველ რიგში ეს ეხება ქრისტეს სახელს: **Χριστός**, წოდ. ბრ. **Χριστε**. ბუნებრივია, ქართველები ქრისტეს სახელს გაიცნობდნენ ლოცვა-ვედრების გზით, როდესაც ქრისტესადმი მიმართვაში ბერძნები გამოიყენებდნენ წოდებითის, ანუ ვოკატივის ფორმას **Χριστε** (ქრისტე) (ყაუხჩიშვილი, 1925: 95). ჩვენი აზრით, ასეთივე გზითაა შეთვისებული ჩვენს საანალიზო საბუთებში დადასტურებული -**ე** ბოლოვიდურიანი სახელები: **ექვთიმე (ეფთვიმე), პეტრე, იესე, ფილიპე**.

კალენდარული სახელი **ექვთიმე** „კეთილის მზრახველი“, „გულკეთილი“, „უზაკველი“. საეკლესიო კალენდარში **ექვთიმე** სახელდება, როგორც დიდი მღვდელმონაზონი, მღვდელმოწამე, ქართველი ღირსი, მთაწმინდელი. 1525-1550 წწ. და 1792 წ. შედგენილ დოკუმენტებში იგი გვხვდება **ეფთვიმი** // **ეფთჳმი** ვარიანტებით და წარმოადგენს სამღვდლო პირს: „კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ეფთჳმი“ (ქსძ, II, 1965: 183); „გენათელი მიტროპოლიტი **ეფთვიმი**“ (ქსძ, II, 1965: 528). სახელში **ი** ხმოვნის არსებობა მიგვანიშნებს, რომ იგი ნასესხებია ბიზანტიური პერიოდის ბერძნულიდან, რომელშიც გამოითქმოდა როგორც **ეუფიმოს**, ძველ ბერძნულში კი იყო **ე** ხმოვნიანი **ეუფემოს** ვარიანტი.

პეტრე (ბერძ. „კლდე, ქვა“) კალენდრის მიხედვით საეკლესიო სივრცეში ხშირად გამოიყენება. ვხვდებით შემდეგ პირებს: ათონელი ღირსი; ალექსანდრიელი, პატრ. მღვდელმოწამე; მოციქულთა თავი; მოსკოველი, მიტროპოლიტი; ფინიკიელი მოწამე და სხვ. საანალიზო ტექსტში **პეტრე** გამოიყენება ერთ შემთხვევაში სრული სახით 1855 წ. შედგენილ დოკუმენტში: „**პეტრე** ნიკოს ძე დადიანი“ (ქსძ, VIII, 1985: 801), ხოლო მეორე შემთხვევაში, 1847 წელს კნინობითი -ია სუფიქსის დართვით - **პეტრე-ია**. „...ჩემი თავი **პეტრე**ია ფარულავას ჩააბარა მშობელმა“ (ქსძ, VIII, 1985: 776). ზ. ჭუმბურიძის ცნობით, **პეტრე** ძველთაგანვე ცნობილი სახელია ქართულში (ჭუმბურიძე, 1992: 136).

ბიბლიური **იესე** საანალიზო ტექსტში დასტურდება 1682 წელს ბიჭვინტისადმი შეწირულობის დოკუმენტში: „და მე, **იესეს** მდივანსა დამიწერია და მოწამეცა ვარ“ (ქსძ, III, 1970: 584).

კალენდარული პირსახელი **ფილიპე** (ბერძ. „ცხენების მოყვარული“) გვხვდება ერთხელ სამეგრელოს სამთავროს საბუთებში 1850 წელს, რომელიც იწარმოება მაკნინებელი -ია სუფიქსის დართვით: „...და მწუხარე გახთე ჩემი მებატონის **ფილიპია** თოფურისაგან“ (ქსძ, VIII, 1985: 782). **ფილიპი-ა < ფილიპე-ა < ფილიპე**.

მაგალითების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრადიციულად მიღებულია ბერძნული სახელობითი ბრუნვის -**ძ** დაბოლოებიანი სახელების გადმოცემა ქართულში ბერძნული ენის წოდებითი ბრუნვის -**ე** ბოლოსართით. მათ გვერდით ქართულში წარმოდგენილია -**ი** ბოლოკიდურიანი სახელებიც, რომლებიც ბერძნულში -**იძ** სუფიქსით ბოლოვდება. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, ამ შემთხვევაშიც იგივე ხდებოდა, რაც -**ე** ბოლოკიდურიან სახელებში: პირველ წყებაში შედის მამაკაცთა ის სახელები, რომლებიც ხშირ გამოყენებაში იყო ბერძნებთან ურთიერთობის დროს. ასეთი სახელები იყო **გეორგი** (გიორგი), **გრიგორი** (გრიგოლი), **ანტონი** და მისთანანი. ეს სახელები ბერძნულ ლიტერატურაში ცნობილია მათი სრული სახით: **Γεώργιος, Γρηγόριος, Αντώνιος** და სხვ. მაგრამ მათ პარალელურად ხალხურ ბერძნულში გაჩნდა მათი შემოკლებული ფორმები: **Γεώργις, Γρηγόρις, Αντώνις** რომელთა ვოკატივი იყო: **Γεώργι, Γρηγόρι, Αντώνι** და სხვ. შემდეგში ეს ფორმები ბერძნულ ლიტერატურულ ენაშიც შეიჭრა (ყაუხჩიშვილი, 1925: 97). ქართულმა ენამ სწორედ ეს წოდებითის ფორმები გადმოიღო.

საანალიზო ტექსტებში შეგვხვდა ბერძნულიდან შემოსული -**ი** დაბოლოების მქონე პირსახელები: **ანტონი, გიორგი, გრიგოლი**.

ანტონი (ბერძ. „სანაცვლოდ შეძენა“) ხშირად არის გამოყენებული საეკლესიო კალენდარში წმინდანთა სახელებად. ესენი არიან: ალექსანდრიელი მოწამე; მესხი, ღირსი; რომაელი, მოწამე და სხვ. 1792 წელს შედგენილ დოკუმენტში **ანტონი** დასტურდება სამღვდელო პირის აღსანიშნავად: „...მთავარეფისკოპოსი **ანტონი**“ (ქსძ, II, 1965: 528); ფუძის სახით წარმოდგენილი **ანტონ** ფიქსირდება 1855 წ.: „...ზუბის მაზრის მეორე ხარისხის მდივანბეგი თავადი **ანტონ** ჩიქოანი“ (ქსძ, VIII, 1985: 802).

გიორგი (ბერძ. „მხვნელი, მთესველი“, „მიწათმოქმედი“) მთელ მსოფლიოში გავრცელებული სახელია. ქართულში მის ფართოდ გავრცელებას მოწმობს მისგან ნაწარმოები გვარები: **გიორგამე, გიორგიმე, გორგამე, გოგიმე, გოგია, გოგიავა** და სხვ. საეკლესიო კალენდარშიც არაერთი გიორგია წარმოდგენილი: ანტიოქელი, ეპისკოპოსი; ხახულელი, ღირსი; მაწყვერელი, ქართველი და სხვ. საანალიზო ტექსტებში ყველაზე ხშირად კალენდარულ სახელთა შორის გვხვდება **გიორგი**, რომელიც წარმოდგენილია, როგორც სრული, ისე კნინობითი ვარიანტებით: **გოგია // გოგისა // გოგი // გიგო**.

1611-1657 წწ. შორის შედგენილ დოკუმენტებში პირსახელი **გიორგი** დასტურდება როგორც წმინდანის, ასევე საერო პირის აღმნიშვნელად: „...და სახელოვანთა ძუელთა ჩუენთა პაპ[ა]თა და პაპის-პაპ[ა]თა ყოვლად სანატრელთა: **გიორგი**, ვამეყ, შერგილ და სამადავლე...“ (ქსძ, II, 1965: 209); „თავს მსხულების წმიდა **გიორგი**, მისი შესავლითა და გამოსავლითა“ (იქვე). ბგერათა რედუქციის, ფონეტიკური პროცესისა და კნინობითის - ია სუფიქსის დართვით მიღებული **გოგია** ვარიანტი დასტურდება 1621 წ. სოფ. ხოირში (ქსძ, III, 1970: 423). ასევე მეორეულ ვარიანტებს წარმოადგენს **გოგი-სა**, რომელიც დასტურდება 1854 წ. შედგენილ დოკუმენტში: „განმგედ ქალაქთა ზუგდიდის და სენაკსა მე განვაწესე პირველსა აზნაური **გოგისა** ყიფიანი, ხოლო მეორესა გიგო გობეჩია“ (ქსძ, VIII, 1985: 793). 1847 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით, სოფ. თამაკონში იხსენიება პირსახელი **გოგი** (ქსძ, VIII, 1985: 775). მართალია, **გოგი** და **გოგია** კნინობითის ფორმებია, მაგრამ იურიდიულ საბუთებში მათი ფიქსირება იმაზე მიგვითითებს, რომ მათ ოფიციალურ პირსახელების ფუნქცია იმ დროს უკვე ჰქონდათ.

კალენდარული სახელია **გრიგოლ** (ბერძ. „მღვიმარე“, „ფხიზელი“). მისი კნინობითი ფორმებია: **გიგა, გიგი, გიგო, გიგლა, გიგოლი, გიგოლა**. მისგანაა მიღებული გვარები: **გრიგოლია, გრიგოლაია, გრიგოლაშვილი**. პირსახელი დასტურდება 1792 წ. სრული **გრიგოლ** ვარიანტის სახით: „მე, დადიანმა **გრიგოლ**...“ (ქსძ, II, 1965: 528). **გრიგოლი** ასევე ხშირად გვხვდება წმინდანთა სახელებად - იხსენიება: ბიზანტიელი, მოწამე; ქართველი არქიმანდიტრი; ბიზანტიელი მოწამე და ა.შ. საყურადღებოა, რომ ქართულში სესხების შემდგომ ამ სახელმა ფონეტიკური ცვლილება განიცადა - დისიმილაციის გამო ორი რ ფონემიდან მეორე ლ ბგერად გარდაიქმნა: Γρηγόρι > **გრიგოლ**.

ბერძნული -**α** დაბოლოებიანი სახელების გადმოცემაში ქართული იძლევა წრფელობით ბრუნვას ა ბოლოკიდურით. საანალიზო ტექსტში ბერძნული წარმოშობის - ა ბოლოკიდურიანი ერთადერთი სახელია **ანდრია** (ბერძ. „მამაცი, „ვაჟკაცი“, რომელიც დასტურდება 1616-1639 წწ. შორის შედგენილ საბუთში: „თავის ერთის წმიდის **ანდრია** მოციქულის ხატი მომიჭედინებია...” (ქსმ, III, 1970: 498). ანთროპონიმი აქ წმინდანის სახელია.

ს. ყაუხჩიშვილი განიხილავს ასევე -**ონ** დაბოლოებიან პირსახელებს და ასკვნის, რომ ამ ტიპის სახელებია: **აპოლონ, ზენონ, ილარიონ** და სხვ. სახელთა ერთნაირობას ის განაპირობებს, რომ ბერძნული ძირი (ვოკატივიც) და ნომინატივიც **ონ** მარცვლით არის დაბოლოებული. ჩვენი საანალიზო მასალიდან ამ ჯგუფში შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ **ბესარიონ** (ბერძ. „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“). მისი გაქართულებული კნინობითი ფორმებია: **ბესა, ბესო, ბესიკ, ბესიკო**. საანალიზო მასალების მიხედვით, ანთროპონიმი სრული სახით დასტურდება 1853 წელს შედგენილ დოკუმენტში: „ჩემმან ძმამ დეკანოზმან **ბესარიონ** თოფურიამ...” (ქსმ, VIII, 1985: 787).

ბერძნული წარმოშობისაა კანონიკური სახელი **ნიკოლოზ < ნიკოლას** (ბერძ. „ხალხის მცველი“, ანდა „ხალხის გამარჯვება“). ქართული საბუთის ტექსტში დასტურდება მის პირველად ბერძნულ ფორმასთან ახლომდგომი ვარიანტი **ნიკოლასი**. როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, ქართულში ადრიდანვე დასტურდება და დღესაც ფართოდ გვხვდება ვარიანტები: **ნიკოლოზ // ნიკოლოზ // ნიკოლაოზ, ნიკოლას** (ჭუმბურიძე, 1992: 133-134). ჩვენი აზრით, **ნიკოლოზი ნიკოლას**-ისაგან მიღებულია **ს** ბგერის გამჟღერებით (**ზ < ს**), შდრ. ქართულ ნიადაგზე გამჟღერებული საზოგადო სახელები: **ეპისკოპოსი > ეპისკოპოზი, კათოლიკოსი > კათოლიკოზი...**

ბერძნული წარმოშობის კალენდარული პირსახელი **დიმიტრი** ნიშნავს „დემეტრეს კუთვნილს“. იგი ამ სახელის იმდროინდელი ფორმაა, როდესაც ბიზანტიურ ბერძნულში თავდაპირველ ე ხმოვანს ნასობრივად ჩაენაცვლა ი (იხ. ჭუმბურიძე, 1992: 107). იხსენიება დაბუდიელი მოწამე, მირონმდინარე, დიდმოწამე. საანალიზო დოკუმენტებში გვხვდება როგორც **დიმიტრი** (ქსმ, VIII, 1985: 772), ისე მისი ამოსავალი ვარიანტი **დემეტრე**. 1621 წელს შედგენილ დოკუმენტში **დემეტრეს** და მის შვილებს ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (პალ, II, 1993: 515). კალენდრის მიხედვით ცნობილია მხოლოდ ქართველი, მეფე, თავდადებული.

ჩვენს საკვლევ დოკუმენტებში, როგორც აღვნიშნეთ, დასტურდება ებრაული წარმოშობის კანონიკური პირსახელებიც.

კალენდარული სახელი **ანა** // **ანა** ებრაულია და ნიშნავს „სამოს, „მადლიანს“. იხსენიება ადრიანოპოლელი მოწამე; წინასწარმეტყველი; სამოელ წინასწარმეტყველის დედა და სხვ. დღეს საკმაოდ ხშირად გამოიყენება სახელი **ანა**. ჩვენს მასალაში პირსახელი **ანა** ძირითადად გვხვდება დოკუმენტის დასაწყისში, ღვთისმშობლის მიმართ აღსავლენ თხოვნაში: „ეჰა, ასულო შუენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებითა აღსავსეო, **ანას** მორჩო...“ (ქსძ, II, 1965: 176). როგორც ცნობილია, ქართული ენა ვერ ჰგუობს ერთი ფუძის შიგნით, მეზობლად განლაგებულ ორმაგ **ნ** ფონემას და ტოვებს მხოლოდ ერთ მათგანს. დასახელებულ შემთხვევაში ამ წესის დარღვევასა და ორი **ნ**-ს შენარჩუნებას ხელი შეუწყო ამ სახელის მტარებელი წინასწარმეტყველ ანას განსაკუთრებულობამ.

ებრაული წარმოშობისაა ასევე კალენდარული პირსახელი **ადამი** („თიხა, წითელი მიწა“). **ადამი** ერქვა პირველ ადამიანს, აგრეთვე სინაელ ღირს მოწამეს. იგი იშვიათად, მაგრამ დღესაც გვხვდება პირის სახელად. ჩვენს საანალიზო მასალაში, **ადამი** მხოლოდ ბიბლიურ პერსონაჟს წარმოადგენს, რომელიც დასტურდება ერთი და იმავე ფორმით ღვთისმშობლისადმი მისამართ ლოცვაში: „ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, **ადამის** დიდებო“ (1525-1550 წწ.) (ქსძ, II, 1965: 176).

აბრამი (ებრ. „მამა მრავალთა“). ანთროპონიმი საანალიზო დოკუმენტებში იხსენიება 1525-1550 წწ. შორის შედგენილ „ბიჭვინტის იადგარში“ ამოსავალი **აბრაჰამი** ფორმით და წარმოადგენს ბიბლიურ პერსონაჟს (ქსძ, II, 1965: 176), ხოლო საერო პირის სახელად დასტურდება 1621 წ. **აბრამ** // **აბრაჰამი** ვარიანტების სახით (ქსძ, III, 1970: 420). **აბრამ** მიღებულია **აბრაჰამ**-ისაგან ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზე: **აბრაჰამ** > **აბრაამ** > **აბრამ**. მისგან იწარმოება გვარებიც: **აბრამია**, **აბრამიძე**, **აბრამიშვილი**, **არახამია**.

კალენდარული სახელი **ბაგრატ** ძვ. სპარსულს უნდა უკავშირდებოდეს: **ბაგდატა** „ღვთის ბოძებული“, ღვთის წყალობა“. არსებობს მისი სხვაგვარი განმარტებაც: „ღვთის შექმნილი“, „ღვთის მიერ დაცული“. **ბაგრატ** საეკლესიო კალენდარში გვხვდება **პანკრატ**-ის სახითაც, რომელიც ბერძნულია და ნიშნავს „ყოვლად შემძლებელს“. იხსენიება მხოლოდ ანტიოქელი ეპისკოპოსი, მღვდელმოწამე, მოციქულ პეტრეს მოწაფე. ქართულ ანთროპონიმულ სივრცეში **ბაგრატ** ფართოდ ცნობილი სახელია, ვინაიდან იგი

ქართველ მეფეთა საგვარეულო სახელის საყრდენ ფუძეს წარმოადგენს და რამდენიმე ქართველ მეფესაც ერქვა. იგი მეფის სახელად დასტურდება 1525-1550 წწ. შორის შედგენილ დოკუმენტში: „მეფემან დიდმან **ბაგრატ**“ (ქსმ, II, 1965: 178). 1661 წ. შედგენილ დოკუმენტში დასტურდება **ბაგრატი** დადიანის ძე (ქსმ, II, 1965: 223).

გაბრიელი (ებრ. „სიმტკიცე“, ძალი ღვთისა“). საეკლესიო კალენდარში იხსენიება რამდენიმე პირი: გარეჯელი, ღირსი; იმერეთის ეპისკოპოსი მცირე, ქართველი, მღვდელმთაფლე. პირსახელ **გაბრიელ**-ს ზოგადად მრავალი ნაირსახეობა გააჩნია, თუმცა საანალიზო მასალაში იგი მხოლოდ ამოსავალი **გაბრიელ** ფორმითაა წარმოდგენილი და საერო პირის აღმნიშვნელია. იხსენიებიან ძაძუა **გაბრიელ** 1621 წ. სოფ. ნაჟანულში (პალ, V, 2015: 295) და რატია **გაბრიელ** წაჩხურის ეკლესიაში [1639]-[1680] წწ. (პალ, IV, 2007: 54).

ებრაული წარმოშობის კალენდარული სახელი **დავით** ნიშნავს „სატრფიალოს, საყვარელს“. იხსენიება გარეჯელი, ღირსი; აღმაშენებელი, მეოთხე, მეფე; პალესტინელი, ღირსი და სხვ. ქართველურ ანთროპონიმულ სივრცეში **დავითი** ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახელია. იგი საკვლევ მასალაშიც ხშირად მეორდება, მაგრამ ძირითადად აღნიშნავს ერთსა და იმავე პირს - **დავით** დადიანს. ცნობილია 2 სხვა **დავითიც**: **დავით** ნემსაძე და **დავით** ღანდურაძე.

ქალის სახელი **ევა** წარმოშობით ებრაულია და ნიშნავს: „სიცოცხლეს, სიცოცხლის მომტანს“. საბუთებში იგი მხოლოდ ბიბლიურ პერსონაჟს წარმოადგენს (1252-1550 წწ.) (ქსმ, II, 1965: 176).

კანონიკური სახელი **ზაქარია** მომდინარეობს ებრაულიდან და ნიშნავს „ღვთის ხსოვნას“. იგი ერთ საანალიზო ტექსტში უცვლელი **ზაქარია** ფორმით დასტურდება სოფ. დარჩელში და ჰქვია საერო პირს (პალ, III, 2004: 67).

პოპულარული გამოდგა პირსახელი **იოანე** (ებრ. „ღვთის მადლი“) და მისი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ვარიანტები. **იოანე** ფართოდ არის გავრცელებული საეკლესიო სივრცეში. იხსენიება ზედაზნელი, ქართველი, ღირსი; მოწამე, გლაზაკი, ღირსი... ჩვენს საანალიზო მასალაში იგი გვხვდება რამდენიმე ვარიანტად: **იოვანე** // **ივანე** // **ივანეკა** // **იანე** // **ივანია** // **ივანა** // **ივანაია**.

იოვანე და მისი ვარიანტები დასტურდება სხვადასხვა დროსა და ადგილას და ყველა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენენ საერო პირების სახელებს. კერძოდ, 1621

წელს შედგენილ დოკუმენტში დასტურდება შემდეგი ვარიანტები: **იოვანე // ივანე // იანე // ივან-ა // ივან-ა-ია** (პალ, I, 1991: 111; II, 1993: 538, 571; IV, 2007: 337; V, 2015: 118, 185; ქსძ, III, 479), ხოლო **ივანე-კა // ივან-ია** სხვა ვარიანტების პარალელურად დასტურდება 1616-1621 წწ. შედგენილ დოკუმენტში (პალ, III, 2004: 156, 159; IV, 2007: 367). ვა მარცვლის რედუქციის შედეგად **ივანე-სგან** მომდინარე უნდა იყოს **იანე**. იგივე **ივანე** ფორმა უდევს საფუძვლად **ივანე-კა** (< **ივანე-იკა**), **ივანი-ა** < **ივანე-ა**, ასევე **ივან-ა-ია** ფორმებს, რომლებიც იწარმოება -კა (< - **იკა**), -ა და -ა-ია მაანთროპონიმებელი სუფიქსების დართვით და გამოხატავენ სახელის კნინობით-ალერსობით ფორმებს. მართალია, სახელი ებრაული წარმოშობისაა, მაგრამ, ზ. ჭუმბურიძის აზრით, ქართულში უშუალოდ ბერძნულიდან უნდა იყოს შემოსული, სადაც მისი საწყისი ფორმაა **იოხანან** (**იეჰოხანან**). სხვადასხვა სახეცვლილებით იგი შესულია მსოფლიოს მრავალ ენაში. ქართულში ძველად გვხვდებოდა **იოვანე** და **იოანე**, აქედან მივიღეთ **ივანე**, მისი შემოკლებით კი - **ვანო** (ჭუმბურიძე, 1992: 118-119).

კანონიკური სახელი **ისააკი** (ებრ. „სიცილი“) საკვლევ მასალაში წარმოდგენილია **ისაკ** ფორმით და წარმოადგენს ბიბლიურ პერსონაჟს, რომელიც მოიხსენიება ღვთისმშობლის მიმართ თხოვნაში: „**ისაკის** ვარდო, უბიწოებით აღყუავებულო“ (1525-1550 წწ.) (ქსძ, II, 1965: 176).

გავრცელებულობის თვალსაზრისით იშვიათია პირსახელი **იობი**. იგი მომდინარეობს ებრაულიდან და ნიშნავს „დევნილს“. სამართლის ძეგლებში დასტურდება მამა **იობი**: „ქ. დადიანი გურიის ნათლისმცემლის უდაბნოს მამას **იობს** და მუნ მყოფ ბერებს ამას განგიწესებთ“ (ქსძ, VI, 1977: 731).

ბიბლიური სახელი **მიქაელი** საანალიზო ტექსტში წარმოდგენილია მისგან მომდინარე მეორეული ვარიანტებით: **მიქა // მაქაი // მიხილია**. მისი შემოკლებული ვარიანტი **მიქა** დასტურდება 1621 და 1616-1621 წწ. შორის შედგენილ დოკუმენტებში სოფ. მუხურსა და ჯგალში (პალ, III, 2004: 197; პალ, IV, 2007: 280). ვარიანტი **მიქა-ი**, დასტურდება 1616-1621 წწ. სოფ. ჯგალში (პალ, IV, 2007: 280). **მიქაი** რედუცირებული ვარიანტი ჩანს **მიქაილ-ი** ფორმისა, რომელიც თავის მხრივ, ე - ი მონაცვლეობით, მიღებულია **მიქაელ-ისაგან**: **მიქაელ-ი** > **მიქაილ-ი** > **მიქა-ი**. **მიქაელისაგან** მომდინარედ მიგვაჩნია **მიხილია** ვარიანტიც, რომელიც დასტურდება 1621 წ. სოფ. ნაჟანაეულსა და გუფში (ქსძ, III, 1970: 419; 433). აკად. ზურაბ ჭუმბურიძის მიხედვით, თვით

ბერძნულშივე, საიდანაც მომდინარეობს ეს სახელი, მომხდარა ცვლილება: ქ ბგერა მასობრივად გარდაიქმნა ხ-დ, ე კი - ი ხმოვნად და მივიღეთ სახელი **მიხილ-ია** (ჭუმბურიძე, 1992: 131-132). **მიქაელი** ებრაულიდან ითარგმნება, როგორც „უფლის მსგავსი“.

ებრაული წარმოშობის კალენდარული სახელი **მარიამ** ნიშნავს „ქალბატონს, ბანოვანს“. იხსენიება აზიელი ქალწული მოწამე; მაგდალინელი, მოციქულთა სწორი, მენელსაცხებლე და სხვ. საანალიზო ტექსტში გვხვდება მხოლოდ ღვთისმშობლის სახელად: „დიდისა ემბაზისა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, მარადისა ქალწულო **მარიამ**“ (1660-1662 წწ.) (ქსდ, VI, 1977: 671).

საანალიზო მასალაში **ნოე** (ებრ. „ნუგეში“) წარმოადგენს ბიბლიურ პერსონაჟს (1525-1550) (ქსდ, II, 1965: 176).

კალენდარული სახელი **სიმონ** ებრაული სახელია, რომელიც ნიშნავს: „შესმენილს, გამგონეს“ (ზედმიწ.: „ღმერთმა გაიგონა“). მისი ძველი ბერძნული ფორმაა **სვიმეონ**. საკვლევ მასალაში დასტურდება სწორედ მისი მეორეული ფორმა **სვიმონ**, რომელიც თარიღდება 1550 წ. (პალ, II, 1993: 507).

სოლომონ (ებრ. „მშვიდობიანი, წყნარი“) საბუთებში წარმოდგენილია, როგორც ბიბლიური პერსონაჟი (1525-1550) (ქსდ, II, 1965: 176).

ლათინურიდან მომდინარე პირის სახელებია: **ლეონი** და **მაქსიმე**.

ლეონი (ლათ. „ლომი“) შესულია საეკლესიო კალენდარში. საკვლევ მასალაში გვხვდება პირსახელი **ლეონ**, რომელიც 7-ჯერ დასტურდება ტექსტში და უკავშირდება **ლეონ** დადიანს (იხ. ქსდ, VI, 1977: 677). **ლეონის** ქართულ ფორმად განიხილება **ლევან**-იც (**ლეონ** > **ლევან** ო ხმოვნის დიფთონგიზაციის გზით), რომელიც ასევე სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის მეორე სახელად გამოიყენება (იხ. ქსდ, VI, 1977: 665).

მაქსიმე (ლათ. „უდიდესი“) - მოწამე, ასურელი, ღირსი. პირსახელი დასტურდება 1525-1550 წწ. შორის შედგენილ დოკუმენტში, სადაც წარმოადგენს სამღვდელო პირს: „კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი **მაქსიმე**“ (ქსდ, II, 1965: 183).

ეს სახელები არ განსხვავდებიან სხვა ქართული მხარეების შესაბამისი სახელებისაგან: მათ აქვთ სამწიგნობრო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურ-მორფოლოგიური იერსახე. გარდა ბერძნული და ებრაული კანონიკური პირსახელებისა საკვლევ მასალაში გამოვლინდა ორიოდე არაკანონიკური, მაგრამ იმ

დროს გავრცელებული სპარსული პირსახელიც, რომლებსაც აქვე განვიხილავთ ნასესხობათა სახით:

ნესტან-დარეჯან-ი მომდინარეობს სპარსული გამოთქმისაგან: **ნესთ ანდარე ჯაჰან** „სწორუპოვარი“, უფრო ზუსტად: „არ არის ქვეყნად (მისი ტოლი)“ (ჭუმბურიძე, 1992: 174). ჩვენს მასალაში დასტურდება დედოფლის პირსახელად 1628-1639 წწ.: „ჩუენმან დედოფალმან **ნესტარ-დარეჯან**“ (ქსმ, IV, 1972: 75).

ირანული წარმოშობის სახელი **ქაიხოსრო** „სახელოვანი თავადი დასტურდება 1611-1657 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში (პალ, V, 2015: 118). საეკლესიო კალენდარში იხსენიება ამ სახელის მტარებელი ქართველი მოწამე.

საკვლევი მასალის მიხედვით გამოვლინდა ისეთი სახელებიც, რომლებიც მკვლევართა მიხედვით მიჩნეულია ქართული წარმოშობისად. ერთ-ერთი მათგანია **მამია**, რომელიც დასტურდება 1525-1550 წწ. „ბიჭვინთის იადგარში“ (ქსმ, III, 1970). **მამია** (ქართ.) ცხადია, ისევე როგორც **მამისა**, **მამნე** და **მამუკა**, ნაწარმოებია ქართული **მამა** სიტყვისაგან, თუმცა საეკლესიო კალენდარი ბერძნული ენის საფუძველზე განმარტავს ამ სახელს (**მამა**-ს ფორმით), როგორც „ძუძუმწოვარს“ (ჭუმბურიძე, 1992: 129).

ოქროპირი (ქართ.) კალენდარული სახელი თავდაპირველად იყო ზედწოდება მჭევრმეტყველი ადამიანისა, კარგი მოსაუბრისა, შემდეგ კი დამოუკიდებელ სახელად იქცა (ჭუმბურიძე, 1992: 135). მისი შემოკლებული ფორმებია: **ოქრო**, **ოქრუა**. ტექსტში გვხვდება სრული **ოქროპირი** ფორმით 1616-1621 წწ. შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, სოფ. ცაიშში (პალ, IV, 2007: 382). ვფიქრობთ, ეს სახელი იოანე **ოქროპირის** ეპიტეტის გავლენით უნდა გადაქცეულიყო დამოუკიდებელ ქართულ პირსახელად.

ქართული კალენდარული სახელია ასევე **ნასყიდა**, რომლის ეტიმოლოგია უცნობია. საანალიზო ტექსტში იგი გვხვდება **ნასყიდა-ი** ნაირსახეობით [1628 – 1639 წწ.] (პალ, III, 2004: 310). მისგან მომდინარეობს გვარი **ნასყიდაშვილი** (ჭუმბურიძე, 1992: 133).

კალენდარული სახელი **ქრისტესია** საანალიზო მასალაში გვხვდება ფონეტიკური **ქრისტეშია** და სხვა ვარიანტებით (იხ. ზემოთ): „...ხარაბედია **ქრისტეშია** და მისი ძმისწული ხოსია...“ (ქსმ, III, 1970: 613) ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ **ქრისტესია** ქართული სახელია, რომლისგანაც მომდინარეობს გვარი **ქრისტესაშვილი**. მისი აზრით, ამ სახელის ხალხური ფორმაა **ქიტესა**, შემოკლებით - **ქიტა**, **ქიტო**. **ქიტესა**-ს უდრის

აგრეთვე მეგრული ქიესია < ქრისტესია (ჭუმბურიძე, 1992: 146; იხ. ასევე, გოდერძიშვილი, 2012: 29).

1.1.1.12. გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე პირსახელები

ჩვენს საანალიზო მასალაში ვლინდება ზოგიერთი ისეთი სახელი, რომლის ეტიმოლოგია გაურკვეველია და შემდგომ ჩაღრმავებულ ანალიზს მოითხოვს.

1621 წ. სოფ. ნაჭანულში დასტურდება პირსახელი **ირდაშელა** (ქსმ, III, 1970: 420), რომელიც, შესაძლოა, ნაწარმოებია **-ელ** კნინობითობითობისა და **-ა** მაანთროპონიმებელი სუფიქსების საშუალებით. პირსახელის ამოსავალი სემანტიკა და აგებულება გაურკვეველია.

კვაბალ-ია დასტურდება 1616-1621 წწ. სოფ. დარჩელში (ქსმ, III, 1970: 460) (პალ, IV, 2007: 380). ეტიმოლოგიურად გაურკვეველია. მაგრამ, შესაძლოა, კალმისმიერ შეცდომასთან გვაქვს საქმე და ამ გვარსახელში საგულისხმოა **ქვაბალია**. ამ შემთხვევაში, ამოსავალი იქნება, მეგრ. **ქობალ-ი** < **ხორბალ-ი** „პური, ხორბალი; ჯეჯილი; პურეული“ (ქობალია, 2010: 637). ეთნოლოგ რ. თოფჩიშვილის მიერ, XVI ს. წალენჯიხის ერთ-ერთ წარწერაზე ფიქსირდება გვარი **ქვაბალია**. მკვლევარი ამ გვარსახელს უკავშირებს სამეგრელოში დღესაც ფართოდ გავრცელებულ **ქობალია-ს**. აქვე აღნიშნავს, რომ გადმოცემით გვარი სვანეთიდან არის მიგრირებული. ადრე ყოფილა **ქობალიანი** (თოფჩიშვილი, 1997: 63).

საანალიზო დოკუმენტებში დასტურდება პირსახელი **ნუში** (პალ, IV, 2007: 338). მეგრული **ნუში** იგივეა, რაც „**ნიში** - საკვირველება; ნაძვის ნაკეთობა; ნავი, სახელდობრ, ნაძვის ხეში ამოღებული ნავი (სახელწოდება **ნიში** მიღებულია ნაძვის სახელისაგან **ნუზუ**); ნიში; კედელში ან სვეტში გამოღებული მცირე თახჩა ან პატარა სამლოცველო ნაგებობა მასში დასვენებული ხატით“ (ქობალია, 2010: 524). ამ განმარტების გათვალისწინებით, ძნელია სახელდების მოტივაციის დადგენა. **ნუშ** ფიქსირდება „ქართველურ საკუთარ სახელებშიც“ (დლონტი, 1967: 111). სამეგრელოში ქალის სახელად გვხვდება **ნუგეშა** < **ნუგეში**. ხომ არ არის **ნუში** **ნუგეში**-საგან მარცვლის ამოვარდნით მიღებული ვარიანტი? სხვა მხრივ, შესაძლებელია პირსახელი დაკავშირებული იყოს მცენარის **ნუში** სახელთან. საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს.

1621 წ. სოფ. თილითში დასტურდება გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე პირსახელები შორდა და ქაღარა (ქსმ, III, 1970: 429). ქაღარა-ს შემთხვევაში შეიძლება სახელი დაგვეკავშირებინა მეგრ. ქაღა „ქაცვი“ სიტყვასთან, მაგრამ არ იხსნება -რა მარცვალი, ამიტომ ქაღა სიტყვისგან ქაღარა სახელის მიღება საეჭვოა (სხვა გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე ანთროპონიმები იხ. ქვემოთ).

1.2. პირსახელთა სტრუქტურული მოდელები

საკვლევ დოკუმენტებში გამოვლენილი პირსახელები რამდენიმე ტიპის სტრუქტურულ მოდელად იყოფა იმის მიხედვით, თუ როგორი წარმოებისაა ისინი.

მასალის უმრავლესობას ქმნიან წარმოქმნილი ანთროპონიმები, რომლებიც ნაწარმოებია სხვადასხვა აფიქსთა დართვით. ასევე ვლინდება კომპოზიტური წარმოების მრავალი პირსახელიც, რომლებიც შედგება როგორც ზმნური, ისე სახელური კომპონენტებისაგან. პირსახელთა მცირე ნაწილს კი შეადგენს ოდენ წმინდა ფუძის სახით წარმოდგენილი ანთროპონიმები.

ეს ვითარება სრულად ემთხვევა ანთროპონიმთა სტრუქტურული მოდელების სიხშირის ზოგადქართველურ მონაცემებს: ქართველურ ანთროპონიმურ სისტემაში მარტივფუძიან პირსახელებს ბევრად ჭარბობს წარმოქმნილი და კომპოზიტური სტრუქტურის სახელები.

1.2.1. პირსახელები წმინდა ფუძის სახით

საკვლევ მასალაში წარმოდგენილ ანთროპონიმებში მცირე ნაწილი ფუძის სახით დასტურდება. მათ შორის გვხვდება როგორც უცხოური, ასევე ქართველური წარმოშობის პირსახელები. უცხოური პირსახელები ორიგინალის ენაში, შესაძლოა, სულაც არ იყოს მარტივფუძიანი, მაგრამ ქართულ ენობრივ სინამდვილეში ისინი მარტივ ფუძეებად აღიქმება. უცხოურ სახელთა ჯგუფს განეკუთვნება: **რომანოზ, გიორგი, დემეტრე, ქაიხოსრო, შიო...**

მარტივფუძიან ანთროპონიმად მიგვაჩნია ის ქართული სახელები, რომლებიც პირსახელად ქცეულან აპელატივის მარტივი, ან რთული ფუძის უაფიქსო

ანთროპონიმიზაციის გზით. ასეთი ქართული პირსახელებია: მეგრ. ქაშაბ-ი < ქაშაპ-ი (თევზის სახელი) (ქსძ, III, 1970: 455; 465), ხუხუ, ძვიბ-ი, ფაცულ-ი „ფაცური“ (პალ, V, 2015: 325), ქვაჩ-ი „ქოჩორა“, „მშვიდი ადამიანი“, ზოგადქართ. ბერ-ი, გუგულ-ი.

საბუთებში გამოვლინდა აგრეთვე გაურკვეველი სტრუქტურის მქონე 1621 წლისა და 1616-1621 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტებში დადასტურებული პირსახელები: ამაწყაპა (პალ, III, 2004: 249), ამდუნაბა (ქსძ, III, 1970: 454), ბიძაბი; გააგა (პალ, IV, 2007: 324), გაერმიხ (ქსძ, III, 1970: 464), გამახადი, ელიჯარ (ქსძ, III, 1970: 426), ზანგელარი (ქსძ, III, 1970: 432); თალიბერი (ქსძ, III, 1970: 432); იონალი (ქსძ, III, 1970: 454), ისორთუდი (ქსძ, III, 1970: 450), ისაგიჯუ (ქსძ, III, 1970: 463), კაჭუ (პალ, IV, 2002: 54), ლახუ და აფრასუხუ (ქსძ, III, 1970: 465); ოსავთარი (ქსძ, III, 1970: 471), საბაკუ (ქსძ, III, 1970: 464), სპაჭკუ; ჯამირაბა... ისინი, შესაძლოა, რთულფუძიანიც იყოს. მათი სტრუქტურის საკითხის გასარკვევად საგანგებო კვლევაა ჩასატარებელი.

1621 წ. სოფ. სუბვში დასტურდება გავაშელ კიტია (ქსძ, III, 1970: 426). მოცემულ შემთხვევაში გავაშელი რომ ნამდვილად პირსახელია, ამას ხაზს უსვამს გვარი კიტია, რომელიც არაერთი დასტურდება ამავე სოფელში სხვადასხვა პიროვნებების გვარად. სხვა შემთხვევაში ხსენებული გავაშელ ვინმე ამილდამბარის გვარსახელი უნდა იყოს.

1.2.2. მაანთროპონიმებელი სუფიქსების შემცველი პირსახელები

როგორც ალ. ლლონტი აღნიშნავს, ანთროპონიმი მეორადი ნიშანია, რომელიც პირველადი ნიშნის, აპელატივის საფუძველზე მიიღება. ანთროპონიმთა წყაროს აპელატივი წარმოადგენს. ქართულში ფართოდ გავრცელებული ელემენტები, რომლების აპელატივის ფუძესთან მიერთება გვაძლევს სიტყვის სრულ სემანტიკურ მოდიფიკაციას, არის კნინობით-მოფერებითობის აფიქსების კლასი. სუფიქსი წარმოქმნილი საკუთარი სახელის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ცალკე აღებული სახელი ერთგვარ ცნობას გვაძლევს პიროვნების შესახებ, მიგვანიშნებს მის ეროვნულობასა და სადაურობაზე (კუთხურობაზე), ხაზს უსვამს პიროვნების საზოგადოებრივ თუ სოციალურ მდგომარეობას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ანთროპონიმი გარკვეულწილად ცნებითობის შემცველია. მით უფრო ამავე ფუნქციას ასრულებს აფიქსი, ქართულ სინამდვილეში - სუფიქსი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ

ცალკე აღებული სუფიქსი დაცლილია ცნებითობისაგან. იგი გარკვეულ დატვირთვას იძენს პირველადი სახელის (აპელატივის) ფუძეზე დართვისას. სუფიქსის დართვით სახელი უფრო მეტყველი ხდება, მისი საშუალებით სახელი შეიძლება გამოხატავდეს ალერსობას, დამცირებას, კნინობას. შესაბამისად იქმნება კნინობით-ალერსობითი და კნინობით-დამცირებითი ფორმები (იხ.: ლლონტი, 1986: 25).

შ. აფრიდონიძის აზრით, საქართველოში პიროვნულ სახელთა კნინობით ფორმებს ერთგვარი სოციალური დატვირთვაც ჰქონდა. კნინობითი სახელი ხშირად გამოიყენებოდა დაბალი სოციალური წრისადმი მიკუთვნების ხაზგასასმელად (აფრიდონიძე, 1988: 135). როგორც პ. ცხადაია წერს, სამეგრელოში გვარის ფორმასაც ჰქონია ერთგვარი სოციალური დატვირთვა. მაგალითად, **ემუხვარი** თავადი იყო, ხოლო **ეხვია** - გლეხი, **აფაქიძეები** თავადები იყვნენ, **აფაქელაძეები** - მათი უკანონო შვილების შთამომავლობა (ცხადაია, 2000: 18).

ქართული სამეცნიერო ტრადიციის მიხედვით, კნინობითი და ალერსობითი ფორმები ხშირ შემთხვევაში ერთად მოიაზრება, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის. კნინობითობის აფიქსებად მიჩნეული **-ა**, **-ია**, **-იკო**, **-ილო**, **-უნა**, **-უნია**, **-იკელა...** სუფიქსები ალერსობით ფორმებსაც გამოხატავენ. ქ. გოდერძიშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს კნინობითი და ალერსობითი ფორმები, ვინაიდან ის, რაც კნინია, ამავედროულად ვერ იქნება საალერსოც.

აკ. შანიძე ამ ტიპის სახელებად მიიჩნევს ანთროპონიმებს: **ბეჟანა**, **ლუარსაზა**, **დარეჯანა**, **დათიკო**, **ვასიკო**, **პეტრია**, **პავლია...** აპელატივებს: **მამია**, **კაცუნა**, **დაია**, **დედიკო**, **მამიკო...** მეცნიერი წერს: „კნინობითი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ერთი მხრივ, ალერსის გამოსახატავად - ალერსობითი სახელი - და, მეორე მხრივ, დამცირების მიზნით - დამცირებითი სახელი“ (შანიძე, 1973: 120). ლ. კვაჭაძე კნინობითად მიიჩნევს **ჩიტუნა**, **თაგუნა**, **ბიჭუნა**, აგრეთვე - **დათიკელა**, **ზურიკელა** ტიპის სახელებს (კვაჭაძე, 1993: 107). აღ. ლლონტი აღნიშნავს, რომ **დედილო** არის საალერსო ფორმა, ხოლო **კაცუნა** - დამცირებითი. ეს უდავოდ ზუსტი შეფასებაა, მაგრამ ავტორს ორივე ტიპი გაერთიანებული აქვს საერთო სათაურით - „მოფერებით-კნინობითი სახელების წარმოქმნა“ (ლლონტი, 1988: 138). კნინობით-ალერსობით სახელებად მიჩნეული **იმედა**, **ვაჟა**, **ბეჟანა**.

როგორც ქ. გოდერძიშვილი აღნიშნავს, კნინობითის მოფერებითთან დაწყვილებას ხელი შეუწყო თვით სიტყვა **კნინის** საყოველთაოდ მიღებულმა განმარტებამ: **კნინი** „სულ მცირე, სულ პატარა“. ალბათ რაც პატარაა, მოსაფერებელი და საყვარელია - ამან გამოიწვია კნინობითი ანთროპონიმებისათვის მოფერებითობის ელფერის მინიჭებაც. ამას მოჰყვა ტერმინები: **კნინობით-მოფერებითი, კნინობით-ალერსობითი** (გოდერძიშვილი, 2012: 113). ქ. გოდერძიშვილის აზრით, რამდენადაც ტერმინი **კნინობა** მოიცავს ორ ურთიერთგამომრიცხავ ცნებას, იგი გადასინჯვას საჭიროებს.

სახელის მაწარმოებლად მიჩნეულ ქართულ აფიქსთაგან ჩვენს მასალაში გამოიყენება შემდეგი სუფიქსები: -ა, -აღ, -ელ, -ილ, -ულ, -ოლ, -ია, -უტ, -ურ, -იკ, -ინ, -უნ, -უჩ, -უჭ და სხვ. განვიხილავთ თითოეული მათგანის გამოყენებას.

მაანთროპონიმებელ აფიქსთა შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება -ა სუფიქსი. იგი თითქმის ყველა გრამატიკოსთან მიჩნეულია კნინობით, ან კნინობა-ალერსობის გამომხატველ სუფიქსად, განურჩევლად იმისა, საკუთარ სახელთა რა ფორმას ერთვის (დარეჯან-ა, ბეჟან-ა, პავლ-ი-ა, დათ-უნ-ა, ნან-უკ-ა...). აღ. ლლონტის მიხედვით, -ა სუფიქსი საკუთრივ საალერსო ფორმებს აწარმოებს და ამასთან ერთად მაკნინებელიცაა. კაც ლექსემა -ა-ს დამატებით სემანტიკურად პატარა კაცსაც ნიშნავს და დამცირების იერსახესაც გვიჩვენებს. ასეთივეა: ქალ-ა „პატარა ქალი“, ვაჟ-ა, ბერ-ა, ბაჩ-ა... (ლლონტი, 1986: 26). აკ. შანიძის თქმით კნინობითის -ა გვაქვს ადამიანთა საკუთარ სახელებში: ბეჟან-ა, დავით-ა, სიმონ-ა და სხვ. იგივე -ა გვაქვს ასევე პირსახელებში: პეტრი-ა, პავლი-ა, ვასუ-ა და ა. შ. მოსალოდნელი იყო: პეტრე-ა, პავლე-ა, ვასო-ა (შანიძე, 1973: 120). „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის“ მიხედვით, -ა სუფიქსი დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებს: მერაბ-ი > მერაბ-ა, მინდი (ნაზმნარი სახელი) > მინდი-ა... (ქემმლ, 1988: 15).

საანალიზო მასალაში -ა მაანთროპონიმებელი აფიქსი დაერთვის სახელის მაწარმოებელ თითქმის ყველა სუფიქსს: -იკ-ა, იკ-ელ-ა, -ილ-ა, ელ-ა, -უტ-ა, -უჩ-ა, -უნ-ა და ა. შ. -ა აფიქსი როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა აფიქსებთან ერთად გამოხატავს სახელის კნინობითობასაც და ალერსობითობასაც.

საკვლევი მასალის მიხედვით, -ა და რთული აფიქსები აშკარად მაკნინებელი ელფერის მქონეა საკუთარ სახელებში: თამაზ-ა (პალ, II, 1993: 570) // თაიმაზ-ა 1621 წ. (ქსძ, III, 1970: 418), ვარსიმე-ა, ივან-ა, სამართალ-ა, შდრ. სამართალი... -ა

მაანთროპონიმებელი აფიქსის დართვით იწარმოება სახელზმნური წარმოშობის შემდეგი ანთროპონიმები: განაგონ-ა, შდრ. განაგონ-ი (პალ, II, 1993: 570); გამიგონ-ა, შდრ. მეგრ. გამიგონი „გამიგონე“ (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 424), კოჩ-ილ-ა < კოჩ-ა < კოჩ-ი „კაცი“, გოგ-ილ-ა < გოგი < გიორგი, გორგ-ილ-ა < გიორგი... იგივე სუფიქსი ჩანს სახელში მახ-ილ-ა < მახ-ო < მალხაზ-ი,...

ასევე ხშირია -ა სუფიქსით, ან რთული სუფიქსებით წარმოქმნილი ადამიანის რომელიმე თვისების მქონებლობის აღმნიშვნელი პირსახელები. მაგალითად, თვისებას უსვამენ ხაზს -ა სუფიქსიანი სახელები: უწყინარ-ა (ქსძ, III, 1970: 427), შდრ. უწყინარი; უშუენერ-ა, შდრ. უმშვენერესი; მხიარულ-ა (ქსძ, III, 1970: 425), შდრ. მხიარული; თავაზ-ა, შდრ. თავაზი „თავაზიანობა“, გამიძულ-ა (პალ, V, 2015: 306), შდრ. მეგრ. *გამიძული „სიძულვილი“...; -ილ-ა სუფიქსიანი: სკვამ-ილ-ა < სკვამ-ილ-ი < სკვამ-ი „ლამაზა“ და სხვანი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ჭირს იმის გამოცნობა, კნინობითის შინაარსი აქვს სახელს, თვისებას გადმოსცემს, თუ ორივე სემანტიკას შეიცავს.

-ოლ-ა სუფიქსი აქვს 1616-1621 წწ. სოფ. ცაიშში დადასტურებულ პირსახელ ურცხ-ოლ-ა-ს (ქსძ, III, 1970: 446), შდრ. მეგრულ-იმერული ურცხო „უცხო, სხვა; იშვიათი, განსაკუთრებული“. პირსახელში გამოსაყოფია მაანთროპონიმებელი -ოლ სუფიქსი. შესაბამისად, ფორმის ისტორია ასე წარმოგვიდგენია: უცხო > ურცხო > ურცხო-ოლ-ა > ურცხოლა.

-ულ სუფიქსს შეიცავენ: ფაც-ულ-ი „ფაცურა“, შდრ. ფაც-ია; ხუხ-ულ-ი (პალ, I, 1991: 111), შდრ. ხუხუ; ისორთ-ულ-ი.

-ულ-ა უნდა გამოიყოფოდეს პირსახელებში: ხუტ-ულ-ა „ჩასახუტებელი (ბაღლი)“, გამიძ-ულ-ა, გახიჯ-ულ-ა, მიძირ-ულ-ა.

სხვა სახელებში ხმოვნით დასრულებულ სუფიქსურ ნაწილზე დართული -ა სუფიქსი უფრო მეტი ინტენსივობით გამოხატავს სახელის კნინობით თუ ალერსობით კონოტაციას:

-ულ-ი-ა: ბახ-ულ-ი-ა, შდრ. ბახვა; კაჭ-ულ-ი-ა, შდრ. კაჭა; ხუხ-ულ-ი-ა (1616-1621 წწ. (პალ, V, 2015: 229), შდრ. ხუხუ; ხიხ-ულ-ი-ა, შდრ. ხიხო;

-ალ-ი-ა: მარს-ალ-ი-ა „სარივით აყუდებული“ < მარსა „სარი“; მარცვ-ალ-ი-ა < მარცვ-ალ-ი „მცვეთავი“;

-ილ-ი-ა: ქვარ-ილ-ი-ა < ქვარ-ი „ქოჩორა“, მირჩქ-ილ-ი-ა „მისმინე“ სახელზმნური ანთროპონიმი, მიხ-ილ-ი-ა „მიხილე“.

-ურ-ი-ა: კკ-ურ-ი-ა (პალ, II, 1993: 495); კუკ-ურ-ი-ა, ხუხ-ურ-ი-ა (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 421), ფაც-ურ-ი-ა (1642 წ.) (პალ, IV, 2007: 302); ჯგუბ-ურ-ი-ა (პალ, V, 2015: 498);

-ურ-ი-ა: კაკ-ურ-ი-ა (პალ, II, 1993: 543);

-უტ-ი-ა: გუგ-უტ-ი-ა (პალ, V, 2015: 470), ბუბ-უტ-ი-ა, ნახ-უტ-ი-ა (პალ, IV, 2007: 381), ხუხ-უტ-ი-ა (პალ, III, 2004: 159);

-უჭ-ი-ა: ხუჭ-უჭ-ი-ა, მაჭ-უჭ-ი-ა (პალ, IV, 2007: 338).

კნინობას გამოხატავს ასევე -ოლ-ა: მახუტ-ოლ-ა (პალ, IV, 2007: 338), ურცხ-ოლ-ა, კოჭ-ოლ-ა და -ოლ-ი-ა: ხოხ-ოლ-ი-ა.

-უნ-ა: ბაჟ-უნ-ა ანთროპონიმის სემანტიკა დაბინდულია, თუმცა ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა არა იმდენად სემანტიკა, რამდენადაც ფორმა და ის აფიქსი, რომლითაც იგი იწარმოება. როგორც აღმოჩნდა, -უნ-ა ტიპის მაწარმოებელი სახელს ყოველთვის არ აკნინებს. ამ თვალსაზრისით, ქ. გოდერძიშვილი კნინობით-მოფერებითი ჯგუფიდან განიხილავს ორ აპელატივს: ბიჭუნა და კაცუნა. მისი თქმით, ბიჭუნა ფორმაში არ უნდა დომინირებდეს დაკნინება საგნისა. ამით ხდება მცირე ასაკის მითითება ამა თუ იმ პირისა (პატარა ბიჭი). ეს ფორმა დენოტატისადმი ალერსობით განწყობაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, სიტყვა კაცუნა-ში აშკარად დომინირებს კნინობა. იგი მოიცავს ორ გაგებას: ტანად პატარა კაცი და პიროვნულად პატარა კაცი (გოდერძიშვილი, 2012: 114). ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითი ბიჭუნა-ს რანგში გადის, ანუ ბაჟუნაში მიეთითება ასაკის სიმცირე და იგი მოფერებით ელფერს ქმნის.

-ინ-ა: მოირ-ინ-ა, ფერუხ-ინ-ა (პალ, V, 2015: 115). მათი სემანტიკა გაურკვეველია.

-ურ-იკა: ხუხ-ურ-იკა-ა // -ურ-იკა: ხუხ-ურ-იკა-ა (პალ, IV, 2007: 383);

-ურ-ა: ხუხ-ურ-ა „ჩამრგვალებული, ტანდაბალი“, დოხ-ურ-ა;

-ი-ა სუფიქსს შეიცავს გიგ-ი-ა < გიორგი...

ზმნურ ფუძეზე დართული -ა აფიქსი აწარმოებს შემდეგ ანთროპონიმებს დასკუდ-ა (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 432), შდრ. მეგრ. (ქი)დასკუდ // დასქუდ „დარჩა“ (მას ის); მუმაწყინდ-ა „მომწყინდა“ (1616-1621 წწ.) (ქსმ, III, 1970: 449); მისხუნუდ-ა (1616-1621 წწ.) (ქსმ, III, 1970: 453), შდრ. მეგრ. მისხუნუ „მირჩევნია“; მოირდინ-ა, შდრ. მეგრ. მოირდი

„გაგიზარდე“; ირდუ „იზრდება“ (1616-1621) (ქსძ, III, 1970: 463); ქოდირ-ა, მეგრ. ქოდირი „ნახე“.

აქვე უნდა დასახელდეს თითო ანთროპონიმში წარმოდგენილი -ად-ა და -ელ სუფიქსები: უსკუამ-ად-ა „ლამაზა, ლამაზად“, შდრ. მეგრ. უ-სკვამ-ა // უ-სქვამ-ა „ულამაზესი, უმშვენიერესი“ და ძვ. ქართ. უფრობითი ხარისხის რეკონსტრუირებული *ხ-უ-დიდ-ე „უდიდესი“ ფორმა (სარჯველაძე, 1997: 51), ასპანდ-ელ-ი სახელში, რომელიც დასტურდება 1621 წ. სოფ. ხაუჭელში (პალ, V, 2015: 135).

სემანტიკადაბინდული სახელებია: ბეროზ-ა, ჰრლუნ-ა, ამაწყაპ-ა (1616-21 წწ) (ქსძ, III, 1970: 458), უღვიმ-ა (1616-21 წწ.) (ქსძ, III, 1970: 480), გვან-იბ-ა, სოლომორთ-ა (1616-1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 468) და სხვ., რომლებსაც ასევე აწარმოებს -ა მანთროპონიმებელი აფიქსი.

რადიკალურად იცვლება -ა სუფიქსის ექსპრესიულ-ემოციური ელფერი და მასთან ონიმისაც, როცა იგი დაერთვის ასევე შემოკლებულ, მაგრამ ბოლოკიდურა ო ხმოვნიან სახელებს. არაკანონიკური ოა ხმოვანთკომპლექსი გვამღევს უა კომპლექსს და უარყოფით ემოციურ შეფერილობას სძენს შემოკლებულ სახელს, კერძოდ, გამოკვეთილად დამამცირებელს: ნიკო > ნიკო-ა > ნიკუ-ა, ლადო > ლადო-ა > ლადუ-ა. ზოგჯერ უა კომპლექსი მიღებულია არა ოა კომპლექსისაგან, არამედ -ა ფორმანტის უშუალოდ ფუძისეულ უ ხმოვანზე დართვით (ბათუ > ბათუ-ა). ამ შემთხვევაში მწვავედ არ იგრძნობა -ა-ს დამამცირებელი ფუნქცია. ამის მიზეზად ქ. გოდერძიშვილი ასახელებს შემდეგს: უ ხმოვნის შემცველი სახელები, რომლებიც თავისთავადაც მკვეთრად ლოკალურია, რეგიონულია (ძუკუ, გუდუ ტიპისა), -ა ფორმანტის დართვით დიალექტურ გარემოში არ წარმოგვიდგება დამამცირებელი ელფერით (გოდერძიშვილი, 2012: 117). ვფიქრობთ, სადავოა, რომ ამ ტიპის ყველა სახელებში გამოკვეთილად იგრძნობოდეს უარყოფითი, დამამცირებელი კონოტაცია. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში საქმე დამცავ სახელებთან გვაქვს, რომელთა ფუნქცია იყო „მოეტყუებინა“ ავი სულები, ეს ბავშვი უვარგისიაო და ამ გზით დაეცვა სახელის მტარებელი პირი მოსალოდნელი საფრთხეებისაგან.

-უა დაბოლოებიანი რამდენიმე ანთროპონი გამოვლინდა ჩვენს მასალაში. კერძოდ, ესენია სახელზმნები, რომელთა ფუძისეულ უ ხმოვანს დაერთვის -ა მანთროპონიმებელი აფიქსი: მაჭაჭუ-ა (1616-1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 462) „ამცმელი,

ამნემსავი, ამსხმელი“, შდრ. **ჭაჭუა** „აცმა, ანემსვა, ასხმა“ (ქობალია, 2010: 708), **ფხიჭუ-ა** (1616-1621 წწ.) (ქსმ, III, 1970: 462) „ფხაკურა“, **ქორჭა** სახელი ლექსიკონებში არ არის წარმოდგენილი. იგი უნდა უკავშირდებოდეს **ჩამა** „ჭმევა“ სახელზმნას, რომლისგანაც იწარმოება ზმნური ფორმა **ქორ** // **ქორჭ** „აჭამა“. პირსახელ **ოფუშხუა**-ში (1616-21 წწ.) (ქსმ, III, 1970: 443) შეიძლება **ფუშხუ** < **ფშხუ** ძირი გამოვყოთ, რაც მსუქანის აღმნიშვნელია მეგრულში. **ძღირუ-ა** „თვალწვრილი; ჩია“ (ქობალია, 2010: 693) (ქსმ, III, 1970: 426); რაც შეეხება ოდიშისათვის იშვიათ **ბატკუა**-ს, რომელიც დასტურდება 1616-1621 წწ. (პალ, III, 2004: 156), იგი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს მეგრ. **ბატკ-ი** სიტყვას, რაც ნიშნავს „ზაქს“ (ჯავახიშვილი, 1937: 186) და „ბატკანს“ (ქობალია, 2010: 58). ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს საერო შინაარსის ისტორიულ საბუთებში ქართლში გვარსახელის გარეშე მოხსენიებული 3 პიროვნება, ვისაც ეს სახელი რქმევია: ხელთუბნელი **ბატკუა** (1657-1665 წწ.) და ორი ბერშოეთელი მოღაშქრე **ბატკუა** (ორივე XVII ს. II ნახ.) (პალ, I, 1991: 476-477), აგრეთვე დღემდე გავრცელებული გვარსახელი **ბატკუაშვილი** // < **ბატკოაშვილი** (პალ, I, 1991: 477). უკანასკნელ გვარსახელში დადასტურებული **ო** ხმოვანი უდავოდ მიგვანიშნებს, რომ **ბატკუა** და **ბატკოა** ფორმები მომდინარეობენ სწორედ **ბატკ-ი** სიტყვისაგან, რომელიც საბას მიერ განმარტებულია როგორც „ჩვილი თიკანი“ (ორბელიანი, I, 1991: 97), ხოლო გურულ კილოში შემოდგომაზე ნაშობ შინაურ საქონელს ეწოდება **ბატკი** (ჭყონია, 1910: 6). ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, **ბატკ-ი**, **ბატკან-ი** და მეგრ. **ბატ-ი** // **ბატ-ი-ა** „ზაქი“ ერთი ფუძის ვარიანტებია: ისინი შეიცავენ ნივთის გრამატიკული კლასის **ბა-** პრეფიქსს და მომდინარეობენ ***ბა-ტიკან-ი** არქეტიპისაგან, რაც ცხოველის წლოვანებისა და სქესის განურჩევლად აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყო (ჯავახიშვილი, 1937: 192).

მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე -ია დაბოლოებიან ანთროპონიმთა შემთხვევაშიც: ი ხმოვანზე დასრულებულ ფუძეებს დაერთვის -ა სუფიქსი: **კუკური-ა**, **აკაკი-ა**, **ბადრი-ა**... შემოკლებულ სახელებში -ა სუფიქსი ალერსობით-მოფერებით ელფერს იძლევა, ხოლო სრულ ფუძეებთან - დამამცირებელს. ანთროპონიმებში აპელატივზე დართული -ა არის: 1. წარმოქმნის აფიქსი (იმედ-ა); 2. მაანთროპონიმებელი აფიქსი, ნულოვანი ემოციური ელფერით. როგორც ქ. გოდერძიშვილი წერს, -ა სუფიქსის მაანთროპონიმებელ ფუნქციაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული. ქართული ტოპონიმური მასალის მიხედვით ამ საკითხს პირველად

შეეხო ს. ჯანაშია, რომელიც იმოწმებს არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელი ფუნქციის შესახებ. ფ. მაკალათია იზიარებს ა. პაპიძის ვარაუდს, რომლის მიხედვითაც -ა არის მაკონკრეტებელი ფუნქციის შემცველი აფიქსი. ამრიგად, სუფიქსის სხვადასხვა ემოციურ ელფერს განაპირობებს თვით ონიმის ფორმა - შემოკლებულია თუ სრული. შემოკლებულ სახელებს თავად აქვთ მიდრეკილება - გამოხატონ ემოციური ელფერი, ან შეინარჩუნონ ნეიტრალურობა მაწარმოებლის გარეშე: **თინათინი > თინა, ეკატერინე > ეკა** (გოდერძიშვილი, 2012: 121-122).

-ია სუფიქსით სახელთა წარმოება უფრო მეტად დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ამ მხრივ ძირითადად გამოიყოფა სამი კუთხე: სამეგრელო, იმერეთი და გურია. სამეგრელოში -ია სუფიქსი დაერთვის როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებს. იგი გვხვდება ზოგადქართულ და საკუთრივ მეგრულ, ან ნასესხებ როგორც სახელურ, ასევე ზმნურ სიტყვა-ფორმებში. -ია სუფიქსი აძლიერებს სახელის კნინობით თუ ალერსობით ელფერს. საანალიზო მასალაში გამოვავლინეთ ბევრი -ია სუფიქსიანი სახელი: **გიგ-ია, გოგ-ია, გიორგილ-ია** (1616-21 წწ.) (ქსძ, III, 1970: 453) < ***გიორგი-ილ-ი-ა, ბაკალ-ია** (1621) (პალ, V, 2015: 383), **პარაქს-ია, უჩა-ია, კაკა-ია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 423), **კოჩ-ია, მახ-ია** (პალ, V, 2015: 283), **დომხვად-ია** (1616-21 წწ.) (ქსძ, III, 1970: 449), **მაკეთ-ია** (1616-21 წწ.) (ქსძ, III, 1970: 442), **გურიშ-ია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 420), **ხახ-უტ-ია < *ხახუ-უტ-ია, ხუხუბ-ია, სქვამიშ-ია, თოსკვამ-ია, თოლისკვამ-ია, მარღ-ია, ხვიჩ-ია, ხუჭუჭ-ია, ბახულ-ია, ღაღაბ-ია, მარსა-ია, ხუტკუბ-ია** (1616-21 წწ.) (ქსძ, III, 1970: 446), **ხახუშ-ია** (1616-21 წწ.) (ქსძ, III, 1970: 458), **ბუბუტ-ია, ვარდ-ია, ახუტ-ია, მახუტ-ია** (1616-21 წწ.) (ქსძ, III, 1970: 442) და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა პირსახელთა და გვარსახელთა მაწარმოებელ -ია დაბოლოებასთან დაკავშირებით. -ია რომელიც მეგრულში გვარსახელებს აწარმოებს, სხვა წარმომავლობისა უნდა იყოს. ს. ჯანაშიას მიხედვით, გვარში მარკირებული -ია მოდის -იან სუფიქსისაგან, რაც, თავის მხრივ, კრებითობის, ადამიანთა ერთობის მიმანიშნებელია და ყველაზე კარგად დაცულია სვანეთში. იგი ერთმანეთს ადარებს მეგრულ-სვანურ გვარებს: **კუცია - კუციანი, ჩხეტია - ჩხეტიანი** და სხვ. (ჯანაშია, 1959: 35, 40-41; ჯანაშია, 1937).

აკ. შანიძე მიიჩნევს, რომ ქართულში კნინობით სახელებს ძირითადად -ა სუფიქსი აწარმოებს. მაგრამ „თუ ფუძე მთვარდება ა-თი, მაშინ მაწარმოებელია -ია: **და-ია**“

(შანიძე, 1973: 120). ფუძისეული ა აქ შენახულია ფუძისავე სიმოკლის გამო, ჩვეულებრივ კი იკვეცება: **ძამა > ძამა-ია > ძამია, კაცი > კაცა > კაცა-ია > კაცია...** კნინობითობის -ა მიღებულია -აკ სუფიქსისაგან (შანიძე, 1973: 121). აკ. შანიძე არ ეხება -ია სუფიქსის ი კომპონენტის ფუნქციას. შდრ. გოგია ტიპის სახელებში კნინობით-საალერსო მნიშვნელობას გამოხატავს -ა (ი ფუძისეულია: **გოგი, გოგი-მ...**) (ქემმელ, 1988: 213).

ვ. თოფურიას აზრით, -ია რთული სუფიქსის პირველი კომპონენტი ი ნაშთია -ინ, -იტ სუფიქსებისა. შდრ.: **პაპია - პაპინა - პაპიტა** (თოფურია, 1979: 102). ქ. ლომთათიძე ასაბუთებს, რომ -ია ზოგჯერ მომდინარეობს -ინ-ა (იშვიათად, -ილ-ა)-საგან: **ბიძა > ბიძა-ინ-ა > ბიძ-ინ-ა > ბიძ-ია, მამა > მამა-ინ-ა > მამ-ინ-ა > მამ-ია...** და ასკვნის: „სუფიქსი -ია, როგორც ეს ვ. თოფურიას ჰქონდა აღიშნული, მარტივი სუფიქსი არ არის და სათანადო ფუძეებში ჩავარდნილია თანხმოვანი (კერძოდ **ნ** სონანტი) ხმოვანთა შორის“ (ლომთათიძე, 1987: 69-70). მნიშვნელოვანია ამ ნაშრომის ძირითადი დებულებაც: -ინ-ა (**//ილ-ა**) და მისი გამარტივებით მიღებული -ია თავდაპირველად გამოხატავდა მსგავსება-კუთვნილებას (შდრ. „ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ დამოწმებული ფრაზა: „თუ მამას დაემგვანება ხომე შვილი, მამაილას ეტყვიან, თუ დედასა - დედაილასა“), ხოლო კნინობითობა-მოფერებითობის გადმოცემის ფუნქცია გვიან აქვს შეძენილი (ლომთათიძე, 1987: 71-73).

შ. აფრიდონიძის აზრით, -ია, -უა ზანურ გარემოში გვარების მაწარმოებელია, არაზანურ გარემოში კი (მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში) ადამიანთა სახელების კნინობითი ფორმების საწარმოებლად გამოიყენება. „იდენტური სუფიქსების განმასხვავებელი ფუნქციები და არეალი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი გამოვლენაა სახელისა და გვარის გამიჯვნის ტენდენციისა“ (აფრიდონიძე, 1987: 252).

პ. ცხადაიას მიხედვით, მეგრულში -ია ომონიმური (და არა პოლისემიური) მორფემაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვაწარმოებაში გამოიყენება ორი -ია, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან ბგერობრივად, მაგრამ წარმომავლობითა და ფუნქციით სხვადასხვანია არიან: ერთი წარმოქმნის გვარსახელებს, მეორე კი - საკუთარ და საზოგადო სახელთა ემოციურ-შეფასებით ვარიანტებს, ანუ ე.წ. კნინობით სახელებს) (ცხადაია, 2000: 16). ავტორი იმოწმებს ი. ყიფშიძის აზრს, რომელიც მისი თქმით პირველი იყო, ვინც მეგრული საზოგადო და საკუთარი სახელების -ია დაბოლოება რთულ სუფიქსად ჩათვალა და თითოეულ კომპონენტს თავისი ფუნქცია გამოუნახა. ი.

ყიფშიდის აზრით, -ა კნინობითი და მოფერებითი სახელების მაწარმოებელია, ხოლო -ი სახელობითი ბრუნვისა, რომელიც შემოინახა ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებში სწორედ -ა სუფიქსის წინ: ბაბა-ი-ა, ნანა-ი-ა, ორტვინ-ი-ა, თამურ-ი-ა და სხვ.

ქ. გოდერძიშვილს მოჰყავს შ. ძიძიგურისა და პ. ცხადაიას დაკვირვებანი -ია ფორმანტზე. მათი აზრით, ე ბოლოხმოვნიან სახელზე დართული -ა სუფიქსი იძლევა ეა ხმოვანთკომპლექსს, რაც იწვევს დისიმილაციასა და ე ხმოვნის უფრო დავიწროებას. მაგ.: პავლე > პავლე-ა > პავლი-ა; პეტრე > პეტრე-ა > პეტრი-ა. თავის მხრივ ავტორი დასძენს, რომ -ია ამ შემთხვევაში გრაფიკულად ემთხვევა -ია აფიქსს, შეიძლება ითქვას, აღიქმება ერთ აფიქსად. ასეთივე მიზეზით ხსნის შ. ძიძიგური დათია ფორმის მიღებას: ა + ი > ი + ი(ა) (დათ-ა-ია > დათ-ი-ია > დათ-ია); ო + ი > ი + ი > ი(ა) (დათ-ო-ია > დათ-ი-ია > დათ-ია) (იხ. გოდერძიშვილი, 2012: 80). ქ. გოდერძიშვილის აზრით, -ია სუფიქსი -ო და -ა აფიქსებით გაფორმებულ სახელებს კი არ ერთვის, არამედ უშუალოდ სახელის შემოკლებულ, თუნდაც სრულ (თამარ-ია) ფუძეს, რომელსაც ერთ შემთხვევაში შეიძლება დაერთოს იგივე -ო ან -ა აფიქსები, სხვა შემთხვევებში -უნა, -იკო, -ია. მაგალითად: დავით-ი // დათ-ო // დათ-უნა // დათ-ია. ასე რომ, -ია სუფიქსი ყოველთვის არ არის ფონეტიკური გზით მიღებული. მაგრამ სუფიქსის (და, აქედან გამომდინარე ონიმის ფორმის) რეგიონალურობის მეტ-ნაკლები გამოვლენის თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა, რომელიმე დათია მიღებულია დათო-ია > დათი-ია-საგან, თუ პირდაპირ -ია ერთვის დათ ფუძეს (დათ-ია), ან მამია მიღებულია მამ-ინ-ა-საგან, თუ -ია პირდაპირ ერთვის ფუძეს. ამჯერად მნიშვნელოვანია შედეგი: ბოლოთანხმოვნიან ფუძეს (თუ ფუძის თანხმოვნით ნაწილს) ერთვის -ია (დათ-ია, პავლ-ია). დათ-ია-ს ტიპის სახელებში -ია პირველადი სუფიქსია, პავლე-ა > პავლ-ი-ა-ს ტიპის სახელებში კი -ი-ა დაბოლოებაა, რომელიც სუფიქსადაა აღქმული. -ია სუფიქსით წარმოქმნილი სახელები იმერეთ-გურია-აჭარა-სამეგრელოსათვის ერთნაირად ნიშანდობლივია. მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, -ია განსხვავებული სტატუსით წარმოგვიდგება სამეგრელოს რეგიონში. აქ -ია გამოკვეთილად კოლორიტული და ლოკალურად ნიშანდობლივი აფიქსია (გოდერძიშვილი, 2012: 82).

სამეგრელო-სამურზაყანოში -ია ხშირად არც არის სიტყვათმაწარმოებელი და მაანთროპონიმებელი ფორმანტი. იგი უკვე დასრულებულ სიტყვას თუ ანთროპონიმს ერთვის და ამათგან მხოლოდ ახალ ფორმას აწარმოებს: ბურდლუ-ია, ძუკუ-ია, კოჭო-

ია... ამ კონკრეტულ ვითარებაში -ია სუფიქსი არ ცდილობს, მოერგოს სახელს (ე. ი. ჯერ დაიმსგავსოს ფუძის ბოლო ხმოვანი და შემდეგ მოკვეცოს). იგი ანთროპონიმებში არც ეა კომპლექსიდანაა მიღებული (შდრ.: **პავლე-ა > პავლი-ა**). იმ შემთხვევაში, როცა -ია არ იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს, არც თავადაა მიღებული ფონეტიკური პროცესის შედეგად, იგი არ იკარგება, არ იჩრდილება სიტყვის გარემოცვაში, პირიქით, აქცენტი სწორედ მასზეა გადატანილი, რითაც განსაკუთრებით იკვეთება ამ მაწარმოებლის განსაკუთრებული კუთხურობა. საუბარია **პეტრეია, კოსტაია** და არა **პეტრია, კოსტია** ფორმებზე. ამრიგად, -ია სუფიქსი სამეგრელოს კოლორიტულობას სძენს და უნარჩუნებს ხმოვანფუძიან სახელებზე დართვის ტრადიციას, რასაც ადასტურებს გვარები და აპელატივები: **ცხადა-ია, ქაჯა-ია, თოლორა-ია, ლომა-ია...**, **ბაბა-ია, დედა-ია, ნენე-ია, და-ია...** (გოდერძიშვილი, 2012: 82).

ქ. გოდერძიშვილის თქმით, -ია სუფიქსის ასეთივე ავტონომიურობა იგრძნობა გვარის ბოლო თანხმოვანზე დართვისას. იგი მიიჩნევს, რომ რამდენადაც -ია სუფიქსი გამოირჩევა ამ მხარისადმი კუთვნილების სტატუსით, იგი ანალოგიურად აღიქმება გარკვეულ თანხმოვანფუძიან კომპონენტებთანაც: **შავდ-ია, ადამ-ია, ლომ-ია, ჯიქ-ია** (გოდერძიშვილი, 2012: 83). რომელიმე **პეტრია, პავლია** შეიძლება სამეგრელოშიც დომინირებდეს, მაგრამ ხმოვანზე დართული -ია, ანუ **პეტრეია, პავლეია** ტიპის ფორმები წმინდა მეგრული სტრუქტურის ონიმებია (იქვე). ასეთად აღქმას აძლიერებს შუა საუკუნეებში შედგენილი სამეგრელოს დოკუმენტები. აქ დაფიქსირებულია: **მიხილია, ცოტნია, ნატრია, სოხერდია, თოსკუამია, მახუტია, ხუტკუბია, ორქოშია, თუთაშხია, ქუაქუალია, კაჭუჭია** (ქსმ, II, 1970), თუმცა აქვე დასტურდება მეგრულისთვის თითქოსდა არადამახასიათებელი თანხმოვანზე -ა აფიქსდართული ანთროპონიმები: **ნასყიდა, მახარა, ივანა, გიორგა, ლომინა** და ა.შ., მაგრამ ეს ანთროპონიმები სამწიგნობრო ენიდან, ან სხვა კილოებიდანაა შესული ამ მხარეში (გოდერძიშვილი, 2012: 83). ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება გასაზიარებელია.

გამოვლენილია ყველა ის მარტივი სუფიქსი, რომელიც კი ქართულში კნინობითი სახელების სემანტიკურ ჯგუფს წარმოქმნის: -ა, -აკ, -იკ, -უკ, -ან, -ინ, -უნ, -ატ, -იტ, -ოტ, -ალ, -ელ, -ილ, -ულ, -უჭ, -უჩ და სხვ., მაგრამ მათი საშუალებით წარმოქმნილი ენობრივი მასალა ერთგვაროვანი მაინც არ არის. თვით კნინობითობის შინაარსი იძლევა

საფუძველს - მცირე მოცულობის საგნებს მოფერება-ალერსის ელფერი მივცეთ, ზოგჯერ კი - დამცირებითისა (ცხადაია, 2000: 17).

ამრიგად, ქართულ სინამდვილეში ძნელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ კნინობით-მოფერებითი და კნინობით-დამცირებითი სახელები, ვინაიდან ისინი ფორმით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ ემოციურ ელფერს (შინაარსს) განსაზღვრავს სიტუაცია, კონტექსტი, მაგალითად, ასაკობრივი თუ სოციალური იერარქია, ან კიდევ კნინობითი სახელის მომხმარებლის პოზიცია: ახლობელი და კეთილმოსურნეა იგი, თუ გარეშე და არაკეთილმოსურნე. ამასთანავე, მნიშვნელობა აქვს სიტუაციის ოფიციალურობასაც. და ბოლოს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოყენების ფართო ასპარეზი ეძლევა კნინობით ანთროპონიმებს. ეს ტენდენცია, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო ასი-ასორმოცდაათი წლის მანძილზე. გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს, ყველა **ნიკო** სახელით იცნობდა, ასე იხსენიებს მას ყველა დღესაც. იგივე ითქმის სხვა გამოჩენილ ადამიანებზეც: **ნიკო** ფიროსმანი, **ნიკო** ლორთქიფანიძე, **ვანო** სარაჯიშვილი და სხვ. დღეს უფრო აქტიური და მოდურიც გახდა ამ ტიპის სახელების გამოყენება. კნინობითმა აფიქსებმა თითქოს დაკარგეს კნინობის გაგება ონიმებში: **ანიკო**, **მარიკა**, **ვერიკო**, **სოფიკო**, **რუსიკო**, **დათიკო**, **აჩიკო**, **თიკო**, **სოფო**... და მათ სახელის ოფიციალური ფორმაც მიიღეს.

1.2.3. კომპოზიტური წარმოების პირსახელები

რთულფუძიანი ონიმის (კომპოზიტების) ერთ სტრუქტურულ მოდელში მოქცევისას ნებისმიერი ორი, ან სამი ფუძე კი არ ერთდება, არამედ გარკვეული შინაარსის ფუძეები ეთანხმება ერთმანეთს (გოდერძიშვილი, 2012: 53). ამის ნათელ მაგალითს იძლევა ჩვენი საკვლევი დოკუმენტებიც. **ოდიშ-აფხაზეთის ქართული კომპოზიტები იყოფა 3 მთავარ სტრუქტურულ მოდელად: უაფიქსო, კომბინირებულ და ფრაზეოლოგიურ კომპოზიტებად.** უაფიქსო კომპოზიტები მიღებულია აპელატივების ფუძეთა მარტივი სემანტიკური და ფორმობრივი გაერთიანების გზით: **შური**თოლი < **შური** „სული“ + **თოლი** „თვალი“, **თოლი**ოქრო < **თოლი** + **ოქრო**... კომბინირებული პირსახელების საწარმოებლად ერთდროულად გამოყენებულია როგორც აპელატივთა

მარტივი გაერთიანება, ისე ასე მიღებულ რთულ ფუძეზე რომელიმე სუფიქსის დართვის ხერხი: **მამაგულა** < **მამა** + **გულ-**ი < -ა, **მამისბედა** < **მამის ბედ-**ი + -ა...; ფრაზეოლოგიური კომპოზიტები მომდინარეობენ ორი, ან მეტი სიტყვის შერწყმის გზით: **ვამიჩქიდ** < **ვა მიჩქიდ** „არ ვიცოდი“, **სორდი** < **სო რდი?** „სად იყავი?“... ქვემოთ დაუყოფლად განვიხილავთ სამივე ჯგუფის კომპოზიტებს, ვინაიდან ხშირად ერთი მოდელის კომპოზიტის შემადგენელი აპელატივები მეორდება სხვა მოდელებშიც და უპრიანია მათი ერთად განხილვა.

კომპოზიტურ ანთროპონიმებში შემადგენელ კომპონენტებად გვხვდება როგორც სახელი და სახელი, ან სახელი და ნაწილაკი, ასევე სახელი და ზმნა, ანდა ზმნა და სახელი.

კომპოზიტური წარმოებისაა 1621 წ. სოფ. ხიბულაში მცხოვრების პირსახელი **სეფეყმა** (ქსმ, III, 1970: 417), რომელიც მიღებულია **სეფე** + **ყმა** სიტყვათა შეერთებით. საბას განმარტებით, **სეფე** არის „დიდებულისთვის, დიდებული“, ხოლო **ყმა** - „ჭაბუკი, მოყმე; ყრმა“ (ორბლიანი, II, 1993: 83, 268). მეგრულშიც **სეფე** ნიშნავს „სამეფოს, სადიდებულოს, განსაკუთრებულს“ (ქობალია, 2010: 591). ცხადია, რომ პირსახელი სოციალური ტერმინოლოგიიდან მოდის.

1621 წ. სოფლებში: ხიბულასა და ნაჭანულში დასტურდება პირსახელები: **თოლიოქრო** // **თოლიორქო** (ქსმ, III, 1970: 418 - 419), ზედმიწევნით: „თვალი ოქრო“, „ოქროს თვალება“. **ოქრო**, როგორც მეტსახელი, დღესაც გვხვდება სამეგრელოში. იგი ასევე ხშირად ისმის ბავშვისადმი ალერსიანი მიმართვის დროს: მიშ რექ, **ოქრო?** „ვისი ხარ, ოქრო?“; მუ რჯოხო, **ოქრო?** „რა გქვია, ოქრო?“ და ა. შ.

თოლიოქრო-ს ტიპისაა 1621 წ. დავთარში დადასტურებული ანთროპონიმები: **შურითოლი** და **ბაბაშური**. **შურითოლი** < **შურიშ თოლი** „სულის თვალი“; **ბაბაშური** < **ბაბაშ შური** „მამის სული“.

დოკუმენტებში დადასტურებული ზოგიერთი ანთროპონიმი ხაზს უსვამს სხეულის რომელიმე ნაწილის სილამაზეს. ასეთია, მაგალითად, 1621 წლით დათარიღებული პირსახელი **თოლისკუამი** „თვალი ლამაზი; ლამაზთვალება“ (ქსმ, III, 1970: 429). იმავე დოკუმენტში გვხვდება მისი პარალელური ვარიანტები, რომლებიც სიტყვაში მარცვლის დაკარგვითაა მიღებული: **თოლისკუამი** „თვალლამაზი“ >

თოსკუამია // თოლისკუა (ქსძ, III, 1970: 423, 429). თხზული სახელი თოსკუამია ნაწარმოებია -ა სუფიქსითაც: თოსკუამი-ა // თოლისკუ-ა ალერსობითი ფორმები ჩანს.

ალ. ღლონტი თხზულ ანთროპონიმებს ქრონოლოგიურად გვიანდელი ევოლუციის პროდუქტად მიიჩნევს. იგი ერთმანეთს ადარებს თოლისქვამ-ისა და უჩაკოჩ-ის ტიპის ანთროპონიმებს. პირველი ადრინდელი ჩანს, ხოლო მეორე - გვიანდელი. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, თხზულ ანთროპონიმებში მოჩანს სიტყვის შემოქმედი ადამიანი, რომელიც თავისი გემოვნების მიხედვით თხზავს საკუთარ სახელებს (ღლონტი, 1986: 18). ასეთი მაგალითები საანალიზო მასალაშიც ვლინდება. მათი სემანტიკა გამჭვირვალეა. ასეთებია: მამისთვალ-ა // მამისთვალი, მამასულ-ა // მამისსული, მამაგულ-ა // მამისგული, მამისბედ-ა // მამიზბედ-ა // მამისბედი.

კოჩ-ი „კაცი“ კომპონენტიანი რთული ანთროპონიმები განსხვავებული სემანტიკის მტარებლები არიან. ერთი მხრივ, გამოხატავენ ვაჟკაცობას, კარგ კაცობას, ხოლო მეორე მხრივ - კნინობას. 1621 წ. სოფ. ხოირსა და სუბვში დადასტურებულია პირსახელები: ვაჟიკოჩა „ვაჟკაცი“ < ვაჟიკოჩი „ვაჟკაცი“ (პალ, V, 2015: 510) და ჯგერგეკოჩი // ჯგეკოჩი // ჯგეკოჩაი (ქსძ, III, 1970: 416, 426, 428). როგორც მ. ბუკია აღნიშნავს, ჯგერგე მეგრულში წმინდა გიორგის სახელია. მისი ვარაუდით, კომპოზიტიური პირსახელი „წმინდა გიორგის კაცს“ აღნიშნავს (ბუკია, 2013: 115). აქედან გამომდინარე, სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად გვექონდა მსაზღვრელ-საზღვრული - ჯგერგეშ კოჩი „ჯგერგეს კაცი“, მოგვიანებით კი, კუთვნილების გამომხატველი -შ სუფიქსის დაკარგვითა და მსაზღვრელ-საზღვრული წევრების შერწყმით, მივიღეთ კომპოზიტი - ჯგერგეკოჩი. ჯგერგეკოჩის პარალელურად წარმოდგენილი ჯგეკოჩი // ჯგეკოჩაი შესაძლებელია მის შემოკლებულ ფორმებს წარმოადგენდეს, რომლებიც დასტურდება იმავე დოკუმენტის მიხედვით, სოფ. ხიბულასა და ნაჟანულში (ქსძ, III, 1970: 416, 419).

1621 წ. დოკუმენტში, სოფ. ხიბულაში დასტურდება პირსახელი კაკაკოჩი (ქსძ, III, 1970: 417). პირველი კომპონენტი კაკა მეტსახელად ახლაც გვხვდება სამეგრელო-აფხაზეთში. რაც შეეხება კაკაკოჩ-ის სემანტიკას: 1. კაკაკოჩი შეიძლება აღნიშნავდეს კაცს, რომლის მეტსახელი არის კაკა; 2. კაკაკოჩი შეიძლება იყოს იგივე აკაკოჩი „ერთი კაცი, ვინმე კაცი“. მეგრულში აკა ერთის მნიშვნელობით გამოიყენება.

კომპოზიტი წარმოებისა ასევე ზოგადქართული **კახ-ა-ბერ-ი**, რომელიც მიღებულია **კახ-ა** და **ბერ-ი** სიტყვების შერწყმით. პირსახელი დასტურდება 1621 წ. სოფ. ხაუჭელში (პალ, III, 2004: 307).

კოჩი კომპოზიტს ქმნის ნაწილაკთან ერთად. 1621 წ. სოფ. ნაჟანულში დასტურდება პირსახელი **კოჩივარა** (ქსმ, III, 1970: 420). **კოჩივარა** „კაცი მაინც“, ანდა **კოჩივარა < კოჩი ვა რე** „კაცი არ არის“. მეორე შემთხვევაში სახელის მოტივაციას საფუძვლად უნდა ედოს იმისი რწმენა, რომ ავსულს ასეთი სახელის მტარებელი არ მიიზიდავდა და, ამრიგად, ბავშვი მომავალში დაცული იქნებოდა ავი სულისაგან.

კოჩი კომპონენტი გვხვდება გარეგნობის გამომხატველ საკუთარ სახელშიც: **უჩაკოჩი** „შავი კაცი“ (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 429).

1621 წ. და 1616-1621 წწ. შედგენილ დოკუმენტებში გვხვდება ასევე ზმნურკომპონენტიანი რთული ანთროპონიმები, რომლებიც თითქმის მზა ფრაზებია: **თოლიმაფუ** (ქსმ, III, 1970: 421), მეგრ. „თვალი მაქვს“ (იგულისხმება არა **თოლი მიღუ** „თვალი მაქვს“, არამედ თვალზე გარკვეული მოქმედების ჩატარება, მაგ.: თოლი მაფუ ოწკურალ „თვალი მაქვს დასახუჭი“, ან სხვა რამ); **ვამიჩქიდ** (ქსმ, III, 1970: 442) „არ ვიცოდი“; **შიშიგაბუ**, ზედმიწევნით „შიში მოასხა“ (1616-1621 წწ.) (ქსმ, III, 1970: 467); **ვაშკურუდა** „თუ არ ემინია“ (ქსმ, III, 1970: 448); **მუთაგიღუნ** „არც არაფერი გაქვს“; **შურიმიდგი** „სული მოითქვი, სული მოიდგი“ (ქსმ, III, 1970: 426; 457). სავარაუდოდ, ბავშვებს **შურიმიდგი-ს** არქმევდნენ, თუ სუსტები, უსუსურები დაიბადებოდნენ. მეგრულში ხშირად გამოიყენება **შურმიდგ** ზმნური ფორმა, რაც ნიშნავს „მოლოწიერებას, გაძლიერებას“; **ერჩქინდია** „გაჩნდი“ (ქსმ, III, 1970: 466); **ვამიწეუ** „ვერ მოიწია“ (მოსავალი) (1616-1621 წწ.) (ქსმ, III, 1970: 448).

საანალიზო ტექსტებში ასევე დასტურდება შემდეგი ზმნური კომპონენტების შემცველი საკუთარი სახელები: **მამიყორდი** (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 433) „მე მიყვარდი“; **ვაშოგელი** „არ მოგელი“ (1616-1621 წწ.) (ქსმ, III, 1970: 458). შესაძლებელია, თავდაპირველად ნაგვიანევად გაჩენილ პატარებს არქმევდნენ ამ სახელს. დღევანდელი მონაცემების მიხედვითაც, ამ ტიპის სახელები არაერთი ფიქსირდება სამეგრელოსა და სხვა მხარეებში. ხშირია ისეთი სახელების გამოყენება, როგორიცაა: **მოგელი**, **ველოდი**, **არველოდი**, **მეგონა**, **მახარე** და სხვ. თუმცა აღვნიშნავთ, რომ ჩამოთვლილი სახელები ამჟამად უფრო ხანდაზმულებშია გავრცელებული. ამავე ტიპისაა: **სორდი** „სად იყავი“,

(პალ, V, 2015: 286), **სოლერდ-ი-ა** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 422, 428) „საით იყავი“, **იშამორთა// იშამართა < თიშამორთი** „მასთან მოდი“, დასტურდება 1621 და 1616-1621 წწ. (ქსძ, III, 1970: 425; 466). ბუნდოვანი სემანტიკისაა შემდეგი პირსახელები, რომლებიც 1621 წ. საბუთში დასტურდება ანთროპონიმებად: **სოხერდ-ი-ა**, **სომიხერდა** და **სომიტერდა** (ქსძ, III, 1970: 416, 419, 420). ეს სახელები, სავარაუდოდ, აღნიშნავენ ნამყოფობას (**სოხერდ-ი-ა**), ანდა გამოხატავენ სვლის პროცესს, რომელიც სრულდება ახლა, ან შესრულდება მომავალში (**სომიხერდა** და **სომიტერდა**).

ამრიგად, გაირკვა, რომ მიუხედავად ქრისტიანული კალენდარული სახელების ფართოდ დამკვიდრებისა, ტრადიციული სახელები, კერძოდ, ქართველურ ნიადაგზე წარმოქმნილი ანთროპონიმები ქრისტიანობის ხანგრძლივი გავრცელების პირობებშიც დავიწყებას მაინც არ მისცემია. აღსანიშნავია, რომ არაკანონიკურ საკუთარ სახელთა უმრავლესობა მეტსახელის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ვინაიდან განხილული მასალა ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებს წარმოადგენს, შესაბამისად მათში დასახელებული ყოველი პირსახელი ოფიციალური ანთროპონიმია.

II თავი

ოდში-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული გვარსახელები ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით

2. 1. გვარსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები

2.1.1. გვარსახელთა ისტორიისათვის

გვარსახელის წარმოშობის შესახებ გამოთქმულია არაერთი მოსაზრება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა მიერ. დასავლეთ ევროპაში გვარსახელი პირველად წარმოიქმნა ჩრდილოეთ იტალიაში XI საუკუნეში და ერთი ასწლეულის მანძილზე გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში. როგორც ირკვევა, გვარსახელის წარმოქმნა განპირობებული იყო გარკვეული აუცილებლობით: ფეოდალებისათვის იგი საჭირო იყო მიწაზე შთამომავლობითი უფლების დოკუმენტური დადასტურებისათვის, ვაჭრებისათვის გვარსახელი ერთგვარ სავაჭრო ნიშანს წარმოადგენდა, მოქალაქეებს კი გვარსახელი სჭირდებოდათ როგორც იურიდიული საბუთი. როგორც ირკვევა, XIII ს. დამლევს ქალაქ სტრასბურგში ყველა მოქალაქეს უკვე ჰქონდა გვარსახელი, თუმცა გერმანელ გლეხებში მისი დამკვიდრება ერთი საუკუნის შემდეგაც არ იყო დასრულებული. რუსეთში პროზვიშჩე-ს (მეტსახელი და ზედწოდება) გაგვარსახელება დაიწყო XIV ს-ში: კერძოდ, თავადთა გვარები არსებობენ XV საუკუნიდან, აზნაურთა გვარები წარმოიშვნენ XV-XVII საუკუნეებში, ვაჭართა უმეტესობამ გვარები დაიმკვიდრა XVIII ს-ში, გლეხობისათვის კი 1861 წლამდე, ე. ი. ბატონყმობის გადავარდნამდე, გვარსახელი აუცილებელი არც იყო (ცხადაია, 2000: 8).

სხვა მოსაზრებით, გვარი წარმოიქმნა უფრო შორეულ წარსულში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წელს რომში პიროვნება ჯერ კიდევ ოდენ სახელით აღინიშნებოდა, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო ინდოევროპული ანთროპონიმული სისტემისათვის. შემდეგ კი, რომაელთა ანთროპონიმული მოდელი (ეტრუსკელთა გავლენით) გახდა ორწევრიანი, მერე - სამწევრიანიც. ამ სამწევრიან მოდელში ძირითად წევრს ეწოდებოდა ნომენი (Nomen). სწორედ ის წარმოადგენდა

საგვარეულო სახელს, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა. მას წინ უძღოდა პერსონალური სახელი, ანუ **პრენომენი** (Prenomen), ხოლო მოსდევდა **კოგნომენი** (Cognomen), ანუ მეტსახელი, ან ზედწოდება და იშვიათად, მეოთხე წევრიც - **აგნომენი** (Agnomen) (ცხადაია, 2000: 8; ცხადაია, 2005:128).

ქართული გვარსახელის წარმოშობის დროსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა მკვლევართა უმეტესი ნაწილი ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ ქართული გვარსახელი მრავალ საუკუნეს ითვლის.

ქეგლის მიხედვითა **გვარი** არის საოჯახო სახელწოდება, რომელიც გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან (ქეგლ, II, 1951: 1433). „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ **გვარის** ასეთ განმარტებას გვთავაზობს: 1. სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას დედის ან მამის მხრიდან საერთო წინაპარს უკავშირებდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ. გვარში დაცული იყო ეგზოგამია; 2. დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გადამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს (ქსე, III, 1978: 134). 3. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვითაც, **გვარი** არის ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს. მაგ.: **ალექსანდრია, გაფრინდაშვილი, გურიელი, იოსელიანი** (ცხადაია, 1988: 33). მოგვიანებით იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ გვარის ასეთი განმარტება ამომწურავია ევროპის ხალხებისათვის, მაგრამ არა ქართველთათვის, ვინაიდან საქართველოში გვარსახელს ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათწესო დატვირთვა აქვს. გვარის შიგნით მტკიცედ არის დაცული ეგზოგამია - ქორწინების აკრძალვა (ცხადაია, 2000: 8-9).

როდის გაჩნდა პირველი ქართული გვარსახელი? კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ XI საუკუნეში ქართული გვარი ფეხმოკიდებული იყო. ამ საუკუნის დიდი ფილოსოფოსი **ეფრემ მცირე** იყო გვარად **კარიჭისძე**, შვილი **ვაჩე კარაჭისძისა** (კეკელიძე, 1951: 231). ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ქართველებს გვარსახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, უფრო ადრე ჰქონდათ. ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული **დაფანჯული** (IX ს. დამდეგის პერიოდი) უკვე გვარსახელია, როგორც მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც მისი შთამომავლები

ატარებენ საუკუნე-ნახევრის შემდეგაც: „ერქვა მას სახელი გაბრიელ **დაფანჩული**, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან **დაფანჩულნი**“ (იხ. თოფჩიშვილი, 1997: 45).

ალ. ღლონტის აზრით, გვაროვნული სახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს (ღლონტი, 1986: 48).

აღმოჩნდა განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, გ. ხორნაული მიიჩნევს, რომ „მსოფლიოში ალბათ ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოც, სადაც გვარი გაფორმდა და ეს ხდება XVI საუკუნიდან, აღორძინების ხანიდან“ (ხორნაული, 2003: 239). გ. ხორნაულის დებულებით, რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წლიდან) გვარი, ჩანს, აუცილებლობად გამოცხადდა საქართველოში (ხორნაული, 1994: 10). გ. ხორნაულის მოსაზრება კრიტიკას ვერ უძლებს. ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით შეუძლებელია, რომ გვარსახელის წარმოშობა მხოლოდ მე-16 საუკუნიდან ვივარაუდოთ. ეთნოლოგმა რ. თოფჩიშვილმა, არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო საბუთების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე საფუძვლიანად უარყო გ. ხორნაულის თვალსაზრისი. მისი აზრით, „საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-IX სს-დან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის იმ დროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი“ (თოფჩიშვილი, 1997: 100). იმავე ავტორის თქმით, „გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის - ამ პირველადი უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის... ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა“ (თოფჩიშვილი, 1997: 4). მკვლევარი იქვე ასკვნის: „გვარსახელი არის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას“ (თოფჩიშვილი, 1997: 5).

თვით ტერმინი **გვარი** გვარსახელის გაგებით უკვე გვხვდება XII ს. დამლევის ერთ საბუთში, რომლითაც მღვიმის კრებული მიმართავს იოვანე, ნიკოლოზ და ნიანია ტოხაისძეებს, თქვენი გვარის („თქუენის **გვარისა**“) კაცი ბასილ ტოხაისძე კვირიკე კახთა მეფის მოძღვარი ყოფილიყო... (ცხადაია, 2000: 9).

ცნობილია, რომ ადამიანთა გარჩევა პირსახელით სირთულეს არ ქმნიდა, ვიდრე არსებობდა მცირერიცხოვანი კარჩაკეტილი ტომობრივი საზოგადოება. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი კარჩაკეტილობის ხანას. „შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მხოლოდ იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ - რა ხელობისაა იგი, სადაურია, ვისი შთამომავალია და ა. შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობას იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების - სეხნიების გარჩევას. ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები განუყრელი ნაწილი“ (ჭუმბურიძე, 1987: 293-294; შდრ: ცხადაია, 2005: 126).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალ გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი, ან მეტსახელი, ქალის სახელისაგან ნაწარმოები გვარსახელები კი ქართულ სინამდვილეში საკმაოდ იშვიათია (ამ ტიპის გვარსახელებია: **ელისაბედაშვილი, მარიამიძე, მარიამული, ნათელაშვილი...**). გვარებად ხშირად გამოყენებულია ხელობის, თუ თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები, კუთხობრივი, ეროვნული, თუ წარმომავლობა-სადაურობის სახელები, ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების, ქონების, ან სხვა რომელიმე ნიშნის ამსახველი სახელები. როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, უპირატესობა ენიჭება წინაპრის სახელს, ან მეტსახელს. წინაპართგან კი უპირატესობა ჰქონდა მამაკაცის სახელს, როგორც ოჯახის უფროსისა, გვარის მეთაურისა (ჭუმბურიძე, 1987: 295). თავდაპირველად ვინაობის დასაზუსტებლად პირსახელს უშუალოდ ემატებოდა მამის სახელი. ასე რომ, თაობიდან თაობაზე ერთი და იგივე გვარი კი არ გადადიოდა, არამედ იცვლებოდა მამის სახელის მიხედვით. გვარების ასეთი ცვლილება სიძნელეს და უხერხულობას ქმნიდა. ამიტომ ხალხთა უმრავლესობამ ირჩია, რომ ერთხელ შემუშავებული გვარი დამკვიდრდეს და გადაეცეს თაობიდან თაობას. როგორც აღნიშნავენ, ქართული გვარების ასეთი სისტემა დიდი ხნის დამკვიდრებულია, დღევანდელი გვარების უმეტესობა დაახლოებით XIV-XV საუკუნიდან მოდის, მაგრამ ბევრია უფრო ადრინდელი გვარიც (ჭუმბურიძე, 1987: 295). შედარებისათვის: ჩვენს მეზობლად მდებარე დაღესტანში მყარი, თაობიდან

თაობაზე გარდამავალი გვარსახელები პრაქტიკულად მასობრივად არ არსებობდა საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველი ათწლეულის ბოლომდეც კი. პიროვნებას ან მხოლოდ პირსახელით აღნიშნავდნენ, ან პირსახელს ემატებოდა მამის სახელი, სადაურობის სახელი, ხელობის სახელი, ანდა მეტსახელი. ეს ხშირად იწვევდა გაუგებრობებს, რაკი დიდი იყო ალბათობა, პირსახელისა და მამის სახელის სრულად დამთხვევისა. მაგალითად, ერთსა და იმავე სოფელში შეიძლებოდა დადასტურებულიყო რამდენიმე **ალი მუჰამედის ძე**, ანდა **მჭედელი ქერიმი**... საბჭოთა ხელისუფლებამ მოსახლეობის კონტროლისა და ზუსტი აღრიცხვის გაიოლების მიზნით ამ ქვეყანაში სავალდებულო გახადა გვარების გაფორმება პირსახელზე რუსული გვარების მაწარმოებელი **-ოვ // -ევ** სუფიქსების დართვით. სწორედ ამიტომაც, რომ დაღესტანში მცხოვრები ხუნძი ხალხის ეროვნული მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი ოფიციალურად მოიხსენიება როგორც **ჰამზათ წადასა**, რაც ხუნძურად ნიშნავს „სოფელ წადას მცხოვრებ ჰამზათს“, ანუ „ჰამზათ წადელს“, მაგრამ საბჭოთა პერიოდში დაბადებულ მის ვაჟებს, მსოფლიო სახელის მქონე პოეტს, სახელად **რასულს** და ცნობილ ისტორიკოსს **ჰაჯის** უკვე ოფიციალური გვარსახელი ჰქონდათ, რომელიც მამის, ჰამზათის სახელისაგან არის ნაწარმოები: **რასულ ჰამზათოვ (Расул Гамзатов)**, **ჰაჯი ჰამზათოვ (Гаджи Гамзатов)** (ცნობა მოგვაწოდა პროფ. თ. გვანცელაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ).

ქართველური გვარების კვლევის თვალსაზრისით შუა საუკუნეებში შედგენილი ისტორიული საბუთები მრავალფეროვან მასალას გვთავაზობს როგორც სემანტიკურად, ასევე სტრუქტურულადაც. წინამდებარე ნაშრომის საკვლევი ისტორიული დოკუმენტების ანალიზისას გამოვლინდა სამეგრელო-სამურზაყანოს ტერიტორიაზე დღესაც გავრცელებული და ფონეტიკურად, თუ მორფოლოგიურად უცვლელად შემორჩენილი ათეულობით გვარსახელი, რაც ამჟამინდელ გვართა დიდ სიძველეზე მეტყველებს. მეორე მხრივ, აქვე იხსენიება ისეთი გვარსახელებიც, რომლებიც ამჟამად მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფონეტიკური, თუ მორფოლოგიური იერსახის მქონეა. არის რამდენიმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი და იგივე სახელი ყოველგვარი ცვლილების გარეშე დასტურდება როგორც პირსახელად, ასევე გვარსახელადაც. საბუთებში ასევე გვხვდება დღეისათვის უკვე გამქრალი გვარებიც.

როგორც აღვნიშნეთ, გვარსახელს ხშირ შემთხვევაში საფუძვლად უდევს პირსახელები, ან მეტსახელები, რომლებიც სხვადასხვაგვარი სემანტიკის მატარებელია. შესაბამისად, გვარსახელებში რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი გამოიყოფა იმისდა მიხედვით, თუ რას გამოხატავს ეტიმოლოგიურად ამა თუ იმ გვარსახელის საყრდენი ფუძეები.

2. 2. გვარსახელთა სემანტიკური ჯგუფები

როგორც საკუთარ სახელებში, ასევე გვარსახელებშიც ხშირად ვლინდება ამა თუ იმ პირის სოციალური მდგომარეობა. ზოგიერთ გვარს საფუძვლად უდევს ისეთი სიტყვა, რომელიც იძლევა ადამიანის დახასიათებას გარკვეული ნიშნის მიხედვით, როგორიცაა გარეგნობა, ასაკი, ხასიათი და ა.შ. ყოველივე ეს საფუძველს ქმნის პირსახელების, ხშირ შემთხვევაში - მეტსახელების წარმოქმნისათვის, ხოლო მათზე მაგვარსახელებელ აფიქსთა დართვით იწარმოება გვარსახელი. ქართული გვარსახელების უმრავლესობა ისევე, როგორც სხვა ხალხთა გვარსახელების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია წინაპართა პირსახელებისა და მეტსახელებისგან. შუა საუკუნეებში შედგენილი ისტორიულ საბუთებში, რომლებიც მოიცავს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას, კერძოდ, სამეგრელოსა და დღევანდელი აფხაზეთის ნაწილს, საყურადღებოა გვარსახელთა წარმოებისა და დღეს მათი გავრცელების, ანუ ისტორიული მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, საანალიზო მასალაში წარმოდგენილ გვარსახელთა უმრავლესობა მეტ-ნაკლები სიხშირით დღესაც დასტურდება. მაგრამ თავს იჩენს თითო-ოროლა ისეთი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის გვარი აღარ გვხვდება დღეს და უკვე გამქრალია. ამდენად, გვარსახელთა ეტიმოლოგიური კვლევა მეტად საჭირო და საშური საქმეა იმის გათვალისწინებით, რომ მათი გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება თვალი მივადევნოთ შუა საუკუნეების საქართველოს ანთროპონიმულ წარსულს. გვარსახელთა სემანტიკური ანალიზის საფუძველზე შემთხვევათა ნაწილში შესაძლებელია დავადგინოთ ამა თუ იმ გვარის ფუძემდებელი პირის, ანუ ეპონიმის სადაურობა, გარეგნობა, საქმიანობა, ხასიათი და ა.შ. ასეთ გვართა გვერდით დასტურდება ცხოველ-

ფრინველთა და მცენარეთა სახელების შემცველი გვარსახელებიც. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში გამოიყოფა გვარსახელთა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

1. თვისება-ხასიათის ამსახველი გვარსახელები;
2. ცხოველ-ფრინველთა სახელებისაგან მომდინარე გვარსახელები;
3. ხელობის აღმნიშვნელი გვარსახელები;
4. ეთნონიმური, თემონიმური წარმოების გვარსახელები;
5. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებისაგან მომდინარე გვარსახელები
6. ციური სხეულების სახელთაგან მომდინარე გვარსახელები;
7. დროის აღმნიშვნელი გვარსახელები;
8. ტოპონიმიზებული გვარსახელები;
9. ზმნური წარმოშობის გვარსახელები.

ეს დაყოფა პირობითია, ვინაიდან ბევრი გვარის ეტიმოლოგიზება რამდენიმენაირადაა შესაძლებელი. მაგალითად, **ლოგუა** 1621 წლის დოკუმენტის მიხედვით, გვარსახელი დასტურდება ნაჟანეულში (ამჟ. ოტობაია, გალის რ.) (ქსმ, III, 1970: 422). **ლოგო**, რომლისგანაც იწარმოება გვარი **ლოგუა**, მეგრულში დღესაც ცოცხალი სიტყვაა და აღნიშნავს მოსულებს ადამიანს. შესაბამისად, გვარის ფუძემდებლის მეტსახელში შესაძლებელია ეს მნიშვნელობა ვეძიოთ. მეორე მხრივ კი, როგორც პ. ცხადაია აღნიშნავს, **ლოგო** შეიძლება იყოს შემოკლებული ფორმა **ლონგორი**, ან **ლონგინოზი** პირსახელებისა. მაშასადამე: **ლოგო** > **ლოგო-ა** > **ლოგუა** (ცხადაია, 2000: 106). **ლოგუა** გვარი ფიქსირდება 1867 წ. აფხაზ მუჰაჯირთა სიაში, სოფ. ბესლახუბაში (ხორავა, 2014: 157). ამ გვარის მტარებელნი დღესაც გვხვდებიან აფხაზთა შორისაც, მაგრამ ისინი გააფხაზებულ ქართველთა შთამომავლები არიან, რაზეც ის ფაქტი მიანიშნებს, რომ გვარსახელს არ ეძებნება დამაჯერებელი ახსნა აფხაზურ ენაზე.

აქ პირობით გამოყოფილ თითოეულ სემანტიკურ ჯგუფს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

2. 2. 1. თვისება-ხასიათის ამსახველი გვარსახელები

გვარსახელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიან ადამიანის თვისება-ხასიათის ამსახველი გვარსახელები. როგორც აღვნიშნეთ, გვარსახელებში გარკვეული ნიშნით გადმოცემულია პიროვნების დახასიათება. მოცემულ შემთხვევაში გამოვავლენთ ისეთი ტიპის გვარსახელებს, რომლებიც მოტივირებულია ამ თუ იმ სახასიათო ნიშნით.

მეფორია გვარი დასტურდება 1616-1621 წწ. შედგენილ დოკუმენტში ჭალაში (ამჟამინდელი ჭლოუ) მცხოვრებთა გვარსახელად. აქ დასახელებული არის რამდენიმე **მეფორია**: შიშიგაბუ, ხუხუტია, ივანე, მახიოლა, ერჩიდია (ქსმ, III, 1970: 467-468). გვარსახელი ფორმის მხრივ აშკარად მიმდებარა მეგრული **ფორუა** ზმნისა (**მე-ფორ-ი-ა** < ***მე-ფორ-ე-ა**; შდრ. ბგერათმეცნიერების სამწიგნ. ქართ. **ფარ-** : მეგრ. **ფორ-**), რომელიც, პ. ცხადაიას ცნობით, ნიშნავს „დაფარვას, დამალვას“, გადატანით კი „საქმის მიფუჩეჩებას“: **მეფორია** არის ეპითეტი ისეთი კაცისა, რომელიც მიწის თოხნისას შიგადაშიგ ბალახს კი არ მოჭრის, არამედ მიწას მიაყრის და დაფარავს (ცხადაია, 2000: 112). შესაბამისად, **მეფორია** შეიძლება ეწოდოს პიროვნებას, რომელსაც ახასიათებს რაიმეს დაფარვა, დამალვა, საქმის მიფუჩეჩება. შდრ. ტიპური მეგრული ფრაზა: **მეფორუნს დო მეურს** „ფარავს, მიაფარებს და მიდის“. თ. გვანცელაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აფხაზთა შორის ამჟამად გავრცელებულია გვარსახელი **ამფარ**, რომელიც, მისი აზრით, აფსუიზებული **მეფორია** გვარსახელია: ამ ქართულ გვარს გააფხაზურების ეტაპზე მიმატებია აფხაზური ენის არსებითი სახელებისათვის და მათ შორის მრავალი გვარსახელისათვის დამახასიათებელი ა- პრეფიქსი (შდრ. **ჰაშბა** // **ა-ჰაშბა...**), ჩამოსცილებია ქართული სუფიქსი **-ია**, მახვილის ზემოქმედებით ფუძიდან რედუცირებულა ანლაუტის ხმოვანი, ხოლო **ო** ხმოვანი **ფ** და **რ** თანხმოვნებს შორის კანონზომიერად გარდაქმნილა ა ხმოვნად. ამგვარი ცვლილებები აფხაზური ენისათვის უცხო სრულებითაც არ არის. მეცნიერი ასახელებს ამავე ტიპის სხვა გააფხაზურებულ გვარსახელებსაც. ესენია: **ა-ჯგნჯალ** < **ჯინჯოლია**, **ა-მქაბ** // **ა-ნქაბ** < **მექვაბია** // **მიქვაბია**, **ა-მარშან** < **მარშანია**, **ა-ბლგსკრ** < **ბულისკირია** // **ბულისქირია...** (გვანცელაძე, 2003: 41; გვანცელაძე, 2011: 174-175). ამავე მეცნიერს კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი აქვს გამოვლენილი აფხაზეთში, კერძოდ, გუდაუთის რაიონში. იგი წერს: „მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ **კალდახვარაში** არსებობს მიკროტოპონიმები:

ამფარაა რთაზგარა „ამფარების ფლატე“ (ზედმიწ.: „ამფარების ჩანგრეული მიწა“), ამფარ იხჷ „ამფარის ბორცვი“. ორივე სახელში შემავალი ამჟამინდელი აფსუური გვარსახელი ამფარ ქართულ გვარსახელ მეფორია-ს აფსუიზებული მეორეული ვარიანტია. მეცნიერის დასკვნით: „აღნიშნული საკმაო საფუძველს ქმნის იმის სამტკიცებლად, რომ ამ ადგილას [სოფელ კალდახვარაში - ს.კ.] აფხაზთა მოსვლამდე რეალურად უცხოვრიათ მეფორიას საგვარეულოს ქართველებს“ (გვანცელაძე, 2008: 58). იგივე დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩვენც ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის აფხაზური სოფლის ჭლოუს ადგილას მდებარე სოფელ ჭალის შესახებაც: XVIII საუკუნემდე შედგენილი წერილობითი საბუთების მიხედვით, სოფელი ჭალა ეკუთვნოდა ჯაიანის ქართულ საგვარეულოს, ხოლო 1616-1621 წლების დოკუმენტის მიხედვით აქ ჯერ კიდევ უცხოვრიათ გლეხებს შიშიგაბუ, ხუხუტია, ივანე, მახიოლა და ერჩიდია მეფორიებს თავიანთი ოჯახებითურთ. გვარსახელები ჯაიანი და მეფორია უდავოდ ქართული, კერძოდ, მეგრული წარმოშობისაა, გლეხთა სახელებიც ასევე მხოლოდ ქართულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფელი ჭალა თავდაპირველად მხოლოდ ქართველებით ყოფილა დასახლებული, ხოლო აფხაზები აქ გვიან დასახლდნენ. 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში თ. გითოლენდიაც აფიქსირებს ამფარ გვარს, რომელისთვისაც ამოსავალ ფორმად მიიჩნევს მეგრულ მეფორია-ს და მიღების ასეთ გზას წარმოგვიდგენს: მეფორია > *მაფარ > ამფარ (გითოლენდია, 2009: 160).

სუბუქია იმავე 1621 წლის საბუთის მიხედვით გვხვდება ნაჟანეულში მაცხოვრებლის გვარად (ქსმ, III, 1970: 420). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ გვარში წარმოდგენილია საყრდენი ფუძე სუბუქი, რომელიც მომდინარეობს სუბუქ-ა შერქმეული სახელისაგან (ჯომიდავა, 2000: 305). ამ ვარაუდს ის დაბრკოლება ახლავს, რომ სიტყვათმწარმოებელი -ა სუფიქსი, ჩვეულებრივ, გვარსახელებში არ იკარგება და საყრდენ ფუძეში რჩება ხოლმე, ამიტომ უფრო მისაღებია მოსაზრება, რომ გვარსახელს საფუძვლად უნდა ედოს მსუბუქი ზედსართავი სახელის ძველქართული ვარიანტი სუბუქი. ამ მხრივ საყურადღებოა გვარსახელ სუბუქიდის არსებობა, რომელიც უდავოდ ნაწარმოებია სწორედ სუბუქ-ი ფუძისაგან. ი. მაისურაძის მიხედვით, ამ ვარიანტის საყრდენ ფუძედ სავარაუდებელია მეტსახელი სუბუქი (მაისურაძე, 1990: 150) და მისი სუბუქია ვარიანტი.

ფიცხუა დასტურდება 1616-1621 წლებში. ამ გვარის პირი პირველად იხსენიება ცაიშის მცხოვრებად (ქსმ, III, 1970: 443). დღეს გვარი **ფიცხუა** არ დასტურდება. იგი შეიძლება დაგვეკავშირებინა სამეგრელოში გავრცელებულ **ფიჩხაია** გვართან, შდრ., მეგრ. **ფიჩხი** „ფიცხი“, მაგრამ აქ ფონეტიკური დაბრკოლებები იქნებოდა ასახსნელი. უფრო რეალურია, რომ გვარსახელი **ფიცხუა** მივიჩნიოთ **ფიცხი** სიტყვისაგან მომდინარე **ფიცხ-ო** მეტსახელისაგან: **ფიცხი** > **ფიცხ-ო** > ***ფიცხ-უ-ა** > **ფიცხუ-ა**.

ფაცხლია თარიღდება 1616-1621 წლებით (ქსმ, III, 1970: 479). შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ ვინმე **ფაცხლია** მხოლოდ პირსახელით იხსენიება და **ფაცხლია** არ არის გვარსახელი, მაგრამ ეს ოფიციალური საბუთი გამორიცხავს ამ ვარაუდს, ვინაიდან იგი აწესრიგებდა სოციალურ-სამართლებრივ ურთიერთობას გლეხსა და ეკლესიას შორის, თანაც საბუთის გეოგრაფიული არეალი მეტად ვრცელია, რის გამოც გვარსახელის გარეშე ვისიმე მოხსენიება მომავალში უდავოდ გააჩენდა იურიდიულ პრობლემას. ამიტომ საქმე უეჭველად გვარსახელთან გვაქვს. პ. ცხადაიას აზრით, **ფაცხლია** შესაძლებელია იყოს **ფაცხალაია**-ს რედუცირებული ვარიანტი: **ფაცხლია** < **ფაცხ-ალ-ია** < **ფაცხ-ალ-ა-ია**. მკვლევარი გვარსახელ **ფაცხალაია**-ს აღადგენს ტოპონიმ **ნა-ფაცხალაია**-ს საფუძველზე - ასე უწოდებენ დავაკებას მდინარე მაჩხაპის მარჯვენა მხარეს (ჩხოროწყუს რ., სოფ. ლეახალე). მეცნიერი იმოწმებს ინფორმატორის ნათქვამს, რომლის მიხედვითაც, „აქ აფხაზეთიდან გამოქცეული ფაცხალაია სახლებულა“ (ცხადაია, 2000: 134). მიგვაჩნია, რომ საბუთისეული **ფაცხლია** და პ. ცხადაიას მიერ რეკონსტრუირებული **ფაცხალაია** ვარიანტები ფონემატურ-მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით მაინც საკმაოდ დაშორებულია ერთიმეორეს და ამიტომ საანალიზო ფორმა შეიძლება სხვაგვარადაც ავხსნათ: გვარსახელის დაწერილობაში საბუთის შემდგენელს ალბათ კალმისმიერი შეცდომა მოუვიდა და საანალიზო ფორმის სრული ვარიანტი **ფაცხალია** იყო, რომელიც უნდა მომდინარეობდეს მეგრული მასდარისაგან **ფაცხალ-ი** „მოუსვენარი, უმწეო მცდელობა“. ცვლილებები ასე წარმოგვიდგენია: **ფაცხალ-ი** „მოუსვენარი, უმწეო მცდელობა“ > მეტსახელი **ფაცხალ-ია** „მოუსვენარი ადამიანი, ვინც ხშირად უმწეოდ ცდილობს მიზნის მიღწევას“ > გვარსახელი **ფაცხალ-ია**.

ფაცია ხახუ იხსენიება ხობის ტაძრის შეწირულობის წიგნში (პალ, IV, 2007: 302). სიტყვა **ფაცია** მეგრულში მიმდებარა და ნიშნავს „ფაციფუცა“-ს, შდრ. მეგრ. ზმნა **იფაც**

„ფაციფუცობს, ფუსფუსებს“. იგივე გვარი ამჟამადაც არის გავრცელებული სამეგრელოში. **ფაცია** შეიცავს **ფაც-** ძირს, რომელიც გაორკეცებული სახით დასტურდება ბევრ ქართულ დიალექტსა და სამწიგნობრო ენაში: **ფაცაფუც-ი** და **ფაციფუც-ი**. სემანტიკურად **ფაცია** გამოხატავს ფუსფუსა, მოუსვენარ, საქმიან ადამიანს. შესაბამისად, **ფაცია** შეიძლება იყო ისეთი ადამიანის მეტსახელი, ვინც მუდამ ფაციფუცობს, შემდეგ კი იგი იქცა გვარსახელადაც. საყურადღებოა, რომ **ფაცი** და მისგან მომდინარე **ფაც-** მამაკაცის პირსახელბადაც რეალურად დასტურდება სვანეთის ისტორიულ საბუთებში (სწმ. II, 1988: 546; ინგოროყვა, 1941: 52 და 81; ღლონტი, 1986: 200). საქართველოს სხვადასხვა მხარეში ასევე რეალურად დასტურდება ამავე ძირის მამაკაცთა პირსახელები და მეტსახელები: **ფაც-აც-ი** < ***ფაც-ფაც-ი, ფაც-იტ-ა, ფაც-იც-ა, ფაც-ო, ფაც-ურ-ა, ფაც-ურ-ია** (ღლონტი, 1986: 200). ამავე წარმოშობისაა ქალთა სახელები და მეტსახელები: **ფაც-ი, ფაც-ა, ფაც-აც-ო, ფაც-ია, ფაც-იკ-ო, ფაც-ო, ფაც-უ, ფაც-უნ-ი, ფაც-უნ-ი-ე, ფაც-ურ-ა, ფაც-უც-ა** (ღლონტი, 1986: 301). შესაძლოა, ამავე ანთროპონიმებისაგან მომდინარებდნენ დღეს გავრცელებული გვარები: **ფაცაცია, ფაციაშვილი, ფაცინაშვილი, ფაცულია, ფაცურიეშვილი, ფაცურია**, რომლებშიც ძირი გაფორმებულია სხვადასხვა სიტყვათმწარმოებელი აფიქსებით.

ქაჯიანი გვარად ჰქონია ხიბულას მოსახლე ვინმე ჯგეგოჩაის. იგი იხსენიება 1621 წლის საბუთში (პალ, IV, 2007: 361). რა თქმა უნდა, გვარსახელის საყრდენი ფუძეა სახელი **ქაჯ-ი** „ტყიური, მავნე, ავი სული, ეშმაკი“. ეს სახელი ახალშობილისათვის მავნე სულებისაგან დასაცავად და მათი გულის მოსაგებად შეეძლოთ დაერქმიათ. აპელატივის ანთროპონიმიზაციის მეორე მიზეზად ვინმესათვის თავხედობისა და უხეშობის, ან მავნეობის გამო მეტსახელად შერქმევა უნდა ვივარაუდოთ. **ქაჯია** მეტსახელს ხევსურეთში აფიქსირებს ალ. ღლონტი (ღლონტი, 1986: 205). ნ. ჯომიდავა ერთმანეთს უკავშირებს **ქაჯიანი** და **ქაჯაია** გვარებს მათი საერთო **ქაჯ-** ძირის საშუალებით. იგი მართებულად თვლის, რომ **ქაჯაია**-ში **ქაჯა** არის ადამიანის შერქმეული სახელი. ასევე ავტორი იზიარებს ი. მაისურაძის თვალსაზრისს და არ გამორიცხავს გვარის „ეთნონიმურ“ წარმოშობას, შდრ.: **ქაჯეთის ციხე, ქაჯები** (მაისურაძე, 1990: 172), რაც სადავოა: გვარსახელი **ქაჯ-იან-ი** შეიცავს **ქაჯ-** ძირ-ფუძეს, რომელიც მეტსახელისაგან მომდინარეობს, ხოლო **ქაჯ-ა-ია** გვარსახელის საყრდენი ფუძეა **ქაჯ-ა**, რომელიც ალერსობითის ფორმაა იმავე **ქაჯ-ი** სიტყვისა.

ხინტიკირია, სახელად იხთიანე და ხელობით მესტუმრე იხსენიება ერთ ძველ საბუთში (პალ, III, 2015: 395). **ხინტიკირი** // **ხგნტკგრი** მეგრულში სხვადასხვა რამეს აღნიშნავს: 1. ხრტილი, კაკნატელა (ჭარაია, 1997: 179); 2. ჩაჭრილი; მცირეზე გაპობილი; 3. საორშუალო ნაწილი: ქსელის დასახვევი ჯოხი, რომელიც ჩაჭრილია (ქაჯაია, 2002: 555). 4. საქსოვი დაზგის ნაწილი; 5. ნაკეჭნი (ქობალია, 2010: 727). გარდა ამისა, **ხინტიკილ** // **ხინტიკირ** დღესაც გამოიყენება სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით: იგი გამოხატავს სიძუნწეს. იტყვიან ხოლმე: **ხინტიკირ** // **მგკოხგნტკილ კოჩ რე** „ძუნწი კაცია“. პ. ცხადაიას ცნობით, მეგრულში საობიექტო მიმღეობა **ხინტიკირი** „ჭდედადებული, გათაჯული“ ძუნწი, თავისნათქვამა კაცის ეპითეტია. დღევანდელი მონაცემების მიხედვით **ხინტიკირია** გვარის წარმომადგენლები სახლობენ თბილისში, აბაშასა და ფოთში (ცხადაია, 2000: 168). ნ. ჯომიდავას მიხედვით, **ხინტიკირია** მომდინარეობს **ხინტიკირ** მეტსახელისაგან. შდრ. **ხინტიკი** „სახმოები (სიმინდის, ლობიოსი)“. მისი აზრით, აქედანაა გვარსახელები: **ხინთქირია**, **ხიტირია** (ჯომიდავა, 2000: 454), რაც ნაკლებდასაჯერებელია. უფრო მოსალოდნელია გვარსახელის მომდინარეობა მეტსახელისაგან, რომელიც კავშირში იქნებოდა ზემოთ დასახელებულ სემანტიკათაგან რომელიმესთან.

გვარი **ხვინგია** 1621 წელს გავრცელებული ყოფილა ახლანდელი გალის რაიონის სოფელ მუხურში: ვინმე **ხვინგიას** ჰმართებია სუბვის (სუბეიშის) სასახლის ბეგარა... (პალ, V, 2015: 386). ნ. ჯომიდავა, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ გვარსახელი მომდინარეობს **ხვინგა** შერქმეული სახელისაგან, თუმცა იქვე აცხადებს, იგი სულ სხვა წარმომავლობისააო და უკავშირებს მეგრულსავე **ხანგე** „კარბონატული ნიადაგი“ სიტყვას. მისივე სიტყვით, აქედანაა გვარსახელები **ხინგავა** და **ხვინგამე**. იქვე ავტორი ადასტურებს ტოპონიმ **ნახინგუ**-ს გალის რაიონში (ჯომიდავა, 2000: 452). ნ. ჯომიდავას მსჯელობას ნაკლი აქვს: 1. გაუგებარია მისი პოზიცია გვარსახელის ეტიმოლოგიის შესახებ: იგი ხან **ხვინგა** ფორმას მიიჩნევს ამოსავლად, ხან კი - **ხანგე**-ს; 2. გვარსახელის ამოსავლად მიწის სახელწოდების მიჩნევას ახსნა არ ახლავს; ზმნა **ხვინგუა** მეგრულში გამოხატავს უხეშს, უშნოს, უზომოს. ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია პ. ცხადაიას მოსაზრება: **ხვინგ**- ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები მეგრულში აღნიშნავენ უზომოდ ჭამას, ჩახეთქვას, ჩახრამუნებას. ვისაც ჭამის ასეთი მანერა ახასიათებდა,

ადვილად მიეკერებოდა მეტსახელი **ხვინგ-ია** (ცხადაია, 2000: 168). **ხვინგუნს** სიტყვა დღესაც ცოცხალია სამეგრელოში და აღნიშნავს უზომოდ ჭამას.

2. 2. 2. გარეგნული (ფიზიკური) ნიშნების გამომხატველი გვარსახელები

საკვლევ ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული მრავალი გვარსახელის საყრდენ ფუძედ გამოყენებულია ისეთი პირსახელები თუ მეტსახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის ფიზიკურ ნაკლს, სილამაზეს, კანის ფერს, სპეციფიკურ ფიზიკურ მახასიათებლებს და სხვ.

მანთროპონიმებელი -ა სუფიქსის დართვით იწარმოება პირსახელი **გინძია**, რომელიც დოკუმენტირებულია 1621 წლით (ქსძ, III, 1970: 430). ამოსავალია მეგრ. **გინძე** (// გირძე) „გრძელი“. ამ მეტსახელის მტარებელი პირი მაღალი უნდა ყოფილიყო. შდრ. ამჟამინდელი **გინძე კოჩი** „გრძელი კაცი, აყლაყუდა“. პირსახელი **გინძია გინძე-საგან** მიღებულია -ეა > -ია ასიმილაციის შედეგად: **გინძი-ა < გინძე-ა < გინძე**. შდრ. **გინძია** იმავე საბუთის მიხედვით, სოფ. ხოირში მცხოვრების პირსახელი **დაბალ-ა < დაბალ-ი** (ქსძ, III, 1970: 424).

1621 წელს დასახელებულია ჯგალს მცხოვრები უღვიმა **მჭითავა** (ქსძ, III, 1970: 480; პალ, III, 2004: 246) ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული გვარი **მჭითავა** არის ამჟამინდელი **ჭითავა**-ს თავდაპირველი ვარიანტი, სადაც **მ-** განვითარებულია. მეგრ. **ჭითა, მჭითა** „წითელი“ ალბათ მეტსახელი იყო. **ჭით-ა** მეტსახელის ფუნქციით დღესაც გამოიყენება მწითური ადამიანის აღმნიშვნელად. ამ ძირის შემცველი გვარები - **ჭით-იან-ი** და **ჭით-ან-ი** - გვხვდება სვანეთის სულთა მატეანეებშიც (სწმ, II, 1988: 558). მ. ქალდანის აზრით, მეგრული გვარი **ჭით-ავ-ა** როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად შეესატყვისება **წითლ-ან-ა-ძე < წით-ელ-ა-ძე** გვარს (ქალდანი, 1980: 73). **ჭითავა** იმავე მოდელისა და შინაარსის გვარია, როგორისაც **წითელაძე** (აჭარა), **წითაძე**, **წითელიშვილი** და სხვ. (ცხადაია, 163), **წითელიძე**, **წითლიძე** (გაგულაშვილი, 1993: 92). მუჰაჯირთა სიაში ფიქსირდება აგრეთვე **ჭითანაა** ვარიანტი, რომელიც ყოფილა სოფ. გუფუდან. ბ. ხორავას შენიშვნით, ეს არის გვარსახელი **ჭითანავა** (ხორავა, 2014: 155).

აფხაზთა შორისაც დასტურდება აფხაზურ ენაზე ადაპტირებული **ჭითანა** < მეგრ. **ჭითანა** ვარიანტი.

მჭიფია დასტურდება 1616-1621 წწ. შორის შედგენილ საბუთში სოფ. ცაიშში (ქსმ, III, 1970: 447). იგი უკავშირდება მეგრულ **ჭიფე** „წვრილი“ ზედსართავს. გვარის ისტორია ასეთია: **მჭიფე** „წვრილი“ > მეტსახელი **მჭიფე-ა** „წვრილა, ძალიან გამხდარი, ჩხინკორა“ > **მჭიფია**. საყურადღებოა, რომ წერილობით წყაროში ასახულია ზედსართავ **ჭიფე**-ს ისტორიულად თავდაპირველი **მ-** –**ე** კონფიქსიანი ვარიანტი.

საღარია პირველად მოიხსენიება 1616-1621 წწ. ცაიშის მაცხოვრებლად (პალ, IV, 2007: 151). როგორც ვარაუდობენ, **საღარია** მომდინარეობს **საღარა** მეტსახელისაგან, შდრ.: სამწიგნ. **საღარ-ი** „შუბლთეთრი ცხენი“ (ორბელიანი, II, 1993: 62), მეგრ. **საღარ-ი** „შუბლზე და ცხვირზე თეთრი ფერის მქონე ცხენი“ (ქაჯაია, 2002: 585). **საღარა** საკუთარ სახელს გამოყოფს ი. მაისურაძე (მაისურაძე, 1990: 144). იმავე **საღარ-ა** მეტსახელს ხედავს პ. ცხადაია გვარსახელ **საღარეიშვილ**-ში (ცხადაია, 2000: 126). სამეგრელო-სამურზაყანოში დღესაც **საღარ-ა** სახელით აღინიშნება შუბლთეთრი ცხენიც და ასევე სხვა პირუტყვიც, რომელსაც ნიშანი აქვს შუბლზე. უფრო მეტიც, დასტურდება შემთხვევები, როდესაც **საღარია** ეწოდება არა მხოლოდ ნიშანდებულ ცხოველებს, არამედ გამოიყენება ადამიანთა მეტსახელადაც: **ყვასაღარია** ეწოდება ისეთ ადამიანს, რომელსაც შუბლზე რაიმე ნიშანი აღენიშნება. ივარაუდება, რომ **საღარია** ჯერ მეტსახელი იყო, შემდგომ კი გაგვარსახელდა.

ქუცურავა ამარცალა დასახელებულია ერთ-ერთ ძველ საბუთში (პალ, IV, 2007: 401). გვარსახელს ფონეტიკურად უახლოვდება მეგრულში დღესაც ცოცხალი **ქუცურუა** სიტყვა, რომელიც აღნიშნავს პატარა ტანის, გამხდარ ადამიანს, მაგრამ ამ ორი სიტყვის ერთიმეორესთან დასაკავშირებლად ასახსნელია სხვაობა დაბოლოებებში, რის გამოც თავს ვიკავებთ ამგვარი ახსნისაგან. მეგრულში **ქუც-** ძირი მოქნილის, სწრაფის სემანტიკასაც გამოხატავს: **გილექუც** „სწრაფად დადის“, **მიქუც** „სწრაფად, მარდად მიდის“. დაისმის საკითხი: ხომ არ მომდინარეობს საანალიზო გვარსახელი იმერეთში გავრცელებული ტანმომცრო ძაღლის **ქუცურა** მოსაფერებელი სახელისაგან? ამგვარ ახსნას მხარს დაუჭერდა მეტსახელად ამგვარი სიტყვის იოლად ქცევის შესაძლებლობა. მომდევნო ეტაპზე კი მეტსახელის გაგვარებაც არ იქნებოდა მოულოდნელი. ზუსტად იგივე მეტსახელი რეალურადაც დასტურდება რაჭის მასალაშიც (ღლონტი, 1986: 210).

ფერის აღმნიშვნელია ასევე პირსახელი **შანგუა** და მისი შორეული ვარიანტები **შანგლაია** // **შანგულია**. გვარსახელები პირველად 1616-1621 წწ. დასტურდება „საცაიშლო მოსაკრებელში“ რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ დარჩელში ცხოვრობდნენ საეკლესიო გლეხები პირნთლი **შანგულია** და მისი ძმები, აგრეთვე ქიაჩარამ და ასპანაი **შანგულიები** (ქსმ, III, 1970: 464). აქვეა დასახელებული ორი კომლი **შანგლაია**. ქეგლ-ში ქვემოიმერული **შანგული** არის გრძელრქიანი ხოჭო (ქეგლ, VII, 1962: 623). მწერის სახელი იოლად შეიძლება ქვეულიყო მეტსახელად, მერე კი პირსახელადაც. ამოსავალი **შანგულ-ი** (მწერის სახელი) აპელატივისგან საანალიზო გვარების მიღება ასე ჩანს: **შანგულ-ი** (ანთროპ.) > **შანგულ-ი-ა** // **შანგულ-ა** // > **შანგუ-ა** (ანთროპ.) > **შანგულ-ი-ა** // **შანგულ-ა** // > **შანგუ-ა** (გვარსახელი), თუმცა **შანგუ** მეგრულში შავს აღნიშნავს და პირსახელიცაა, რის გამოც უფრო მოსალოდნელია **შანგუ** მეტსახელისაგან სხვადასხვა მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენებით საანალიზო გვარსახელების მიღება: **შანგუ-ა**, **შანგუ-ლ-ია** და **შანგ-ლ-ა-ია**. ნ. ჯომიდავა დასაშვებად მიიჩნევს, **შანგუა** გვარის ეთნონიმურ წარმოშობას: **სანიგ** // **შანიგ**, **სანიკი** - **შანიგა** - **შანგია** (ჯომიდავა, 2000: 363), რაც ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს.

ძაძუა-ს შესახებ პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ ამ გვარის ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. გვარსახელი გავრცელებულია სამურზაყანოში. საბუთების მიხედვითაც ძაძუები სამურზაყანოში მკვიდრობენ: XVI საუკუნის დამლევს შედგენილ საეკლესიო საბუთში აღნიშნულია, რომ ნაჟანელს (ოტობაია) სახლობს ოთხი კომლი მსახური **ძაძუა** (პალ, V, 2015: 295). სხვათა შორის, აღნიშნულ სოფელში დღესაც ცხოვრობენ ძაძუები. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი **ძაძუ** (ცხადაია, 2000: 158), შდრ. სვანური პირსახელი **ძაძ-ი** (ინგოროყვა, 1941: 137) და მეგრული გვარსახელი **ძაძუ-ლ-ია** (გაგულაშვილი, 1993: 91). მეგრ. **ძაძუა** ნიშნავს ძაძებით შემოსვას, ძაძებით გასუდვრას (ქობალია, 2010: 689). გვარსახელი უკავშირდება მეტსახელს და თავდაპირველად აღნიშნავდა იმ ქალს, ვინც ძაძებით ზედმეტად იმოსებოდა. შდრ. ჩხოროწყუმში დადასტურებული ქალის სახელი **ძაძა**, ოზურგეთის რაიონში ფიქსირებული ქალის სახელი **ძაძუ** და რაჭაში წარმოდგენილი ქალის პირსახელი **ძაძუ-უნ-ა** (ლლონტი, 1986: 312).

ძიგურავა 1616-1621 წლებში დასტურდება ცაიშში (პალ, V, 2015: 297). შდრ. გვარი **ძიგუა** სამეგრელოსა და აფხაზეთში. **ძიგ-** ზმნური ფუძე მეგრულში დაკავშირებულია

ულაზათობის სემანტიკასთან: **ოპიგვინანს** „გამხდარია და უშნოდ გამოიყურება“. პ. ცხადაიას მიხედვით, სამეგრელოში არის პირსახელები **მიგვალი**, **მიგული**, რაც აღგვადგენინებს **მიგუ**-საც (ცხადაია, 2000: 158). ვფიქრობთ, ფონეტიკურ-მორფოლოგიურ დაბრკოლებათა გამო მეცნიერის ეს მოსაზრება ვერ ხსნის საანალიზო გვარსახელის ეტიმოლოგიას, კერძოდ, არ ჩანს, რას წარმოადგენს **რ** თანხმოვანი. ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გვარსახელი **მიგურავა** მომდინარეობს მამაკაცის პირსახელ **მიკურ**-ისაგან, რომელიც ამჟამადაცაა გავრცელებული აფხაზეთის ქართველებსა და აფხაზებს შორის? თუ ეს ასეა, მაშინ სხვაობა **გ** და **კ** თანხმოვნებს შორის დაბრკოლება ვერ იქნება, ვინაიდან ისინი ერთი და იმავე რიგის, კერძოდ, უკანასასისმიერი ბგერებია და ერთიმეორეს იოლად შეიძლება ჩაენაცვლონ.

წარბია გვარი დასახელებულია 1616-1621 წლებში (ქსძ, III, 1970: 452). პ. ცხადაიას მიხედვით, გვარსახელი **წაბრია** ფიქსირდება ზუგდიდში. მისივე თქმით, არიან დევნილებიც. **წარბა**, **წარბია** მეტსახელებია (ცხადაია, 2000: 158-159), რომლებიც შეიძლება რქმეოდა ისეთ ადამიანს, რომელსაც ჰქონდა გამოკვეთილი, სქელი წარბები. თ. გვანცელაძის მიხედვით, სოფელ ტყვარჩელში დასტურდება ადგილი **წაბრიაა რქაფთა** „წაბრიების პარტახი“. ეს და მრავალი სხვა ფაქტი, რომლებიც ავტორს წარმოდგენილი აქვს, აძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების ამჟამინდელ აფხაზურ სოფლებში XVI საუკუნემდე რეალურად მასობრივად უცხოვრია ქართულ მოსახლეობას (გვანცელაძე, 2008: 61). თ. გვანცელაძისვე ზეპირი ცნობით, ოჩამჩირის რაიონში მას პირადად შეხვედრია **წაბრია**-ს გვარის წარმომადგენელი ქართველებიცა და აფხაზებიც. რაც შეეხება სხვაობას **წარბია** და **წაბრია** ვარიანტებს შორის, იგი იოლად იხსნება: მეგრული მეტყველება ვერ ეგუება თანხმოვანთა **რბ** კომპლექსს და მეტათეზისის გზით ცვლის მას, შდრ. რიცხვითი სახელი **რვა** > მეგრ. ***რბა** > **ბრუო**. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ გვარის ძველი ვარიანტია **წარბია**, რომელიც 1616-1621 წლებში რეალურად დასტურდება და გვიჩვენებს, რომ ამ დროს გვარსახელში მეტათეზისი ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი. **წაბრია** გვარი სახლებულა გუფსა და ჭალაში (ხორავა, 2014: 156, 159).

ხვიჩია უკავშირდება მეგრულ **ხვიჩა** სიტყვას, რომლის სემანტიკაა: 1. ბრდღვიალა; გაბადრული; კაშკაშა; ჩახჩახა. 2. ფართო. 3. მამაკაცის სახელი (ქაჯაია, 2002: 550). **ხვიჩია**, როგორც გვარსახელი, პირველად დასტურდება ცაიშში 1616-1621 წლებში:

დასახელებულნი არიან ქომშიკელა და მიყოთელა **ხვიჩიები** (ქსმ, III, 1970: 445). **ხვიჩია** გვარს დიდ ჭყონში (მარტვილის რ.) ადასტურებს ი. მაისურაძე. მეცნიერი თვლის, რომ ამოსავალია საკუთარი სახელი **ხვიჩი, ხვიჩა** (მაისურაძე, 1990: 229).

ხოჭოლა მწერის სახელისაგან მომდინარე გვარსახელს განვიხილავთ გარეგნობის აღმნიშვნელ გვარსახელთა შორის. დავთარში დასტურდება **ხოჭოლა** **ხვიჩია**¹ (პალ, V, 2015: 405). გვარი დასტურდება დღევანდელ სამეგრელოსა და აფხაზეთშიც. საისტორიო წყაროებში დაფიქსირებულია ამ გვარის სამი ვარიანტი - **ხოჭოლა**, **ხოჭალა**, **ხუჭულა**: 1706 წლის შეწირულობის სიგელში დასახელებულია ხორგას მცხოვრები სოგიჯუმა **ხოჭოლა** (ქსმ, III, 1970: 646). ამავე სოფელში ამაზე ცოტა ადრე იხსენიებიან ბაბაკოჩი და ხვიჩა **ხოჭალა** (იქვე, 612). XVIII ს. დამდეგის სხვა საბუთში კი გვხვდება გვარი **ხუჭულა** (იქვე, 676). როგორც პ. ცხადაია აღნიშნავს, ისტორიულად **ხოჭოლა** ჩიხუების აზნაურები ყოფილან (ცხადაია, 2000: 169). **ხოჭა** პირსახელადაა დადასტურებული (ქსს, 1986). მწერის აღმნიშვნელი **ხოჭო, ხოჭოლა** მეგრულში შავტუხა და გამხდარი ბავშვის მოსაფერებელი სიტყვაა და მეტსახელადაც გვხვდება.

XVI საუკუნეში შედგენილ ნაჟანულის საეკლესიო გლეხთა ნუსხაში დასტურდება გვარსახელი **ჯგუბურია** (ქსმ, III, 1970: 420). **ჯგუბურია** განიმარტება, როგორც დაჯირჯებული, დაკენკილსახიანი (ქობალია, 2010: 737). **ჯგუბურია** სამეგრელოში პირსახელიცაა (დლონტი, 1986: 250). საერთოდ კი, **ჯგვიბ-//ჯგუბ-** ზმნური ფუძე გამოხატავს სახის გამომეტყველების გარკვეულ უმწიკვეს, უხეშ მანერას.

2. 2. 3. ეთნონიმური, თემონიმური გვარსახელები

ქართულ ონომასტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთნონიმებისა და თემონიმებისაგან მომდინარე საკუთარ სახელებსა და გვარსახელებს. მათი რაოდენობა ქართულში საკმაოდ დიდია. ალ. დლონტის ქართველურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში წარმოდგენილია შემდეგი პიროვნული სახელები და მეტსახელები: **არაბი, ბერძენა, თათარი, თათარა, თუშა, ლაზია, ლაშხია, მარგალი, რუსიტა** და სხვა. მათი უმრავლესობა გვხვდება როგორც პიროვნულ სახელად, ასევე გვარის ფუძედ.

¹ აქ **ხვიჩია** უკვე პირსახელია.

ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, ქართული გვარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ტომის, ეროვნების ან სადაურობის აღმნიშვნელი სახელები. იგი სატომო სახელთაგან ნაწარმოებად მიიჩნევა შემდეგ გვარებს: 1. წმინდა ფუძეები: **აფხაზი, ბერძენი, დვალი, ლაშხი** და სხვ.; 2. გავრცობილი ვარიანტები: **აფხაზავა, ბერძენიშვილი, დვალიშვილი** და ა. შ. (ჭუმბურიძე, 1987: 310). ვ. მაღრაძის დაკვირვებით, განურჩევლად ურთიერთმიმართებისა, სხვადასხვა ქვეყნის შვილთა და ერთი ქვეყნის კუთხეების წარმომადგენელთა აღმნიშვნელ სახელებს ი. მაისურაძე ეთნონიმებად მიიჩნევს (მაღრაძე, 2006: 124). ჩვენც ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. არ შეიძლება ტერმინოლოგიურად ერთ სიბრტყეზე განვიხილოთ **თათარი, ბერძენი და სვანი, მეგრელი, კახი**. ეს შეუსაბამობა შენიშნა ტ. ფუტყარაძემ, რომელმაც ეთნონიმებისაგან გამიჯნა სატომო სახელები და მხარეთა წარმომადგენლების სახელები და ამ უკანასკნელთ უწოდა **თემონიმები**: „ეთნონიმად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ისტორიული ლექსიკა, რომელიც ერის, ეთნოსის, ეთნიკური ჯგუფის, ტომის აღმნიშვნელ საკუთარ სახელად დამკვიდრდა“ (ფუტყარაძე, 2005: 40). მისივე თქმით, „თემის აღმნიშვნელ სახელს შეიძლება ვუწოდოთ **თემონიმი**. რამდენადაც **ქართველი ერის** თემებად ანუ ქართველი ერის შემადგენელ ნაწილებად ერთნაირად განიხილებიან: სვანებიც, მეგრელებიც, გურულებიც, აჭარლებიც, ხევსურებიც და ა. შ. მათი აღმნიშვნელი სახელები ერთნაირად უნდა ჩავთვალოთ არა „ეთნონიმებად“, არამედ წარმომავლობის სახელთა განსაკუთრებულ ჯგუფად - **თემონიმებად**“ (ფუტყარაძე, 2005: 40).

ჩვენს მასალაში თემონიმური წარმოშობისაა გვარსახელი **შონია** (< მეგრ. **შონ-ი** „სვანი“), რომელიც პირველად მე-16 საუკუნის საბუთში იხსენიება (ქსძ, III, 1970: 350). 1621 წ. შედგენილ საეკლესიო საბუთში მოიხსენიება ხაუჭელს (აფხაზეთში) მცხოვრები უჩარდია **შონია** (იქვე, 433). პ. ცხადაიას მიხედვით, ამ გვარის ძირითადი სამკვიდრო უნდა იყოს ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლები ჭალე და ფახულანი. გვარი სხვა სოფლებშიც გვხვდება, კერძოდ: ფოცხოში, დარჩელში, ახალკახათში, ჩხორიაში და სხვ. (ცხადაია, 2000: 148). გვარი **შონია** გავრცელებულია დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც, როგორც ქ. გალში, ასევე გალის რაიონის სოფლებში: ქვემო ბარლევში, რეჩხში, ხოლეში და სხვ. თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, **შონიების** ნაწილი გააფხაზეებულია და ბინადრობენ ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფლებში. პ. ცხადაიას

თქმით, მეგრულში **შონი** „სვანი“ მეტაფორულად აღნიშნავს ბრაზიანს, მოუხეშავს და იოლად შეიძლება მეტსახელადაც ქცეულიყო (ცხადაია, 2000: 148).

თავდაპირველად ქართულ თემონიმად ხმარებული, მერე კი ეთნონიმად გადაქცეული **აფხაზ** ფუძისაგან მომდინარე გვარი **აფხაზავა** // **აფხაზაა** ერთ-ერთი გავრცელებული გვარი ყოფილა XVII ს. დასავლეთ საქართველოში. კერძოდ: 1621 წ. საეკლესიო დავთარში დასახელებულია საქუჩულორიოს მცხოვრები **აფხაზავა** (ქსძ, III, 1970: 414), ხოლო 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში დარჩელის მცხოვრებთა შორის ჩამოთვლილნი არიან: ბიჯოჯია, გახიჭულა, ქაქალი, გვანიბა, ნაცვალი, უწყენარი **აფხაზავები** (ქსძ, III, 1970: 455-460). დასტურდება ასევე **აფხაზავა**-ს თავდაპირველი ვარიანტი, მეგრულისათვის დამახასიათებელი ფორმა **აფხაზაა**. შდრ. **კუკავა** > **კუკაა**. **აფხაზავა** // **აფხაზაა** ვარიანტებს საფუძვლად უდევს მეგრ. თემონიმი **აფხაზა**, რომელიც მე-11 საუკუნემდე დასავლეთ საქართველოს, ანუ ეგრისის მოსახლეობის ზოგადი სახელი იყო, მერე ქართველთა რიგით მეორე ეთნონიმი გახდა, ბოლოს კი **აფსუა**-ს სინონიმად და, შესაბამისად, ახალი სემანტიკის მქონე ეთნონიმად იქცა. სავსებით შესაძლებელია, რომ **აფხაზა**, ან **აფხაზი** გვარის ეპონიმის მეტსახელი, ან ოფიციალური პირსახელი ყოფილიყო. პ. ცხადაიას მონაცემებით, გვარი **აფხაზავა** დღესაც გვხვდება სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში: საჯიჯაოში, ჩხოროწყუმში, ოქტომბერში, კახათში, ეკში, ჩხორიაში და სხვ. უფრო მეტიც, იგი ადასტურებს შემდეგ ტოპონიმებს: **ლეაფხაზე**, **სააფხაზა** // **სააფხაზო**; **აფხაზეფიში ქუჩა** - აფხაზავებით დასახლებული მცირე უბანი კახაწყარის მარჯვენა მხარეს და სხვ. (ცხადაია, 2000: 54). თ. გვანცელაძე აღნიშნავს, რომ: „არც ნარატიული საისტორიო წყაროები, არც ენობრივი მასალები, არც ფოლკლორული, არც ეთნოგრაფიული მასალა და არც ლაპიდარული წარწერები არ გვიჩვენებენ, რომ აფხაზები ამჟამინდელი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობაა, მეტიც, ისინი ამ მიწა-წყალზე არ ჩანან 1561 წლამდე. ეს ის თარიღია, როდესაც აფხაზები ჩრდ. კავკასიიდან გადმოსახლდნენ დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე“ (გვანცელაძე, 2008: 58). აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ გვარსახელი **აფხაზავა** სულაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ გვარის მტარებელთა ყველა შტოს წინაპრები წარმოშობით ეთნიკური აფხაზები (აფსუები) იყვნენ. ჩვენი ვარაუდით, არსებობს 3 ძირითადი შტოგვარი აფხაზავებისა: 1. წარმოშობით აფხაზები (აფსუები), რომელნიც დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო გაქართველდნენ; 2. ქართველები, ვის წინაპარსაც ოფიციალურ სახელად

აფხაზა „აფხაზი“ ერქვა; 3. ქართველები, ვის წინაპრსაც მეტსახელად აფხაზა ერქვა გარკვეული თვისებების გამო (მაგალითად, ცერემონიების გადაჭარბებული დაცვა, გარეგნობა, თავისებური მეტყველება...). რაც მთავარია, ამჟამად ამ გვარის წარმომადგენელთა უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, თუმცა აფხაზეთში და თურქეთში მოსახლე აფხაზთა (აფსუათა) შორისაც არიან ამ გვარის გააფხაზებული მტარებელნი.

დღეს **ჯიქია** ფართოდ გავრცელებული მეგრულ გვარია და დასტურდება როგორც სამეგრელოში, ასევე აფხაზეთშიც. იგი დამოწმებულია 1621 წელს ხოირში (ამჟ. სოფ. ოხური სამურზაყანოში) მაცხოვრებლის გვარსახელად (ქსდ, III, 1970: 424). გვარის საყრდენი **ჯიქ-** ფუძე 2 მთავარი მნიშვნელობის მქონეა: სულხან-საბას მიხედვით, „**ჯიქი** (ოთხფ.) ვეფხვსა ჰგავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდებენ; ერთს თემსაც ჰქვიან აფხაზეთის მოსამძღვრესთა“ (ორბელიანი, II, 1993: 458). როგორც პ. ცხადაია აღნიშნავს, გვარი **ჯიქია** დამოწმებულია საისტორიო წყაროებში: გვარის ფუძეს აკავშირებენ ცხოველის **ჯიქი** სახელთან, მაგრამ **ჯიქი** აფხაზთა ეთნოგრაფიული ჯგუფის სატომო სახელიცაა. ამასთანავე, **ჯიქ-** ზმნური ფუძე მეგრულში აღნიშნავს უშნოდ ამართულს, აწოწილს. შდრ. **ჯიქიძე** (ცხადაია, 2000: 176). ი. მაისურაძეც მიიჩნევს, რომ **ჯიქი** არის საკუთარ სახელად ქცეული ეთნონიმი (მაისურაძე, 1990: 245). ჩვენი აზრით, გვარსახელი **ჯიქია** ომონიმურ სიტყვა **ჯიქ-**ის ორივე მნიშვნელობას უნდა უკავშირდებოდეს: **ჯიქი**ების ერთი ნაწილი აფხაზური წარმოშობისაა, მეორეს კი ცხოველის სახელის ფუძე უდევს საფუძვლად. ამჟამად ამ ორი შტოგვარის გარჩევა იოლი არ არის ზუსტად ისე, როგორც აფხაზავების შტოგვარებისა.

ხაზარია გვარსახელი პირველად დასტურდება 1616-1621 წწ. დოკუმენტში სოფ. ცაიშში (ქსდ, III, 19970: 439). სამეგრელოში საკმაოდ გავრცელებულია მისი მსგავსი გვარი **ხაზალია**. **ხაზალია** სამეგრელოში გვარიც არის და სახელიც. პ. ცხადაიას აზრით, **ხაზალია**-სათვის ამოსავალია **ხარაზი** სიტყვა: **ხარაზი** > **ხარაზია** > **ხაზარია** > **ხაზალია**. ამასთანავე, გვარი **ხაზალიანი** დამოწმებულია შუა საუკუნეების სვანეთის სულთა მატიაწეებში. შდრ. **ხაზარაძე**, რომელსაც აკავშირებენ პირსახელად ქცეულ ეთნონიმ **ხაზარ**-თან (ცხადაია, 2000: 165). **რ** > **ლ** მონაცვლეობა მეგრულისათვის უცხო არ არის, შდრ. **ქვირითი** > **ქვილითი**... 1867 წლის მუჰაჯირ აფხაზთა სიებში ფიქსირდება სოფ. აბჟაყვაში მცხოვრები ჰუსეინ **ხარაზა** (ხორავა, 2014: 152) და ნარჩოლ **ხარაზი** სოფ.

კელასურიდან (ხორავა, 2014: 152). ბ. ხორავას აზრით, ეს შეიძლება იყოს ქართული გვარსახელი **ხარაზია** (დამატებითი მსჯელობა ამ გვარის შესახებ იხ. ქვემოთ, გვარსახელთა სტრუქტურული მოდელების ნაწილში).

2. 2. 4. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებისაგან მომდინარე გვარსახელები

ჩვენს საანალიზო დოკუმენტებში გამოვლინდა ხელობის, ან თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან წარმოქმნილი რამდენიმე გვარსახელი.

1616-1621 წლებს შორის იხსენიება ვინმე **კანდელაკი**, რომელსაც ემართა საცაიშლო ბეგარა (ქსძ, III, 1970: 450). კანდელაკი საბას განმარტებით არის „მნათე, მნათი [ანუ კანდელების მშენებელი], მესანათე“ (ორბელიანი, I, 1991: 350). მართალია, დოკუმენტის მიხედვით არ ჩანს, კანდელაკი პირსახელია, თუ გვარსახელი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ვინაიდან საანალიზო დოკუმენტები იურიდიულ ხასიათის ატარებს, პიროვნების ჩაწერა მოხდებოდა არა პირსახელით, არამედ გვარსახელით.

მსგავსი შემთხვევაა **მეჯოგე**-სთან დაკავშირებითაც, რომელიც ფიქსირდება ასევე 1616-1621 წწ. სოფ. ცაიშში (ქსძ, III, 1970: 450). **მეჯოგე** „ჯოგის მნე, ჯოგის მოურნე“ (ორბელიანი, I, 1991: 471).

გვარსახელი **მეუნაგრია** ამჟამად გამოითქმის და იწერება **მეუნარგია** ფორმით. პ. ცხადაია წერს: „ეს გვარი ეტიმოლოგიურად ამოსავალი ფორმით „მეუნაგრია“ პირველად მოიხსენიება „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.). აქ დასახელებული არიან ცაიშის საყდრის მებეგრე გლეხები: ქომოკორდა, ცვიარაბია, უჩაკოჩა, ჯუჯუტია, ვამიჩქიდა, ივანეკა, მახიოლია, თოლიოქრო, ხოხოლია, ხუტკუბია, ბერი, იორდანე, ხუხუბია, ურცხოლა, შურიმიდგა, ბახუტა, ხუტულა, ბოხვაი, ლომინა, გიორგილა **მეუნაგრიები** (ქსძ, III, 444-453). ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ მეუნაგრიები ცხოვრობდნენ მეზობელ სოფელ დარჩელშიც (იქვე, 456-459). XVIII ს. მეორე ნახევარში უკვე დასტურდება ვარიანტი **მეუნარგია**: გრიგოლ ცაიშელი აძლევს წყალობის წიგნს ბომიხუხუ მეუნარგიასა და მის შვილს ბებელას, რომელნიც აფხაზეთს „გარდავარდნილნი“, დაუბრუნებიათ და ცაიშს დაუსახლებიათ (ქსძ, III, 1050)“ (ცხადაია, 2000: 111-112). ჯ. როგავამ 1970 წელს წერილობით წყაროებში გამოავლინა საყურადღებო ფაქტი ამ გვარის

ისტორიის შესახებ: XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე გურიიდან ლტოლვილი არჯევან თავართქილაძე მანუჩარ დადიანს შეუფარებია და მისთვის ახალი სახელი და გვარი მიუცია: **გურგოზი დაკარგულია**. ამ არჯევანის ვაჟი ჯუბუტია უნაგირების დამზადების გამორჩეული ოსტატი გამხდარა, რის გამოც მისთვის მორიგი გვარსახელი **მეუნარგია** მიუციათ. ჯ. როგავას აზრით, ასე წარმოშობილა გვარსახელი **მეუნარგია** (როგავა, 1970: 18-19). პ. ცხადაია იზიარებს ამ ვარაუდს და დასძენს: „ხელობის აღმნიშვნელი ტერმინის გვარად ქცევის მორფოლოგიური და ფონეტიკური გზა ასეთია: **მეუნაგირე > მეუნაგირე-ა > მეუნაგრია** (ფუძიდან **ი** ხმოვნის ამოვარდნით) **> მეუნარგია** (რ სონორის გადასმით ხშული თანხმოვნის წინ)“ (ცხადაია, 2000: 112). ვიზიარებთ რა მკვლევრის დასკვნას გვარსახელის მორფოლოგიურ-ფონეტიკური ისტორიის შესახებ, ჩვენი აზრით, მაინც აუცილებელია ზოგი დეტალის დაზუსტება: გვარს ორი მთავარი განშტოება აქვს - ერთ შტოს აზნაურები წარმოადგენდნენ, მეორეს კი - გლეხები. ბუნებრივია, ამის გათვალისწინებით ვივარაუდოთ, რომ სამეგრელოში ჯუბუტია დაკარგულიას (თავართქილაძის) მიერ ხელობის შესწავლამდეც უნდა ეარსება მეუნარგიას გვარის გლეხურ განშტოებას. სხვაგვარად ვერ აიხსნება, რატომ არსებობს მეუნარგიების გვარის ორი, სოციალურად განსხვავებული შტო. ვფიქრობთ, ჩვენს ვარაუდს დაბრკოლებად ვერ ჩავუთვლით იმ ფაქტს, რომ გვარსახელი არ არის ფიქსირებული XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე უფრო ადრინდელ წერილობით წყაროებში - დღეს არსებულ ქართულ გვარსახელთა საგრძნობი ნაწილი სრულებით არ ასახულა XIX საუკუნემდე წყაროებში, მაგრამ მათი არსებობა უფრო ადრე ამის გამო სადავო სულაც არ არის.

2. 2. 5. დროის აღმნიშვნელი გვარსახელები

გვარსახელის წარმოებისათვის ზოგ შემთხვევაში გამოიყენება დროის აღმნიშვნელი სიტყვები. საანალიზო მასალაში დასტურდება დროის აღმნიშვნელი 2 გვარსახელი: **კვირკვია** და **კვრკუჭლია**. რომლებიც სხვადასხვა სოფლებში დასტურდება, შდრ. მეგრ. **კვირკვე** „ივლისი“.

ვარიანტი **კვირკვია** დასტურდება 1616-1621 წწ. საქუჩულორიოს მცხოვრების გვარსახელად (პალ, II, 1993: 507). გვარი **კვირკვია** დღეს დასტურდება ახალ ხიბულაში, ზანაში, კირცხში და სხვ. გამოიყოფა ტოპონიმი **საკვირკვაიო**. პ. ცხადაია მიიჩნევს, რომ

კვირკვა, კვირკვე ბერძნულიდან შეთვისებული პირსახელ კვირიკე-ს ფონეტიკური ვარიანტებია (ცხადაია, 2000: 95), შდრ.: კვირიკობა, კვირიკობისთვე „ივლისი“, სვან. ლაგურკა. გვარის საყრდენი პირსახელი კვირიკობის დღესასწაულსა და ივლისის თვეს უკავშირდება (იხ. ზემოთ).

კვრკუჭლია გვარსახელი პირველად გვხვდება წყალიძგას მცხოვრების გვარსახელად (პალ, II, 1993: 507). გვარის ძველი საცხოვრისი პ. ცხადაიას მიხედვით უნდა იყოს ქვემო ჩხოროწყუ და ჩხოროწყუ. კვირკველიები ცხოვრობენ ასევე თეკლათში, შხეფში. აქ მცხოვრები კვირკველების წინაპრები - ცოლ-ქმარი ეგნატია და აღათია ლანჩხუთიდან მოსულან, იქაც ეს გვარი ჰქონიათ. გვარი ფართოდ გავრცელებული ყოფილა მე-16 საუკუნეში **კუირკუელია** ფორმით. 1550 წლის საბუთში დასახელებულნი არიან წყალიძგას (რიონის ნაპირას) მცხოვრები საეკლესიო გლეხები - გავაშელ, გამიგონი, გუგულა, დედისკეთილა, დოხუჩა, კახაბერა, მაკაკ, მამისარი, მამისარა, პაპა, სანასარა, სვიმონ, მაბუბია **კუირკუელიები** (პალ, II, 1993: 507). იშვიათი საპასპორტო ვარიანტებია: **კვირკვილია** (იმერეთი), **კვირკვინია** (ზუგდიდი), **კვირკელია** (სენაკი). გვარს აკავშირებენ XVII-XVIII სს. სვანეთის სულთა მატთანეში დაფიქსირებულ **კვირკველიან**-თან (თოფჩიშვილი, 1997: 50, 102). ისიც სავარაუდოა, რომ **კვირკველი** არის მეგრული **კვირკვე**-ს (იგივე **კვირიკე**) კნინობითი ვარიანტი. შდრ. **კვირკვეთუთა** „კვირიკობისთვე“ (ივლისი) (ცხადაია, 2000: 95). **კვირკველა** საკუთარ სახელს უკავშირებს ილ. მაისურაძე **კვირკელია** გვარს. მისი აზრით, ამავე ძირისაა: **კვირკველია** და **კვირკველიძე** (მაისურაძე, 1990: 88). სვანეთის წერილობით ძეგლებში დადასტურებულია **კვირიკიანი** დემეტრე და **კვირკელდიანი** იოვანე, რომლებიც ასევე **კვირკვე**-ს უნდა უკავშირდებოდეს (სწმ, II, 1988: 514).

დამოწმებულ მოსაზრებათა და სხვა ფაქტების გათვალისწინებით ჩვენ ვასკვნით შემდეგს: არსებობდა ბერძნული ენიდან ნასესხები ანთროპონიმი: **კვრიკე** // **კუირიკე**, რომლისგანაც ჩამოყალიბდა **კვრკ-უ-ა**, **კვრკუელ** სახეობები. აი, ამ ვარიანტთაგან არის მიღებული ამ ნაწილში განხილული ვარიანტები.

2. 2. 6. ფრინველთა და ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე გვარსახელები

ქართულ გვარსახელებს შორის ძალზე ხშირია ისეთები, რომელთაც საფუძვლად უდევს ფრინველთა და ცხოველთა სახელები, უფრო ზუსტად, ცხოველ-ფრინველთა სახელწოდებებისაგან მომდინარე ანთროპონიმები. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს საანალიზო საბუთებშიც უხვად დადასტურდებოდა ცხოველ-ფრინველთა სახელწოდებებისაგან მომდინარე გვარსახელები, მაგრამ რეალურად ასე არ აღმოჩნდა: ამ ტიპის გვარსახელების საერთო რაოდენობა ერთ ათეულსაც კი არ აჭარბებს.

გვარსახელი **ქორია** წარმოდგენილია 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო დავთარში“, რომლის მიხედვითაც ეს გვარსახელი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა: **ქორია** პირველად დასტურდება სოფ. ცაიშში. აქ დასახელებულნი არიან: მასხუია, სიმამული, მიხილია, ამუნა, ნაცვალი, მაკეთია, მახუტია, ამარცალა, ამასცალა **ქორიები**; ასევე მეზობელ სოფ. დარჩელში ცხოვრობენ: ხუხუჩია, მამდლობა, კვაბალია, ღაღაბია, ხახაუტა, გვანიშია, მახუტა... **ქორიები** (ქსმ, III, 1970: 449; 460-461). **ქორია**, როგორც პ. ცხადაია აღნიშნავს, ამჟამად ძალზე იშვიათი გვარია (ზუგდიდში დაფიქსირდა ორიოდე კომლი), მაგრამ უწინ ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რაზეც მეტყველებს ტოპონიმიკური და ისტორიული მონაცემები. მკვლევრის აზრით, **ქორია** იმერული **ქორიძის** მეგრული ვარიანტი ჩანს. ზუგდიდის რაიონში დასტურდება გვარი **ქორიშვილიც**. შდრ. **ქირია**, **ქორიძე** (ცხადაია, 2000: 141). აღ. ლლონტის მიერ გვარსახელ **ქორიძე**-ს საფუძველზე დამოუკიდებელ ანთროპონიმად გამოყოფილია **ქორ-ი**, ხოლო მეტსახელებად დასახელებულია **ქორ-ა**, **ქორ-ია**, **ქორ-ო** და **ქორ-ის-ა** (ლლონტი, 1986: 208). ჩვენ ვითვალისწინებთ ამ მეტსახელთა და გვანცა გვანცელაძის მიერ გამოვლენილ ცხოველ-ფრინველთა სახელწოდებებისაგან მომდინარე მარტივფუძიან ანთროპონიმთა არსებობის ფაქტებსაც (გვანცელაძე, II, 2009: 70-73) და მივიჩნევთ, რომ სამეგრელოში წარსულშიც არ იყო იშვიათი საკუთრივ მეგრულ ანთროპონიმთა (**ქირი** „ქორი“ ტიპისა) გვერდით ზოგადქართული ანთროპონიმების გავრცელების ფაქტები. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ გვარსახელი **ქორ-ია** იმერული **ქორიძის** ვარიანტი კი არ არის, არამედ უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ **ქორ-ი**, ან კნინობითის სუფიქსიანი **ქორ-ია** ანთროპონიმისაგან.

ფრინველის აღმნიშვნელი სიტყვა **ჩიტი** უდევს საფუძვლად საანალიზო დოკუმენტებში წარმოდგენილ გვარსახელებს: **ჩიტია** // **ჩიტინაა** // **ჩიტაია**. **ჩიტია** პირველად დასტურდება 1621 წელს (ქსძ, III, 1970: 417). **ჩიტ-ია** წარმოდგარია მარტივფუძიანი **ჩიტ-ი**, ან კნინობითობის სუფიქსის შემცველი **ჩიტ-ია-საგან**. მამაკაცის სახელი **ჩიტ-ი** დადასტურებულია ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლესიქინეში (ღლონტი, 1986: 225), ხოლო მარტვილის რაიონში - მამაკაცისა და ქალის სახელი **ჩიტ-ია** (ღლონტი, 1986: 225 და 309), შდრ. აგრეთვე მამაკაცთა სახელები: **ჩიტ-ა**, **ჩიტ-ა-მ**, **ჩიტ-ო**, **ჩიტ-უ-ა** < ***ჩიტ-ო-ა**, **ჩიტ-უნ-ა**, **ჩიტ-ურ-ა** (ღლონტი, 1986: 225), ქალთა სახელები: **ჩიტ-იკ-ო**, **ჩიტ-ო**, **ჩიტ-ოლ-ია**, **ჩიტ-ურ-ა** (ღლონტი, 1986: 309). **ჩიტ-ია** გვარსახელად დღეს თითქმის აღარ დასტურდება, სამაგიეროდ ქართულ სინამდვილეში ფართოდ არის გავრცელებული **ჩიტ-** ძირისგან მომდინარე გვარსახელები: **ჩიტ-ა-ვა**, **ჩიტ-ა-ია**, **ჩიტ-ა-ი-შვილ-ი**, **ჩიტ-ა-ური**, **ჩიტ-აშვილ-ი**, **ჩიტ-ა-ძე**, **ჩიტ-ე-ი-შვილ-ი**, **ჩიტ-იან-ი**, **ჩიტიაშვილი**, **ჩიტ-ი-შვილ-ი**, **ჩიტ-ი-ძე**, **ჩიტ-ო-შვილ-ი**, **ჩიტ-უ-ა-შვილ-ი**, **ჩიტ-უკ-ა-შვილ-ი**, **ჩიტ-უნ-ა-შვილ-ი** (გაგულაშვილი, 1993: 87).

ჩიტინ-აა ვარიანტი დასტურდება 1616-1621 წწ. (პალ, V, 2015: 211). უდავოა, რომ გვარსახელს საფუძვლად უდევს ფრინველის აღმნიშვნელი **ჩიტ-ი** სიტყვისაგან მომდინარე პირსახელი **ჩიტ-ინ-ა**, რომელიც შეიცავს კნინობით-ალერსობითის **-ინ-ა** სუფიქსს.

ჩიტ-ა-ია ვარიანტი, რომელიც დასტურდება 1621 წ. (პალ, V, 2015: 210) ასევე მიღებულია **ჩიტი** > **ჩიტა** მეტსახელისაგან, რომელშიც გამოიყოფა მაანთროპონიმებული -ა სუფიქსი და მაგვარსახელებელი - **-ია**. **ჩიტ-ა-ია** < **ჩიტა** < **ჩიტი**.

1616-1621 წწ. „საცაიშლო დავთრის“ მიხედვით, წყარიგზურს იხსენიება გვარსახელი **მელია** (ქსძ, III, 1970: 473), რომელიც მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან - ამ მეტსახელის მტარებელი შეიძლება ყოფილიყო მატყუარა, ცბიერი, ეშმაკი, ანდა მოხერხებული ადამიანი, თუმცა არც ისაა გამოსარიცხი, რომ ძველად დამოუკიდებელ სახელად არსებულიყო პირსახელი **მელ-ი** (ძველ ტექსტებში ნაგულისხმევ ცხოველს სწორედ ასე ერქვა), ან **მელ-ია** და გვარიც მისგან მომდინარეობდეს. **მელია** // **მელა** ფუძის შემცველი გვარები ფართოდ ყოფილა გავრცელებული სამეგრელოში. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ადასტურებს პ. ცხადაიას მიერ გამოვლენილი ტოპონიმები: **სამელიო** - უჩაღელეში, **ნამელუ** - სახნავი

ჯიხაშკარში. სამელაიო უბანი დასტურდება დღევანდელ აფხაზეთშიც, სოფ. ოქუმში (ს.კ.).

საანალიზო ტიპის გვარი **ლომია** დასტურდება 1621 წ. ხიბულაში მცხოვრების გვარსახელად (ქსმ, III, 1970: 415 – 417). როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, „ცხოველთა მეფის სახელწოდება ადამიანის სახელად გვხვდება ბევრ ხალხში“ (ჭუმბურიძე, 1987: 257). გ. გვანცელაძის ვარაუდით, გვარსახელ **ლომ-ა-ია-ს** საფუძვლად უდევს ანთროპონიმი **ლომ-ა** (გვანცელაძე, II, 2009: 81), შდრ. პირსახელი **ლომ-ა**, რომელიც დასტურდება ძველ ტექსტებშიც და სვანეთის ამჟამინდელ სინამდვილეშიც (დლონტი, 1986: 153), თუმცა არაა გამოსარიცხი ამ გვარსახელის წარმომავლობა ისტორიულად დადასტურებული მამაკაცის **ლომ-ა-ია** პირსახელისგანაც (იხ.: დლონტი, 1986: 153). გვარსახელის ვარიანტი **ლომია** იხსენიება სოფ. ოჩამჩირიდან და გერზეულიდან 1867 წ. გადასახლებულ ნაქართველარ აფხაზთა შორისაც (ხორავა, 2014: 153).

გვარსახელი **ტურაა** პირველად დასტურდება 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო დავთარში“ (ქსმ, III, 1970: 451, 171). **ტურაა** უნდა იყოს **ტურავა-ს** თავდაპირველი ვარიანტი, რომელშიც ბოლოკიდურა **ვ** თანხმოვანი ჯერ კიდევ არ იყო ჩართული. პ. ცხადაიას მონაცემების მიხედვით, გვარი **ტურავა** ამჟამად დასტურდება ცაიშში, ზუგდიდში, ახალ აბასთუმანში. მისივე ცნობით, ამ გვარის მტარებელთა შორის არიან აფხაზეთიდან დევნილებიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გვარი დღევანდელ აფხაზეთსაც მოიცავდა ისტორიულადაც და მოიცავს ამჟამადაც. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, **ტურა**, **ტური**, **ტურუ** სამეგრელოში გავრცელებული პირსახელებია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ნადირის სახელი **ტურა** ქცეულიყო მეტსახელად რაღაც ნიშნით მსგავსების საფუძველზე და შემდეგ მისგან წარმოქმნილიყო გვარი **ტურავა**, შდრ. **ტურაშვილი** (ცხადაია, 2000: 130). **ტურა** საკუთარ სახელს გამოყოფენ ი. მაისურაძე და ალ. დლონტიც (მაისურაძე, 1990: 156; დლონტი, 1986: 195).

ისტორიული საბუთებში დასტურდება ზოგიერთი ისეთი გვარი, რომლებიც დღეს აღარ გვხვდება. ერთ-ერთი ასეთია **ჯოდორია**, რომელიც უკავშირდება მეგრ. **ჯოდორ-ი** „ძალი“ სიტყვას (პალ, V, 2015: 514). **ჯოდორ-ი** სავარაუდოდ მეტსახელად იქცა, ხოლო მისგან მომდინარე **ჯოდორ-ია** - ჯერ პირსახელი, მერე კი გვარსახელი გახდა. **ჯოდორ-ი** საკუთარ სახელს ადასტურებს ალ. დლონტიც (დლონტი, 1986: 252). **ჯოდორია-ს** მიჩნევას გვარსახელად მხარს უჭერს ი. მაისურაძესთან დადასტურებული

გვარი - **ჯოდორიშვილი**, სადაც გამოიყოფა **ჯოდორ-** ფუძე (მაისურაძე, 1990: 247), მაგრამ როგორც ისტორიულ წყაროებში, ისე ამჟამინდელ სინამდვილეში, კერძოდ, მარტვილის რაიონის სოფელ აბედათში რეალურად დასტურდება **ჯოდორ-ი** სიტყვისაგან მომდინარე მეორეული პირსახელი **ჯოდორ-ია** (დლონტი, 1986: 252), რაც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საანალიზო გვარსახელის საყრდენ ფუძედ სწორედ **ჯოდორ-ია** უნდა ქცეულიყო.

ტოროჯია < ტორო(ნ)ჯი „მტრედი“ საყურადღებოა მეგრულ დიალექტში ფონეტიკურ პროცესთა ისტორიისათვის. მტრედის აღმნიშვნელი სიტყვა დღეს შეიცავს ჩანართ **ნ** თანხმოვანს, ამ გვარის ფორმაში კი იგი არ არის წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ საბუთის შედგენის დროს, 1621 წელს ჩანართი ბგერა ჯერ კიდევ არ არსებობდა (იხ. აგრეთვე ქვემოთ გამქრალ გვარსახელთა მიმოხილვაში).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1621 წელს ისტორიულ დოკუმენტში დადასტურებულმა **სამელია** ფორმამ: ნაჟანულში მცხოვრებ **მარსალია სამელიას** ჰმართებია გოჭკუმუ... (ქსმ, III, 1970: 420). ერთი შეხედვით, **სამელია** თითქოსდა უკავშირდება ცხოველის აღმნიშვნელი სახელისაგან მიღებულ გვარს - **მელია-ს** და მისგან ნაწარმოებ ტოპონიმ **სამელია // სამელიო-ს**, თუმცა ამ შემთხვევაში აშკარად ამოსავალია პირსახელი **სამელი**, რაც პ. ცხადაიასა და ი. მაისურაძის მიხედვით **სამოელის**, ან **სამუელის** ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტი ჩანს (ცხადაია, 2000: 125; მაისურაძე, 1990: 143), ხოლო ციტირებულ ადგილას ხსენებული პირის გვარი ამჟამად უკვე გამქრალი **მარსალია** უნდა ყოფილიყო.

2. 2. 7. ციური სხეულებისა და ბუნების მოვლენათა სახელებისაგან

მომდინარე გვარსახელები

შუა საუკუნეებში შედგენილ დოკუმენტებში დასტურდება ისეთი გვარსახელებიც, რომლებიც მომდინარეობენ ციური სხეულების, ან ბუნების მოვლენათა სახელებისაგან. გამოვლინდა რამდენიმე ამ ტიპის გვარსახელი:

ბუნების მოვლენას უკავშირდება გვარსახელი **კაკაჩია** (პალ, II, 1993: 474). საბას ლექსიკონში **კაკაჩი**-ი განმარტებულია როგორც კაშკაშა, მთვარიანი ღამე: „ღამე მთოვარით ნათელი“ (ორბელიანი, I, 1991: 347); ასევე ქეგლ-ში: **კაკაჩი** - კაშკაშა

მთვარიანი (ლამე) (ქეგლ, IV, 1955: 259). მეგრულში იმავე სიტყვის ვარიანტი **კაკაჩი-ია** ცოცხალი სიტყვაა: **კაკაჩია სერ** „კაშკაშა, მთავრით განათებული ღამე“. ვფიქრობთ, ეს სემანტიკა ედო საფუძვლად გვარის საყრდენ პირსახელ **კაკაჩია-ს**. ეს სახელი/მეტსახელი შეიძლება დარქმეოდა პირთეთრ ადამიანს.

1621 წელს შედგენილი დოკუმენტში სოფ. ნაჭანულში დასტურდება გვარსახელი **ღრუბლაია** (ქსმ, III, 1970: 421). გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს მამაკაცისა და ქალის საზიარო პირსახელი და მეტსახელი **ღრუბელა**, რომლებიც რეალურად დადასტურებული აქვთ ა. ღლონტსა და ი. მაისურაძეს (ღლონტი, 1986: 212 და 306; მაისურაძე, 1990: 180). გვარსახელის მიღება ასე გვესახება: **ღრუბლ-ა-ია** < ***ღრუბელ-ა-ია** < **ღრუბელ-ა**. მართალია, უ ხმოვნის კუმშვა ქართველურ საზოგადო არსებით სახელებში ნაკლებად ხდება, მაგრამ ანთროპონიმიაში იგი არცთუ იშვიათად დასტურდება. შდრ. გვარსახელი **ღრუბელ-ა-შვილ-ი** (გაგულაშვილი, 1993: 81). **ღრუბლაია** გვარსახელი დღეს უკვე აღარ დასტურდება, იგი გამქრალ გვართა რიგშია.

ცისკარავა ლომინია პირველად იხსენიება 1621 წ. ახლანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მდინარე მოქვის სათავეებთან ისტორიულად არსებული სოფელ თილითში მცხოვრების გვარად (ქსმ, III, 1970: 430). იგი მომდინარეობს პირსახელისაგან **ცის-კარ-ა**, რომელიც მამაკაცის სახელად რეალურად დასტურდება „ტბეთის სულთა მატიანე“-სა და სხვა ძველ დოკუმენტებში (ტბეთის მატიანე, 1977: 52; ბერძენიშვილი, I, 1940: 425). **ცისკარ-ა** ქალის სახელიცაა სამეგრელოში (ღლონტი, 1986: 311). პ. ცხადაიაც თვლის, რომ **ცისკარავა-ს**თვის ამოსავალია პირსახელი **ცისკარ-ა** (ცხადაია, 2000: 156). იგივე სახელი უდევს საფუძვლად გვარსახელებს: **ცისკარ-ა-ულ-ი**, **ცისკარ-ა-შვილ-ი**, **ცისკარ-ა-ძე**, შდრ. **ცისკარ-ი-შვილ-ი**, **ცისკარ-ი-ძე** (გაგულაშვილი, 1993: 90). მამაკაცის პირსახელი **ცისკარ-ა**, რა თქმა უნდა, აპელატივ **ცისკარ-ისაგანაა** ნაწარმოები. ეს აპელატივი კი, ქეგლის მიხედვით ასე განიმარტება: 1. ყველაზე კაშკაშა პლანეტა, რომელიც დილაობით მოჩანს აღმოსავლეთით, ხოლო საღამოობით - დასავლეთით, - ვენერა. ცისკრის კაშკაში. 2. განთიადი, ალიონი, აისი. 3. (ეკლ.) დილის, განთიადის წირვა, ცისკრის ზარი (ქეგლ, 1986: 539). ამ 3 მნიშვნელობიდან ანთროპონიმს საფუძვლად დაედებოდა სამივე და ასე მივიღებდით ჯერ მამაკაცის სახელ **ცისკარ-ა-ს**, მისგან კი გვარსახელ **ცისკარავა-ს**. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი წმინდა ქართული

ეტიმოლოგიის მქონე გვარსახელები უტარებიათ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად მოსახლე ადამიანებს.

შესაძლოა ამავე ჯგუფს განეკუთვნებოდეს **მირცხულავა**: ამჟამად იგი გავრცელებულია სამეგრელოსა და აფხაზეთში, მათ შორის აფხაზეთშიც. შუა საუკუნეების დოკუმენტებში მხოლოდ რამდენიმე პირი იხსენიება **მირცხულავა** // **მირცულა** ვარიანტებით. **მირცხულავა** ფორმა პირველად დასტურდება 1616-1621 წლებში ხოში მცხოვრების გვარად (პალ, III, 1993: 188). ივ. ჯავახიშვილი **მირცხულავა**-ს უკავშირებდა მეგრულ **მურიცხ**-ი „ვარსკვლავი“ სიტყვას და განმარტავდა როგორც „ვარსკვლავს შვილს“ (ჯავახიშვილი, 2012: 138). მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრის ამ ვარაუდს არ ახლავს აპელატივისა და გვარსახელის ფორმებს შორის არსებული ფონეტიკური სხვაობის ახსნა, პირობით მაინც ვაერთიანებთ დასახელებულ გვარსახელს საანალიზო ჯგუფში. შესაძლოა, გვარსახელ **მირცხულავა**-ს უფრო ადრინდელი ფონეტიკური ვარიანტი იყოს **მირცულა** ვარიანტი, რომელიც დასტურდება 1673-1696 წწ. შედგენილ საბუთში (პალ, III, 2004: 188). თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ **მირცხულავა** და **მირცულა** ვარიანტების მიმართება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: **მირც-ულ-ა > მირცხ-ულ-ა < მირცხ-ულ-ა-ვა. ხ** თანხმოვნის გაჩენა აფრიკატის მომდევნო პოზიციაში ქართველურ ენობრივ მასალაში იშვიათი არ არის.

2. 2. 8. სადაურობის სახელთაგან მომდინარე გვარსახელები

ქართულ გვარსახელთა წარმოებაში აქტიურად მონაწილეობს წარმომავლობა-სადაურობის სახელები. მასალის ანალიზისას გამოვლინდა რამდენიმე გვარი, რომლებიც მიუთითებენ წარმომავლობა-სადაურობაზე და შეიცავენ **-ელ** სუფიქსის შესატყვის **-არ** სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსს. ვინაიდან წარმომავლობა-სადაურობის სახელები ცალკე მდგომ სემანტიკურ ჯგუფსაც ქმნის და დამოუკიდებელ მორფოლოგიურ მოდელსაც, ნაშრომის მოცულობის შეზღუდვის გამო ვამჯობინეთ ამ სახელთაგან ნაწარმოები გვარები მხოლოდ აქ განგვეხილა.

სავარაუდოდ, სადაურობის სახელთაგან მომდინარე გვარსახელის გაჩენა-გავრცელებას განაპირობებდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. ახალ სოფელში დასახლებულ პირს მეორე სახელად შეიძლებოდა დარქმეოდა ძველი საცხოვრისის

სახელისაგან ნაწარმოები სადაურობის ზედსართავი სახელი, მერე კი ეს მეტსახელი პირსახელად, ან გვარსახელადაც ქცეულიყო.

-არ სუფიქსის შესახებ აკ. შანიძე აღნიშნავდა: „ორ ჩვეულებრივ სუფიქსს გარდა (იგულისხმება -ელ და -ურ სუფიქსები - ს.კ.) ვინაობის აღსანიშნავად (სახელდობრ, ადამიანის ვინაობის გამოსახატავად) გვაქვს კიდევ ერთი იშვიათი სუფიქსი -არ, რომლის საშუალებითაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გვაქვს ნაწარმოები. პირველ ყოვლისა ეს სუფიქსი გვხვდება ისეთ ცნობილ ეთნიკურ ტერმინებში, როგორიცაა: **ოდიშ-არ-ი, სომხით-არ-ი, ოპიზ-არ-ი, მტბევ-არ-ი...**“ (შანიძე, 1981: 33). ყველგან ძირეული სიტყვით აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტის მაცხოვრებელი იგულისხმება: **ოდიშელი, სომხითელი, ოპიზელი, ტბეთელი** (შანიძე, 1981: 33-34).

ა. კიზირია იზიარებდა ა. შანიძის თვალსაზრისს -არ სუფიქსთან დაკავშირებით და ასახელებდა **ოდიშ-არ-ია** ტიპის გვარებს: **ხუნწარია** - ხუნწი სოფელი მარტვილის რაიონში; **კირცხალია** < **კირცხარი**: კირცხი - სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. იგი მიიჩნევს, რომ მეგრულში „-ურ სუფიქსის ადგილს იკავებს -არ სუფიქსი (ქართული -ელ-ის შესატყვისი) მრავლობით რიცხვში: **აბაშარეფი = აბაშელები, ზუგდიდარეფი = ზუგდიდელები**“ (კიზირია, 1985: 47-48).

-არ სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსად მიაჩნია ი. მაისურაძეს გვარში: **თაბაგ-არ-ი**, რომელიც **ოდიშარ-ისა** და **ოპიზარ-ის** ტიპისაა (მაისურაძე, 1981: 70).

ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ ქართულში ზოგი პირსახელი (**ბირთველ, ორბელ** და სხვ.) იწარმოება ადგილის სახელისაგან. შემდგომში ასეთი სახელებისაგან იწარმოება გვარიც: **თორელი, ორბელიანი, ოდიშელიძე** და ა.შ. მაგრამ უფრო ხშირად სადაურობის სიტყვა პირდაპირ გვარად არის ქცეული ისე, რომ ადრე პიროვნულ სახელად არ ყოფილა გამოყენებული. ასეთი გვარი მეტწილად უშუალოდ ემთხვევა სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც ადგილის სახელისაგან **-ელ** სუფიქსით არის ნაწარმოები: **გავაშელი, ბოტკოველი, ზანდუკელი...** კოლხურში სადაურობას აწარმოებს -არ სუფიქსი: **ხოტივარი, ცხომარია** („ცხომელი“, ანუ სოხუმელი), **ოდიშარია** (ოდიშელი), **კოკაია** (< კოკარია - კოკელი) (ჭუმბურიძე, 1987: 315).

ვ. მაღრაძის დასკვნით, სადაურობის აღმნიშვნელ გვარსახელებს აწარმოებს: **-ელ, -ურ // -ულ, -არ, -ერ, მ- ... -ელ**. ამათგან ძირითადია **-ელ - -ურ // -ულ, -არ** კი შედარებით იშვიათად ვლინდება (მაღრაძე, 2006: 147).

ეთნოლოგ რ. თოფჩიშვილის თვალსაზრისით, ტოპონიმიზებული გვარებს ძირითადად საფუძვლად უდევს სოფლის სახელი (ოიკონიმი) (შდრ. **თუხარელი** სოფ. **თუხარის**-იდან). ტოპონიმიზებული გვარსახელის მტარებელნი მიგრანტები, ან მათი შთამომავალნი ხდებოდნენ. საგულვებელია, რომ ასეთი გვარების მტარებელთა წინაპრები ადრე სხვა გვარს ატარებდნენ. თუმცა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ისეთი ტოპონიმიზებული გვარებიც გვაქვს, როდესაც მათი წარმოქმნა მიგრაციას არ უკავშირდება და მიუთითებს ამა თუ იმ გვარის აღნიშნულ სოფელში მოსახლეობაზე (შდრ. **ჩოხელე** მოსახლეობენ გუდამაყრის სოფ. **ჩოხ**-ში) (თოფჩიშვილი, 2003: 5).

ჩვენს მასალაში გამოვლინდა სადაურობის სახელთაგან ნაწარმოები რამდენიმე გვარი, რომლებიც შეიცავენ საყრდენი ტოპონიმის ფუძეზე დართულ სადაურობის აღმნიშვნელ -არ სუფიქსსა და მაგვარსახელებელ -ია სუფიქსს. ესენია: **კონჯ-არ-ია**, **კუატ-არ-ია**, **კოდ-არ-ია**, **ლატ-არ-ია**, **მარტვილ-ა-ია** (< ***მარტვილ-არ-ია**), **ცხომ-არ-ია**, **წებლ-არ-ია** (< ***წებელ-არ-ია**). ასეთ გვარსახელთა გაჩენა-გავრცელების ერთ-ერთი მიზეზია გვარის ეპონიმის მიერ პირველი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სხვადასხვა მიზეზით. ჩვენ მიერ მოძიებული ზოგიერთი გვარსახელის, მაგალითად, **კონჯარია**-ს, **კუატარია**-სა და **კოდარია**-ს შემთხვევაში ჭირს გამოვლენილი ტოპონიმის ზუსტად ლოკალიზება.

გვარსახელი **კონჯარია** დოკუმინტირებულია XVII საუკუნეში. კერძოდ, 1616-1621 წლებში შედგენილი „საცაიშლო გამოსავალი დავთრის“ მიხედვით, კონჯარიებს უცხოვრიათ ნაჟანულში (დღევანდელი ოტობაია) (ქსმ, III, 1970: 422-423; პალ, II, 1993: 525). ნ. ჯომიდავა გვარის ეტიმოლოგიის ორ ვარიანტს გვთავაზობს, რომელთაგან ერთი ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო წარმოადგენს და ამიტომ აქ არ ვიმოწმებთ, მეორე ვარაუდი კი შემდეგს გულისხმობს: თუ გვარში -არ წარმომავლობის სუფიქსია, მაშინ იგი უნდა ნიშნავდეს „**კონჯელს**, **კონჯის** მცხოვრებს“ (ჯომიდავა, 2000: 196). პ. ცხადაია **კონჯარია** გვარში გამოყოფს სადაურობის -არ სუფიქსს, ხოლო **კონჯა**, მისი აზრით, უნდა იყოს ტოპონიმი, რომლის ადგილსამყოფელი საძიებელია. გვარი გავრცელებულია სამეგრელოში (ობუჯი, ხიბულა, ნოჯიხევი და სხვ.), დასტურდება ტოპონიმი **საკონჯარიო**-ც (ძვ. ხიბულა) (ცხადაია, 2000: 99). ა. ქობალიას მიხედვით, **კონია(ჯა)**, ასევე **კონჯა** მეგრულში აღნიშნავს „მაგარმერქნიან ხეს“, ხოლო **კონჯარი** - „ხესავით მაგარ კაცს“ (ქობალია, 2010: 372). ჩვენი აზრით, გვარი უფრო ტოპონიმიზებულია,

ვიდრე სხვა ტიპისა. აქვე დავძენთ, რომ იგი დღესაც დასტურდება აფხაზეთში, გალისა და ოჩამჩირის რაიონებში და მის ამჟამინდელ მტარებელთა ერთი ნაწილი ეროვნულად აფხაზია, მაგრამ გვარს სრულებით არ ემეზნება არანაირი ეტიმოლოგია აფხაზურ ენაზე.

ძველ წყაროებში დადასტურებულია გვარები: **კუატარია** და **კოდარია**, რომლებიც დღეს აღარ გვხვდება. 1621 წლის შედგენილი საბუთის მიხედვით, ნაჟანულს მცხოვრებ კოჩივარა **კუატარიას** ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსმ, III, 1970: 420), ხოლო ხოთოჯია **კოდარიას** - ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსმ, III, 1970: 465). პ. ცხადაიას ვარაუდით, **კოტა** მეგრული პირსახელია და მისგან უნდა მომდინარეობდეს გვარსახელის საყრდენი **კოტა-რ-ი** ფუძე, შდრ. პირსახელები: **კოტია**, **კოტუა** (ცხადაია, 2000: 101), რაც ჩვენ ნაკლებდამაჯერებლად გვეჩვენება, ვინაიდან არ არის დასაბუთებული რ ელემენტის ფუნქცია. ჩვენი აზრით, მეტი საფუძველი არსებობს, რათა **კუატ-არ-ი** მივიჩნიოთ სადაურობის -არ სუფიქსიან ამოსავალ სახელად, ხოლო **კუატ-არ-ია** და **კოდ-არ-ია** - მისგან მომდინარე ფონეტიკურ ვარიანტებად: უა კომპლექსისაგან **ო** ხმოვნის მიღება ბუნებრივია მთელ ქართველურ ენობრივ სივრცეში ისევე, როგორც გამჟღერების ნიადაგზე **ტ > დ** პროცესი.

გვარი **ლატარია** პირველად დასტურდება 1616-1621 წლების საბუთში ცაიშში მცხოვრები ორი პირის გვარად: კოჩილა და ხუხულია **ლატარიებისა** (ქსმ, III, 1970: 438). გვარსახელი **ლატარია** ფართოდ არის გავრცელებული სამეგრელოში. სავარაუდოდ, გვარი უკავშირდება აფხაზეთში, მდინარე კოდორის ზემო წელზე მდებარე სოფელ **ლათა-ს** სახელს. ლათას მცხოვრები მეგრულად იქნებოდა **ლათ-არ-ი** „ლათელი“. როგორც ჩანს, გვარსახელში მომხდარა ყრუ ფშვინვიერი **თ** ბგერის გამკვეთრება და ბოლოკიდურად მაგვარსახელებელი -ა სუფიქსის დართვა: **ლათარი > ლატარი > ლატარია** (ცხადაია, 2000: 104). აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე წარმოშობისაა დღეს უპირატესად აფხაზთა შორის გავრცელებული გვარსახელი **ლადარია**, რომელშიც, ჩვენი აზრით, იგივე ფუძისეული **თ** თანხმოვანი გამჟღერებულა.

გვარი **მარტვილაია** დასტურდება დარჩელში 1616-1621 წლებში (პალ, III, 2004: 67). **მარტვილი** ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონია სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში. ნ. ჯომიდავას მიხედვით, **მარტვილაია** წარმომდგარია **მარტვილ-**ისაგან. **მარტვილი** ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს „წამებულს“ (ჯომიდავა, 2010: 234). ვფიქრობთ, **მარტვილაია** გვარსახელში აღსადგენია სადაურობის -არ სუფიქსი. შდრ.

მარტყოფლიშვილი - მარტყოფელი (მაისურაძე, 1981: 102). შესაბამისად, გვარისათვის ამოსავალია მარტვილ-არ-ი ფორმა. მარტვილ-არ-ი „მარტვილელი“ > მარტვილ-არ-ია > მარტვილ-ა-ია.

გვარი ცხომარია დოკუმენტებში დასტურდება XVI საუკუნიდან - ცხომარია ს[ა]ლთამს ემართა ხობის ღვთისმშობლის ხატის ბეგარა. XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში ასევე დასახელებულია ცხომარია ბიძაბი ხობში (ქსმ, III, 1970: 349-350; პალ, V, 2015: 289). დადგენილია, რომ ცხომარია-სათვის ამოსავალია ცხომ //ცხუმ ტოპონიმი. სადაურობის მეგრული სახელი ცხომ-არ-ი, რომლისგანაც მომდინარეობს გვარსახელი ცხომ-არ-ია ისევე, როგორც ცხომ-ელ-ი, რომელსაც ემყარება გვარსახელი ცხომ-ელ-ი-ძე, ნიშნავს ცხუმის ბინადარს, ანუ ცხუმელს (მაისურაძე, 1981: 210; ჭუმბურიძე, 1987: 315; ცხადაია, 2000: 157). აფხაზოლოგი თ. გვანცელაძე სოხუმ-ს ცხუმ-ისაგან მომდინარედ მიიჩნევს. მისი სიტყვით, „ქალაქ სოხუმის (< სვან. ცხუმ „რცხილა“) აღსანიშნავად ქართულად წერენ XIX საუკუნის რუსულ ფორმას „Cyxym“. (გვანცელაძე, 2011: 507). იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ქალაქის სახელწოდება ცხუმი // ცხომი დასტურდება VIII საუკუნიდან, თუმცა შექმნილი უნდა იყოს გაცილებით ადრე (გვანცელაძე, 2009: 43). ცხომ- ძირისაგან ნაწარმოები გვარსახელი ცხომ-იან-ი დამოწმებულია შუა საუკუნეების „სვანეთის სულთა მატიანეში“. აღსანიშნავია, რომ სვან. ცხომ-იან-ი ვარიანტი სტრუქტურულად განსხვავდება გვარსახელ ცხომ-არ-ია-საგან: მასში არ არის სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი, რაც გვაფიქრებინებს, რომ სვანური სახელი მოდის არა ქალაქ ცხუმის სახელისაგან წარმოქმნილი სადაურობის სახელიდან, არამედ რცხილის სვანური სახელისაგან მომდინარე ანთროპონიმ ცხომ-ისგან. არსებობს ცხომარია პირსახელიც (ღლონტი, 1986: 231). ამრიგად, გვარი ცხომ-არ-ია მომდინარეობს სადაურობის ცხომ-არ-ი „ცხომელი“ სახელისაგან, რომელიც პირსახელადაც იხმარება დღემდე.

1621 წელს ხაუჟელში დადასტურებულია გვარი წებლარია (პალ, V, 2015: 306). ნ. ჯომიდავა თვლის, რომ წებლარია არის წებელდის მკვიდრი, წებელდელი, რომელშიც დაკარგულია ე და დ ბგერები (ჯომიდავა, 2000: 421). წებლარია გვარსახელთან დაკავშირებით საყურადღებოა თ. გვანცელაძის თვალსაზრისი. აფხაზეთის სუბსტრატული ქართველური მაკროტოპონიმების განხილვისას, იგი ვრცლად მსჯელობს ოიკონიმ წებელდა-სა და მისგან მიღებულ გვარსახელ წებლარია-ს შესახებ.

მკვლევრის სიტყვით, ისტორიულ თემსა და ამჟამინდელ სოფელს აფხაზური მოსახლეობა თავიანთ დედაენაზე **წაბალ** სახელით აღნიშნავს, ხოლო ქართულ წყაროებში ეს თემი და მდ. კოდორის შუა და ზემო წელი **წებელ-ი** სახელით არის ცნობილი. მეცნიერის აზრით, **წებელ-** ვარიანტის სიმკვლეზე მიუთითებს აშკარად ამ ფუძისაგან მომდინარე მამაკაცის სახელი **წებელ-არ-ა**, რომელიც სადაურობის მაწარმოებელ **-ელ** სუფიქსის მეგრულ-ლაზურ შესატყვის **-არ** დაბოლოებას და კნინობითობის **-ა** სუფიქსს შეიცავს. სავარაუდოდ, **წებელ-ი** ფორმა მომდინარეობს წაბლის წინარექართველური ამოსავალი ***წაბალ-ი** სახეობისაგან. მართალია, აფხაზური **წაბალ** ოიკონიმი სრულად ემთხვევა წინარექართველურ არქექიპს, მაგრამ იგი არანაირად არ იხსნება აფხაზურ ენაზე. მკვლევარი აქვე აღნიშნავს, რომ ამჟამინდელი ქართული ვარიანტი **წებელდა** ცარისტული რუსეთის მიერ XIX საუკუნეში შექმნილია ხელოვნურად **წებელისა** და **დალის** სახელთა შერწყმით: **წებელ-დალ** კომპოზიტიდან წარმოიქმნა **წებელდა**. საბოლოოდ, მეცნიერი ასკვნის, რომ „ტოპონიმი **წაბალი** „წაბლი“ შექმნილია წინარექართველურ ენაზე ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნიდან ახ. წ. დასაწყისამდე პერიოდში. ახ. წ. დასაწყისიდან 554 წლამდე გაჩნდა ახალი **წებელი** ვარიანტი, რომელიც თითქმის XX საუკუნემდე გამოიყენებოდა. სწორედ ამ უკანასკნელი სახეობისგანაა მიღებული XVII-XVIII საუკუნეებში მიღებული აფხაზური **წაბალ** ფორმა“ (გვანცელაძე, 2011: 181-185).

გვარსახელი **გავაშელი** დასტურდება 1621 წ. სოფ. ტყაურუში (ქსმ, III, 1970: 434). იგი ნაწარმოებია სადაურობის გამომხატველი **-ელ** სუფიქსის საშუალებით. **გავაშელი** საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ, იგი, ჩვენს საანალიზო დოკუმენტებში პირსახელადაც დადასტურდა (იხ. ზემოთ).

ამრიგად, გაანალიზებული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თითოეული სუფიქსი: **-ია < -იან // ი-ა < ე-ა, -უა < უ-ა // -უ-ა < ო-ა, -ვა, -ში, -სქირ, -სქუა, -ბერი < ბერე**, რომლებიც ვლინდება გვარების მაწარმოებლად, წმინდა ქართული წარმოშობისაა და მათ შორის არ დასტურდება აფხაზური წარმომავლობის არცერთი მაგვარსახელებელი დაბოლოება.

2. 2. 9. გამქრალი გვარსახელები

შუა საუკუნეებში შედგენილ დოკუმენტთა მნიშვნელობაზე სხვადასხვა ადგილას გვქონდა საუბარი და აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი წარმოადგენს ერთგვარ საგანძურს ქვეყნის ისტორიისა. მათ მიხედვით გამოვლინდა რამდენიმე ისეთი გვარსახელი, რომლებიც დღეს უკვე გამქრალია. კერძოდ, 1621 წელს შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ დასტურდება გვარსახელი **არტონია**: სოფ. მუხურში ცხოვრობენ მამულია, გაგო და ქშია (< ქრისტეშია) **არტონიები** (ქსმ, III, 1970: 427-428). გვარისათვის ამოსავალია ბერძნული სახელი **ანტონი**, ხოლო **არტონია** მის ფონეტიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს, სადაც **რ** და **ნ** ბგერები ენაცვლება ერთმანეთს: **არტონია** < **არტონი** < **ანტონი**. გ. ბედოშვილი თვლის, რომ **არტონია** არის იგივე **ანტორია** სოფელი ტყიბულის რაიონში (გვარი ტოპონიმად) (ბედოშვილი, 2013: 28), რაც მოკლებულია დამაჯერებლობას.

1621 წლის საბუთში დასტურდება გვარსახელი **დავითია** სოფელ ნაჟანულში მცხოვრების გვარად (ქსმ, III, 1970: 421). გვარსახელს საფუძვლად უდევს კანონიკური ებრაული პირსახელი **დავითი**, რომელსაც დართვია -ია სუფიქსი: **დავით-ი** > **დავით-ი-ა**. სხვა ვარაუდით, ის უნდა წარმოადგენდეს დღეს ფართოდ გავრცელებული **დავითაია** გვარსახელის ვარიანტს, რაც ნაკლებად მოსალოდნელია.

სოფ. ხოირში 1621 წელს იხსენიება **გავაშელ დამაკოჩია** (ქსმ, III, 1970: 424). გვარსახელად შეიძლება მიგვეჩნია დღეს ფართოდ გავრცელებული **გავაშელი** და არა **დამაკოჩია**, მაგრამ **გავაშელი** აქ პირსახელი უნდა იყოს და საამისო საფუძველს გვაძლევს, ერთი მხრივ, გვარსახელების -ია დაბოლოება **დამაკოჩია** ფორმაში, ხოლო მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ **გავაშელი**, როგორც პირსახელი, რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება ჩვენს მასალებში: **გავაშელ** კიტია (ქსმ, III, 1970: 426); კვრკუჭლია **გავაშელ** (პალ, II, 1993: 507). **დამაკოჩია** „დამა კაცი, დამა კაცუნა“. გვარსახელის მეორე **კოჩი** კომპონენტს ერთვის -ა სუფიქსი, რომელიც კნინობას გამოხატავს. **კოჩი-ი-ა** „კაცუნას“ მნიშვნელობით გამოიყენება მეგრულში, **დამა** ფუძის სემანტიკა კი გასარკვევია.

ტოროჯია გვარსახელი დასტურდება სოფ. თილითში (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 430). გვარსახელს საფუძვლად უდევს მტრედის აღმნიშვნელი მეგრული **ტორო(ნ)ჯი**, რომელიც ჯერ უნდა ყოფილიყო საკუთარი სახელი, ხოლო მოგვიანებით იქცა გვარსახელად. ქართულში ხშირად გვხვდება ცხოველებისა და ფრინველების

აღმნიშვნელი სახელები ანთროპონიმებად. როგორც გ. გვანცელაძე აღნიშნავს, ამ ტიპის სახელები როგორც დიალექტებში, ასევე სამწიგნობრო ენაშიც ადამიანის დადებით და უარყოფით მახასიათებლებად გვევლინება. მტრედი დადებითი ხასიათის მატარებელია (გვანცელაძე, II, 2009: 89).

დღევანდელი მონაცემების გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნულის გარდა, გამქრალ გვარსახელთა რიცხვს მიეკუთვნება ის გვარები, რომლებიც დადასტურდა ჩვენს საკვლევ საბუთებში XVII საუკუნეში, ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე. ესენია: **თიფშუა** (1621) (ქსძ, III, 1970: 428), **თუთაშხია** (1621) (ქსძ, III, 1970: 429), **კაკუა** (1621) (ქსძ, III, 1970: 425), **კაპარჭია** (1616-1621 წწ.) (პალ, II, 1993: 428), **კვაჭალია** (1616-1621 წწ.) (პალ, II, 1993: 500), **კუატარია** (1621) (ქსძ, III, 1970: 420), **კოდარია** (1621) (ქსძ, III, 1970: 465), **მარსალია**, **მითანაფია** (პალ, III, 2004: 167), **მჭიფია** (1616-1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 447), **ჟვანესკირია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 429), **რუსაყია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 422), **საღდაყია** (1616-1621 წწ.) (პალ, IV, 2007: 128), **საღარია** (1616-1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 450), **სუბუქია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 420), **ფალია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 435), **ფიცხუა** (1621 წ.) (პალ, IV, 2007: 324), **ფაცხლია** (1616 - 1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 479), **ქორჩოლუა** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 426), **ქუცურავა** (1616 - 1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 480), **ღვაჭაჭია** (1616 - 1621 წწ.) (ქსძ, III, 1970: 454), **ღრუბლაია** (1621) (ქსძ, III, 1970: 421), **ღუამჭითავა** (პალ, IV, 2007: 413), **ღუაჯაგია** (1621 წ.) (პალ, IV, 2007: 413), **შამბია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 434), **შარინავა** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 430), **თასია ჩერჩია** (1621 წ.) (ქსძ, III, 1970: 429), **ცისტარია** (პალ, V, 2015: 245), **წაწულუა** (1628 წ.) (პალ, V, 2015: 306), **ხისტარია** (1621 წ.) (პალ, V, 2015: 395), **ხერაკია** (1616 - 1621 წწ.) (პალ, V, 2015: 377), **ჯოდორია** (პალ, V, 2015: 514)...²

² **შენიშვნა:** ჩამოთვლილი გვარსახელები გაანალიზებულია შესაბამის ადგილებში, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

2.3. გვარსახელთა სტრუქტურული მოდელები

2. 3. 1. სიტყვაწარმოებითი მოდელები გვარსახელებში

ქართველური ანთროპონიმული სისტემა ერთიანია და უძველესი. ამ ერთიანობის ფარგლებში გვარსახელებს გარკვეული ლოკალური თავისებურებანი ახასიათებთ როგორც სემანტიკის, ასევე წარმოების თვალსაზრისითაც. შუა საუკუნეებში შედგენილი საეკლესიო-ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს ისტორიული ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიას, კარგად ასახავენ იმ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელია მეგრული გვარსახელების წარმოებისათვის. ნაშრომის ამ ნაწილში წარმოვადგენთ XI-XIX საუკუნეებში შედგენილ საეკლესიო-ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულ გვარსახელთა სტრუქტურულ ანალიზს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა გვარსახელების მაწარმოებელ სუფიქსთა წარმოშობასთან დაკავშირებით. ამ საკითხებზე გამოთქმულია ნ. მარის, ს. ჯანაშიას, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძის, პ. ცხადაიას, თ. გვანცელაძისა და სხვათა მოსაზრებები. გამოყოფენ 13 დაბოლოებას. ამ დაბოლოებათაგან ზოგი სიტყვაწარმოებითი მორფემაა (მაგალითად, -ია, -ვა, -იან, -ურ, -ელ, -ულ), ზოგიც ბრუნვის ნიშანი(-იშ-ი) ან მორფემოიდი, ანუ საზოგადო სახელი, რომელმაც სიტყვაწარმოებითი ფუნქცია მიიღო, მაგალითად, -ძე, -შვილ-ი, -ბერე, -სკირ-ი, ჭკორ-ი (ცხადაია, 2000: 11). სამეგრელოში გავრცელებულ გვარსახელებში ყველაზე პროდუქტიულია -ია სუფიქსი, რომელსაც სიხშირის მხრივ მოსდევენ -ვა, -ძე, -უა და სხვა აფიქსები (ცხადაია, 2000: 11). რაც შეეხება აფხაზეთში წარმოდგენილ აფხაზურ (აფსუურ) გვარსახელებს, ისინი განსხვავდება ქართული გვარსახელებისაგან მორფოლოგიური მოდელებითაც და აფიქსებითაც. თ. გვანცელაძე, რომელმაც საგანგებოდ გამოიკვლია აფხაზურ გვარსახელთა სტრუქტურული მოდელების ისტორია, გამოყოფს აფხაზურ გვარსახელთა 6 სტრუქტურულ-მორფოლოგიურ მოდელს:

1. უაფიქსო, წმინდა ფუძის სახით წარმოდგენილი გვარსახელები, რომელთა ნაწილი წარმოადგენს აფხაზური წარმოშობის, ან ნასესხებ არსებით და ზედსართავ სახელთა ფუძეებს (პირსახელებს, სადაურობის სახელებს, ეთნონიმებს...): აუხათ (პირსახელი), ჰაშგგ (პირსახელი), ბაგაფშ „მწითური ტურა“, გუბაზ (პირსახელი)...

2. ზოგადობის აფხაზური ა- პრეფიქსის შემცველი „უსუფიქსო“ გვარსახელები, რომლებიც ქართველური წარმომავლობისაა და აფსუიზაციის დროს ჩამოცილებული აქვთ ქართველური მაგვარსახელებელი ფორმანტები: ა-მარშან < ქართ. მარშან-ია < მარუმ-იან-ი // მარუმ-ის-ძე, ა-მფარ < ქართ. მეფორ-ია, ა-ნქაბ < ა-მქაბ < ქართ. მექვაბ-ია, ა-ჯგნჯალ < ქართ. ჯინჯოლია...;

3. აფხაზური-იფა „მისი (მამაკაცის) ძე“ სუფიქსოვით ნაწარმოები გვარსახელები: ინალ-იფა „ინალის ძე“, ლად-იფა „ლადის ძე“, პატე-იფა „პა(ა)ტას ძე“, ძაფშ-იფა „ძაფშის ძე“...;

4. -იფა სუფიქსოვით საგან მომდინარე -ბა სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებსაც ზოგჯერ ზოგადობის აფხაზური ა- პრეფიქსიც ერთვის: აგრ-ბა „მეგრელისძე“, (ა-)ჟი-ბა „მჭედლისძე“, ა-რძენ-ბა „ვერცხლისძე“, დელ-ბა „დელისძე“...;

5. იმავე -იფა სუფიქსოვით საგან მომდინარე -იბა // -იბა სუფიქსიანი გვარსახელები: აბდ-იბა „აბდისძე“, ადლე-იბა „ადლასძე“, გადლ-იბა „გადელისძე“ (აფსუიზებული ქართული გვარია), ლე-იბა „ლაისძე“...;

6. -აა სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებიც 2 ქვეჯგუფს ქმნიან: 1. აფხაზური წარმოშობის გვარები, რომლებსაც დართული აქვს კრებითი მრავლობითის მაწარმოებელი -აა სუფიქსი: ა-ბლაჯ-აა „ზურგკუზიანნი“, ა-შხარ-აა „მთიელნი“ (შდრ. გვარსახელი და სადაურობის სახელი ა-შხარ-უა „მთიელი“), აქერთ-აა „ქართველნი“...; 2. მეგრული -[ვ]ა დაბოლოებიანი გვარსახელები, რომლებიც წინა ქვეჯგუფის გვარსახელთა ანალოგიით გაფორმებულია აფხაზური კრებითობის -აა სუფიქსით: კებრ-აა // კებრ-აა < ქართ. კუპრა-ვა, ლაფლ-აა < ქართ. ლაგვილა-ვა, ჭეთან-აა < ქართ. ჭითანა-ვა, სგჭენ-აა < ქართ. სიჭინა-ვა... (გვანცელაძე, 2011: 136-142).

იმავე მკვლევრის დაკვირვებით, „აფხაზური გვარსახელების არცერთი მოდელი არ დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებში გვიანდელ შუა საუკუნეებამდე“ (გვანცელაძე, 2011: 145). რაც მთავარია, აფხაზურ გვარსახელთა მოდელებიდან აზაზურ გვარსახელებთან საზიაროა მხოლოდ უაფიქსო და კრებითობის სუფიქსიანი გვარსახელთა მოდელები, აგრეთვე -ბა სუფიქსიანი რამდენიმე გვარსახელი. -ბა სუფიქსიანი გვარები გავრცელებულია აშხარელ აზაზებს შორის, აშხარელების 60 ოჯახი კი XX საუკუნის 20-იან წლებში აფხაზთა დემოგრაფიული წილის გასაზრდელად ჩამოასახლეს აფხაზეთში, ისინი უკან მეორე მსოფლიო ომამდე დაბრუნდნენ უკვე -ბა

სუფიქსით გაფორმებული აფსუიზებული გვარებით (გვანცელაძე, 2011: 146-148), თუმცა მალევე გადაუკეთდათ გვარსახელები რუსულ ყაიდაზე - ფუძეს ჩამოაცილეს -ბა დაბოლოება და დაურთეს რუსული -ოვ(-ა) სუფიქსი.

თ. გვანცელაძე ამ და სხვა ფაქტების გათვალისწინებით დაასკვნის, რომ „აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის არსებობის პერიოდში (XVI საუკუნემდე) არც აფხაზებს (აფსუებს) და არც აბაზებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ -იფა > -იბა > -ბა დაბოლოებიანი გვარსახელები და მათ შორის გავრცელებული იყო მხოლოდ უსუფიქსო და კრებითობის -რჟა > -რაა > -აა სუფიქსიანი გვარები. რაც შეეხება -იფა > -იბა > -ბა სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელებს, ისინი უნდა შექმნილიყო XVI საუკუნის შემდგომ, აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დასახლების მერე, ქართული -ძე და -შვილი დაბოლოებიანი გვარსახელების ანალოგიით“ (გვანცელაძე, 2011: 148-149).

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ისტორიული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ საკვლევ პერიოდში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარზე, კერძოდ, ენგურ-კოდორის შუამდინარეთში არ არსებობდა აფხაზურ-აფსუური წარმომავლობის არცერთი გვარსახელი, სამაგიეროდ უხვად დასტურდება ქართული გვარსახელები, რომლებშიც ვლინდება ყველა ის ქართველური მოდელი და სიტყვათმაწარმოებელი აფიქსი, რომლებიც მეცნიერთა მიერ მიჩნეულია მეგრულ გვარსახელთა ტიპურ მახასიათებლებად. ესენია: -ია, -უა, -ვა, -ში, -სჟირი, -სჟუა, -ბერ-ი. გარდა ამისა, დასტურდება კომპოზიტური წარმოების გვარსახელები და ტოპონიმიზებული გვარსახელები, რომლებშიც შესაბამისი სუფიქსის დართვით იკვეთება ამა თუ იმ გვარის მატარებლის წარმომავლობა-სადაურობა. შესაბამისად, მაწარმოებელ სუფიქსთა და შემადგენელ კომპონენტთა გათვალისწინებით გამოვყოფთ გვარსახელთა შემდეგ სტრუქტურულ მოდელებს:

1. -ია დაბოლოებიანი;
2. -ვა დაბოლოებიანი;
3. -უა დაბოლოებიანი;
4. -ში დაბოლოებიანი;
5. -სჟირი, -ბერი სუფიქსოიდეებიანი;
6. კომპოზიტური წარმოებისანი.

რაც შეეხება გვარსახელთა საყრდენი ფუძეების სემანტიკურ ჯგუფებად დაყოფას, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში უდავოდ გამოიყოფა 3 დიდი ჯგუფი იმ ფუძეებისა, რომელთაგანაც ჩანს მიღებული საანალიზო გვარსახელები:

1. ანთროპონიმები (მხოლოდ მამაკაცის პირსახელები და მეტსახელები);

2. ხელობა-საქმიანობისა და სოციალური მდგომარეობის ამსახველი სახელები, რომლებიც ხშირად ანთროპონიმიზაციის შემდეგდა გამოყენებულან გვარსახელთა საყრდენ ფუძეებად;

3. სადაურობის სახელები, რომლებიც ბევრად უფრო იშვიათად ჩანან ანთროპონიმიზებულნი, ვიდრე ხელობის სახელები და სოციალური ტერმინები.

ამ სამი ჯგუფიდან წინამდებარე ნაშრომში ზემოთ უკვე განვიხილეთ საკუთრივ ანთროპონიმები და ანთროპონიმიზებული ხელობის სახელები, თუ სოციალურ ტერმინები. აქვე დავძენთ, რომ ქვემოთ ზოგჯერ მეორდება ზემოთ უკვე განხილული ზოგი გვარის ანალიზი, ოღონდ სიტყვათწარმოების თვალსაზრისით.

2. 3. 1. 1 -ია დაბოლოებიანი გვარსახელები

სამეგრელოში გვარსახელთა უმრავლესობა ნაწარმოებია -ია დაბოლოებით. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს -ია სუფიქსის წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხები. ს. ჯანაშია გვარსახელთა ისტორიულ და ცოცხალ ფორმათა შედარების საფუძველზე მიიჩნევდა, რომ მეგრული გვარების -ია სუფიქსი -იან დაბოლოების ნაშთია: „ისტორიულ და ლიტერატურულ დადიანს, ლიპარტიანს, ბედიანს მეგრულ ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, ბედია“ (ჯანაშია, 1959: 40). ს. ჯანაშიას ანგარიშგასაწევ არგუმენტად მოჰყავს არნ. ჩიქობავას დაკვირვება, რომლის მიხედვითაც მეგრულისათვის ნიშანდობლივია ბოლოკიდური ნ-ს დაკარგვა. შდრ. სამწიგნ. ქართ. დარეჯან- და მეგრ. დარჯა. -ნ იკარგება ზმნის ფორმებშიც: რენ ფორმამ მოგვცა რე და მისთ. ს. ჯანაშია სავსებით ლოგიკურად დაასკვნის, რომ-ია სუფიქსიც სწორედ ამ გზითაა მიღებული -იან დაბოლოებისაგან (ჯანაშია, 1959: 41).

ჯ. ონიანი -იან და -ია სუფიქსთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს: „მეგრული ამჟამინდელი გვარები ბოლოვდებიან არა -ია, -ავა, -უა სუფიქსებით, არამედ მხოლოდ -ა სუფიქსით, რომელიც -ან(ი) დაბოლოების ნაშთია“ და

„გვარში წულუკია ი ნანათესაობითარია და არა გვარის დაბოლოების ნაწილი ისევე, როგორც სვანურ წულუკ-ი-ან-ში“ (ონიანი, 1979: 84). მეცნიერი იზიარებს ს. ჯანაშიას ძირითად დებულებას, რომ -ა სვანური -ან-ის თანხმომავანმოკვეცილი ნაწილია, ოღონდ მიიჩნევს, რომ ეს „ან(ი) მესა და შვილს ნიშნავდა უშუალოდ და ამიტომ იქცა იგი გვარის დაბოლოებად, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი“, ი-ან დაბოლოების -ი კომპონენტი კი არის ან ფუძისეული ხმოვანი, ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაშთი თანხმომავანფუძიან სახელებთან, ანუ: იან < იშ-ან (ონიანი, 1979: 85). ვფიქრობთ, ძნელი გასაზიარებელია შ თანხმოვნის დაკარგვა ამგვარ პოზიციაში.

ზ. ჭუმბურიძე იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ -ია სუფიქსი მომდინარეობს -იან მაწარმოებლისაგან. -იან ქართულში წინათ აღნიშნავდა ვინმესგან წარმომავლობას, ვისიმე მიმდევრობას, ახლა კი ბევრნაირ სახელს დაერთვის რისამე ყოლის, ან ქონების აღსანიშნავად (ცოლ-იან-ი, ნაბდ-იან-ი და სხვ.). -იან-ის თავდაპირველი მნიშვნელობა დაცულია გვარებში: **დადიანი, ლიპარტიანი, კახიანი, ზურაბიანი** და ა.შ. ავტორის აზრით, იმავე ბოლოსართს, ოღონდ -ნ-ს გარეშე შეიცავენ სამეგრელოში გავრცელებული -ია დაბოლოებიანი გვარები (ჭუმბურიძე, 1987: 296).

რ. თოფჩიშვილი იზიარებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას და თავის მხრივ გვთავაზობს ამგვარ მაგალითებს: **კვარაცხელიანი - კვარაცხელია, აფაქიანი - აფაქია, კვირკველიანი - კვირკველია** და სხვა (თოფჩიშვილი, 1997: 102). თუმცა, როგორც პ. ცხადაია აღნიშნავს, ფუძეთა ასეთი დამთხვევა ყოველთვის არ ნიშნავს შესაბამის გვარსახელთა სვანურ წარმომავლობას. იგი იმოწმებს რ. თოფჩიშვილის თვალსაზრისს, რომელიც აცხადებს, რომ მოსახლეობის მიგრირება ხდებოდა არა მხოლოდ მთიდან ბარში, არამედ პირიქითაც. სამეგრელო-სამურზაყანოდან მეგრულსუფიქსიანი გვარები მიგრირებულია სვანეთშიც და აჭარა-გურია-იმერეთშიც (ცხადაია, 2000: 19). პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ ამჟამად საქართველოს მასშტაბით, 830-მდე გვარსახელში დასტურება -ია სუფიქსი. მათგან სამეგრელოში გავრცელებულია 790-მდე. პროდუქტიულობის (სულთა რაოდენობის) მიხედვით -ია დაბოლოება მესამე ადგილზეა საქართველოში, სამეგრელოში კი პირველ ადგილზეა. -ია დაბოლოების სიხშირეზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული 100 გვარის ნუსხაში იგი 12 გვარსახელს მოეპოვება: **კვარაცხელია, შენგელია, შონია, ფიფია, ჭანტურია, ჯიქია, გაბუნია, ნაჭყებია, დანელია, ქობალია, წულაია** (ცხადაია, 2000: 16).

პ. ცხადაიას მიხედვით, ზოგ გვარსახელს -ია დაბოლოება გადმოყოლილი აქვს მეტსახელისაგან, სადაც იგი შეიძლება გამოხატავდეს კნინობითობა-მოფერებითობას, ან რაიმე თვისების მქონებლობას. მაგ.: ჩქოფოია და ჩქოფორია (ჩქვეფერია) მეგრულში სახეგაბადრული და მსუქანი კაცის ეპითეტებია. ორივე ფორმა დასტურდება გვარსახელად (ცხადაია, 2000: 19). პ. ცხადაია ასკვნის, რომ: „ორ სხვადასხვა სუფიქსთა შეერთებითა და შემდგომი გამარტივებით წარმოქმნილ -ია კომპლექსს სიტყვაწარმოებითი მორფემის ფუნქცია მიუღია, კერძოდ, გვარსახელთა მაწარმოებელ საგანგებო (სპეციალურ) სუფიქსად ქცეულა მეგრულში” (ცხადაია, 2000: 19).

-ია დაბოლოება რომ ძირითადი მაწარმოებელია მეგრული გვარსახელებისათვის, ამაზე მეტყველებს ჩვენს საკვლევ მასალაში გამოვლენილი მაგალითების დიდი სიხშირეც. ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ისეთი გვარსახელი, რომელთა ბოლოში დადასტურებული -ია სუფიქსი აშკარად მიუთითებს მათ სვანურთან საზიარო წარმომავლობაზე. ესენია: რატია, ხაზარია, ჩანგელია, ხერაკია, ფალია. -ია სუფიქსის -იან-ისაგან მომდინარეობას გვაგვარაუდებინებს ის გარემოება, რომ აქ ჩამოთვლილი გვარსახელები დასტურდება X-XVII საუკუნეებში შედგენილ სვანეთის წერილობით ძეგლებში შესაბამისი -იან დაბოლოებით: რატიანი, ხაზარიანი, ჩანგელიანი, ხერაკიანი, ფალიანი, შდრ. ამჟამინდელ სვანეთში გავრცელებული ვარიანტები: რატიანი, ჩამგელიანი, ხერგიანი, ფალიანი, აგრეთვე მეგრული ვარიანტები რატია, ჩანგელია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ს. ჯანაშიას თვალსაზრისის სისწორეს -ია სუფიქსის იან-ისაგან მომდინარეობის შესახებ.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ -ია დაბოლოებიანი გვარსახელები ორ ჯგუფად იყოფა: -იან სუფიქსის გამარტივების (ნ თანხმოვნის მოკვეცის) შედეგად წარმოქმნილი გვარსახელები და საყრდენი ანთროპონიმის ბოლოკიდურა, ფუძისეული ე ხმოვნისა და მასზე დართული -ა დაბოლოების შერწყმა-გარდაქმნის შედეგად (ე-ა > ი-ა) წარმოქმნილი გვარსახელები. ამის გათვალისწინებით ქვემოთ ცალ-ცალკე ვაანალიზებთ ამ ჯგუფების სახელებს.

2. 3. 1. 1. 1. -იან > -ია სუფიქსიანი გვარსახელები

გვარსახელი **გაბუნია** 1628 წლის დოკუმენტში დასახელებულია სოფ. საქუჩულოში. შდრ. **გაბუნიანი** (სვანეთი, XIV-XV სს. იხ. პალ, I, 1991: 587). პ. ცხადაიას მიხედვით, **გაბუნია** დღეს ფართოდ გავრცელებული გვარია. სამეგრელო-სამურზაყანოს გარდა იგი დასტურდება იმერეთშიც, თუმცა გვარსახელის ძირითად სამკვიდროს მაინც სამეგრელო წარმოადგენს. დღევანდელი მონაცემებით **გაბუნიები** ცხოვრობენ სამეგრელოს შემდეგ სოფლებში: ბანძა, ორსანტია, ჩხორია, ქვალონი... (ცხადაია, 2000: 65). ი. ბაგრატიონის მიხედვით, **გაბუნიები** აზნაურები ყოფილან: „ესენი არიან ურიისტანის **გაბაიდგან** გარდმოსახლებულნი სემირამიდოსაგან ოდიშში და მუნ იწოდებიან **გაბუნიებად**“ (ბაგრატიონი, 1997: 133). ს. ჯანაშიას აზრით, **გაბუნია** ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარსახელია. ამოსავალ **გაბო** (< **გაბრიელ**) ფუძეს თავდაპირველად დაერთო **-უნ** სუფიქსი (რასაც მკვლევარი საერთოქართველურ **-ან** სუფიქსის მეგრულ ვარიანტად თვლის), ხოლო შემდეგ მიერთებია **-ია** დაბოლოება (ჯანაშია, 1959: 41). ეს **-უნ** კნინობითის სუფიქსი ჩანს (ცხადაია, 2000: 65). ქართულ ონომასტიკონში რეალურად დასტურდება იმავე **გაბ-უნ** სეგმენტის შემცველი განსხვავებული მორფოლოგიური მოდელის გვარსახელები: **გაბ-უნ-ი-ძე** და **გაბ-უნ-ია-შვილ-ი** (გაგულაშვილი, 1993: 23). ამჟამად **გაბუნია** გვარს ატარებენ აფხაზებიც **გაბნია** ფორმით, რაც აფხაზურ ნიადაგზე მახვილის ზემოქმედებით უ ხმოვნის რედუქციის გზითაა წარმოქმნილი. სწორედ ეს **გაბნია** ფორმა ფიქსირდება სოფ. გუფიდან გასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა სიაშიც (ხორავა, 2014: 155). გვარსახელის აფხაზური წარმომავლობა გამოსარიცხია თუნდაც იმიტომ, რომ **-ია** სუფიქსი არ ერთვის არცერთ აფხაზურ-აფსუური წარმოშობის გვარს, ხოლო **გაბნ** ფუძე არ იხსნება ამ ენის ნიადაგზე.

ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება წაჩხურელი (მარტვილის რ.) **რატია** ქრისტეკოჩი და მისი ძმა კაჭუ, ხოლო ტყავრუში **რატია** პაპუნა და მისი მამა - ქაიხოსრო (პალ, IV, 2007: 54-55). XVII ს. სვანეთში შედგენილ ისტორიულ საბუთებში კი იმავე **რატ-**ძირის შემცველი გვარი გვხვდება **-ან-ი** დაბოლოებით: **რატაანი** (!) სქოლიოში მითითებულია, რომ ეს არის გვარი **რატაანი** (სწმ, I, 1986: 202). პ. ცხადაია დღესაც აქტიურ **რატია** გვარსახელს უკავშირებს სვანურ **რატაანს** (ცხადაია, 2000: 122). პირსახელი **რატ-ი** წარსულში პოპულარული იყო. მამასადამე, **რატ-ია** < **რატ-იან-ი** < **რატ-ი**, შდრ. აგრეთვე პირსახელ **რატ-ისაგან** მომდინარე სხვა მორფოლოგიური

მოდელის გვარსახელები: რატ-იან-ი-ძე, რატ-ია-შვილ-ი, რატ-ი-შვილ-ი, რატ-ი-ძე (გაგულაშვილი, 1993: 66).

გვარსახელი **ჩანგელია** 1611-1617 წლებში. დოკუმენტის მიხედვით, მიხილია **ჩანგელია**, იქვე ჩამოთვლილ სხვა გლეხებთან ერთად, ყოფილა ჭალის (ახლანდელი ქლოუ ოჩამჩირის რ-ნში) მფლობელ ხუტუ ჯაიანის ყმა გლეხი (მიბჩუანი, 1999: 70). ხოლო XVIII საუკუნეში სუსტარ (საუსტან) შარვაშიძეს ბიჭვინთის ეკლესიისათვის უჩუქებია გლეხი, გვარად **ჩანგელია** (მიბჩუანი, 1999: 70). 1621 წელს შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალ მოსაკრებელში“ გვარი **ჩანგელია** დასტურდება ქლოუს მახლობელ სოფელ თილითშიც, რომელსაც ამჟამად აბააჟვახუ ეწოდება (პალ, V, 2015: 191). 1616-1621 წლებში დასტურდება ვარიანტი **ჩანგელი** (ქსძ, III, 1970: 443). ნ. ჯომიდავა **ჩანგელია**-ს აკავშირებს სიმებიანი საკრავის **ჩანგი** სახელთან, რაც უსაფუძვლოა, და მეგრულ სიტყვასთან **ჩანგალა** „ძლივს ფეხზე მდგარი (სიმთვრალისაგან, სისუსტისაგან)“. მისი აზრით, გვარი მეტსახელისაგან არის წარმომდგარი (ჯომიდავა, 2000: 380). მეგრ. **ჩანგალე** „ბარბაცი“ დღესაც აქტიურად გამოიყენება. ვფიქრობთ, გვარსახელი **ჩანგელია** უკავშირდება სვანურ **ჩანგელიანს**, რომელიც დასტურდება X-XVII სს. შედგენილ სვანეთის წერილობით ძეგლებში. მათიანეში იხსენიება ვინმე **ჩანგელიანი** გუა (სწძ, II, 1988: 554). გვარსახელის ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის. შეიძლება **ჩანგელია** გვარსახელ **შენგელია**-ს ფონეტიკურ ვარიანტად მიგვეჩნია, მაგრამ ვერც ამ გვარსახელის კავშირს გამოვრიცხავთ შემდეგ გვარსახელებთან: **ჩაგელიშვილი**, **ჩაგიაშვილი**, **ჩაგინაშვილი** (გაგულაშვილი, 1993: 86), რომლებშიც ძირად **ჩაგ**- გამოდის და ერთვის კნინობითობის -**ელ**, -**ია**, -**ინ**-ა სუფიქსები. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გვარსახელის საყრდენ ფუძედ უნდა აღდგეს პირსახელი **ჩაგ-ელ-ი**, რომელსაც **ნ** თანხმოვანი ჩამატებია **გ**-ს წინ. რაც შეეხება **ჩაგ**-ძირის სემანტიკას, იგი მაინც საკვლევი რჩება. ამავე რიგში შემოვა სვანური **ჩამგელან**-იც, რომელიც ასე უნდა იყოს მიღებული: **ჩაგ-ელ-ი** > მეგრ. **ჩანგ-ელ-ი** // სვან. **ჩამგ-ელ** > სვან. **ჩამგ-ელ-ან**. პ. ცხადაიას მიხედვით, მესტიის რ-ნში გვხვდება გვარი **ჩამგელიანი**ც. მკვლევარი **ჩანგელ**-ს სვანურ პირსახელ **ჩამგელს** უკავშირებს (ცხადაია, 2000: 149-150), რაც მართებული ჩანს - აქ საქმე **მ** და **ნ** თანხმოვანთა მონაცვლეობასთან გვაქვს. ამრიგად, **ჩანგელ-ია** < **ჩანგელ-იან-ი** < **ჩამგელ-იან-ი**. ერთ-ერთ საბუთში დასტურდება აგრეთვე **ჩაგელია** (პალ, V, 2015: 188) გვარსახელიც, რომელშიც შეცდომით გამორჩენილია ე

ხმოვანი, ანუ ჩაგლია < *ჩაგელია. ნავარაუდევ ჩაგელია გვარსახელს საფუძვლად უნდა ედოს პირსახელი ჩაგელ-ი, რომელიც რეალურად დღესაც დასტურდება ფორმაში ჩაგელ-ი-შვილ-ი (გაგულაშვილი, 1993: 86). პირსახელის ვარიანტი ჩაგელ-ი აქ განხილული ყველა გვარსახელისათვის ამოსავალი ჩანს. ჩანგელია გვარი ფიქსირდება 1867 წ. გადასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა სიაშიც (ხორავა, 2014: 167).

გვარსახელი ფალია დღეს აღარ დასტურდება, ისტორიულ საბუთებში კი იხსენიება 1621 წელს სოფ. ჭალაში (ქსმ, III, 1970: 435). მას საფუძვლად უდევს მეტსახელი: შდრ. მეგრ. ფალ- ძირი „აღმოცენება, აყვავება, ზრდა“ - ფალ-უ-ა „აღმოცენება“, ფალ-ირ-ი „აღმოცენებული, აყვავებული“. ხშირად გამოითქმის კეთილი სურვილი: გიფალდას „აყვავებულიყავ, ავსებულიყავ“ და მისთ. ჩვენი ვარაუდით, ფალ-ია ნიშნავდა იმას, ვინც უნდა გაფურჩქნილიყო, ავსებულიყო, აშენებულიყო. გვარსახელ ფალია-ს არქეტიპი უნდა იყოს „სვანეთის სულთა მატიანეში“ დადასტურებული გვარსახელი ფალიანი (სწმ, I, 1986: 211). მაშასადამე, ფალ-ია < ფალ-იან-ი, შდრ.: ფალ-ია-შვილი.

საკვლევ მხარეში გავრცელებული ყოფილა გვარსახელი ხერია, დასახლებული სოფ. ჯგალში (1616-1621 წწ.) (პალ, IV, 2007: 125). სავარაუდოდ, გვარი სვანური წარმოშობისა უნდა იყოს. ხერია სოფელია ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჭახუნდერის თემი), მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. გარდა ამისა, ხერანი გვარი დასტურდება სვანეთის სულთა მატიანეში (სწმ, II, 1988: 559).

ნაჭყებ-ია // ნაჭყებ-ია (ქსმ, III, 1970: 413; პალ, III, 2004: 283) ფართოდ გავრცელებული გვარია. ნაჭყებიები აზნაურები იყვნენ, ნაჭყებია კი იშვიათი ფონეტიკური ვარიანტია (ცხადაია, 2000: 118). ნაჭყებიას უკავშირებენ ნაჭყებიან გვარსახელს, რომელიც გვხვდება XVI-XVII სს. ლეჩხუმში (თოფჩიშვილი, 1993: 15), შდრ. ლეჩხუმური გვარი ლაჭყებიანი.

გვარსახელი შუშანია დასტურდება 1621 წ. სოფ. ნაჟანულში (ქსმ, III, 1970: 420). სამეგრელოში არსებობს მამაკაცის სახელები: შუშა, შუშუ, შუშულა, რომელთა საფუძველზეც ივარაუდება შუშან მოფერებითი ვარიანტიც (ცხადაია, 2000: 149). სავარაუდოდ, სწორედ შუშან ფორმა უდევს გვარსახელ შუშანია-ს.

დღეს სამეგრელოში გავრცელებული გვარია ხაზალია. ისტორიულ დოკუმენტებში კი 1616-1621 წწ. ფიქსირდება მისი მსგავსი გვარი ხაზარია სოფელ

ჭალაიში (ჭლოუ) (ქსმ, III, 1970: 469). პ. ცხადაიას ვარაუდით, **ხაზალია**-სათვის ამოსავალია **ხარაზი**: **ხარაზი** > **ხარაზია** > **ხაზარია** > **ხაზალია** (ცხადაია, 2000: 165). ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ იმავე საყრდენი ფუძისაგან მომდინარეობს გვარსახელები: **ხაზალ-ა-შვილ-ი** (გაგულაშვილი, 1993: 95), **ხარაზ-ა-შვილ-ი** და **ხარაზ-ი-შვილ-ი** (გაგულაშვილი, 1993: 96). აფხაზთა შორის ამჟამად გავრცელებულია ამოსავალი ქართველური **ხარაზ-ია** ფორმის აფსუიზებული ფონეტიკური ვარიანტი **ჰარაზია**.

1621 წელს ნაჟანულში დასტურდება გვარსახელი **რუსაყია** (ქსმ, III, 1970: 422). შეიძლება, გვეფიქრა, რომ ამ გვარსახელისათვის ამოსავალია ეროვნების აღმნიშვნელი **რუსი** სიტყვისაგან მომდინარე პირსახელი **რუს-ა**. ამ შემთხვევაში **რუს-ა-ყ-ია** იმავე მოდელისა იქნებოდა, როგორისაც არის **ლომ-ა-ია**, **ქაჯ-ა-ია** და სხვ. ამგვარი შესაძლებლობა მოულოდნელი არ არის: ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ: „ქართულ გვარებში გამოიყოფა მრავალი სხვა ტომის და ხალხის სახელწოდება, როგორიცაა: **არაზი**, **სპარსი**, **ებრაელი**... ასეთი გვარები ყოველთვის მაინცდამაინც მავანი ეროვნების ჩამომავალს არ ნიშნავს, ზოგი მათგანი საკუთარი სახელისაგან ან მეტსახელისგანაც შეიძლება მიგვეღო“ (ჭუმბურიძე, 1987: 311). მეცნიერი **რუს-** კომპონენტს გამოყოფს გვარებში: **რუსიშვილი**, **რუსიძე**, **რუსაძე** (ჭუმბურიძე, 1987: 311). ამავე აზრს იზიარებს პ. ცხადაიც, რომლის ვარაუდით გვარსახელში **რუსია**, „**რუსი**“ ეთნონიმია (შდრ. **შონი**, **ჩერქეზი**...), მაგრამ იგივე ავტორი იქვე დასძენს, რომ ძველ საქართველოში **რუსი** (და **რუსა**, **რუსია**) პირის სახელებიც იყო (ცხადაია, 2000: 123). ჩვენი აზრით, მიუხედავად დასახელებულ მოსაზრებათა წონადობისა, გვარსახელი **რუსაყია** იოლად ვერ ეტიმოლოგიზდება და ვერ დაიყვანება ეთნონიმ **რუსის** ფუძემდე, ვინაიდან არ იხსნება მასში წარმოდგენილი **ყ** თანხმოვნის მორფოლოგიური ფუნქცია და რაობა. გვარსახელი **რუსაყია** დღეს აღარ არსებობს.

ასევე გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონეა გვარსახელი **სალდაყია**, რომელიც დასტურდება 1616-1621 წლების „საცაიშლო დავთარში“ (პალ, IV, 2007: 128), მაგრამ აქაც ბუნდოვანია როგორც **ყ** თანხმოვნის, ისე **სალდა** ფუძის ამოსავალი სემანტიკის საკითხი, თუმცა ამჟამად ქვემო იმერეთში რეალურად არსებობს გვარსახელი **სალდა-ძე**, რომელიც აშკარად ამ პირსახელისაგან მომდინარეობს. გვარსახელი **სალდაყია** დღეს გამქრალია.

გვარსახელი **შერგელ-ა-ია** მოხსენიებულია 1690 წელს (პალ, V, 2015: 156) და მომდინარეობს ძველ საქართველოში პოპულარულ პირსახელ **შერგილ-ისაგან** (ქორდანია, 1897: 130 და 233) ნაწარმოები კნინობით-ალერსობითი **შერგილ-ა** მორფოლოგიური ვარიანტისგან (ბერძენიშვილი, II, 1953: 5) ფონეტიკური **შერგელ-ა** ნაირსახეობის ფუძეზე **-იან > -ია** სუფიქსის დართვით. იგივე წარმომავლობა აქვთ სხვა მორფოლოგიური მოდელის მიხედვით აგებულ გვარსახელებს **შერგილ-ა-შვილ-სა** და **შერგელ-ა-შვილ-ს** (გაგულაშვილი, 1993: 84). აფხაზთა შორის დღეს დასტურდება გვარი **შერგელია**, რაც ამ გვარსახელის მტარებელ ქართველთა გააფხაზების ფაქტის ამსახველია.

1621 წელს სოფ. ხოირის მცხოვრებლებად სახელდებიან ივანე **ამბალია** და ხუცეს **ამბალია** (ქსმ, III, 1970: 425). სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ამ გვარსახელის ეტიმოლოგია. პ. ცხადაიას კვლევის მიხედვით, **ამბალია** ამჟამადაც დასტურდება სამეგრელოში: ფოთსა და წალენჯიხაში. პირსახელი **ამბალი** იხსენიება სვანეთის სულთა მატეანეშიც (ცხადაია, 2000: 51). მეგრულში **ამბალი** აღნიშნავს ლოდივით დიდს, ვეებას და ხშირად გამოიყენება მაღალი, ძლიერი ფიზიკური აღნაგობის მამაკაცის ეპითეტად (შდრ. მეგრ. **ამბალცალ** კოჩი „ამბალივით კაცი“. **ამბალ** პირსახელი დადასტურებულია ალ. ღლონტის მასალებშიც (ღლონტი, 1967: 47). ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დიდის, ვეებას, ძლიერის აღმნიშვნელი სიტყვა **ამბალ-**ის ფუძე სრულად ემთხვევა გვარსახელის საყრდენ ფუძესა და რეალურად დადასტურებულ პირსახელ **ამბალ-ს**, უფრო ლოგიკურია, გამოვრიცხოთ ა. ქობალიას ლექსიკონში ასახული სიტყვა **ამბალ-**თან საანალიზო გვარსახელის რაიმე კავშირი, ვინაიდან ეს ზედსართავი სახელი უდავოდ ახალი ნასესხებია რუსული ენიდან, კერძოდ, არასალიტერატურო, სასაუბრო კოდიდან, სადაც იგი აღნიშნავს ღონიერ, ჯანიან ახალგაზრდა კაცს: **амбал**, -а; м. *Разг.* О крепком, сильном молодом мужчине (<http://www.gramota.ru/slovari/dic/?word=%D0%B0%D0%BC%D0%B1%D0%B0%D0%BB&all=x>). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ გვარსახელი **ამბალია** ნამდვილად მომდინარეობს ანთროპონიმ **ამბალ-**ის ფუძისაგან, მაგრამ საწყისი აპელატივის სემანტიკა ჯერ კიდევ დასადგენია.

ერთ-ერთ ისტორიული საბუთის მიხედვით, ვინმე **კაპარჭია** კოჩილეს ემართა ჭალაის სასახლის ბეგარა (1616-1621 წწ.) (პალ, II, 1993: 428). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ

გვარსახელი მომდინარეობს ადამიანის მეტსახელ კაპარჭა // კაპოჭია-საგან (ჯომიდავა, 2000: 172). სულხან-საბას მიხედვით, კაპარჭ-ი არის „ისართ ქარქაში“ (საბა, I, 1991: 352). ასევე ქეგლ-შიც: „ისრების ჩასაწყობი ბუდე, ისრების ქარქაში“ (ქეგლ, 1986: 260). ჩვენ ვეთანხმებით ნ. ჯომიდავას ვარაუდს და მივიჩნევთ, რომ ამ გვარსახელისათვის ამოსავალია მეტსახელად ქცეული სიტყვა კაპარჭი.

გვარსახელი კვაჭალია დასტურდება „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.), რომლის მიხედვითაც ცაიშს მცხოვრებ ვაშკურუდა, ისაგუჯუ, ცაიშელ, სამართალ, თამაზი, მახილია კვაჭალიებს ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა (პალ, II, 1993: 500). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ კვაჭალია წარმოშობილია კვაჭალია „კოჭლი“ მეტსახელისაგან (ჯომიდავა, 2000: 183). ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ გვარსახელი უკავშირდება აგრეთვე მეგრულ კვაჭალ-ა სიტყვას, რომელიც ა. ქობალიას მიერ ასე განიმარტება: „დაკროლილი კაკალივით ჩხრიალი, ხტუნვა-ბზრიალი, (ბიჭუნას) ცქვიტი სიარული“ (ქობალია, 2010: 360). შდრ. ქვემოიმერული კვანჭალ-ი „კოჭლი კაცის სიარული“ (მიკვანჭალოფს „აქეთ-იქით გადაწონით მიდის“).

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, გვარსახელი კიტ-ია დასტურდება 1621 წ. შედგენილ დავთარში ჩამოთვლილნი არიან კიტიები, რომელთაც ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა. კიდევ ერთი კიტია მამასახლისი, დასახელებულია საცაიშლო საყდრის ბეგარაში (1616-1621 წწ.) (პალ, II, 1993: 514). პ. ცხადაიას ცნობით, კიტია (< კიტე-ა) სამეგრელოში პირსახელიცაა და გვარსახელიც (ცხადაია, 2000: 98). კიტა საკუთარი სახელად არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასტურდებოდა მთელ საქართველოში, მათ შორის ქ. გალსა და სოფ. პირველ გალშიც.

პ. ცხადაიას აზრით, გვარსახელი ქავთარია ქავთარაძის მეგრული ვარიანტია. მისი ცნობით, ქავთარია გავრცელებული გვარია სამეგრელოში. დასტურდება ძვ. სენაკში, ძვ. ხიბულაში, ხობში და სხვ. (ცხადაია, 2000: 136). ერთ-ერთ საბუთში 1587 წელს იხსენიება აზნაური ქავთარაძე. იქვე წერია შემდეგიც: „ამათნი წინაპარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი...“ (ბაგრატიონი, 1997: 102). სამეგრელოში გავრცელებული ვარიანტი ქავთარია დასტურდება „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში“. ძველად ოდიშში მრავალი ქავთარია სახლებულა: 1621 წლის საბუთის თანახმად, ხიბულაში მოსახლეობენ საეკლესიო გლეხები: მახუტოლა, კ[უ]ჭულეი, უჩაია, გუგუ, გუგულა, ქრისტეკოჩი, ამარცალა, უსკვამადა, მაჭიხოლა, სომიხერდა

ქავთარიები (ქსმ, III, 1970: 415-419). თითქმის ამავე პერიოდში, „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.) დასახლებულნი არიან დარჩელს მცხოვრები ქავთარია და ქავთარიები - აგრეთვე საეკლესიო გლეხები (ქსმ, III, 457, 462-463). ჩვენი აზრით, ერთიმეორისაგან უნდა გაიმიჯნოს იმერეთიდან სამეგრელოში მიგრირებული აზნაური ქავთარადები და ადგილობრივი გლეხი ქავთარია-ქავთარიები. ისინი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, თან მათი გვარებიც სხვადასხვა აფიქსებითაა გაფორმებული, თუმცა გვარსახელები ქავთარადე, ქავთარია და ქავთარია მომდინარეობს ძველ საქართველოში მეტად პოპულარული ქავთარ პირსახელისაგან.

1616-1621 წლებით თარიღდება გვარსახელი ხერაკია (პალ, V, 2015: 377), რაც მეგრულში ნიშნავს „ხაპერას, მწარე კვახს; კანმაგარს, გაფხეკილს, გაფშეკილს, გაძვალტყავებულს“ (ქობალია, 2010: 721). გვარსახელი ხერაკია მეტსახელ ხერაკია-საგან მომდინარეობს, მეტსახელი კი მცენარის (ხაპერას, მწარე კვახის) სახელს უნდა უკავშირდებოდეს. აქვე შეიძლება კიდევ ერთი საკითხის დასმა: ხომ არ მომდინარეობს გვარსახელი ხერგიან-იც ამავე მეტსახელისაგან? (ხერაკ-იან-ი > ხერგ-იან-ი?).

გვარსახელი ჯაკონია გვხვდება 1621 წლის დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც, სოფელ მუხურში (გალის რ.) ყოფილან დასახლებულნი კაკა, ვაჟობა, პაპიშია, მაჭაჭვია, ბაბადიში, სკუამილი და ქოძირა ჯაკონიები და იხდიდნენ საეკლესიო ბეგარას (ქსმ, III, 426-427). პ. ცხადაიას მიხედვით, გვარი ამჟამად დასტურდება ძვ. ხიბულაში, ნოჯიხევში, ხობში. აკ. შანიძის თქმით, გვარისათვის ამოსავალია საეკლესიო თანამდებობის პირის სახელი დიაკონი დ > ჯ აფრიკატიზაციით ჯ (შდრ. ქართ. დეკეული და მეგრ. ჯაკელი) (შანიძე, 1958: 614-616). პ. ცხადაიას ცნობით, ჯაკონია მეგრულში საკუთარი სახელიცაა და საზოგადოც. როგორც საკუთარი სახელი, იგი აღნიშნავს კაცის გვარს, ხოლო როგორც საზოგადო - „კერპს“. აქ -ია დაბოლოება ისეთივეა, როგორც გუნია, ჭყონია, შონია და სხვა გვარებშია (შანიძე, II, 1981: 496). მეცნიერის აზრით, დასაშვებია სხვა ვარაუდიც: ამოსავალი ფუძე ჯაკონი სამეგრელოში გავრცელებულ პირსახელ ჯაკო-ს მოფერებითი ვარიანტია (ცხადაია, 2000: 172-173). გვარსახელი ჯაკონია ი. მაისურაძის მიხედვით დასტურდება ხობის რაიონსა და სოფ. ბედიამი (გალის რ.). ჩვენ ვემხრობით აკ. შანიძის შეხედულებას, რომლის მიხედვით,

გვარსახელის ისტორია ასეთია: **დიაკონი** (აპელატივი) > **დიაკონია** (ანთროპონიმი და გვარსახელი) > **ჯაკონია**.

XVI საუკუნის დამლევს ნაჭანულის გლეხთა შორის დასახელებულია გუგუტია **ჯაკობია** (ქსმ, III, 1970: 383). ორიოდ ათეული წლის შემდეგ დაწერილი დოკუმენტის მიხედვით კი იმავე ნაჭანულში ცხოვრობს თოლიოქრო **ჯაკობია** (ქსმ, III, 1970: 419), ხოლო ხოირში (ამჟ. სოფ. ოხურეი) - ხუხუნია **ჯაკობია** (ქსმ, III, 1970: 425). ნ. მარისა და ი. ყიფშიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით პ. ცხადაიას მიერ დადგენილია გვარსახელის მიღების გზა: **იაკობ** > **მაკობ** > **ჟაკობ** > **ჯაკობ** > **ჯაკობია** (ცხადაია, 2000: 172).

გვარსახელი **კაკაჩი**-ია ზემოთ უკვე იყო განხილული. დამატებით კი შემდეგს აღვნიშნავთ: ერთი დაუთარილებელ საბუთის მიხედვით, გამახადი კაკაჩიას ჰმართებია მამაში შერგელაიას ვალი (მვირფასი ნივთები, სამკაულები, სამოსი, ჭურჭელი, იარაღი და დიდი ოდენობის ვერცხლი). მისი და შერგელაიას სადავო საქმე გაურჩევიათ კაცია ჩიქოვანს, საუსტან შარვაშიძესა და მურზაყან ამჩაბაძეს (პალ, II, 1993: 474). რაკი აქ მოხსენიებულ პირთაგან ორი **კაცია ჩიქოვანიდან** ერთ-ერთი (მეორის პაპა), საუსტან შარვაშიძე და მურზაყან ანჩაბაძე იხსენიებიან XVII საუკუნის ბოლო მეოთხედის სხვა ამბების მონაწილეებადაც, მითითებული საბუთიც ამ პერიოდით თარიღდება. საყურადღებოა ისიც, რომ შარვაშიძისა და ამჩაბაძის მონაწილეობა სადავო საქმის გარჩევაში იმერეთის სამეფოს ვეზირ კაცია ჩიქოვანთან ერთად იმაზე მიანიშნებს, რომ გამახადი კაკაჩიას ამჟამინდელი აფხაზეთის, კერძოდ, გალის რაიონის ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრა, ეს მიწა კი იმ დროს ჯერ კიდევ შედიოდა იმერეთის სამეფოს იურისდიქციაში (<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D>). **კაკაჩიას** გვარის წარმომადგენლები ამჟამად ცხოვრობენ წალენჯიხაში, ზუგდიდსა და თბილისში (ცხადაია, 2000: 90), 1993 წლამდე საკმაოდ მრავლად სახლობდნენ აფხაზეთშიც. პ. ცხადაიას ცნობით, „ზოგი კაკაჩია კაკაჩიშვილად დაწერილა... კაკაჩი კაკას მოფერებითი ვარიანტია. მეორე მხრივ, კაკაჩია მეგრულში ცოცხალი სიტყვაა და აღნიშნავს ბადრი მთვარით განათებულ ღამეს. ამგვარი სემანტიკის სიტყვაც შეიძლებაოდა ქცეულიყო მეტსახელად (შდრ. კაკაჩიშვილი,

ახალციხე)“ (ცხადაია, 2000: 90). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გვარსახელი **კაკაჩია** არ დასტურდება აფხაზთა შორის.

მითანაფია გვარსახელი, რომელიც იხსენიება სოფ. ხაუჭელში (პალ, III, 2004: 167), ჩვენი ვარაუდით, უკავშირდება მეგრულში აღდგომის აღმნიშვნელ სიტყვას **თანაფა** „გათენება, ცისკართან შეხვედრა“. შდრ. მეგრ. **მეთანაფე** „ღამის გამთენებელი, მეაღდგომე“. გვარსახელი დღეს აღარ დასტურდება.

გვარის დასახელება **სერგია** პირველად გვხვდება 1569 წლის საბუთში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხოფის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავთ ვინმე **კაკულიაი სერგია** (ქსძ, III, 1970: 275). პ. ცხადაიას სიტყვით, „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სერგია გვარია, ხოლო სახ. ბრუნვის ნიშნიანი კაკულიაი პირსახელია. გვარსახელს საფუძვლად უდევს ეტრუსკული ძირის მქონე ლათინური სახელი **სერგიუს-ი - Sergius** (<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B5%D1%80%D0%B3%D0%B5%D0%B9>), რომელიც საქართველოში გავრცელდა ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ, რასაც ხელი შეუწყო ამ სახელის კანონიკურობამ - **სერგი** ერქვა რამდენიმე წმინდანს: (<http://www.orthodoxy.ge/sakhelebi/sani.htm>). ამჟამად გვარსახელი **სერგია** გავრცელებულია სენაკში, ზუგდიდსა და თბილისში. პ. ცხადაია იზიარებს ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებას, რომ **სერგია** პირსახელ **სერგი**-ს კნინობითი ფორმაა და გვარადაც გვხვდება (ცხადაია, 2000: 126), ჩვენ კი ვითვალისწინებთ იმას, რომ ამ პირსახელში ბოლოკიდურა **ი** ხმოვანი ფუძისეულია და მას ლათინური **Sergius** ფორმაც შეიცავს. ამის საფუძველზე ვასკვნით, რომ გვარსახელი **სერგია** უნდა შეიცავდეს არა კნინობითობის -ია დაბოლოებას, არამედ გვარსახელთა მაწარმოებელი -იან სუფიქსის ნაშთად შემორჩენილ -ა დაბოლოებას.

გვარსახელი **სოფრონია** იხსენიება 1621 წელს სოფ. ნაგუაზაუში (ქსძ, III, 1970: 412). მას საფუძვლად უდევს კანონიკური ქრისტიანული პირსახელი **სოფრონიოსი** (ვარიანტები: **სოფრონი**, **სოფონია**). ამ სახელს ატარებდნენ რომაელი პოლიტიკური მოღვაწე (IV ს. II ნახ.), ბერძენი მწერალი და მთარგმნელი (IV-V სს.), აგრეთვე 7 წმინდანი (<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BE%D1%84%D1%80%D0%BE%D0%BD%D0%B8%D0%B9>; <http://www.orthodoxy.ge/sakhelebi/sani.htm>). ჩვენი აზრით, ქართულ გვარსახელს **სერგია** ფორმის მსგავსად საფუძვლად უნდა ედოს **სოფრონი** ფორმა,

რომელშიც ი ხმოვანი ფუძისეულია, ხოლო გვარსახელის მაწარმოებლად -იან სუფიქსის ნაშთი -ა უნდა გამოიყოს.

საანალიზო წყაროებში იხსენიება კიდევ რამდენიმე გვარსახელი, რომელთა შესახებ პ. ცხადაია აღნიშნავს შემდეგს: **ფიოლია** იხსენიება სოფელ ნაჟანეულში XVI საუკუნის დასასრულისა და 1621 წლის საბუთში (ქსძ, III, 1970: 385, 423; ცხადაია, 2000: 134). გვარის ეტიმოლოგია ცხადი არ არის, თუმცა ი, ო ხმოვნებისა და ია დაბოლოების არსებობა მასში გამორიცხავს მის აფხაზურ წარმომავლობას; **ქარცხია** პირველად იხსენიება XVI საუკუნის პირველ მეოთხედში სოფელ ძველ ხიბულაში, სადაც დღემდე სახლობენ (ქსძ, III, 1970: 414-419; ცხადაია, 2000: 138); **ქუჩა-ხ-ია** დასტურდება „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.) დარჩეულ გლეხთა საგვარეულო სახელად. მისი ვარიანტია თანამედროვე **ქვაჩა-ხ-ია** ფორმა: პირსახელი **ქუჩა** // **ქვაჩა** + მოდგმა-შთამომავლობის -ხ + -ია > **ქუჩა-ხ-ია** // **ქვაჩა-ხ-ია** (ქსძ, III, 1970: 459; ცხადაია, 2000: 138); **ქუქალია** წარმოდგენილია „საცაიშლო დავთარში“ სოფელ დარჩელში. გვარი მომდინარეობს ზმნური **ქუქალი** „გაუჩუმდი, ხმა გაკმინდე“ ფორმისაგან, რაც შეიძლებოდა ბავშვს დარქმეოდა მეტსახელად და შერჩენოდა დიდობაშიც (ქსძ, III, 1970: 142; ცხადაია, 2000: 142); **წყაროსია** იხსენიება XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. ამჟამინდელი ფონეტიკური (გამჟღერებული) ვარიანტია **წყაროზია** (ქსძ, III, 1970: ცხადაია, 2000: 161); **ხარაბედია** ფორმა იხსენიება XVII საუკუნის ბოლო მეოთხედის საბუთში როგორც კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ ბიჭვინთისათვის შეწირული ორი ძმის გვარი, ხოლო მოგვიანებით შედგენილ სხვა საბუთში მითითებულია როგორც სოფელ **სახარაბედო**-ს მოსახლის გვარი. **ხარაბედია** ვარიანტისაგან მოდის ახლანდელი **ხარბედია** (ქსძ, III, 1970: 613, 768; ცხადაია, 2000: 166); საყურადღებო ისტორია აქვს გვარსახელ **ჯგუბურია**-ს, რომელსაც ამჟამადაც აქვს იშვიათი **ჯგვიბურია** ვარიანტი. პ. ცხადაია წერს: „XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ ნაჟანეულის (ამჟამინდელი ოტობაია) საეკლესიო გლეხთა სიაში დასახელებულია თოლიოქრო **ჯგვიბურია** (ქსძ, III, 383), ორი ათეული წლის შემდეგ დაწერილ საბუთში კი - ამავე სოფელში მცხოვრები კიდევ ორი სხვა **ჯგვიბურია** (იქვე, 420). 1706 წელს შედგენილი შეწირულების წიგნი გვამცნობს, რომ აფხაზებისაგან აყრილ სოფელ ნაჟანევიდან კათალიკოსს სხვა რამდენიმე მოსახლესთან ერთად სუბუქია **ჯგუბურიაც** წამოუყვანია და ხობს დაუსახლებია (იქვე, 648). ცოტა მოგვიანებით სხვა კათალიკოსის მიერ შედგენილ შეწირულების წიგნში ნახსენები არიან

ხობს მცხოვრები **ჯგუბურია** ჭუჭუ და მისი ძმები (იქვე, 771). **ჯგუნბურია** კოლხეთში პირსახელიცაა... საერთოდ კი **ჯგვიბ- ჯგუბ-** ზმნური ფუძე გამოხატავს სახის გამომეტყველების გარკვეულ მანერას”(ცხადაია, 2000: 174. ხაზგასმა ჩვენია - ს.კ.); ფორმები **ჯგუჯგია // მჯგუჯგია // მჯუჯგია // მჯუჯგუია** სახელდება სოფელ დარჩელის მცხოვრებ გლეხთა გვარებად XVII საუკუნის პირველ მეოთხედში და წარმოადგენენ ამჟამინდელი **ჯგუნჯგია** გვარსახელის ვარიანტებს. გვარსახელი უნდა მომდინარეობდეს ჩაფსკვნილი კაცის მეტსახელად გამოყენებული **ჯგუნჯგ** „მსხვილი სარი“ სიტყვისაგან (ქსძ, III, 1970: ცხადაია, 2000: 175).

გვარსახელებში **-იან > -ია** მორფემის წინ ჩვეულებრივია თანხმოვანი ან **-ა** ხმოვანი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გვარსახელი იწარმოება პირსახელისაგან, ან მეტსახელისაგან, რომელიც გარკვეული ემოციური ელფერის მატარებელია. ასეთი გვარსახელები რამდენიმე დასტურდება საკვლევ მასალაში:

1621 წ. სოფ. ხიბულაში დამოწმებულია **თომა-ია** (ქსძ, III, 1970: 417). ნ. ჯომიდავა გვარსახელს უკავშირებს, ერთი მხრივ, **თომა** სიტყვას, რაც მეგრულში „თმას“ ნიშნავს, მეორე მხრივ კი - პირსახელ **თომა-ს**. შდრ. გვარი **თომაძე** (ჯომიდავა, 2000: 152). ჩვენი აზრით, გვარსახელს საფუძვლად უდევს ებრაული წარმოშობის კანონიკური პირსახელი **თომა** „მარჩბივი, ტყუპის ცალი“ (http://www.orthodoxy.ge/sakhelebi/ka/m_tani.htm). აქ **ა** ხმოვანი ფუძის განუყოფელი ნაწილია.

ყურადღებას იპყრობს გვარსახელი **ნადარ-ა-ია**, რომელიც ერთი შეხედვით იმავე მოდელისაა, რაც **ლომ-ა-ია, წულ-ა-ია** და სხვ. გვარსახელი პირველად მოიხსენიება 1628 წელს შედგენილ დოკუმენტში (პალ, III, 2004: 250). სრულიად უდავოა, რომ გვარი **ნადარაია** ნამდვილად შეიცავს მაგვარსახელებელ **-ია** დაბოლოებას, დანარჩენი ფუძის რაობა კი სარკვევია. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი, დავსვათ საკითხი: ხომ არ არის რომელიმე მეზობელი აღმოსავლური ენიდან ნასესხები ამ გვარსახელის საყრდენი ფუძე **ნადარა** და მისი აშკარა ვარიანტი **ნავდარა**, რომელიც გამოიყოფა გვარსახელ **ნავდარაშვილ-ში**? აქვე იმასაც დავძენთ, რომ ფორმა **ნადარაია** ამჟამად უფრო ხშირად მეგრულ ზეპირ მეტყველებაში ისმის **ნადარეისკუა < ნადარაისკუა** „ნადარაის შვილი“ ვარიანტთან ერთად, ოფიციალურ (საპასპორტო) ვარიანტად კი ძირითადად **ნადარეიშვილი** ქცეულა.

ამავე აგებულებისაა ამჟამად საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქაჯ-ა-ია გვარსახელი, რომელიც ზემოთ იყო უკვე განხილული როგორც ქაჯ-ი სიტყვისაგან მომდინარე გვარი. აქ დავძენთ, რომ აფხაზურ ენაში, ერთი მხრივ, არსებობს ქართულიდან ნასესხები, კრებითი მრავლობითის -აა სუფიქსით გაფორმებული ფონეტიკური ვარიანტები: ა-ქაჯ-აა > ა-ქაჭ-აა „ქაჯები“ (კასლანძია, I, 2005: 538-539), მეორე მხრივ კი აფხაზთა შორის დასტურდება გვარსახელი ქაჯაია-ც. მიუხედავად ამისა, ეს გვარსახელი აფხაზურად ვერ ჩაითვლება რამდენიმე მიზეზის გამო: აფხაზურ ენობრივ სივრცეში საერთოდ არ დასტურდება აფხაზური ეტიმოლოგიის მქონე არცერთი -ია სუფიქსით გაფორმებული გვარსახელი. გარდა ამისა, გვარს არა აქვს ქაჭ-აა, ქაჭა-ია, ან ჭ თანხმოვნის შემცველი არცერთი სხვა ვარიანტი, რაც მოცემული გვარსახელის ქართულობას სრულიად უდავოს ხდის.

საკვლევ დოკუმენტებში ზოგჯერ ვლინდება -ა-ია ბგერათმიმდევრობის ფონეტიკური ცვლის შემთხვევები. ვგულისხმობთ აი > ე ზოგადქართველურ ფონეტიკურ პროცესს. მე-16 ს. დამლევს საეკლესიო ბეგრის ერთ-ერთი გადამხდელი ყოფილა ივანე მასორდია ფანცულეა (პალ, IV, 2007: 289), ხოლო მე-17 ს. დასტურდება გვარსახელი ფანცულაია (იხ. პალ, IV, 2007: 289). ჩვენი აზრით, ვარიანტი ფანცულეა კალმისმიერი შეცდომის შედეგი უნდა იყოს და ეს ფორმა რეალურად სხვა არაფერია, თუ არა ფანცულეა ვარიანტი. ეს უკანასკნელი სახეობა თავის მხრივ ასეა მიღებული ნაწილობრივი ასიმილაციის გზით: ფანცულ-ა-ია > *ფანცულ-ე-ია. ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ ფანცულაია წარმომდგარია ფანცულ // ფანჩულ შერქმეული სახელისაგან. შდრ. ძვ. ქართ. ფანჩვ- ძირი, და-ფანჩ-ული „ხშირბალნიანი“. ფანჩვ- ძირისაგან ნაწარმოები გვარები დღეს იმერეთშია გავრცელებული: ფანჩვიძე, ფანჩულიძე. ამრიგად, ფანჩულა - ფანცულა (ჩ//ც)-საგან წარმომდგარა გვარი (ჯომიდავა, 2000: 317). ჩვენი აზრით, გვარსახელის ფუძედ სავარაუდებელია ქალის პირსახელ ფაცია-ს მორფოლოგიური ვარიანტები: ფაც-ულ-ია, ფაჩ-ულ-ია, ფაც-ულ-ა. ამ ვარიანტთაგან ფაცულა სახელში ნ თანხმოვნის განვითარების შედეგად მივიღებდით ფანცულა ვარიანტს, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დასდებია ფანცულაია და *ფანცულეა ფორმებს. შდრ. სხვადასხვა მოდელის გვარსახელები: ფაც-ია, ფაც-აც-ია, ფაც-ია-შვილ-ი, ფაც-ინ-ა-შვილ-ი, ფაც-ულ-ია, ფანც-ურ-ი-ძე, ფანჩ-ულ-ი-ძე, ფაჩ-ულ-ია (> აფხაზ. ფაჩალია), ფაჩ-ულ-ა-ვა (გაგულაშვილი, 1993: 75), შდრ.: ნადარეისკუა და ნადარაია.

გვარი წულაია პირველად იხსენიება 1616-1621 წლებში (ქსმ, III, 1970: 443). წულა რომ პირსახელი იყო, ამას ადასტურებს გვარები წულეისკირი (< *წულაისკირი) და წულაძე, შდრ. წულიაშვილი. პ. ცხადაიას მიხედვით, წულაია ფართოდ გავრცელებული გვარია სამეგრელოში (ცხადაია, 2000: 160). ნ. ჯომიდავა თვლის, რომ წულაია მოდის საკუთარი სახელ წულ-ისგან „წული, შვილი“. ამრიგად, გვარიც ნაწარმოებია წულა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც ა- სუფიქსია. მისივე ცნობით, გვარი მოხსენიებულია დღევანდელი ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში მონათლულთა 1837 წ. სიაში (ჯომიდავა, 2000: 425). გვარსახელის სტრუქტურა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: წულ-ა-ია < წულ-ა < წულ-ი.

გვარსახელი ჭიაია დასტურდება 1621 წელს (ქსმ, III, 1970: 413). იგი უნდა იყოს დღეს გავრცელებული ჭილაია // ჭილავა გვარსახელების ვარიანტი. ჭილავა გვარს საფუძვლად უდევს ჭილა სახელი, რომელიც რეალურადაა დადასტურებული (ღლონტი, 1967: 153). მეგრულში ჭილა ნიშნავს წენგოს, ხახვისა და ბოლქვოვანთა კბილს, ან თესლისაგან მიღებულ პატარა ბოლქვს, რომელსაც მეორე წელს რგავენ (ქობალია, 2010: 710). შესაძლებელია გვარსახელის საყრდენი ფუძის სხვაგვარი ახსნაც: ჭილა პირსახელი ძველ საქართველოში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რასაც ადასტურებს „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც წერია: „ხოლო მეფე ციკარეს იყო, დაამტკიცეს და დადგეს ერთგულობასა მეფისასა სურამელი აჰმადა, და ამირეჯიბი აბაზას-ძე ჭილა, და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი, და დიდი ერთგულობა აჩუენეს“ (ქც, II, 1959: 305), შდრ. გვარსახელები: ჭილ-ა-ძე, ჭილ-ა-შვილ-ი, ჭილ-ა-ურ-ი, ჭილ-ა-ურ-ი-შვილ-ი (გაგულაშვილი, 1993: 94). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პირსახელი ჭილ-ა უკავშირდება მცენარის ჭილ-ი სახელს. რაც შეეხება საანალიზო ჭიაია ფორმას, თუკი იგი ბეჭდვის, ან კალმისმიერი შეცდომის შედეგი არ არის, მიღებული უნდა იყოს ლ-ს დასუსტებით, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია მარტვილ-ბანძის მეტყველებისათვის. ასეთ შემთხვევაში გვარსახელისათვის სავარაუდოა შემდეგი სახის სტრუქტურა: ჭი-ა-ია < ჭილ-ა-ია < ჭილ-ა.

გაურკვეველი ეტიმოლოგია აქვს ურჯიკაია და უჯაია გვარებს. ურჯიკაია შურიმიდგა იხსენიება 1616-1621 წწ. სოფ. დარჩელში (პალ, IV, 2007: 265), ხოლო უჯაია მამისშური უფრო ადრე, XVI საუკუნეში (პალ, IV, 2007: 271).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვარსახელი **შამბია**, რომელიც დასტურდება სოფ. ტყაურუში (ამჟამინდელი სოფ. სქურჩა ოჩამჩირის რაიონში) 1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალ მოსაკრებლობის დავთარში“ (ქსძ, III, 1970: 434). **შამბია** ზოგიერთი მეცნიერის მიერ ნააფხაზარ მეგრელიზებულ გვარსახელად ცხადდება, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. კერძოდ, ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას ეს გვარი მეგრელიზებულ აფხაზურ (აფსურ) გვარად მიაჩნიათ, კ. ოკუჯავა კი მიიჩნევს, რომ ასეთი ახსნის შესაძლებლობა არსებობს, რადგან -**ბა** სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელებს მართლაც ემატება -**ია** ბოლოსართი ქართველიზაციის ნიადაგზე (შდრ.: აფხაზ. **ზვან-ბა** > ქართ. **ზვან-ბა-ია**, აფხაზ. **თარ-ბა** > ქართ. **თარ-ბა-ია**, აფხაზ. **ბუთ-ბა** > ქართ. **ბუთ-ბა-ია...**), მაგრამ, როგორც თ. გვანცელაძე აღნიშნავს, ეს გვარი რომ მართლაც აფხაზური **შამბა** ვარიანტისაგან ყოფილიყო წარმომდგარი, ქართულ ენობრივ სივრცეში უნდა მიგველო **შამბა-ია** და არა **შამბ-ია**, სადაც **ბ** ფუძისეული თანხმოვანია და არა აფხაზური მაგვარსახელებელი -**ბა** სუფიქსის თანხმოვნითი ნაწილი. **შამბია** გვარს მკვლევარი მიიჩნევს ქართული **შამუგია**-საგან ფონეტიკურ ნიადაგზე მომდინარედ - ბაგისმიერი უ ხმოვნის მეზობლად გ თანხმოვანი შეცვლილია ბაგისმიერივე ბ თანხმოვნით. ამ ვარაუდის რეალურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „ბიჭვინთის იადგარში“ (XVI ს.) იმავე სოფელ ტყაურუში დასახელებულნი არიან **შამიგია** ჭუჭურია და დათია, ფორმა **შამიგია** კი **შამუგიას** სხვა ფონეტიკური ვარიანტია (გვანცელაძე, 2011: 145 - 146).

2. 3. 1. 1. 2. ე-ა > ი-ა დაბოლოებიანი გვარსახელები

გვარსახელი **სავლია** იხსენიება 1616-1621 წწ. საბუთში როგორც სოფელ ჯგალის მცხოვრების გვარი (ქსძ, III, 1970: 480). მას საფუძვლად უდევს მამაკაცის ბიბლიური სახელი **სავლე** (ებრაულად: **შა'ულ**, ბერძნულად: **Σαούλ**, **Σαυλος**) - ეს სახელი ერქვა თავდაპირველად ქრისტეს მოციქულ პავლეს. გვარის დასახელება ასეა მიღებული: **სავლე-ან-ი** > **სავლი-ან-ი** > **სავლი-ა**. სხვაგვარად რომ ითქვას, გვარსახელში გამოიყოფა არა -**იან** სუფიქსი, არამედ მისი ვარიანტი -**ან** (შდრ. სვანური გვარსახელები: **ბაბლუ-ან-ი** < **ბაბილო-ან-ი**, **ფირცხელ-ან-ი**, **ფილფ-ან-ი**, **გადრ-ან-ი...**), რომლის წინ მდგომი ი ხმოვანი საყრდენი **სავლე** ანთროპონიმის ბოლოკიდურა ე ხმოვნისაგანაა მიღებული

მომდევნო ა ხმოვანთან ნაწილობრივი ასიმილაციის გზით (შდრ. პეტრე > პერტე > პერტი-ა...).

ამავე მოდელს განეკუთვნება გვარსახელი მეფორია-ც, რომლის შესახებ ზემოთ უკვე იყო მსჯელობა.

მეტად საყურადღებოა გვარსახელი ხახარია. იგი დასტურდება 1616-1621 წწ. საბუთში, რომელშიც წერია: „მართებს მამისახარს ხახარიას 1 საკლავი, 1 ქათამი, 4 ლიჯი ღომი, 4 კოკა ღვინო და გამოჰკუმური კარგი საჭმელი მისის ღომითა და ღვინითა, ხორციტა და სამარხოთა მისის ყოვლისა ფერითა“ (ქსმ, III, 1970: 439). ამ გვარსახელს საფუძვლად უდევს ხანმეტობის დროს გავრცელებული ხარება ზმნის ბრძანებითი კილოს ხ-ახარე ფორმისაგან ნაწარმოები უძველესი ზოგადქართული პირსახელი ხახარე, რომელშიც თავკიდურა ხ- თანხმოვანი აშკარად პირის ნიშანია. ერთი შეხედვით, შეიძლებოდა ეს ფორმა ორპირიან ზმნად გაგვეგო და ასეთ შემთხვევაში მას უნდა ჰქონოდა „გაახარე შენ ის!“ მნიშვნელობა, მაგრამ ამგვარ ვარაუდს ხელს უშლის ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ხანმეტ ტექსტებში ხ- პრეფიქსი არ გამოიყენებოდა ბრძანებით კილოში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად, რის გამოც გამოირიცხება ხახარე ფორმის ორპირიან ზმნად გაგების შესაძლებლობა (იმნაიშვილი, 1971: 158). შესაბამისად, რჩება სხვაგვარი ახსნის საფუძველი: ხ- პრეფიქსი ხ-ახარე ფორმაში მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია, მესამე პირში კი, როგორც ცნობილია, ირიბ ობიექტს პირის ნიშანი მუდამ, ყველა სერიაში ჰქონდა. შდრ. ხანმეტ ტექსტებში დადასტურებული ბრძანებითის ფორმები: ხ-კითხე! მი-ხ-ეც! ხ-უთხარ!... (იმნაიშვილი, 1971: 161-162). მაშასადამე, ფორმა ხახარე ნიშნავდა „ახარე შენ მას რაიმე!“ სწორედ ეს ფორმაა გადაქცეული პირსახელად (შდრ. პირსახელი მახარე < მ-ახარე შენ მე რაიმე!“), გვარსახელი ხახარია კი ასეა წარმოქმნილი: პირსახელი ხახარე > გვარსახელი *ხახარე-ან-ი > ხახარი-ან-ი > ხახარი-ა, ანუ გვარსახელის ფუძეს დართული აქვს არა -იან სუფიქსი, არამედ მისი ვარიანტი -ან (შდრ. გვარსახელები: სერგი-ა, სოფრონი-ა...).

-ია როგორც გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსი დასტურდება საკვლევ მასალაში ისეთ გვარებშიც, როგორიცაა: მატოფია (პალ, III, 2004: 79), მიკვნია (პალ, III, 2004: 168), მჯუჯია (პალ, III, 2004: 249), მუზურგნია (პალ, III, 2004: 217), ნისერია (პალ, III, 2004: 308), სავარია (პალ, IV, 2007: 124), ფაცხლია, ფიმულია (პალ, IV, 2007: 311), ფირთუხია (პალ, III, 2004: 315), ქვაცხია, ქვაშჩია (პალ, IV, 2007: 315), შუნია (1621) (ქსმ,

III, 1970: 428), ჩოღია (პალ, V, 2015: 218), მარსანია (იქვე: 295), წაწულია (იქვე: 306), წიწალია (1616-1621) (ქსმ, III, 1970: 472), ხვანია (პალ, V, 2015: 386), ხვიხვილია (პალ, V, 2015: 387), ჯომნია (1621) (ქსმ, III, 1970: 425) და სხვ., რომელთა ეტიმოლოგია ბუნდოვანია და შემდგომ კვლევას მოითხოვს.

2. 3. 1. 2. -ვა დაბოლოებიანი გვარსახელები

შუა საუკუნეებში შედგენილი ისტორიული საბუთების მიხედვით, საკვლევ მხარეში, გვარსახელთა მაწარმოებლად, სიხშირის გათვალისწინებით, -ია დაბოლოებას მოსდევს -ვა ბოლოსართი. პ. ცხადაიას გამოკვლევით, იგი მოიცავს ძირითადად სამეგრელოს, სადაც 310-მდე გვარს უჩანს -ვა დაბოლოება, ეს დაბოლოება ასევე გავრცელებულია იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ლეჩხუმში (ცხადაია, 2000: 20). -ვა დაბოლოების წარმოშობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება.

ნ. მარი და ი. ყიფშიძე თვლიდნენ, რომ -ვა დაბოლოება მომდინარეობს აფხაზური იფა „მისი ძე“ სუფიქსიდიისაგან. კერძოდ, ი. ყიფშიძე ნ. მარზე მითითებით აღნიშნავს, რომ მეგრული გვარის დაბოლოება -ვა იმავე ძირისაა, რაც აფხაზური აფა „ძე“. ეს -ვა გამარტივებულია თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვით. მაშასადამე, -ვა > -ა: პაპავა > პაპაა (ყიფშიძე, 1994 : 437).

-ვა სუფიქსის წარმომავლობის საკითხი განიხილა ს. ჯანაშიამაც, რომელიც იმთავითვე უარყოფდა ნ. მარის მოსაზრებას, რომ -ვა მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზურიდან შენათვისები ბა // ფა „ძე“ ელემენტია. ს. ჯანაშიას მიხედვით, „ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ ანგარიში არ ეწევა მოცემულ ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას: აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარისსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი - ორივე სქესისას. დაბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული - როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ასეთი წამლუკავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე“ (ჯანაშია, 1959: 40). ს. ჯანაშიას ვარაუდით, -ვა უნდა იყოს შეკვეცილი -ვან, რასაც ასაბუთებს შესაბამისი მაგალითებით: სვან. ფაღავან > მეგრ. ფაღავა, სვან. გაღდავან > მეგრ. გაღდავა... მისივე თქმით, -ნ ჩვეულებრივად იკარგება მეგრული ზმნის ფორმებში: რე < რენ (ჯანაშია,

1959: 41). ეს -ვან ვარიანტი საერთოქართველური -ან სუფიქსისა, რომლის ძირითადი და თავდაპირველი დანიშნულებაა კრებითობისა და წარმომავლობის გამოხატვა. ცოცხალ მეტყველებაში მეგრული გვარსახელებისათვის -ვა დაბოლოების მოკვეცა გვიანდელი მოვლენაა და „საფიქრებელია, აფხაზურშიაც იჩენს თავს გვარისსახელთა კრებითობის ფორმის აფიქსში -აა (თუ ა), მაგ., კოზმაა (კოზმავები), ჟენიაა (ჟვანიები), მარშანაა (მარშანიები) და სხვ.“ (ჯანაშია, 1959: 40).

-ვა დაბოლოებასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებანიც. პ. ცხადაია წარმოადგენს გ. როგავას მსჯელობას -ვა სუფიქსთან დაკავშირებით, რომელიც იზიარებს ს. ჯანაშიას შეხედულებას (-ვან > -ვა) და აზუსტებს ზოგ დებულებას: ისტორიულად ზოგი სუფიქსის წინ დასტურდება -ავ, -ევ, -ივ, -ოვ, -უვ. მათზე -ან სუფიქსის დართვის შემდგომ გამარტივდა ეს რთული დაბოლოება და მივიღეთ: -ევ-ან > -ეან > -იან > -ია; -ივან > -ივა > -ია (ჩხეტ-ივ-ან > ჩხეტ-იან-ი > ჩხეტ-ია) და ა.შ. დასავლეთ საქართველოში პარალელურად ყოფილა გავრცელებული რთული სუფიქსები-ივ-ან და -ავ-ან. გვარსახელების -ავა სამწერლობო ენამ შემოინახა, მაგრამ მეტყველებაში გამარტივდა: ხმოვნებს შორის ვ დაიკარგა: ჭით-ავ-ან > ჭითავა > ჭითაა > ჭითა (ცხადაია, 2000: 20).

ჯ. ონიანი თვლის, რომ მეგრული გვარსახელების -ავა დაბოლოებაში სუფიქსია მხოლოდ -ა, რომელიც, როგორც ამას ს. ჯანაშია ვარაუდობდა, -ან სუფიქსის ნაშთია. გვარის მაწარმოებელი სუფიქსი აქ მხოლოდ -ა არის. **სოტკილავა, ბჟალავა** მეგრულად არის **სოტკილა, ბჟალაა** (ონიანი, 1955: 85).

თ. გვანცელაძისთვისაც მიუღებელია ნ. მარისა და ი. ყიფშიძის ვარაუდი -ვა დაბოლოებასთან დაკავშირებით. მისი შეხედულებით, „ქართულში -[ვ]ა სუფიქსი არ მომდინარეობს აფხაზურიდან, ვინაიდან ამგვარი ვარიანტი ამ ენაში საერთოდ არ დასტურდება, თანაც ის გვარსახელები, რომლებიც იმერულ, მეგრულ, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ, რაჭულ დიალექტებსა და სამწიგნობრო ენაში შეიცავენ ვ თანხმოვანს, ეტიმოლოგიურად არ იხსნება აფხაზურ ნიადაგზე - ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ამ გვარებში სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ ვ თანხმოვნის მომდევნო ა ხმოვანი, რომელსაც წინამავალი ფუძისეული ა ხმოვნისაგან გასამიჯნად მიემატა ბგერათგამყარი ვ ბგერა. ეს წესი, როგორც ჩანს, გავრცელდა უფრო სამეგრელოს აღმოსავლეთითა და სამხრეთით (იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ლეჩხუმსა და რაჭაში),

თვით სამეგრელოში კი უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო წმინდა ფუძით, „უსუფიქსოდ“ წარმოდგენილი გვარები: **ბიგვა, გერზმა, დუმა, კორტა** (შდრ. ამაჟამინდელი გვარსახელი **კორტი** სამეგრელოშივე და იმერეთში), **კობრა, კუპრა, ლაგვილა, სირგინა, სიჭინა, ჭითანა...**“ (გვანცელაძე, 2011: 142).

პ. ცხადაიას დაკვირვებით, საისტორიო წყაროებში დადასტურებულია -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა სამი ვარიანტი: 1. -ვა უცვლელადაა შემონახული; 2. -ვა გამარტივებულია და გვარის ფუძეს ერთვის მხოლოდ -ა სუფიქსი; 3. ნაშთის სახით დარჩენილი -ა სუფიქსიც მოკვეცილია (ცხადაია, 2000: 21). ვიზიარებთ რა პ. ცხადაიას დასკვნას, განვიხილავთ შესაბამის მაგალითებს შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-ისტორიული საბუთებიდან. ამასთანავე ცალ-ცალკე ვაჯგუფებთ დასახელებულ წყაროებში ასახულ -ვა, -აა, -ა დაბოლოებიან ვარიანტებსა და იმ გვარსახელებს, რომლებიც -ვა დაბოლოების ნაცვლად ნულოვანი აფიქსით არიან წარმოდგენილნი:

-ვა დაბოლოება

გვარსახელი **ასმა-ვა** მოხსენიებულია 1616-1621 წლებში (პალ, I, 1991: 190). იქვე წარმოდგენილია ამავე გვარის **ასმაგ-ია** ვარიანტიც, რომელიც, შესაძლოა, კალმის, ან ბეჭდვის შეცდომაც იყოს. გვარსახელი სრული **ასმაგა** ფორმით დასტურდება საბუთებში. ასევეა ზეპირმეტყველებაშიც, მაგრამ იგი იკვეცება, როცა უბნის სახელია: **საასმო** და არა ***საასმაგო**. პ. ცხადაიას დაკვირვებით, **ასმაგა** უწინ კომპაქტური დასახლებაც უნდა ყოფილიყო, რაზეც მიუთითებს ტოპონიმები სამეგრელოში: **ლიასგმე** - ჭანისწყლის მარც. შენაკადი (ჯგალი), **საასმო** - ახუთი. გვარს სავარაუდოდ საფუძვლად უდევს პირსახელები **ასმა** და **ასმან**, რომლებიც ალ. ღლონტის მიხედვით დაფიქსირებულია ჩხოროწყუმში (ღლონტი, 1986: 76).

გვარსახელი **აფხაზა-ვა** იხსენიება 1616-1621 წლების საბუთში. მის შესახებ ზემოთაც იყო მსჯელობა, აქ კი დამატებით შემდეგს აღვნიშნავთ: საბუთში ნახსენები გვარი **აფხაზავა** უდავოდ პირსახელ **აფხაზა**-საგან მომდინარეობს. **აფხაზა** პირსახელის რეალურად არსებობას მხარს უჭერს 1664-1677 წწ. შედგენილი დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „**კალვაში აფხაზაი** - ჩაქვს მცხოვრები. იგი გიორგი გურიელმა უწყალობა მირზაბეგ თაუდგირიძეს“ (პალ, V, 2015: 358). საყურადღებოა, რომ **აფხაზავა** გვარის

წარმომადგენელთა ნაწილი გააფხაზებულა (გააფსუებულა): დღეს აფხაზთა შორის არიან ადამიანები, ვინც გვარად ატარებს **აფხაზაა** ვარიანტსაც და მისგან მომდინარე **(ა)ფჰაზოუ** ფორმასაც. ამ აფხაზურ ფორმათა დამაჯერებელი ანალიზი წარმოადგინა თ. გვანცელაძემ. ავტორი ყურადღებას აპყრობს პ. ცხადაიას მიერ შენიშნულ იმ ფაქტს, რომ ქართულ ისტორიულ საბუთებში დასტურდება პარალელური ფორმები: **გოგილა // გოგილავა, ფათხა // ფათხაა // ფათხავა** და სხვანი (ცხადაია, 2000: 21-22) და წერს: „ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI საუკუნის შემდგომ აფხაზთა ჩამოსახლებისა და დამხვედურ ქართველთა ასიმილაციის პროცესში აფხაზებმა, როგორც ჩანს, ქართულ გვარებში წარმოდგენილი ორი ა ხმოვანი გააიგივეს აფხაზურ კრებითობის მაწარმოებელ -აა სუფიქსთან და ასე გაითავისეს ისინი. ამ ვარაუდის მხარდამჭერი გვგონია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართულ გვარსახელებში არ დასტურდება -ვა // - აა სუფიქსი, მაგრამ აფხაზურ გამოთქმაში მაინც არის -აა სუფიქსი. ასეთებია: **არსთ-აა < ერისთავ-ი** და **ამმხ-აა // ემხ-აა < ქართ. ემხვარ-ი < ამილახვარ-ი**“ (გვანცელაძე, 2011: 143). იქვე მკვლევარი შენიშნავს შემდეგსაც: „რამდენიმე -ვა დაბოლოებიან ქართველურ გვარს აფხაზურში მოჰყვება ბოლოკიდური ა ხმოვანი, ხოლო ვ თანხმოვანი კანონზომიერად ქცეულა უ თანხმოვნად: **(ა)ფჰაზოუ < აფხაზავა, ებჰნოუ < აბჰნოუ < ბჰინავა, ვაჰაროუ** (ეს ფორმა დასტურდება XIX საუკუნის საბუთებში) **< ვაჰარავა, მამაცოუ < მამაცავა, შეყრილოუ** (დასტურდება XIX საუკუნის საბუთებში...) **< შეყრილავა**“ (გვანცელაძე, 2011: 143). ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ გვარსახელი **აფხაზავა** ამ გვარის მტარებელთა აფსუიზაციის შემდგომ საფუძვლად დასდებია **აფხაზ-აა** და **(ა)ფჰაზოუ** ვარიანტებს.

გვარი **ბიგუა** საანალიზო დოკუმენტებში დასტურდება 1621 წ. სოფ. სუბვში (ქსმ, III, 1970: 427). იგი უნდა იყოს ამჟამინდელი **ბიგვაა // ბიგვავა** ვარიანტების უაფიქსო საყრდენი ფუძე **ბიგუა // ბიგუა**: **ბიგვა-ვა < ბიგუა**. სიტყვა **ბიგვა** მეგრულში ცალკე ერთეულად გვხვდება და ნიშნავს „მკვრივს, ჩაფსკვნილს, ჩასუქებულს“ (ქობალია, 2010: 62). ამის გათვალისწინებით, **ბიგვა**, შესაძლოა, თავდაპირველად იყო მეტსახელი ჩაფსკვნილი, ჩასუქებული პიროვნებისა, დროთა განმავლობაში კი -ვა დაბოლოების დართვით იქცა გვარსახელად. გვარი დღეს დასტურდება აფხაზთა შორისაც. 1867 წელს თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა სიაში დასახლებულია **ბიგვა** და **ბიგვაა** ვარიანტები. აქ დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, **ქვაზაჩ ბიგვა** სახლებულა

სოფ. იაშთხვაში (ხორავა, 2014: 152), აბრაგ **ბიგვა** - სოფ. აბჟაყვაში (იქვე: 152); მახუ **ბიგვა** - სოფ. ჭლოუში (იქვე: 159). თ. გითოლენდიას მიხედვით, ამავე მუჰაჯირთა სიაში დაფიქსირებულია გააფხაზურებული **ბიგბა** ვარიანტიც. ავტორი მიიჩნევს, რომ ამ **ბიგბა**, **ბიგუა**, **ბიგვა** ვარიანტებისათვის ძირითადია მეგრული **ბიგვა** (გითოლენდია, 2009: 162-163). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ყველა ქართული და აფხაზური ვარიანტის ამოსავალია მეგრული **ბიგვა** „ჩაფსკვნილი, ჩასუქებული“.

ისტორიულ დოკუმენტებში ვლინდება ისეთი შემთხვევები, როდესაც გვარსახელს საფუძვლად უდევს კანონიკური საკუთარი სახელის გვიანდელი ვარიანტები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გ. გვანცელაძის კვლევა. მან XI-XVIII საუკუნეებში შედგენილი იურიდიული დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე გამოავლინა ის მეორეული პირსახელები, რომლებიც წარმოქმნილია კანონიკურ ქრისტიანულ სახელთა ფუძეებისაგან და საყრდენ ფუძეთა სახითაა გამოყენებული ქართულ გვარსახელებში (გვანცელაძე, 2015: 12-13). აქ ჩამოთვლილ ანთროპონიმთა შორის მკვლევარი ასახელებს ჩვენთვის საინტერესო კანონიკურ **კოზმან** პირსახელს (გვანცელაძე, 2015: 13), რომელიც საფუძვლად დასდებია სამეგრელოში გავრცელებულ გვარსახელ **კოზმა**-ს. **კოზმა** საყრდენი პირსახელი **კოზმა** დასტურდება 1628 წელს შედგენილ დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ: „დალიძგას მცხოვრები **კოზმა** ხახუტია პარაქსია ალექსანდრიასთან ერთად ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას და დაუდგინა გადასახადი...“ (პალ, II, 1993: 522). **კოზმა** // **კოზმან** ვარიანტები დასტურდება ალ. ღლონტის მასალებშიც (ღლონტი, 1986: 98). სწორედ ამ **კოზმა** პირსახელისაგან მომდინარედ მიიჩნევს ნ. ჯომიდავა გვარსახელ **კოზმა**-ს, ადგილობრივი გამოთქმით - **კოზმა**-ს (ჯომიდავა, 2000: 195). **კოზმა** (ზეპირმეტყველებაში - **კოზმა**) გვარსახელი გვხვდება დღევანდელ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა შორისაც. გარდა ამისა, სოფ. ოქუმში დასტურდება უბანი **საკოზმო**, რომელიც ამ გვარის განსახლების აღმნიშვნელია. იგივე გვარი **კაზმა** // **კოზმა** ვარიანტების სახით დასტურდება აფხაზთა შორისაც, თუმცა სრულიად უდავოა, რომ ორივე ვარიანტი ქართულის ტრანსფორმირების შედეგია და არა პირუკუ, რაზეც სესხების ფონოტაქტიკური წესებიც მიუთითებენ: აფხაზურ ენაში სხვა ენის **კო** მარცვალი კანონზომიერად იშლება **კჷ** მარცვლად, რის შემდეგაც უმარცვლო **ჴ** ფონემა შეერწყმის წინამავალ **კ** ბგერას და იწვევს მის ლაბიალიზაციას. შდრ.: ქართ. **კოლოფი** > აფხაზ. **აჴალაფ**, მეგრ. დიალ. **კონჭი** < აფხაზ.

აკანჭ „კოჭი“, ქართ. კოჭობი > აფხაზ. აკაჭაბ... (ლომთათიძე, 1976: 51). ეს წესი გამორიცხავს საანალიზო გვარსახელის აფხაზურიდან სესხებას.

1616-1621 წლებში ცაიშში დასტურდება გვარსახელი **ლიჭურდღუვა** (პალ, III, 2004: 246), რომელიც გაურკვეველი ეტიმოლოგიისაა. უდავოა მხოლოდ ის, რომ იგი შეიცავს -ვა დაბოლოებას. გვარსახელი დღეს აღარ დასტურდება.

1673-1696 წლებით თარიღდება გვარსახელები: **მირცხულა-ვა** // **მირცულ-ა** (პალ, III, 2004: 188), რომელთა შესახებაც ზემოთ იყო მსჯელობა. აქ შემდეგს დავძენდით: ამ გვარსახელს აქვს ვარიანტები: **მირცხულა** (მეგრული ზეპირი ვარიანტი), **მერცხულავა** (ზუგდიდის რაიონის სოფ. ყულიშკარი), ხოლო **მორცხულა** აღდგება სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში შემორჩენილი **ლე-მორცხულ-ე** ტოპონიმის მიხედვით (ცხადაია, 2000: 111, 113). პ. ცხადაიამ გამოავლინა ამ გვარსახელის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე ფაქტი. იგი წერს: „გვარი დასახელებულია 1706 წელს შედგენილ შეწირულობის წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს უყიდია და ხატისათვის შეუწირავს ქოჩუა **მირცხულავა** (ქსმ, III, 647). იგი ამავე საბუთში მეორედ მოხსენიებულია როგორც ქოჩუა **მირსხულავა** (იქვე, 648). ამავე პერიოდის სხვა საბუთში დასახელებულია ბოჯოჯია **მისხულავა** (იქვე, 676), ხოლო XVIII ს. პირველი ნახევრის კიდევ ერთ საეკლესიო საბუთში - ხორგას მცხოვრები პაჭკუტია **მისხულავა** (ქსმ, III, 770). ივ. ჯავახიშვილმა გვარი დაუკავშირა მეგრულ სიტყვა **მურიცხს** („ვარსკვლავი“) და მირცხულავა გაიაზრა როგორც „ვარსკვლავას შვილი“ (ცხადაია, 2000: 113. ხაზგასმა ჩვენია - ს.კ.). ვფიქრობთ, ივ. ჯავახიშვილისეულ ახსნას აქვს ფონეტიკურ-მორფოლოგიური სახის დაბრკოლებანი: ფუძე **მურიცხ-** მწელად მოგვცემდა **მირცხულა**, **მირსხულა** და **მისხულა** ვარიანტებს. უფრო რეალური ჩანს, გვარსახელის თავდაპირველ საყრდენ ფუძედ, მამაკაცის პირსახელად აღვადგინოთ ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში დადასტურებული **მისხულავა** ფორმის შემადგენელი **მისხულა** ვარიანტი, რომელშიც, შესაძლებელია, შედის ფუძე ძველქართული სიტყვისა **მისხ-ი** „ნათესავი; თაობა, მოდგმა“ (<http://www.ena.ge/explanatory-online>) და კნინობითობის რთული სუფიქსი -**ულ-ა**. მომდევნო ეტაპზე სიტყვის ფუძეში თანხმოვნების წინ რ თანხმოვნის განვითარების ტენდენცია მოგვცემდა **მირსხულა** ფორმას, რომელიც რეალურადაა დოკუმენტირებული **მირსხულავა**-ში, მესამე საფეხურზე აფრიკატიზაციის შედეგად ამ

ფორმისაგან მივიღებდით **მირცხულა** ვარიანტს, შდრ. **მისხალი** > მეგრ. **მირცხალი** (ქაჯაია, II, 2002: 283). ქრონოლოგიურად ყველაზე ბოლო ფორმებად **მერცხულა** და **მორცხულა** ვარიანტები ჩანს, რომლებიც აღდგება გვარსახელ **მერცხულავა**-სა და ტოპონიმ **ლემორცხულე**-ს საფუძველზე. მაშასადამე, გვარსახელთა ისტორია ასე წარმოიდგინება: პირსახელი **მისხულა** > გვარსახელი **მისხულავა** > **მირსხულავა** > **მირცხულავა** > **მერცხულავა** // ***მორცხულავა**. აღსანიშნავია, რომ იგივე გვარსახელი გავრცელებულია აზერულ აფხაზთა შორისაც (ოჩამჩირის რაიონი) **მერცხულაა** ვარიანტის სახით, რომელიც, როგორც ითქვა, გვარსახელის გვიანდელი ფონეტიკური ფორმაცაა და არც ეტიმოლოგიზდება აფხაზური ენის საფუძველზე.

გვარსახელი **მჭითავა** (შდრ. ამჟამინდელი ვარიანტი **ჭითავა**) პირველად დასტურდება ჯგალში (1616-1621 წწ.). მის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

გვარსახელი **სიჭინავა** პირველად დასტურდება 1621 წელს (ქსმ, III, 1970: 413-414), უფრო მოგვიანებით კი, 1642 წ. შედგენილ დოკუმენტში ვლინდება **სიჭინავას** ამოსავალი, უსუფიქსო ვარიანტი **სიჭინა** (პალ, IV, 2007: 176); ასევე 1689-1714 წწ. შედგენილ საბუთებში იხსენიება ზემო ხობს მცხოვრები ხოსია **სიჭინა** (პალ, IV, 2007: 177). გვარსახელის დამაჯერებელი ეტიმოლოგია დღემდე არ არის დადგენილი, თუმცა, ვფიქრობთ, უყოყმანოა ერთი ფაქტი: გვარსახელს საფუძვლად უდევს **სიჭინა** ფუძე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელი საგვარსახელო ფორმა იყო XVII საუკუნეშიც და ასეთად რჩება დღესაც ადგილობრივ გამოთქმაში.

1616-1621 წლების საბუთში აღნიშნულია, რომ ვინმე **ტოტობინავა** გვანიშიას მართებდა ჯგალის ციხის ბეგარა (ქსმ, III, 1970: 478). ამ გვართან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ა. ლლონტს საკუთარ სახელთა ლექსიკონში დასახელებული აქვს ერთმანეთთან აშკარა მატერიალურ კავშირში მყოფი, სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მორფოლოგიური ელემენტით გაფორმებული რამდენიმე მამაკაცის პირსახელი: მეგრ. **ტოტ-ი**, **ტოტ-ია**, **ტოტ-იე**, **ტოტ-ე**, **ტოტ-ოლ-ი**, **ტოტ-ორ-ო**, **ტოტ-ო-შა**, **ტოტ-უ**, გ. ლეონიძის მიერ ჩაწერილი კახური **ტოტ-იბა**, ქიზიყური მეტსახელები **ტოტ-იკ-ო** და **ტოტ-ილ-ა**, პ. ინგოროყვას მიერ სვანეთის საბუთებში დადასტურებული **ტოტ-ო** და **ტოტ-ო-მ**, საარქივო მასალებში დაცული **ტოტ-ობა**, ქართლური მეტსახელი **ტოტ-ორ-ი**, ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული **ტოტ-ოჯ-ი**, რაჭული და გურული

ტოტ-უ-ა (დლონტი, 1986: 194). იმავე ლექსიკონშია წარმოდგენილი ქალთა სახელები: **ტოტ-ოლ-ო** და **ტოტ-ონ-ა** (დლონტი, 1986: 299). ამ სახელებში ჩვენ მიერ გამოყოფილ სუფიქსთა რეალურობა სრულიად ცხადია, რასაც ვერ ვიტყვით **ტოტ-** ძირის სემანტიკაზე, რაც შემდგომ კვლევას მოითხოვს. რაც შეეხება გვარსახელ **ტოტობინავა**-ს შემადგენლობაში შემავალ **ტოტობინა** ფუძეს, მასში აქვე დასახელებულ ფორმებთან შედარება გამოგვაყოფინებს **ტოტ-** ძირს, თ. გვანცელაძის მიერ ათეულობით ქართულ პირსახელსა და გვარსახელში გამოყოფილ **-ობა** სუფიქსის **-ობ** სეგმენტსა (გვანცელაძე, 2011: 151-172) და კნინობითობის **-ინ-ა** დაბოლოებას. ამრიგად, გვარსახელი **ტოტობინავა** ასეთი სტრუქტურისაა: **ტოტ-ობ-ინ-ა-ვა**. დღეს ეს გვარსახელი აღარ არსებობს.

ისტორიულ საბუთებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირსახელი თუ გვარსახელი წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით. გვარსახელი **ფათხავა**, დასტურდება სამი ვარიანტით: **ფათხავა // ფართხავა // ფათხაა**. **ფათხაა** გვარის მატარებელი ერთი პირი დასტურდება ცაიშში: „მართებს სომიხერდასა **ფათხაას...**“ (ქსძ, III, 1970: 450). ამავე დოკუმენტის მიხედვით, ჯგალში ერთდროულად დასტურდება რამდენიმე მოსახლე **ფათხავაც**, **ფათხააც** და **ფართხავაც**: ერთი მხრივ, **ფათხავა** გიორგი, ივანე და ოსავთარი, მეორე მხრივ, მიქაი, ზანუა, თომიხილა, ლომინა, სკვამილა და დედისმამა **ფათხაა** (ქსძ, III, 1970: 471), ერთადერთ შემთხვევაში კი დასტურდება **ფათხავა** გვარის რ ჩართული ვარიანტი - **ფართხავა** (ქსძ, III, 1970: 471). საკუთარი სახელები **ფართხო**, **ფართხუ** და **ფართხუია** რეალურად აქვს დადასტურებული სწორედ სამეგრელოში ალ. დლონტს (დლონტი, 1986: 120). ნ. ჯომიდავას აზრით, გვარსახელს საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **ფართხა**, შდრ. **ფართხი**, **ფართხალი** (ჯომიდავა, 2000: 317). მეგრულში დღესაც აქტიურად გამოიყენება მეტსახელი **ფართხა // ფართხალა**. **ფართხალა**-ს უწოდებენ უკობტაო ქალს - უმწოდ გრძელ, ან ფართო, განიერ კაბაში (ქვედაბოლოში). ასეთ ადამიანზე მეგრულად იტყვიან: **მიფართხალ** „მოფართხუნობს“. გარდა ამისა, წარმოდგენილია როგორც **ფათხა**, ასევე **ფართხა** ფუძით ნაწარმოები სახელები: **ფათხა** „ბადის საქსოვი ჩხირი; ბატის ფრთა“ (ქობალია, 2010: 621) და **ფართხალა** „ფართხალა, ფეთხუმი; ფართხუნა“. **ფართხალი** „ფართხალი, ფართხუნი“ (ქობალია, 2010: 622). ვფიქრობთ, საანალიზო გვარსახელის საყრდენი ფუძე **ფათხა** >

ფართხა თავდაპირველად ფართხუნა სამოსში გამოწყობილ პირთა მეტსახელი იყო: იმ დროს გრძელი სამოსი (კაბა, ჩოხა, ახალუხი) მამაკაცებსაც ეცვათ.

გვარი **ქუცურავა** დასტურდება 1616-1621 წლების დოკუმენტში (ქსმ, III, 1970: 480). გვარსახელში უდავოდ გამოიყოფა **ქუცურა** ფუძე. ამავე ფუძის შემცველ გვარად მიაჩნია პ. ცხადაიას მის მიერ ჩხოროწყუში გამოვლენილი გვარსახელი **ქუცურუა**. მკვლევარი დასძენს, რომ **ქუცურუა** ცოცხალი სიტყვაა მეგრულში და მისი მნიშვნელობაა: „პატარა ტანისა და გამხდარი, გასაცოდავებული“ (ცხადაია, 2000: 142). გარდა ამისა, **ქუცურია** ნიშნავს „პატარა, ქუცუნია ბაღლს“ (ქობალია, 2010: 640). ვფიქრობთ, ამ სიტყვათა მატერიალურ-სემანტიკური ურთიერთკავშირი ცხადია.

გვარსახელი **შარინავა** დასტურდება 1621 წ. შედგენილ დოკუმენტში თილითს (ამჟ. ოჩამჩირის რაიონის სოფ. აბააჟვახუ) მცხოვრებლად (ქსმ, III, 1970: 430) პ. ცხადაიას ცალკე არა აქვს გამოკვლეული გვარსახელი **შარინავა**, მაგრამ იგი მას ახსენებს **შარია**-ს განხილვისას და წერს: „სვანური და მეგრული პირსახელები **შარუ**, **შარმათ**, **შარვან...** გვავარაუდებინებს **შარი** ვარიანტსაც, რაც ჩანს გვარში **შარინავა**“ (ცხადაია, 2000: 146). ჩვენი აზრით, გამოსარიცხი არ არის **შარინავა**-ს კავშირი გვარსახელ **შარია**-სთან: **შარ**-ძირს ერთ შემთხვევაში ერთვის **-ია** სუფიქსი, მეორეში კი კნინობითისავე **-ინ**-ა სუფიქსი, მაგრამ ასე დარწმუნებით ძნელია **შარინა** ფუძის სემანტიკის დადგენა.

გვარსახელი **მიგურავა** დოკუმენტირებულია 1616-1621 წლებში (პალ, V, 2015: 297). გვარსახელში გამოიყოფა **მიგურ**- საყრდენი ფუძე, რომლის ამოსავალი სემანტიკა ცხადი არ არის. დასაშვებია მისი მატერიალური კავშირი გვარსახელ **მიგუა**-სთან, რომელშიც, პ. ცხადაიას აზრით, აღდგება **მიგ**- ზმნური ძირი. **მიგუ**- (// **მიგვ**-) ზმნური ფუძე სამეგრელოში დაკავშირებულია ულაზათობის სემანტიკასთან: **ოძიგვინანს** - გამხდარია და უშნოდ გამოიყურება. სამეგრელოშივე ფიქსირდება კიდევ პირსახელები: **მიგვალი**, **მიგული** (ღლონტი, 1986: 232), რაც აღგვადგენინებს **მიგუ**-საც (ცხადაია, 2000: 158).

წუწუნა-ვა ერთ-ერთი უძველეს ქართულ გვართაგანია - საკვლევი დოკუმენტების მიხედვით პირველად იხსენიება 1470-1474 წლებს შორის. **წუწუნავა** ოთარაი - შამადავლა დადიან-გურიელის მიერ იოვაკიმ კათალიკოსისათვის გაჩენილ სარგოს წიგნში მოხსენიებულია ნაწყალობევ ყმათა შორის (პალ, V, 2015: 325).

გვარსახელი სავარაუდოდ მომდინარეობს შერქმეული წუწუნა „პიროვნება, რომელიც მუდამ წუწუნებს“ სახელისაგან.

ვინმე **ხოჭოლა**ვა ხვია პირველად იხსენიება 1689-1714 წლებს შორის შედგენილ საბუთში (პალ, V, 2015: 405). პ. ცხადაია გვარსახელ **ხოჭოლა**ვას ისტორიულ ვარიანტებად მიიჩნევს **ხოჭალა**ვა, **ხუჭულა**ვა ფორმებსაც. ისტორიულად **ხოჭოლა**ვები ჩიჩუების აზნაურები ყოფილან. **ხოჭა** პირსახელადაა დადასტურებული (ქსს, 1986). **ხოჭო**, **ხოჭოლა** მეგრულში შავტუხა და გამხდარი ბავშვის მოსაფერებელი სიტყვაა და მეტსახელებადაც გვხვდება (ცხადაია, 2000: 169). მიგვაჩნია, რომ უფრო მართებულია **ხუჭულა**ვა ვარიანტის დაკავშირება არა **ხოჭოლა**ვა // **ხოჭალა**ვა ფორმებთან, არამედ გვარსახელ **ხუჭუა**-სთან: ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ **ხუჭუ-ლ-ა** ფუძე **ხუჭუ** პირსახელის კნინობით-ალერსობითი ვარიანტია. აქვე აღვნიშნავთ, რომ თ. გვანცელაძე აფხაზურ სოფელ კინდლში ადასტურებს **ხოჭა** პირსახელის ფუძეზე დამყარებული **ხოჭაა** (= **ხოჭავა**) გვარსახელის მონაწილეობით შექმნილ აფხაზურ მიკროტოპონიმს **ხოჭაა იწვა** „ხოჭავას ვაში“. მისი დასკვნით, ეს და სხვა მიკროტოპონიმებიც, რომლებიც გვხვდება კინდლში, ადასტურებს ამ აფხაზურ სოფელში ქართველთა თავდაპირველ სახლობას (გვანცელაძე, 2008: 60; გვანცელაძე, 2011: 178).

XVII ს. დოკუმენტში დასტურდება გვარსახელი **ხვარავა** - წყალიძგას მცხოვრები გაჭირებული **ხვარავა** შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსმ, III, 1970: 767; პალ, V, 2015: 386). **ხვარავა ხორავას** ადრეული ვარიანტია. დღეს **ხორავა** სამეგრელო-აფხაზეთში ერთ-ერთი ძალზე გავრცელებული გვარია - ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ დღევანდელ აფხაზეთშიც: გალში და სოფ. საბერიოში. **ხვარავა**-სათვის ამოსავალი უნდა იყოს პირსახელი **ხვარა**, როგორც ამას მიიჩნევს ნ. ჯომიდავა, შდრ. მეგრ. **ხვარა** „დაბადებით უწვერულვაშო“ (იხ, ჯომიდავა, 2000: 452). ა. ქობალიას მიხედვით, **ხვარა** მეგრულში სხვადასხვა მნიშველობით გამოიყენება: „დახმარება, საშველი; ქაჩალი; ფუჭი; უქნარა; ფშუტე; ხმელი მუნი“ (ქობალია, 2010: 725). გასაზიარებელია პ. ცხადაიას მოსაზრება, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ **ხვარა** // > **ხორა** „მელოტი“ მეტსახელადაც შეიძლება ქცეულიყვნენ (ცხადაია, 2000: 169). **ხორა** // **ხორაა** ვარიანტები ფიქსირდება ბ. ხორავას მიერ, „თურქეთში გადასახლებულ წებელდის სამხედრო ოლქის მცხოვრებთა სახელობითი საოჯახო სიის“ მიხედვით, სოფ. აქითარწუხვში, ასევე, სოფ. შვაკვარანში. ავტორის მითითებით, ეს არის გვარი **ხორავა** (ხორავა, 2014: 165, 176).

ამრიგად, **ხვარავა // ხორავა** გვარსახელის ისტორია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: **ხვარა-ვა > ხორა-ვა** ძირისეული ვა მარცვლის **ო** ხმოვნად გარდაქმნის გზით.

2. 3. 1. 2. 1. -აა დაბოლოება გვარსახელებში

1621 წელს სოფ. ხაუჭელში, რომელიც მდებარეობდა ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ხოჯალის მთის ახლოს, ჭლოუსა და მოქვის ზემოთ, იხსენიება გვარსახელი **კუკაა // კუკა** (1621 წ.): **კუკაას** და ივანა **კუკას** ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 1970: 431-432). ეს ცნობა იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ერთსა და იმავე სოფელში, ერსა და იმავე საბუთში დადასტურებულია ერთი და იმავე გვარსახელის ორი ვარიანტი: -აა სუფიქსიანი (**კუკ-აა**) და ნულოვან სუფიქსიანი (**კუკა**). ამჟამად ეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი გვარი ოფიციალურად იწერება როგორც **კუკავა**, მეგრულ ზეპირ მეტყველებაში კი იხმარება ისტორიული **კუკა** და **კუკაა** ვარიანტები. გვარსახელის საყრდენი ფუძეა პირსახელი **კუკა**, რომელიც დღესაც რეალურად დასტურდება დასავლეთ საქართველოში (დლონტი, 1967: 96; ცხადაია, 2000: 101). ამრიგად, გვარსახელის ისტორია ასეთია: **კუკა** (პირსახელი) > **კუკა** (გვარსახელი) > ***კუკა-აა > კუკ-აა > კუკა-ვა**. **კუკაა** გვარი წერია აფხაზ მუჰაჯირთა სიაში, რომელიც გადაუსახლებიათ სოფ. შვაკვარანიდან (ხორავა, 2014: 176).

1616-1621 წწ. ცაიშში სახელდება გვარი **მეუკურდაა**: ვინმე კაჭულია **მეუკურდაას** ემართა საეკლესიო ბეგარა (ქსძ, III, 1970: 452). იგი ნაზმნარი ჩანს: მეგრ. კატეგორიული ბრძანებითი **მეუკურდა!** „შეუხვითე! შეუფუთე! შეუკარი!“, შდრ.: **კირუა // კკრუა** „შეხვევა“, **მეუკურ** „შეუხვია, შეუფუთა“. საფიქრებელია, რომ სახელს საკრალურ-დამცავი ფუნქცია უნდა ჰქონოდა და ალბათ გამოიყენებოდა ავი სულისათვის გზა-კვალის ასარევად. გვარი დღეს აღარ გამოიყენება.

ტურაა გატანჯია იხსენიება 1616-1621 წწ. საბუთში ცაიშს მაცხოვრებლად (პალ, IV, 2007: 251). გვარის ამჟამინდელი ოფიციალური ფორმაა: **ტურავა**, ადგილობრივი გამოთქმით - **ტურა**. ამჟამად **ტურავა** დასტურდება სამეგრელოსა და აფხაზეთში. გვარსახელს საფუძვლად უდევს ცხოველის **ტურა** სახელისაგან მომდინარე მეტსახელი, ან პირსახელი. როგორც გ. გვანცელაძე აღნიშნავს, სახელრქმევისას ემოციური შემფასებლობა აუცილებელი ნიშანია. იგი უფრო ხელშესახებად შეიგრძნობა

მეტსახელებისა და პირსახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმების გამოყენებისას. ამის მაგალითად მკვლევარი ასახელებს გარეკახეთში დადასტურებულ მეტსახელ **ტურა**-ს, რომელიც ერთ-ერთი პირისათვის შეურქმევიათ ეშმაკობისა და მოქნილი ქცევის გამო (გვანცელაძე, 2009: 66). **ტურა**, როგორც მეტსახელი, სამეგრელოში დღეს ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ იგი ზუსტად იმავე, ეშმაკის მნიშვნელობით გამოიყენება სამეგრელოში. ხშირად მიმართავენ მოხერხებულ, მოქნილ ადამიანს: **სი ტურა!** „შე ეშმაკო!“. შდრ. გვარები: **ტურაშვილი**, **ტურიაშვილი** (ჯომიდავა, 2000: 311). სვანეთის სულთა მატთანში დასტურდება -იან დაბოლოებიანი გვარი: **ტურიანი**, რომელიც სტრუქტურულად განსხვავდება **ტურა-ვა-საგან**, მაგრამ ორივესთვის საყრდენია **ტურა** ფუძე.

2. 3. 1. 2. 2. ნულოვან აფიქსიანი გვარსახელები

საანალიზო წყაროებში მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც დაგვიდასტურდა ისეთი გვარსახელები, რომლებიც წარმოდგენილია წმინდა ფუძის სახით, მაგვარსახელებელი აფიქსების დართვის გარეშე, ნულოვანი აფიქსით, ამჟამად კი იგივე გვარსახელები გაფორმებულია -ვა დაბოლოებით. ამითაა გამართლებული მათი განხილვა -ვა სუფიქსიან გვარსახელებთან ერთად.

გვარსახელი **სურმა** იხსენიება ნაგუაზაუს სასახლის მოსაკრებელ დავთარში (ქსმ, III, 1970: 412). საბას მიხედვით, „**სურმა** სხვათა ენაა, მოსაჯდომს სურმას ქართულად საოლავი ეწოდების და სამკურნალო საოლავს - კოლლურ(ი)ო“ (საბა, II, 1993: 118). ქეგლის მიხედვით, **საოლავი** კი არის „ქაჩაჩს ზევით სახსარი, სადაც ცხენს ბორკილს ადებენ“. სხეულის ნაწილის სახელის მეტსახელად და პირსახელად ქცევა მოულოდნელი არ არის. **სურმა** საკუთარი სახელია (ღლონტი, 1967: 124), რომლისგანაც მომდინარედ მიიჩნევა ნ. ჯომიდავა გვარსახელ **სურმავა**-ს (ჯომიდავა, 2000: 306). უფრო მეტი საფუძველი აქვს სხვა ვარაუდს: მეგრულში **სგრმა** (გ < უ) ნიშნავს „ლამაზს, ტანადს, მშვენიერს“. სწორედ ამ სტყვისგან უნდა მოდიოდეს გაგვარსახელებული ანთროპონიმი **სურმა-ც**.

1621 წ. აფხაზეთის გამოსავალი დავთრის მიხედვით, ჭალაში (ამჟ. სოფ. ჭლოუ) დასტურდება გვარსახელი **ქვაცხა** (ქსმ, III, 1970: 435). **ქვაცხა** უნდა იყოს იგივე **ქვარცხა-**

ვა (ცხადია, 2000: 139): იგულისხმება, რომ ქვაცხა ფუძეს ჩაერთო რ თანხმოვანი და გაფორმდა -ვა დაბოლოებით.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ გაანალიზებული -ვა დაბოლოებიანი გვარსახელები, მათი სრული (-ვა) თუ არასრული (-აა, -ა) ვარიანტებით წარმოდგენილნი, მხარს უჭერენ იმ მოსაზრებას, რომ ისინი ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი გვარსახელებია და არა ნააფხაზარი, როგორც ამას მიიჩნევს ზოგიერთი მეცნიერი. მით უმეტეს, რომ თითოეული მათგანის ეტიმოლოგიის დადგენა შესაძლებელია ქართულში. აქვე ვიზიარებთ პ. ცხადიას თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც: „ცხადი ხდება, რომ კოლხურ გვარსახელთა -ავა დაბოლოებაში წინამავალი -ა ფუძისეულია, ხოლო ბოლოკიდური -ა საგვარსახელო სუფიქსი, ხოლო ვ თანხმოვანი გარკვეული ფუნქციის მქონე ჩანართია ინტერვოკალურ პოზიციაში. ორი სხვადასხვა დანიშნულების მორფემის შეერთებით მიღებული -ვა კომპლექსი თავის მხრივ, გვარსახელთა მაწარმოებელ რთულ სუფიქსად იქნა აღქმული“ (ცხადია, 2000: 22).

2. 3. 1. 3. უა დაბოლოებიანი გვარსახელები

მეგრულ გვარსახელთა აქტიური მაწარმოებელია დაბოლოება უა. გ. როგავა თვლიდა, რომ მეგრულ გვარებში „-ოვ-ან, (თუ -უვ-ან) სუფიქსი მეტად აქტიური სუფიქსი უნდა ყოფილიყო ერთ დროს. -ოვ-ან //-უვ-ან სუფიქსის -ნ მოკვეცილი სახეობა უნდა იყოს -უა სუფიქსიანი გვარები საქართველოში: დონდ-უა < დონდ-უვა-ან (შდრ. სვან. დონდვან), გოშუა < გოშ-უვ-ან (შდრ. სვან. გოშვან) და სხვ.“ (როგავა, 1955: 5-6. ხაზგასმა ჩვენია - ს.კ.). -ოვ-ან რთულ სუფიქსში ძირითადია -ოვ ელემენტი, რომელსაც „დართული აქვს -ან სუფიქსი“ (როგავა, 1955: 4). მეცნიერის დასკვნით, -ოვ-ან (თუ -უვ-ან) რთულ სუფიქსს ჯერ მოკვეცია ბოლოკიდური ნ (შდრ. მეგრ. რენ > რე „არის“), ხოლო შემდეგ ხმოვნებს შორის ამოვარდნილა ვ თანხმოვანი, ე. ი. -უვან > -უან > -უა.

ს. ჯანაშია გვარსახელების უა დაბოლოების საკითხს ცალკე არ შეხება, მაგრამ, როგორც ჩანს, მკვლევარი ვარაუდობდა -ვან > -უა პროცესს. იგი ასახელებს პარალელურ ფორმებს: სვან. გოშვან > მეგრ. გოშუა (ჯანაშია, 1959: 36). სავარაუდოდ, ამის საფუძველზე გამოაქვს ჯ. ონიანს დასკვნა გვარსახელთა უა დაბოლოების

წარმომავლობასთან დაკავშირებით, როცა წერს „ს. ჯანაშიამ -ი-ან დაბოლოება საერთოქართველურ ფორმად მიიჩნია და მის პარალელურ ფორმებად ჩათვალა მეგრული გვარების დაბოლოებანი -ია(ნ), -ავა(ნ), -უა(ნ)“ (ონიანი, 1979: 80). ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ -ვა და -ია სუფიქსები -უან // -იან დაბოლოებებისაგან უნდა იყოს მიღებული (ჭუმბურიძე, 1987: 296).

პროდუქტიულობით უა დობოლოებას საქართველოში VII ადგილი უკავია, სამეგრელოში კი - VI ადგილი. საქართველოში დღესდღეობით გამოვლენილია 100-მდე გვარსახელი, რომელთაც ფინალში აქვთ უა. მათგან ოთხის ძირითადი სამკვიდროა იმერეთი (დონდუა, სტურუა, ჩაჩუა, ხობუა), ხოლო დანარჩენისა - სამეგრელო (ცხადაია, 2000: 22). პ. ცხადაია აანალიზებს რა მკვლევართა თვალსაზრისებს, მიდის ასეთ დასკვნამდე: „თითქმის ყველა მკვლევართან სიტუაცია ისეა წარმოჩენილი, რომ -ა-ზე დაბოლოებული გვარები თვით მეგრულის წიაღში კი არ არიან აღმოცენებული, არამედ სვანური -(ი)ან დაბოლოებიანი გვარების -ნ მოკვეცილი ვარიანტებია (ზოგ შემთხვევაში ასეცა)“ (ცხადაია, 2000: 23). იგი მიიჩნევს, რომ საგვარსახელო სუფიქსი -ა უმეტეს შემთხვევაში დაერთვის -ო ან -უ ხმოვანზე დაბოლოებულ პირსახელებს. ავტორი საილუსტრაციოდ წარმოგვიდგენს შესაბამის მაგალითებს:

ა. -ო ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებზე დართული -ა სუფიქსი (ე.ი. -უ-ა < -ო-ა):
კეკო > კეკო-ა > კეკუ-ა, კოდო > კოდო-ა > კოდუ-ა, ლოგო > ლოგო-ა > ლოგუ-ა, ქოჩო > ქოჩო-ა > ქოჩუ-ა და სხვ.

ბ. -უ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეზე დართული -ა სუფიქსი: გუჩუ > გუჩუ-ა, მატუ > მატუ-ა, ქურსუ > ქურსუ-ა, შანგუ > შანგუ-ა და სხვ. (ცხადაია, 2000: 23. ხაზგასმა ჩვენია - ს.კ.).

საბოლოოდ, პ. ცხადაია გაანალიზებული მასალის საფუძველზე მიიჩნევს, რომ „-უა-ზე დაბოლოებულ კოლხურ (მეგრულ) გვარებში გვართა მაწარმოებელია -ა სუფიქსი. მაგრამ ცნობილია, რომ ფონეტიკურ ნიადაგზე ან მორფემათა საზღვარზე წარმოქმნილი ბგერათკომპლექსი შეიძლება მორფოლოგიურ (სიტყვაწარმოებით) ელემენტად გადაიქცეს. ამ პირობით (და ოდენ სინქრონულ დონეზე) -უა ზოგ შემთხვევაში კიდევაც შეიძლება საგვარსახელო სუფიქსად ჩავთვალოთ (როგორც პარადიგმატული გასწორების ტენდენციის შედეგი)“ (ცხადაია, 2000: 24). ჩვენი აზრით, უფრო ადრინდელ

ეტაპზე არსებობდა -ან სუფიქსი, რომლის ნაშთია პ. ცხადაიას მიერ გამოყოფილი -ა სუფიქსი.

საეკლესიო-ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, საკვლევ მხარეშიც გამოვლინდა რამდენიმე უა დაბოლოებიანი გვარსახელი, რომელთაგან მაგვარსახელბელი სუფიქსი -ა დაერთვის ზოგ შემთხვევაში -ო ხმოვანზე დაბოლოებულ გვარსახელთა ფუძეებს, ზოგშიც იგი ემატება -უ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს. წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს საკვლევი მასალიდან.

2. 3. 1. 3. 1. -ო-ა > -უ-ა დაბოლოებიანი გვარსახელები

1621 წ. სოფ ნაგუაზაუში დასტურდება გვარსახელი ზარქუა (ქსძ, III, 1970: 413). ვიზიარებთ ამ გვარსახელის მიღების პ. ცხადაიას მიერ შემოთავაზებულ გზას: ზაქრო > ზარქო > ზარქო-ა > ზარქუ-ა (ცხადაია, 2000: 85).

XVI საუკუნის ერთ-ერთ საბუთში დასახელებულია კაცობაი კოდუა (ქსძ, III, 1970: 383). პ. ცხადაიას ცნობით, კოდი პირსახელია და აღგვადგენინებს კოდო ვარიანტსაც. შესაბამისად, მკვლევარი ვარაუდობს, რომ კოდო-ა > კოდუ-ა, შდრ. კოდ-ა-შვილ-ი, კოდ-ია-შვილ-ი, კოდ-ო-შვილ-ი (ცხადაია, 2000: 99; ღლონტი, 1967: 94).

გვარსახელი ლოგუა პირველად დასტურდება XVI საუკუნის II ნახევარში (პალ, II, 1993: 569), ხოლო მოგვიანებით, 1621 წელს ნაჭანულში (ამჟ. ოტობაია) იხსენიება ლოგუა თოლიშია (პალ, II, 1993: 569). პ. ცხადაიას სავსებით დამაჯერებლად მიაჩნია, რომ გვარსახელს საფუძვლად ლოგო ფუძე უდევს, რომლის სემანტიკის შესახებ ორ მოსაზრებას გვთავაზობს: 1. მეგრული ლოგო „ყეყეჩი, მოსულელი“; 2. ლოგო უნდა იყოს შემოკლებული ფორმა ლონგორ-ი, ან ლონგინოზ-ი პირსახელებიდან ერთ-ერთისა (ცხადაია, 2000: 106). პირადად ჩვენ უფრო მისაღებად მეორე შეხედულება მიგვაჩნია, შდრ. გვარსახელები: ლონგ-ი-შვილ-ი და ლონგ-ურ-ა-შვილ-ი (გაგულაშვილი, 1993: 51), რომლებიც ლონგინოზ-ისგან მომდინარე ლონგ- და ლონგ-ურ- ფუძეებს ემყარებიან; ამავე წარმომავლობისაა პირსახელები: ლონგ-ი (ქარელის რ.), ლონგ-ა, სვანეთის საბუთებში ფიქსირებული ლონგ-ო (ღლონტი, 1986: 154). აქვე იმასაც დავძენთ, რომ საანალიზო გვარსახელი ლოგუა ამ ფორმითვე გავრცელებული აფხაზთა შორისაც, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც თ. გვანცელაძე ვარაუდობს, აფხაზურ

ენაში **ო** და **ე** ხმოვნებს ფონემის ფუნქციები ყველაზე გვიან, დაახლოებით XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნამდე ოდნავ ადრე უკისრიათ (გვანცელაძე, 2011: 39), ხოლო **ო** ხმოვნის შემცველი საანალიზო გვარსახელი **ლოგუა** უკვე XVI საუკუნის II ნახევარში დასტურდება ქართულ სინამდვილეში, ამ გვარის აფხაზური წარმომავლობა გამოირიცხება. ამ დასკვნისკენ გვიბიძგებს ის ფაქტიც, რომ გვარსახელი, თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, არ ეტიმოლოგიზდება აფხაზური ენის ნიადაგზე.

ფიცხუა გვარსახელი 1621 წელს დასტურდება სოფ. ცაიშში (პალ, IV, 2007: 324). დღეს გვარი **ფიცხუა** არ არსებობს. გვარსახელის საყრდენი ფუძეა ქართული **ფიცხ-ი** ზედსართავისგან მომდინარე **ფიცხ-ელ-ა** ანთროპონიმის (გვხვდება დამოუკიდებლად და გვარსახელების - **ფიცხ-ელ-ა-ურ-ი-ს**, **ფირცხ-ელ-ა-ვა-ს**, **ფირცხ-ელ-ან-ი-ს**, **ფირცხ-ელ-იან-ის** შემადგენლობაშიც) კნინობით-ალერსობითი ფორმა **ფიცხ-ო**, ანდა **ფიცხ-უ-ა** < ***ფიცხ-ო-ა**. შესადარებლად გამოდგებოდა აგრეთვე გვარსახელები: **ფირცხ-ალ-ა-ვა**, **ფირცხ-ალ-ა-ურ-ი**, **ფირცხ-ალ-ა-შვილ-ი**, **ფირცხ-ალ-ა-ძე**, **ფირცხ-ალ-ია** (გაგულაშვილი, 1993: 76), რომელთა საყრდენი ფუძე **ფირცხალ-ი** მეგრულში ნიშნავს გაბრაზებულს, გაწიწმატებულს (შდრ. **ფიცხელი**) (ცხადაია, 2000: 134-135).

გვარსახელი **ჩოქუა** 1621 წელს იხსენიება ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ ხაუჟელში (პალ, V, 2015: 229). გვარსახელი **ჩოქუ-ა** მიღებულია **ქოჩო** „თევზის ფაფარი“ სახელისაგან თანხმოვანთა მეტათეზისით (ცხადაია, 2000: 141) და წარმოადგენს **ქოჩორ-ი** სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტს. ეს სიტყვა მეტსახელად შეიძლება გამოყენებულიყო იმ ადამიანის აღმნიშვნელად, ვისაც თევზის ზურგზედა ფხასავით ჰქონდა თმა აშვერილი. **ქოჩო** > **ქოჩუ** და **ქოჩუ-ა** რეალურადაც დასტურდება პირსახელებად სამეგრელოში (ცხადაია, 2000: 141), ხოლო **ჩოქო-ია** დადასტურებული აქვს ალ. ლლონტს იმავე სამეგრელოში (ლლონტი, 1967: 146). ამრიგად, გვარსახელის ისტორია ასეთია: აპელატივი **ქოჩორ-ი** > აპელატივი **ქოჩო** „თევზის ქოჩორი, ზურგზედა ფხები“ > პირსახელები **ქოჩო** // **ჩოქო** > პირსახელები **ქოჩუ** // **ჩოქუ** > გვარსახელი **ჩოქუ-ა**.

თავადურ-აზნაურული გვარსახელი **ჩიჩუა** დასტურდება 1673-1696 წლებში (პალ, V, 2015: 215). იოანე ბაგრატიონი ოდიშის თავადთა შორის ასახელებს **ჩიჩუებს**, რომლებიც ძველად **ჩიქოან-ის** გვარიდან ყოფილან. იგი აღნიშნავს: „ძველად იყვნენ ესენი **ჩიქოანის** გვართაგან... გაუგვარდათ ჩიქოანობა წელსა 1335...“ (ბაგრატიონი, 1997: 130). პ. ცხადაიას აზრით, გვარსახელი უნდა მომდინარეობდეს **ჩიჩო** საკუთარი

სახელისაგან, რომელიც დადასტურებულია ალ. ღლონტის მიერ (ცხადია, 2000: 152-153; ღლონტი, 1986: 226).

2. 3. 1. 3. 2. -უ-ა დაბოლოებიანი გვარსახელები

1621 ხოირში (ამჟ. ოხურეი) დასტურდება კაკუა გვარსახელის მტარებელი სამი პირი: იშამორთა, მოირდინა და მხიარულა კაკუები (ქსმ, III, 1970: 425). გვარსახელის საყრდენ ფუძედ პ. ცხადიას მიერ გამოვლენილ პირსახელ კაკუ-ს მივიჩნევთ, შდრ. გვარსახელები: კაკუ-ბერ-ი, კაკუ-ბერ-ია „კაკუ-ვაჟი, კაკუს ვაჟი“ (ცხადია, 2000: 91). თავის მხრივ, კაკ-უ პირსახელ აკაკი-ს კნინობითი კაკო ფორმის ვარიანტია. კაკუ საკუთარი სახელი დადასტურებული აქვს ალ. ღლონტს (ღლონტი, 1967: 90). მაშასადამე, კაკუა მიღებულია ასე: პირსახელი აკაკი > პირსახელი კაკ-ო > პირსახელი კაკ-უ > გვარსახელი კაკ-უ-ა.

1616-1621 წლების დოკუმენტში დარჩელში იხსენიება მჯუჯუა კაჭულია (პალ, III, 2004: 249). მკვლევართა მიერ არ არის შესწავლილი არც მჯუჯუა და არც - კაჭულია. ჩვენი ვარაუდით, ამათგან გვარსახელია მჯუჯუა, რომლის ამოსავალი სემანტიკაც გაურკვეველია. ჯუჯუ შესაძლებელია ყოფილიყო მეტსახელი, ხოლო შემდეგ ქცეულიყო გვარსახელად, შდრ. რეალურად დადასტურებული პირსახელები: ჯუჯ-ა, ჯუჯ-ია (ღლონტი, 1986: 254). თუ ეს ვარაუდი სწორია, ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ გვარსახელ მჯუჯუა-ში თავკიდურა მ- ისევეა განვითარებული, როგორც ჭითა-ვა // მ- ჭითა-ვა-ს შემთხვევაში (იხ. ზემოთ). შესაბამისად, მივიღებთ გარდაქმნათა ასეთ ჯაჭვს: ჯუჯ-უ > მ-ჯუჯ-უ > მ-ჯუჯ-უ-ა.

1621 წ. სოფელ თილითში დამოწმებულია გვარი თიფშუა (ქსმ, III, 1970: 428), რომელსაც კომპოზიტური წარმოებისად თვლიან: თიფ-შუ-ა, შდრ. მეგრ. თიფი // თიფუ „თივა, ბალახი“, (ფ)შუ „მსხვილი, მსუქანი“. გვარსახელისათვის ამოსავალი უნდა იყოს თიფშუ მეტსახელი. პ. ცხადია წარმოადგენს თ. სახოკიას თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც თიფი მომდინარეობს აფხაზური სიტყვისაგან ა-თფ „ადგილი, ალაგი. კარავი, მწყემსის სადგომი“ (ცხადია, 1999: 227; ცხადია, 2004: 146;). მ. ბუკიაც თიფუ-ს განიხილავს აფხაზურიდან მეგრულში ნასესხებ სიტყვათა შორის (ბუკია, 2000: 21). მოცემულ შემთხვევაში ამ თვალსაზრისებს ვერ დავეყრდნობით, რადგან არ ჩანს

აფხაზური სიტყვის სემანტიკური კავშირი ქართულ გვარსახელთან. თ. გითოლენდიას აზრით, გააფხაზურებული **დიფშუა**, რომელიც წარმოდგენილია გუდაუთის რაიონის სოფ. ხოფიდან გაძევებულ მუჰაჯირთა სიებში, მეგრული **თიფშუა**-საგან მიღებულია შემდეგი გზით: **თიფშუა** > **თ** თანხმოვნის გამჟღერებით ***დიფშუა** > **ხ** თანხმოვნის დაკარგვით **დიფშუა** (გითოლენდია, 2010: 116). **თიფშუა** გვარსახელთან დაკავშირებით, საყურადღებოა, ასევე, მ. ლაბაძის ზეპირი ცნობა, რომლის მიხედვითაც, **თიფშუა** არის ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში დადასტურებული იგივე **თიმჩხუ** „ცნობილი“, შდრ. ათინური **თიფშუა** „ცნობილი“. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, **თიფშუა** შესაძლოა ცნობილი პიროვნების მეტსახელი ყოფილიყო. ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია მ. ლაბაძის ვარაუდი.

1621 წელს **ქორჩოლუა** მამაში და ყელგრძელი სახელდებიან ამჟამინდელი გალის რაიონის სოფ. მუხურში (ქსძ, III, 1970: 426; პალ, IV, 2007: 383). პ. ცხადაიას მიხედვით, **ქორჩოლუა**-ში გამოიყოფა იგივე **ქორჩ**- ძირი, რაც არის სამეგრელოში დღეს გავრცელებულ **ქორჩილავა** გვარსახელში (ცხადაია, 2000: 141). **ქორჩილავა**-ს უკავშირებს ნ. ჯომიდავაც ისტორიულ დოკუმენტში დადასტურებულ გვარსახელ **ქორჩოლუა**-ს. მისი თქმით, **ქორჩილავა** **ქორჩილა** მეტსახელს გულისხმობს (ჯომიდავა, 2000: 347). მეგრულში **ქორჩოლუა** „ქოჩორას“ ნიშნავს (ქობალია, 2010: 638). გვარსახელ **ქორჩოლ-უ-ა**-სა და მეგრული **ქორჩოლ-უ-ა** ზედსართავი სახელის უდავო კავშირი ქართული სამწიგნობრო ენის **ქოჩორ-ა** სიტყვასთან გვახსენებს ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ილორის წმიდა გიორგის ტაძრის კედელზე გამოსახულ XI საუკუნის ქართულ წარწერაში მოხსენიებული მღვდლის გიორგი **ქოჩოლვაძე**-ს გვარსახელს. როგორც თ. გვანცელაძემ დაადგინა, ეს არის მთელ დასავლეთ საქართველოში უძველესი პალეოგრაფიული ნიმუში -**ვა** სუფიქსიანი ქართული გვარსახელის დოკუმენტირებისა. შესაბამისად, თვით გიორგი **ქოჩოლვაძე** ეროვნებით ქართველი იყო, ხოლო მისი გვარის სრული დასახელება **ქოჩოლვაძე** უნდა ყოფილიყო (გვანცელაძე, 1999: 52-58). პ. ცხადაიას ვარაუდით, აქ გამოსაყოფია გვარსახელ **ქოჩუა**-სთან საზიარო ძირი **ქოჩო** „თევზის ფაფარი“ (ცხადაია, 2000: 141). ჩვენი აზრით, მეგრული **ქოჩო** ქართული სამწიგნობრო ენის **ქოჩორ-ი** სიტყვის ბოლომოკვეცილი ფორმაა, ხოლო სამწიგნობრო ენისავე **ქოჩორ-ა** ზედსართავ სახელის მეგრული შესატყვისებია: **ქოჩოლ-ა** და **ქორჩოლ-უ-ა**, რომელთაგან პირველი საფუძვლად

დასდებია ისტორიულ ქოჩოლ-ა-ვა-მ გვარსახელს, მეორე ვარიანტისაგან კი წარმოქმნილა გვარსახელი ქორჩოლ-უ-ა³.

1621 წელს ჩაგუა გვარსახელის მტარებელი რამდენიმე პირი დასტურდება ხოირის მაცხოვრებლად: ჩაგუა ჯგერგეშია, გურმიხილა, კაკაია, ხუხული და გოგია (პალ,V, 2015: 188). პ. ცხადაია მართებულად გამოყოფს საყრდენ ჩაგუ პირსახელს (ცხადაია, 2000: 149). მეგრულში ჩაგუ არის „ჩლუნგი, გამოჩორკნილი, მოუხეშავი“ (ქობალია, 2010: 669). ეს სიტყვა იოლად შეიძლებოდა ქცეულიყო ჯერ დამცინავ მეტსახელად, შემდგომ კი დესემანტიზაციისა და უარყოფითი კონოტაციის დაკარგვის გზით გამხდარიყო ჩვეულებრივი პირსახელი, რომელიც არცთუ ისე შორეულ წარსულში საკმაოდ პოპულარული იყო სამეგრელოში (ღლონტი, 1967: 144). ამრიგად, გვარსახელის ისტორია ასე წარმოიდგინება: აპელატივი ჩაგუ > პირსახელი ჩაგუ > გვარსახელი ჩაგუ-ა, შდრ. იმავე ძირისაგან ნაწარმოები გვარსახელი ჩაგუნავა < ჩაგუ-უნ-ა-ვა.

1621 წელს იხსენიება ჩხირუა, რომელსაც „ემართა თილითს სასახლის ბეგარა...“ (ქსმ, III, 1970: 430). გვარსახელი უნდა მომდინარეობდეს ჩხირუ მეტსახელისაგან. შდრ. ჩხირი (ჯომიდავა, 2000: 401). საფიქრებელია, რომ ჩხირუ იქნებოდა სუსტი, გამხდარი და აწოწილი ადამიანის მეტსახელი. მეგრ. ჩხირი „სარი“.

ძაძუა პირველად იხსენიება XVI საუკუნეში ნაჟანეულში (ამჟ. ოტობაია) მცხოვრები ოთხი კომლი საეკლესიო გლეხის გვარსახელად (ქსმ, III, 1970: 385; პალ,V, 2015: 295). პ. ცხადაიას ცნობით, ამ სოფელში ძაძუები ამჟამადაც ცხოვრობენ. მისივე ვარაუდით, გვარსახელი მომდინარეობს ძაძუ პირსახელისაგან (ცხადაია, 2000: 158), ნ. ჯომიდავა კი მიიჩნევს, რომ ძაძუ მეტსახელი იყო (ჯომიდავა, 2000: 416). ასეა თუ ისე, გვარსახელის ისტორია ამგვარად წარმოგვიდგენია: პირსახელი, ან მეტსახელი ძაძუ > გვარსახელი ძაძუ-ა.

1628 წელს ილორს მცხოვრები წაწულუა გამიძულა ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის და მისთვის გადასახადიც დაუწესებია (პალ,V, 2015: 306). წაწი, წაწუნა საკუთარი სახელები დასტურდება ალ. ღლონტთან (იხ. ღლონტი, 1967: 151). მეგრულში წაწუა ნიშნავს რისამე კოხტად კეთებას, ხოლო წაწულუა -

³სამწუხაროდ, სწორედ ილორის ხსენებულ წარწერაში ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარის დოკუმენტირება გახდა იმის საბაზი, რომ ორიოდე წლის წინ ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმმა უხეშად დაამახინჯებინა ილორის ტაძარი, ხოლო ეს წარწერა კირით გადაათეთრებინა. ამ გზით სცადეს ამ მხარეში ქართველთა ავტოქთონობის კვალის წაშლა.

პატარასა და კოხტას, კოპწიას (ქობალია, 2010: 695). გვარის ისტორია ასეთია: ზედს. სახ. **წაწულუ** > მეტსახელი და პირსახელი **წაწულუ** > გვარსახელი **წაწულუ-ა**.

გვარსახელი **ხერაგუა** დასტურდება 1621 წელს შედგენილ დოკუმენტში სოფელ ხოირში (ამჟ. ოხურეი) (პალ,V, 2015: 378). ვფიქრობთ, იგი მომდინარეობს სვანური **ხერეგიან**-ისაგან, რომელიც იხსენიება მე-17 ს. შედგენილ სვანეთის ერთ-ერთ წერილობით ძეგლში (N120): „...**ხერეგიანის** გუარი კ(ა)ცი - აზნაჯრი...“ (სწმ, I, 1986: 202). ამავე საბუთში **ხერეგიანი** გვხვდება უფრო სრულად გახმოვანებული **ხერეგიანი** ვარიანტის სახით: „თუ **ხერეგ(ი)ან(ი)** კაცი ვინმე უბედური გამოჩნდეს...“ (სწმ, I, 1986: 202). სვანეთშივე იხსენიება აგრეთვე **ხერაკია** გვარიც, რომელიც, სავარაუდოდ, აქვე განხილული **ხერაგუა**, **ხერეგიანი** და **ხერეგიანი** გვარსახელების ვარიანტი ჩანს.

ხუხუა დასტურდება XVII ს. ისტორიულ წყაროებში. კერძოდ, 1621 წელს შედგენილი საბუთის მიხედვით, თილითში (ამჟ. აბაჟვახუ) მცხოვრებ **ხუხუა** თოსკუამიას ჰმართებია აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (პალ,V, 2015: 430). ხოლო 1616-1621 წწ. დოკუმენტის მიხედვით, **ხუხუა** მსუბუქას ემართა ჯგალის ციხის ბეგარა (პალ,V, 2015: 430). **ხუხუა** წარმოქმნილია პირსახელ **ხუხუ**-საგან, რომელიც დღემდეა გავრცელებული სამეგრელო-აფხაზეთში ხანდაზმულთა შორის, შდრ. აგრეთვე პირსახელები: **ხუხ-ა**, **ხუხ-ი**, **ხუხ-უ**, **ხუხ-უ-ე** [< **ხუხუაი**- ს.კ.] (ცხადაია, 2000: 171; ღლონტი, 1967: 159). ნ. ჯომიდავა **ხუხუ** // **ხუხუა**-ს შემდეგ მნიშვნელობებს ადასტურებს მეგრულში: **ხუხუ** „სელის ხინკალი“; **ხუხუა** „ხუხულა, ბავშვის მიერ კუბებით აშენებული სახლი“ (ჯომიდავა, 2000: 467). **ხუხუ** იგივეა, რაც **ხუხურია** „ჩამრგვალელები და ტანდაბალი“ (ქობალია, 2010: 732). ალბათ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ჰქონდა გვარსახელ **ხუხუა**-ს საყრდენ პირსახელ **ხუხუ**-ს.

2. 3. 1. 4. -ში დაბოლოებიანი გვარსახელები

ენათმეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ნათესაობითი ბრუნვის მეგრული ნიშანი **-იში** // **-ში**, რომელიც გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულებას, სიტყვაწარმოებითი სუფიქსის ფუნქციით აღჭურვილია დიდი ხნის წინათ. ზ. ჭუმბურიძე მეგრულ-ლაზურ გვარებში გამოყოფს ნათესაობითი ბრუნვის **-ში** (**-იში-ი**) ნიშანს: **მემიში-იში**, **ხალვა-ში**, **ჯა-ში** „ხისა“ და ა.შ. (ჭუმბურიძე, 1987: 298). ამას

ადასტურებს ტოპონიმია და ანთროპონიმია (ცხადაია, 2000: 27). -ში დაერთვის ეპონიმის სახელს და აღნიშნავს ამ ეპონიმისადმი მიკუთვნებულობას, მისგან მომდინარეობას. მაგ.: ტულუ-ში ნიშნავს „ტულუს შთამომავალს“ (ცხადაია, 2000: 27).

ისტორიულ დოკუმენტებში ვლინდება ერთადერთი გვარსახელი აბაშია, რომელიც, შესაძლოა, -ში დაბოლოებას შეიცავდეს. გვარი ამ ფორმით პირველად დასტურდება 1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო დავთარში“: „მართებს აბაშიას 1 საკლავი, 1 ქათამი, 1 პური...“ (ქსმ, III, 1970: 454). პ. ცხადაიას ცნობით, ამჟამად გვარი გვხვდება ზუგდიდში, ფოთში, ახუთში. მკვლევრის მიერ პირველ გალში მოპოვებული ცნობით, გვარის წინაპარი სამი ძმა აბაშიძე წამოსულა იმერეთიდან. ერთი მათგანი დამკვიდრებულია სამქვარში (სამურზაყანო), მეორე - ახუთში, მესამე - ჭალადიდში. გვარის -ძე დაბოლოება ყველგან შეუცვლიათ -ია დაბოლოებით (ცხადაია, 2000: 48). იოანე ბაგრატიონის ცნობით, „მურვან ყრუ რო მოვიდა, მაშინ დარჩა აბაშური ბეგის შვილი, რომელიცა აღზარდა არჩილ მეფემან და უბოძა ჭალა და თავადობა. სხვანიც ამისა სახლისანი დარჩნენ მრავალნი და ესენიცა მუნ დაასახლა, რომელნიც არიან აზნაურად, ისევ აბაშიძეებად წოდებულნი 668 წ.“ (ბაგრატიონი, 1997: 122-123). აბაშია გვარსახელი დღესაც გვხვდება აფხაზეთში. რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს გალში, სოფ. პირველ გალში და ერთი ოჯახი კი - სოფ. ღუმურიშში.

პ. ცხადაიას აზრით, საანალიზო გვარისათვის ამოსავალია ისტორიული პირსახელი აბაშ-ი, რომელიც ეთნონიმაცაა და აღნიშნავს აბისინიელს (ეთიოპიელს), თუმცა მეცნიერი არც იმას გამორიცხავს, რომ პირსახელი აბა-ში შეიცავდეს ნათესაობითი ბრუნვის მეგრულ-ლაზურ -ში სუფიქსს და ნიშნავდეს „აბას შვილს, აბას შთამომავალს“ (ცხადაია, 2000: 48). ფაქტია, რომ ძველ წერილობით წყაროებში დასტურდება როგორც აბაშ, ისე აბა მამაკაცის პირსახელები: აბაშ რამდენიმეჯერაა დამოწმებული „ტბეთის სულთა მატეანეში“ (XII-XVII სს.) (ტსმ, 1977: 90, 106, 239, 355), დასტურდება ალ. ლლონტისა და ი. მაისურაძის მასალებშიც. იგი დაცულია გვარებში: აბაშიძე, აბაშია, აბაშიშვილი (ლლონტი, 1967: 43; მაისურაძე, 1981:15). საინტერესოა, რომ ვინმე აბაშ აბაშიძე იხსენიება 1488 წლის საბუთში, ხოლო აბაშ აბაშიშვილი [ბარათაშვილი] - 1683-1697 წლების დოკუმენტში (პალ, I, 1991: 47-48). რაც შეეხება აბა პირსახელს, იგი აბა-ი ფორმით დასტურდება პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“ (ინგოროყვა, 2, 1941: 144). აკ. შანიძის ცნობით, აბა

დაახლოებით 100 წლის წინ ჯერ კიდევ ერქვათ ხევსურეთში (გაბუური, 1923-1924: 232). იგივე აბა // აბა-ი უდევს საფუძვლად გვარსახელებს: აბა-ი-ძე, აბა-შვილ-ი, აბა-ი-შვილ-ი, აბა-ია-ძე (მაისურაძე, 1981: 15)⁴.

ამ მონაცემების საფუძველზე პ. ცხადაია იხრება იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ გვარსახელები აბაშია და აბაშიძე პირსახელ აბაშ-ისაგან უნდა მომდინარეობდნენ (ცხადაია, 2000: 48), ჩვენ კი ვვარაუდობთ, რომ გვარსახელ აბაშიძე-სა და აბაშიების ერთ-ერთი განშტოების გვარს აბაშ-ია-ს მართლაც პირსახელი აბაშ-ი აქვს საყრდენ ფუძედ, ხოლო აბა-შ-ია-ს გვარის სხვა განაყოფების ეპონიმს აბა ერქვა და, შესაბამისად, ერთ შემთხვევაში საქმე გვარსახელის მიერ მორფოლოგიური მოდელის ცვლასთან გვაქვს (აბაშ-ი-ძე > აბაშ-ია), მეორეში კი - ორმაგ სუფიქსაციასთან (აბა-შ-ია).

2. 3. 1. 5. -ბერე, -სკირი სუფიქსოიდები გვარსახელებში

ისტორიულ დოკუმენტებში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა გვარსახელთა მაწარმოებლად -ბერე და -სკირი სუფიქსოიდების გამოყენებისა. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ბერი ვაჟიშვილის აღმნიშვნელი საერთოქართველური სიტყვაა (ჯავახიშვილი, 1937: 186). ი. მაისურაძის აზრით, ქართულ გვარებსა და საკუთარ სახელებში გამოყოფილი ბერ- ძირია საზოგადო სახელისა ბერ-ი, რომელიც რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: ა) აღნიშნავს ხანდაზმულ, ხნიერ ადამიანს; ბ) გამოხატავს მამრობით სქესს; გ) ბერი მამაკაცის საკუთარი სახელიცაა. მეცნიერის ვარაუდით, ბერ ძირი თავდაპირველად იხმარებოდა ზოგადი მნიშვნელობით, რასაც ამტკიცებს მისი სემანტიკური ცვალებადობა. სწორედ ეს ზოგადი მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მამაკაცის საკუთარ სახელთა შექმნას წარსულში, როგორც წარმოქმნილ ფორმებს, ისე კომპოზიტებსაც. თუმცა, როგორც ავტორი მართებულად აღნიშნავს, რთულფუძიან გვარებში ბერ ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად გადაიქცეოდა. რაც იმას ნიშნავს, რომ გოგიბერი, კახაბერი და მისთ. საკუთარ სახელთა წყვილეულებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ (გოგი და ბერი, მიქა და ბერი),

⁴იმავე აბა პირსახელს ხედავს პ. ცხადაია პალესტინის (ბეთლემის) წარწერის ტექსტშიც (ცხადაია, 2000: 48), რაც შეცდომად მიგვაჩნია, ვინაიდან დასახელებულ წარწერაში სინამდვილეში აბა არ წარმოადგენს პირსახელს და სირიული წარმოშობის სიტყვაა. იგი გამოყენებულია პირსახელ ანტონის მსაზღვრელ სიტყვად: ტექსტის ანტონი აბაჲ ნიშნავს "მამა ანტონს".

არამედ აქ მხოლოდ პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო მამაკაცის სახელი (მიქა, გოგი), ხოლო ბერ-ი ზოგადი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც მსაზღვრელი, მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა (ვაჟი, ძე, ბიჭი, ყრმა). (მაისურაძე, 1965: 237, 241). ამდენად, მისი თქმით, გიორგიბერი არის არა გიორგის ვაჟი, არამედ გიორგი ვაჟი.

არნ. ჩიქობავას ცნობით, ლაზური ბერე ნიშნავს „ბავშვს, შვილს, ძეს“, ხოლო მეგრულ გვარსახელებსა და სალიტერატურო ქართულის პირსახელებში - „ბერს, ბებერს“. მისივე ცნობით, ბერ ჩაჩნურში „ბავშვს“ ნიშნავს (дитя). ჭანურში მეგრულის მსგავსად შესაბამისი სემანტიკის ძირად სქირ- უნდა ყოფილიყო. ამჟამად ჭანურში ამგვარი ძირი მხოლოდ თითო-ორი შემთხვევაშია შემონახული. აქედან გამომდინარე, არნ. ჩიქობავა თვლის, რომ უცხო წარმოშობის ბერ სიტყვამ გამოდევნა ჭანურისათვის ნიშანდობლივი ძირი. ბერე-ს მიერ სქირ-ის გამოდევნა მეგრულს არ შეეხება. ცვლილება სამხრეთის ფრთამ განიცადა, ჩრდილო ზანურმა (მეგრულმა) კი - არა (ჩიქობავა, IV, 2008: 40). ამ მისაღებ მოსაზრებაში ერთადერთი სუსტი რგოლი ჩაჩნური ენის ჭანურთან უშუალო შეხების უქონლობაა.

ქართველურ ენობრივ სივრცეში დღეს გარკვეულ შემთხვევებში დასტურდება გვარსახელთა ორმაგი სუფიქსაცია. „ქართული გვარების დაბოლოებად ძე და შვილი ისე გავრცელდა, რომ წინათ სუფთა სუფიქსით ხმარებულ და სხვა სუფიქსის მქონე გვარებსაც დაერთო (მესხი და მესხიძე, მესხიშვილი)“ (ჭუმბურიძე, 1987: 297). აქედან გამომდინარე, ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ ზოგიერთი ძველი დაბოლოება ძე-სა და შვილ-ის წინაა მიჩქმალული. ქართული გვარების ერთ წყებაში ახლანდელი დაბოლოების წინ შეიძლება გამოიყოს სიტყვა ბერი. მაგ.: გოგობერიძე, გუმბერიძე, თითბერიძე და სხვ. ამის მსგავსადვე ზოგ გვარს დაერთო მეგრული -ია სუფიქსი და მივიღეთ: გიგიბერია, კილაბერია, ქუჩუბერია და სხვ. (ჭუმბურიძე, 1987: 297).

პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ ბერე ჭანურში იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, რაც ქართულში ძე, შვილი და მეგრულში სქირი, სქუა. მისივე თქმით, ბერე მეორადი სუფიქსაციის გარეშე მხოლოდ ერთადერთ გვარშია შემონახული. ესაა: კაკუბერი „კაკუს ძე“, დანარჩენ შემთხვევაში კი ბერე (ბერი) დაბოლოებიან ფორმებს დართვია -ა სუფიქსი (სამეგრელოში) და -ძე (აჭარა-გურია-იმერეთში) (ცხადაია, 2000: 29).

ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში XVII ს. ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლინდა ორიოდ გვარსახელი, რომლებშიც **ბერი** სუფიქსი მოსდევს მეორეული -ა სუფიქსიც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც, ზ. ჭუმბურიძის თქმით, „მიჩქმალულია“ ძველი დაბოლოება და გვარსახელის მაწარმოებლად აღიქმება -ია სუფიქსი. ჩვენი აზრით კი ამ გვარსახელების თავდაპირველი დაბოლოებანი იყო: **ბერე** „შვილი“ + -ა, რაც ფონეტიკური ცვლილებით გარდაიქმნა -**ბერი-ა** დაბოლოებად⁵. ეს გვარსახელებია: **გეგე-ბერი-ა** და **ქუდუ-ბერი-ა**.

საეკლესიო საბუთებიდან ირკვევა, რომ XVII ს. ოდიშში **გეგებერია** მრავალრიცხოვანი გვარი ყოფილა: 1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო გამოსავლის დავთარში“ ოცამდე საეკლესიო გლეხია დასახელებული, გვარად **გეგებერია**, რომლებიც მოსახლეობდნენ ამჟამინდელი სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე (ქსმ, III, 1970: 438-477). საერო საბუთებში იგივე გვარი უფრო ადრე, 1455-1474 წლებში იხსენიება (პალ, I, 1991: 611). XVII ს. ბოლო მეოთხედიდან გვარს აქვს ამჟამად ერთადერთი **გიგიბერია** ფორმა (ქსმ, III, 1970: 612, 770), რაც ხმოვანთა ცვლის შედეგია. გვარის პირველი კომპონენტი **გეგე** მეგრულში წმ. გიორგის აღმნიშვნელი სახელია. იგივე **გეგე** პირსახელადაცაა დადასტურებული (დლონტი, 1967: 100). ამრიგად, გვარის ისტორია ასეთია: **გეგე-ბერე-ა** > **გეგებერი-ა** > **გიგი-ბერი-ა**.

იმავე „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ დასტურდება ცაიშს მცხოვრები გლეხი გვარად **ქუდუბერია** (ქსმ, III, 1970: 448). ნ. ჯომიდავა გვარსახელში გამოყოფს **ქუდ-ი** საზოგადო სახელსა და ზედსართავს **ბერ-ი** „ძველი“, რაც მისი აზრით, უნდა გავიგოთ, როგორც „ძველქუდიანი“ (ჯომიდავა, 2000: 348). რა თქმა უნდა, ამგვარი ახსნა ძნელი გასაზიარებელია. აქ გამოსაყოფია ამჟამად უკვე გამქრალი პირსახელი **ქუდუ**, რომელსაც ერთვის -**ბერე-ა** > -**ბერი-ა** დაბოლოებანი. გვარსახელის მორფოლოგიურ-ფონეტიკური ისტორია ასეთია: **ქუდუ-ბერე-ა** > **ქუდუ-ბერი-ა**.

საკვლევ მასალაში ასევე ორ შემთხვევაში გამოვლინდა -**სკირი** დაბოლოებიანი გვარსახელები.

არნ. ჩიქობავას მართებული აზრით, ჭანური **სქ-ირ** // **სკ-ირ** კანონზომიერი შესატყვისია ქართული **შვილ** ფუძისა, ოღონდ დაკარგულია ვ: უნდა ყოფილიყო **სქვ-ირ**

⁵ამის ანალოგიურად წარმოგვიდგენია გვარსახელ **ბერია-ს** ისტორიაც: **ბერე** „შვილი“ + -ა= **ბერე-ა** > **ბერი-ა**. სხვაობა **გეგებერია** ტიპის გვარებსა და **ბერია-ს** შორის ის უნდა იყოს, რომ ამ უკანასკნელში **ბერე** საყრდენი ფუძეა და არა სუფიქსი.

// სკვ-ირ (შდრ. შქით < შქვით : შვიდ-ი). მეგრულში არის ეს ძირი სქნ სახითაც. ეს სიტყვა რომ სქირი // სკირი სახისა იყო, მტკიცდება გვარებით: წულე-სკირ-ი, პაპა-სკირ-ი (ჩიქობავა, IV, 2008: 41). ამ მოკლე მიმოხილვიდან გადავიდეთ ჩვენს მასალაში დადასტურებული გვარსახელების ანალიზზე:

გვარი **ჟვანესკირია** დასტურდება 1621 წელს თილითს (ამჟ. აბააჟვახუ) მცხოვრები გლეხის გვარად (ქსმ, III, 1970: 429). პ. ცხადაია გვარისათვის ამოსავლად მიიჩნევს ბერძნულიდან შემოსულ **იოანე > ივანე** პირსახელს. გვარსახელ **ჟვანია**-ს ანალიზისას ავტორი იმოწმებს შ. აფრიდონიძის მიერ მოხსენიებულ ნ. მარის, გ. ახვლედიანისა და თ. გონიაშვილის მიერ დადგენილ წესს, რომლის საფუძველზეც გვარსახელი **ჟვანია** ასე ჩანს მიღებული: ჯერ მომხდარა თავკიდური ხმოვნის იოტიზაცია, შემდგომ პალატალიზაცია და ბოლოს აფრიკატიზაცია: **იოანე > იოანე > ჟოანე > ჟოანე-ა > ჟუანე-ა > ჟვანია** (აფრიდონიძე, 1987: 254). პ. ცხადაია იქვე დასძენს, რომ **ჟვანე** საფეხურს წარმოაჩენს გვარსახელი **ჟვანესკირია** (ცხადაია, 2000: 121-122). სხვათა შორის, იგივე **ჟვანე** საფეხურის აღდგენა შესაძლებელია რეალურად დადასტურებული კიდევ ერთი, აწ უკვე გამქრალი ქართული გვარსახელის მიხედვით: ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ბედიის მონასტრის საეპისკოპოსო პალატის კედელზე ერთ-ერთ წარწერაში, აგრეთვე ვარძიისა და ურბნისის ოთხთავების მინაწერში იხსენიება XVI საუკუნის 20-50-იანი წლების დიდი საეკლესიო მოღვაწე, ბედიელი ეპისკოპოსი (შემდგომში მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი) **ანტონ ჟუანისძე** (ახალაძე, 2005: 52-59), რომლის გვარის ისტორია ასე აღდგება: პირსახელი **იოანე > იოანე > ჟოანე > გვარი ჟოანე-ს-ძე > ჟუანის-ძე**. გვარსახელ **ჟვანია**-ს ანალოგიით, **ჟვანესკირია** გვარსახელის წარმოქმნის ჩვენ მიერ დაზუსტებული ისტორია ასეთია: ***იოანე-შ-სკირი „იოანეს ვაჟი“ > *იოანე-სკირ-ი > ჟოანე-სკირ-ია > *ჟუანე-სკირ-ია > ჟვანე-სკირ-ია**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ჟუანე, ჟვანე** პირსახელები და საყრდენი ფუძეები გვარსახელებისა **ჟვანია, ჟუანისძე** და **ჟვანესკირია** მატერიალურად ახლოს დგას აფხაზური (ა-)ჟვან-ბა გვარსახელის საყრდენ ფუძესთან, მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზურ-აბაზურ ენობრივ სივრცეში არ ხდება **ჟ** ფონემის აფრიკატიზაცია, გამოირიცხება **ჟუან(ე)** ფუძის სესხება აფხაზურიდან ქართულში, სამაგიეროდ იოლადაა მოსალოდნელი, რომ სწორედ ერთ-ერთი ამ გვარსახელის მორფოლოგიურად კალკირებული ფორმაა აფხაზური გვარსახელის (ა-) **ჟვან-ბა** სახეობა, რაც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც **ჟვანის ძე**, თუ **ჟვანეს სკირი**.

1621 წელს კვლავ თილითში დასტურდება გვარსახელი **სთეფანესკირი** (პალ, IV, 2007: 172). გვარს საფუძვლად უდევს პირსახელი **სტეფანე** (ბერძნ. Στέφανος „გვირგვინი“). ამჟამად სამეგრელოში დასტურდება ამავე სახელისაგან მომდინარე გვარები: **სტეფანია** და **სტეფნაძე** (ცხადაია, 2000: 128), შდრ.: **სტეფანეშვილი**, **სტეფანიშვილი**, **სტეფლიანი** (< **სტეფნიანი**) (მაისურაძე, 1981:150; გაგულაშვილი, 1993: 71). ჩვენი აზრით, **სთეფანე-სკირ-ი** სწორედ ამ **სტეფანე-შვილ-ის** ზუსტ მეგრულ ფონეტიკურ შესატყვისს წარმოადგენს, რომელშიც ყრუ მკვეთრი **ტ** თანხმოვანი ქცეულა ფშვინვიერ **თ** თანხმოვნად: ფონეტიკური ცვლილების საფუძველი მეგრულში **სტ** ბგერათკომპლექსის „აკრძალვაა“, რის გამოც ეს კომპლექსი ან მარტივდება **ტ** თანხმოვნის ამოვარდნის გზით (შდრ. **სტუმარი** > **სუმარი...**), ან იმავე ბგერის გაფშვინვიერებით, რისი მაგალითიც საანალიზო გვარსახელშია წარმოდგენილი.

2. 3. 1. 6. კომპოზიტური გვარსახელები

საეკლესიო-ისტორიულ დოკუმენტებში ვლინდება კომპოზიტური წარმოების გვარსახელებიც. მათ ის საერთო ნიშანი აქვთ, რომ საყრდენ ფუძედ გამოყენებულ ფუძეებს დართული აქვს მხოლოდ მაგვარსახელებელი-**ია** და **-ვა** სუფიქსები.

XVI საუკუნეში წყალიძგას მცხოვრების გვარად იხსენიება **-ვა** დაბოლოებიანი კომპოზიტური წარმოების გვარსახელი **ლუამჭითავა** (პალ, IV, 2007: 413). გვარის პირველი კომპონენტი **ღვა** > **ლუა** მეგრულში ნიშნავს „ლოყას; ღაწვს“, ხოლო მეორე კომპონენტია მეგრ. **(მ)ჭითა** „წითელი“, რომელშიც **მ-** განვითარებულია. გვარს ერთვის **-ვა** დაბოლოება. გვარსახელი **ლუამჭითავა** ნიშნავს „წითელლოყებიანს“ (ზედმიწ.: „ლოყა წითელი“). სიტყვა ჯერ უნდა ყოფილიყო მეტსახელი წითელლოყება ადამიანისა, ხოლო შემდეგ, **-ვა**-ს დართვით ქცეულა გვარსახელად. გვარსახელი **ლუამჭითავა**, ან მისგან მომდინარე რომელიმე ვარიანტი დღეს აღარ დასტურდება.

1616-1621 წწ. სოფ. ცაიშის მცხოვრებად იხსენიება ლიბერდღვი **ღვაჭაჭია** (ქსმ, III, 1970: 454). გვარსახელი კომპოზიტური წარმოებისაა. პირველ კომპონენტად წარმოდგენილია **ღვაჭა**. ნ. ჯომიდავას განმარტებით, **ღვაჭა** არის „საქონლის პირის ღრუს, უფრო ენის ჭიან-მუწუკიანი ავადმყოფობა“. მისი აზრით, გვარსახელი წარმომდგარია **ღვაჭაჭა** მეტსახელისაგან (ჯომიდავა, 2000: 352). **ღვაჭა** მეგრულში

ნიშნავს „მქლესაც“: „ღვაჭა - პირუტყვის დაავადება (გამონაყარი, წვეტიანი ხორცმეტი
ლოყის შიდა მხარეს, რომელიც უშლის ჭამაში და ამქლევებს)“ (ქობაღია, 2010: 643).
გვარსახელში მეორე კომპონენტად გამოიყოფა -ჭია. მეგრ. ჭია იმავე მნიშვნელობისაა,
რაც სალიტერატურო ენაში დასტურდება. გვარი ღვაჭაჭია დღეს აღარ არსებობს.

გვარსახელი ღუაჯაგია დოკუმენტირებულია 1621 წლით. იგი მოიხსენიება სოფ.
მუხურში (პალ, IV, 2007: 413). მეგრულში ღუაჯაგია-ს სემანტიკაა: „ყბებმაგარი,
მცობნელი“ (ქობაღია, 2010: 644).

ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე, სოფლებში ნაჟანეულსა და თილითში 1621
წელს დასტურდება გვარი ცისტარია (პალ, V, 2015: 245). ვარაუდის სახით შეიძლება
დავსვათ საკითხი: ხომ არ არის ამ გვარსახელის საყრდენი ფუძე მეტსახელი ცის დარი
„ზეცის მსგავსი“? თუ ასეა, მეტსახელი მოტივირებული შეიძლებოდა ყოფილიყო
ეპონიმის უმანკო ხასიათით, ანდა ცისფერი თვალებით. ერთადერთი, რაც უეჭველია,
გვარსახელში -ია დაბოლოების არსებობაა.

იმავე დოკუმენტში დადასტურებულია -ვა დაბოლოებიანი დღესაც
გავრცელებული გვარსახელი ცისკარავა (პალ, V, 2015: 244), რომელშიც გვარსახელის
საყრდენ ფუძედ გამოიყოფა მამაკაცის სახელი ცის-კარ-ა.

იმავე დოკუმენტში იხსენიება ასევე ნაჟანეულს მცხოვრები ხისტარია თოლიმაფუ
(პალ, V, 2015: 395). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ გვარი მოდის მეტსახელისაგან ხიმტაკი
„ოქრომჭედლის იარაღი, ყალიბი“ (ქეგლ), ან ხისტარა მეტსახელისაგან (ჯომიდავა, 2010:
455). გვარის საყრდენი ფუძის რაობა სარკვევი რჩება.

III თავი

ოდში-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმთა სემანტიკური

ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები

ტოპონიმი, ანუ ადგილის საკუთარი სახელი, მისი შემქმნელი კოლექტივის ენობრივი მასალიდან აღებული სიტყვაა და აუცილებლად შეიცავს ინფორმაციას სახელდებული ობიექტის შესახებ. ტოპონიმი თაობიდან თაობას, ეპოქიდან ეპოქას გადაეცემა და ათასწლეულებს უძღვება. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ტოპონიმია ძვირფას მასალას ქვეყნის ისტორიის, ხალხის პოლიტიკური, სამეურნეო-ეკონომიური და კულტურულ-რელიგიური წარსულის შესასწავლად (ცხადაია, 1985: 3).

ტოპონიმების კვლევა-ძიებას აწარმოებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: ენათმეცნიერების, ისტორიის, ეთნოლოგიის, გეოგრაფიისა, თუ სხვა სპეციალობის მკვლევარები. ტოპონიმთა სისტემის აღწერა და შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ტოპონიმიკური კვლევა-ძიების საბოლოო მიზნის - ტოპონიმთა სარწმუნო ეტიმოლოგიის მისაღწევად.

შუა საუკუნეებში შედგენილი ქართული საეკლესიო საბუთები მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ იმდროინდელი საქართველოს, მისი მოსახლეობის, ენისა და კულტურის შესახებ. ჩვენს საკვლევ ოდში-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმებს ვიკვლევთ როგორც სემანტიკური, ასევე სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით, ვინაიდან ვთვლით, რომ სემანტიკური მხარე აუცილებელია ტოპონიმის ისტორიის, სახელდების მოტივის, ეტიმოლოგიის გასარკვევად, ხოლო სტრუქტურა გვიჩვენებს, თუ რა „საშენი მასალისგან“ იქმნებოდა ესა თუ ის ტოპონიმი და რა ცვლილებებს განიცდიდა იგი დროთა განმავლობაში. ამდენად, მეთოდოლოგიურად გამართულ სემანტიკურ-სტრუქტურულ ანალიზს მივყავართ სიტყვის არქაულ ფორმამდე, არქეტიპამდე, რაც ხშირად ასახავს არა მარტო მოცემული გეოგრაფიული სახელის ძირძველობას ამა თუ იმ ტერიტორიაზე, არამედ ზუსტ ცნობებს გვაწვდის შესაბამისი ენისა და ამ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსის შესახებაც. ტოპონიმი უტყუარი საზომია ამ საკითხების ობიექტური რკვევის დროს.

წინამდებარე თავში ჩვენ შევეცადეთ, ისტორიული წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე გაგვერკვია ამჟამინდელი სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე

წინათ გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელთა „ნათლიების“ ეთნიკური და ენობრივი კუთვნილებაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეთნიკური ისტორიის სადავო საკითხების საბოლოოდ გადაჭრისათვის. ამ კონტექსტში არსებითია იმის ხაზგასმა, რომ ცნობილ ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა ნაწილი (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, გ. მელიქიშვილი, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, თ. გამყრელიძე, დ. მუსხელიშვილი...), აგრეთვე აფხაზ მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებენ აკად. ნ. მარის მიერ გამოთქმულ ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც ქართველები თურმე თავდაპირველად ბინადრობდნენ არა ამჟამინდელი საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ გაცილებით უფრო სამხრეთით, ხოლო დასავლეთ საქართველოს მიწაზე ცხოვრობდნენ აფხაზურ-ადიღური მოდგმის ეთნოსთა (აფხაზ-აბაზების, ადიღელ-ყაბარდოელებისა და უბიხების) წინაპრები, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი თურმე ბინადრობდნენ ნახურ-დაღესტნურ ხალხთა (ვეინახების, ხუნძების, ანდიელების, დიდოელების, ლაკების, დარგუელების, ლეზგებისა და სხვათა) წინაპრები. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღური მოდგმის ხალხთა ავტოქთონობის დამამტკიცებელ ერთადერთ უტყუარ საბუთად ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და სხვები ასახელებდნენ, ხოლო აფხაზი ავტორები დღესაც ასახელებენ -ფსა, -ყვა, -რა მარცვლების შემცველ გეოგრაფიულ სახელებს: **გუბაზოული, სუფსა, მალთაყვა, ბობოყვათი, ფიჩორა** და მრ. სხვ., მაგრამ, როგორც ა. ონიანმა, თ. გვანცელაძემ, ტ. ფუტყარაძემ, მ. ჩუხუამ გაარკვეეს, ამ ტოპონიმთა ეტიმოლოგიები ნ. მარისა და მისი მოსაზრების მომხრეთა მიერ არ არის დასაბუთებული მყარი ლინგვისტური არგუმენტებით და სასურველის რეალურად გამოცხადებაა (ამ ჰიპოთეზის ვრცელი არგუმენტირებული კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: მარი, 1936: 57-58; ჯავახიშვილი, 1950: 43-44; ჯანაშია, 1940: 623-624; გამყრელიძე, ივანოვი, 1984: 880-881; ბლაჟბა, ლაკობა, 2006: 4-5 და 20; შდრ.: გვანცელაძე, 2008: 5-40; აგრეთვე: ონიანი, 1989; ფუტყარაძე, 2005; ჩუხუა, 2000-2003...).

3. 1. ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმთა სემანტიკური

ჯგუფები

ქართულ-ქართველური ტოპონიმები სხვადასხვა წარმოშობისაა. ნაწილს საფუძვლად უდევს მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა, მდინარეებისა თუ სხვა საგნის სახელები. ხშირ შემთხვევაში ისინი მომდინარეობენ ანთროპონიმთაგან, პირსახელებისაგან, ან გვარსახელებისაგან, რომლებიც ანთროპოტოპონიმებად იწოდება.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ მოგვცა იმის შესაძლებლობა, დასახლებულ ტერიტორიათა და პუნქტთა მიხედვით ტოპონიმები 3 სემანტიკურ ჯგუფად დაგვეყო. ესენია: **ქორონიმები, ოიკონიმები და პოლისონიმები**⁶. ქვემოთ წარმოვადგენთ თითოეული ჯგუფის ანალიზს ცალ-ცალკე.

3. 1. 1. ქორონიმები

„ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ქორონიმი არის ტოპონიმის სახეობა. ნებისმიერი ტერიტორიის, რეგიონის, ოლქის, რაიონის საკუთარი სახელი; მათ შორის ადმინისტრაციული ქორონიმი, ქალაქის ქორონიმი, ბუნებრივ-ლანდშაფტური. მაგ.: ციმბირი, ყირიმის მხარე, საქართველო, ჯავახეთი“ (ცხადაია, 1988: 126). საანალიზო დოკუმენტებში ამ ტიპის სამი სახელი დასტურდება: **აფხაზეთი, ოდიში და სამეგრელო**.

აფხაზეთი საანალიზო დოკუმენტებში სხვადასხვა წლებშია დასახლებული, კერძოდ: შუა საუკუნეების ძეგლებში იგი პირველად დასტურდება 1470-1474 წწ. „მცნებად სასჯულოდ“-ს ტექსტში (ქსმ, III, 1970: 222, 223, 228); მოგვიანებით, 1525 – 1550 წწ. იხსენიება „ბიჭვინტის იადგარში“ (ქსმ, II, 1965: 180), ხოლო 1621 წ. - „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ (ქსმ, III, 1970: 476). **აფხაზეთი** ხშირად და სხვადასხვა სემანტიკით იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ (გვანცელაძე, 2008: 40-50). ვახუშტი წერს: „ანაკოფიის დასავლით არის აფხაზეთი, პირველად წოდებული აგრეთვე **ეგრისი**, ვინაიდან წილი ეგრისისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა

⁶ პოლისონიმებში, ანუ ქალაქთა სახელებში ვგულისხმობთ იმ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებებს, რომლებსაც ქალაქის სტატუსი ამჟამად აქვთ, თუმცა საანალიზო დოკუმენტების შექმნის დროს მათი უმრავლესობა სოფლები იყო.

ეგრივე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს **აბასა**, ხოლო ქართველთა **აფხაზეთი**“ (ქც, 4: 783-784). ეს ცნობა იმას ნიშნავს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის დროს, XVIII საუკუნეში აფხაზეთად იწოდებოდა თანამედროვე აფხაზეთის მცირე ნაწილი დაბა ახალი ათონიდან (ისტ. ანაკოფია) დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და მასში არ იგულისხმებოდა ახლანდელი გუდაუთის რაიონის ნაწილი ახალი ათონიდან მდ. გუმისთამდე, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები.

სახელი **აფხაზეთი** იწარმოება -ეთ სუფიქსის საშუალებით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ეთ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად ყველაზე გვარცელებულია. ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს: **ტბ-ეთ-ი**, **ორბ-ეთ-ი** და სხვ. განსაკუთრებით გამოიყოფა ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებისგანაც იმავე -ეთ-ის საშუალებით იწარმოება გეოგრაფიული სახელები: **ხევსურ-ეთ-ი**, **თუშ-ეთ-ი** და სხვ. (შანიძე, 1962: 83). „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონშიც“ აღნიშნულია -ეთ სუფიქსის თვისება - ეთნიკურ სახელთაგან აწარმოოს ტოპონიმები (კუთხის ან ქვეყნის სახელწოდებები): **სვან-ი** > **სვან-ეთ-ი**, **ოს-ი** > **ოს-ეთ-ი** და სხვ. ამავე წარმოებისაა **აფხაზეთ-იც**, რომელიც მიღებულია აფხაზების აღმნიშვნელი სიტყვისაგან **აფხაზი**. ქორონიმის საყრდენი **აფხაზ** ფუძისა და მისი მეგრული **აფხაზა** ვარიანტის ეტიმოლოგიის შესახებ მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული: ზოგი მეცნიერი მას ქართველური წარმომავლობის სახელად მიიჩნევს, სხვები - აფხაზურად, ზოგი - ბერძნულად, ზოგი კი - ჩერქეზულად, მაგრამ, ჩვენი აზრით, საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. ამ მოსაზრებათაგან ერთადერთ ობიექტურ ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ **მოცემულ სიტყვას არანაირი დამოკიდებულება არა აქვს ამჟამინდელ აფხაზთა (აფსუათა) ენასთან**, ვინაიდან აფხაზურ ენაზე აფხაზეთს სულ სხვა ფონემატური აგებულების მქონე **აფსნჲ** (ზოიფურ დიალექტზე: **აფსნჲ**) სახელი აღნიშნავს (ვარიანტები ვრცლად იხ.: გვანცელაძე, 2008: 50-63) და იგი პირველად მხოლოდ XVIII საუკუნის ევროპელ ავტორთა ჩანაწერებში იხსენიება.

სხვა სტრუქტურული მიკრომოდელის, კერძოდ, ნანათესაობითარი წარმოებისაა სამეგრელოს ერთ-ერთი ისტორიული მხარის სახელი **ოდში**, რომელიც საეკლესიო-ისტორიული დოკუმენტების მიხედვით სხვადასხვა წლებში მოიხსენიება: პირველად

ოდიში დასტურდება 1557-1562 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში (ქსდ, VI, 1977: 655); მოგვიანებით - 1616-1639 წწ. (ქსდ, III, 1970: 500); 1689 - 1701 წწ. (ქსდ, VI, 1977: 684); **ოდიში (ოდიშარი)** – 1792 წ. (ქსდ, III, 1970: 1015) და იმავე პერიოდში, 1794 წელს შედგენილ სამართლებრივ დოკუმენტში (ქსდ, VIII, 1985: 309).

როგორც ცნობილია, სამეგრელოში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ტოპონიმურად გვევლინება ბრუნვის ნიშანი. კერძოდ, მეგრულში ეს ფუნქცია აკისრია ნათესაობითი ბრუნვის **-იშ // -შ** ნიშანს, რომელიც გამოხატავს კუთვნილებადანიშნულებას. სალიტერატურო ქართულში მას შეესატყვისება **-ის** ფორმანტი, რომელიც სიტყვაწარმოებითი ფუნქციით არის აღჭურვილი. **-იშ // -შ** აწარმოებს შემდეგ ტოპონიმებს: **ჩხოუ-შ-ია, ცა-იშ-ი, გრიგოლ-იშ-ი, ღუმურ-იშ-ი, ფოქვეში < *ფოქვა-იშ-ი...** (იხ. ლაზურ-მეგრ. გრამატიკა, 2015: 195). **-იშ** სუფიქსის ამ ფუნქციის გათვალისწინებით, **ოდიში** უნდა გავიგოთ **ოდის** კუთვნილად.

ვახუშტის მიხედვით, „ხოლო ესე **ოდიში** ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი... ხოლო ოდიში - განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი, მიერთნენ ბერძენთა, იტყოდიან: „**ოდეში** იყო მე ქუეყანა იგი ჩუენი“, და ისახელენ აწამდე ესრეთ“ (ქც. IV, 1973: 775-776). თ. ბერაძე ხელოვნურად მიიჩნევს ოდიშის ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას. მისთვის „სავსებით სწორია, როდესაც ვახუშტი აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკურ ერთეულს მეორე სახელი აქვს და ეგრი ფუძიდან მომდინარეობს. მაგრამ ეს მეორე სახელი არის არა „მეგრელნი“, არამედ სამეგრელო“ (სიგკ, IV, 1971: 54). იგი იზიარებს ვ. ბერიძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, **ოდიში** ნიშნავს „ოდის ქვეყანას“, და თვლის, რომ „**ოდიში** მეგრული ღვთაების სახელი **ოდისაგან** არის ნაწარმოები: „**ოდიში**“ - მეგრული ნათესაობითი ბრუნვაა, „**ოდიში**“ ე. ი. ოდის კუთვნილი რამ. მაგალითად: ქვეყანა ოდიში, ოდის ქვეყანა...“ (ბერაძე, 1967: 147). თ. ბერაძე დაასკვნის, რომ უკვე XII საუკუნეში არსებობდა ოდიშის საერისთავო (როგორც გარკვეული პუნქტისა და ქვეყნის სახელი), რომლის ერისთავებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში თანდათან მიაღწიეს წარმატებას, გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო და მთავრები გახდნენ. ამ საერისთავოს სახელი შემდეგდროინდელ სამთავროზეც გავრცელდა და მასაც **ოდიში** ეწოდა (ბერიძე, 1967: 149).

ა. ქობალიას ლექსიკონში **ოდში** არის „ოდში; ოდისა“ და უკავშირდება ოდოიას. **ოდოია** კი შემდეგნაირად განმარტება: „წარმართული ღვთაება ნაყოფიერებისა; ყანური, ყანაში სამღერი“. **ოდი** ფორმაც ცალკე ერთეულად არის წარმოდგენილი იმავე ლექსიკონში და ასეა განმარტებული: „წარმართული ღვთაება; პურეულის ნათესის დაჭკნობა მარცვლის დამწიფებამდე (იწვევს მცხუნვარე მზე, ცხელი ქარი)“ (ქობალია, 2010: 533). შდრ.: საბას მიხედვით, **ოდი** არის „წვიმა-მზიანით ნაწყენობა; მზე-წვიმით ნაწყენი; წვიმისა და მზისაგან ნაყოფთ წყენა“ (ორბელიანი, I, 1991: 601). ამ განმარტებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ **ოდში** შეიძლება უკავშირდებოდეს წარმართული ღვთაების **ოდის** სახელს. ამ ვარაუდს ვუშვებთ იქიდან გამომდინარე, რომ წარმართობის გადმონაშთები საქართველოში დიდხანს იყო შემორჩენილი. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც სამეგრელო წარმოადგენდა, რაც კარგად არის აღწერილი არქ. ლამბერტის მიერ (იხ. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, 2011). უფრო მეტიც, წარმართობის გარკვეული გადმონაშთები დღემდეა შემორჩენილი სამეგრელოში. მაშასადამე, **ოდი-ში** < **ოდ-ი**. ამჟამად ტოპონიმ **ოდიშის** მნიშვნელობა უკიდურესად დავიწროებულია. დღეს იგი ცოცხალ მეტყველებაში გვხდება მხოლოდ ზუგდიდის რაიონში შემავალი სოფლის სახელად.

საეკლესიო საბუთებში ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე **სამეგრელო** შუა საუკუნეებში, კერძოდ, 1749 წლის „გუჯარში...“ იხსენიება **სამეგრელო** ფორმით (ქსმ, II, 1965: 400). სხვა წყაროებში **სამეგრელო** უკვე XI საუკუნიდან გვხვდება, ხოლო 1841 წელს შედგენილ „სჯულის დადებაში...“ წერია **სამენგრელო** (ქსმ, II, 1965: 585). **სამენგრელო** ფორმისათვის ამოსავალია მე-19 საუკუნის რუსულ ენაში არსებული დასავლეთევროპული წყაროებიდან მომდინარე **Mingrelia** ფორმა. როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, პირველად ეს ვარიანტი XV ს. გვხვდება იტალიელი მოგზაურების იოსიფ ბარბაროსა და ამბროსი კონტარინის ჩანაწერებში (ბერაძე, 1967: 145). ქორონიმი იწარმოება დანიშნულების **სა-ო** კონფიქსიტა და სადაურობის **-ელ** სუფიქსის საშუალებით: **სა-მეგრ-ელ-ო** „ადგილი, სადაც მეგრელები ცხოვრობენ“. აქვე დავძენთ, რომ, ლეონტი მროველის მატეანის მიხედვით, საანალიზო ქორონიმის საყრდენი სიტყვა **მ-ეგრ-ელ-ი** მომდინარეობს უფრო ადრინდელი უფართოესი სემანტიკის მქონე **მ-ეგრ-ი** „ეგრისის მცხოვრები“ სახელისაგან (შდრ. მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი ქორონიმი **ეგურ-ი** // **ეგრ-ი** // **ეგრ-ის-ი**), რომელიც თავდაპირველად

მთელი დასავლეთ საქართველოს ნებისმიერ მცხოვრებს აღნიშნავდა. სხვაგვარად, **მეგრ**ი და **მეგრელი** პირველად ერქვა ახლანდელი ლაზეთის, აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭის, სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთისა და რუსეთის ზღვისპირა ტერიტორიის ნაწილის (ფსოუდან ტუაფსემდე) მცხოვრებ ნებისმიერ ქართველს და გვიან შეუმცირდა სემანტიკა დღევანდელ მნიშვნელობამდე. შესაბამისად დავიწროვდა ტერმინ **სამეგრელოს** სემანტიკაც: ჩვენი საანალიზო საბუთების შედგენის დროს ამ სახელით აღინიშნებოდა ახლანდელი სამეგრელო მთლიანად და თანამედროვე აფხაზეთის ნაწილი ენგურიდან ანაკოფიამდე (ამჟ. ახალი ათონი).

ტერმინ **სამეგრელოს** ისტორიას შემდეგნაირად წარმოადგენს თ. ბერაძე: „თავდაპირველად იყო ტომი ეგრი, რომლისგანაც მივიღეთ ქვეყნის სახელი - ეგრ-ის-ი ის სუფიქსის დახმარებით. ქვეყნის სახელწოდებიდან - ეგრისი მივიღეთ ამ ქვეყნის მოსახლის სახელი - მეგრელი. ამ უკანასკნელიდან კი მიღებულია ქვეყნის სახელი სამეგრელო, რომელიც XI საუკუნიდან უკვე დამოწმებულია“ (ბერაძე, 1967: 142).

ჩვენი აზრით, ქორონიმ **სამეგრელო-ს** წარმოშობას წინ უძღოდა სამი ეტაპი: 1. **ეგრ-**ძირ-სიტყვაზე სადაურობის მაწარმოებელი **მ-** პრეფიქსის დართვით უნდა მიგვეღო **მ-ეგრ-ი** სახეობა, რომელიც უკვე ლეონტი მროველის მატიანეში გვხვდება; 2. **მ-ეგრ-ი** ფორმა გახდა საყრდენი უფრო გვიანდელი **მ-ეგრ-ელ-ი** ვარიანტის საწარმოებლად; 3. **მეგრელ-** ფუძეზე **სა-_-ო** დანიშნულების კონფიქსის დართვით წარმოიქმნა ქორონიმი **სა-მ-ეგრ-ელ-ო**. რაც შეეხება **მეგრი** ფორმის **მ-** პრეფიქსს, იგი არქაული ქართულის ვითარების ამსახველია, როდესაც სადაურობის სახელებს მხოლოდ **მ-** პრეფიქსი აწარმოებდა. შდრ. იგივე **მ-** პრეფიქსი სვანურ სადაურობის სახელებში. ამრიგად, ქორონიმის ისტორია ასე წარმოგვიდგენია: **სა-მ-ეგრ-ელ-ო** < **მ-ეგრ-ელი** < **მ-ეგრ-ი** < **ეგრ-ის-ი** < **ეგრი**.

3. 1. 2. ოიკონიმები

ოიკონიმი არის სახელი ნებისმიერი დასახლებული პუნქტისა: ქალაქისა, დაბისა, სოფლისა, ნასოფლარისა და ა.შ. მაგ.: ქუთაისი, გურჯაანი, წყნეთი... (ცხადაია, 1988: 75). ოიკონიმებსაც საფუძვლად უდევს ხოლმე მცენარის, ცხოველისა თუ სხვა სახელები. ჩვენს საანალიზო მასალაში სხვადასხვა ფუძისაგან მომდინარე მრავალი ოიკონიმი გამოვლინდა.

კოდორი - მდინარე აფხაზეთში და 2 სოფელი ამჟ. აბაშის რაიონში. საანალიზო მასალებში **კოდორი** ფიქსირდება 1753 წელს შედგენილ დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ: „ეს სამი გლეხი რობას ესახლენ, მაგრამ მიქელაძეებმან არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და **გამოდმა კოდორს** დავასახლეთ“ (ქსმ, III, 1970: 837). აქედან ჩანს, რომ **კოდორი** ამ შემთხვევაში არის არა ჰიდრონიმი, არამედ წარმოადგენს ადგილის სახელს და ამდენად, მას განვიხილავთ ოიკონიმებში. შდრ. ამჟ. სოფლები **გაღმა კოდორი** და **გამოდმა კოდორი** აბაშის რაიონში, რომლებიც წარსულში მართლაც ეკუთვნოდა მიქელაძეებს. „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით, ახლანდელი აფხაზეთის მიწაზეც იყო დაბა **კოდორი**, რომელიც იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც. 4: 781, 11), „მესხურ-იმერული დღიური წერილები“ (საქ. ისტ. ქრონიკები... 1980: 135), ლიხთ იმერეთის 1737 წლის რუკა (ბურჯანაძე, 1959: 194), ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი, 1964: 53) და სპენსერის „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ“ (სპენსერი, 1981: 137); **კოდორი** შუა საუკუნეებში ეპისკოპოსთა რეზიდენციაა. XVIII საუკუნეში ის დაბა იყო (იხ. ქცტლ, 2013: 298). ვახუშტი აღნიშნავს: „მდინარე **კოდორი** დრანდამდის დის აღმოსავლიდან დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან... მოიგო სახელი **დაბის კოდორისაგან**, რომელ არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“ (ქც. IV, 1973: 781). დასახელების ამგვარი გადატანა, ანუ მეტონიმია იშვიათი არ არის. შდრ. ისტორიული დაბა **ღალიძგა** „მდინარის ნაპირი“ და მისგან მეტონიმით წარმოქმნილი ჰიდრონიმი **ღალიძგა** აფხაზეთში. ვახუშტის მიერ დასახლებული დაბა შუა საუკუნეების ევროპულ პორტოლანებზე (საზღვაო რუკებზე) იხსენიება როგორც ნავსადგური **გოტო**.

პ. ინგოროყვას მიხედვით, „**კოდორი** ქართულია როგორც ფუძე-სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით“. მისთვის ბოლოკიდური ფორმანტი **-ორ-ი** არის ჩვეულებრივი დაბოლოება ქართული სახელებისა, როგორც მაგალითად: **ილორი, შაორი, კოჯორი** და სხვ. (ინგოროყვა, 1954: 156). ვფიქრობთ, მკვლევარმა ვერ დაასაბუთა **-ორ** სუფიქსის გამოყოფის საფუძვლიანობა. გ. ელიავას განმარტებით, **კოდორე** ტყიანი, მაგარი და უნაყოფო მიწაა (ელიავა, 1977: 19). თ. მიბჩუანის აზრით, **კოდორი** მომდინარეობს სვანური **კადარ**-იდან, რაც სვანურში „მშრალს“ ნიშნავს (მიბჩუანი, 1989: 245). ა. ქობალიას ლექსიკონში კი **კოდორი** განიმარტება, როგორც „კლდოვანი“ (ქობალია, 2010: 371).

ი. კეკელიას მიხედვით, **გამოღმა კოდორი**, რომელიც ფიქსირდება დოკუმენტებში, დღესაც სოფლის სახელად დასტურდება სამეგრელოში. როგორც ზემოთ ითქვა, აბაშის რაიონში სოფლის სახელად დასტურდება ორი კოდორი: **გაღმა კოდორი** და **გამოღმა კოდორი**, რომლებიც მდებარეობს რიონის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე (კეკელია, 2011: 38).

კოდორის ეტიმოლოგიისათვის საყურადღებოა გ. გვანცელაძის მიერ ჩატარებული კვლევა. იგი იზიარებს ი. ჩანტლაძის მოსაზრებას, რომ ქართველურ ენობრივ სივრცეში არსებობს საერთოქართველური ***-კად-** ძირის ამსახველი, **მზის გულზე მდებარე მთისძირა გორაკ-ფერდობებიდან მომდინარე წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელთა მთელი წყება, რომლებიც ქართ. ა: ზან. ო: სვან. ა ბგერათშესატყვისობების ფარგლებში ჯდება: ქართ. ნა-კად-ი, ნა-კად-ულ-ი, მეგრ. კოდორე, სვან. ლა-კად-ა, ლა-კად-ურ-ი** (იხ. ჩანტლაძე, 2012: 229). დამატებით გ. გვანცელაძე ასახელებს **-კად-** ძირისაგან მომდინარე, სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოვლენილ გეოგრაფიულ სახელებს. ავტორს გამოვლენილი აქვს ალ. ჭავჭავაძის თხზულებებში დასახელებული ამ ძირისაგან ნაწარმოები სიტყვა-ფორმები: „**გარდმო-ჰ-კად-ოდ-ა** „ნაკადად გადმოსდიოდა“, **მ-კად-ე** „მდენი, ნაკადად მღვრელი“... რომლებშიც ჩანს **-კად-** ძირის მნიშვნელობა - „სითხის (წყლის, ცრემლის, ოფლის) დენა, დინება“, რაც აძლევს ავტორს იმის განცხადების საშუალებას, რომ „**კოდ-ორ-ი** უნდა წარმოადგენდეს საერთოქართველური **-კად-** „სითხის დენა, დინება“ ძირისაგან მომდინარე **კად-არ** ფუძის მეგრულ შესატყვისს“ (გვანცელაძე, 2015: 78). მეცნიერი საყურადღებოდ თვლის იმ ფაქტს, რომ ერთი და იგივე სახელი დღემდე წარმოდგენილია როგორც შუაგულ

აფხაზეთში, ისე სამეგრელოს უკიდურეს აღმოსავლეთ კიდეში, მდინარე რიონის ნაპირას. აფხაზეთის მიწაზე წარსულში მდებარეობდა ამ სახელით აღნიშნული 2 გეოგრაფიული ობიექტი: დაბა და მდინარე. ამჟამად იქ ეს სახელი მხოლოდ მდინარეს შერჩა, რომელსაც აფხაზურ ენაზე **კჟღრ** ჰქვია. მეგრული და აფხაზური ვარიანტები ერთმანეთთან უდავოდ მატერიალურ კავშირში არიან, მაგრამ აფხაზური ვარიანტი არაა ამოსავალი: ასეთ შემთხვევაში სესხების კანონზომიერებანი გვავარაუდებინებდა მეგრულში ***კუდრი // *კუდრუ** ფორმათა არსებობას, რაც არ დასტურდება არც ისტორიულ წყაროებში და არც ცოცხალ მეტყველებაში. სამაგიეროდ, იოლად იხსნება აფხაზური ვარიანტის მეგრულისაგან მომდინარეობა, რაზეც სამართლიანად მიუთითებს გვანცა გვანცელაძე: მეგრ. **კოდორ-ი** > აფხაზ. ***კჟღარ-ჲ** > **კჟღრ** (გვანცელაძე, 2015: 80-81). ეს დასაბუთებული მოსაზრება გამორიცხავს აფხაზი მეცნიერის ვ. კვარჭიას ვარაუდს, თითქოს სახელი მომდინარეობდეს აფხაზური **აჟთა** „შუაგული, ცენტრი“ სიტყვისაგან ასეთი გარდაქმნების შედეგად: აფხაზ. **აჟთა** > **გჟთრ** > **კჟღრ** > ქართ. **კოდორი**, ვინაიდან აფხაზური **კჟღრ** ქართულში სესხების შემთხვევაში მოგვცემდა არა **კოდორი** ფორმას, არამედ **კუდრი**-ს (კვარჭია, 2006: 184-186; გვანცელაძეები, 2015: 91-93).

ჭალა ხშირად გამოიყენება, როგორც დამოუკიდებლად, ასევე კომპოზიტურ ტოპონიმებშიც, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. იგი დასტურდება 1616-1621 წწ. „საციიშლო გამოსავალში“ (ქსმ, III, 1970: 467; 470; 474) და 1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის გამოსავალ მოსაკრებელში“ (ქსმ, III, 1970: 434). ჩვეულებრივ, **ჭალა** სიტყვით აღინიშნება წყლის ნაპირას მდებარე ნაყოფიერი ადგილი, ანდა მდინარისპირა ტყე, თუ კორომი. ჩვენს მასალაში **ჭალა** სახელით ხსენიებული სოფელი მდებარეობდა ამჟ. ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფელ **ჭლოუს** ადგილას. ბ. ხორავა წერს, რომ **ჭალა** თავად ჯაიანების კუთვნილი სოფელი იყო და როცა ამ მხარეში აფხაზები დამკვიდრდნენ, სოფელს აფხაზურად **ჭლოუ** ეწოდა, თუმცა სოფლის ერთ-ერთ უბანს დღემდე შემორჩა სახელად **ჭალა-აიშარა**. სოფ. **ჭლოუ** რუსული **Чилоу** ფორმით ხშირად ჩანს საბუთებში XIX ს. 30-იანი წლებიდან (ხორავა, 2013: 100). ოიკონიმი **ჭლოუ** თავდაპირველი **ჭალა** ფორმის გააფხაზურებულ ვარიანტად მიაჩნია თ. გვანცელაძესაც. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, 1621 წლის ქართულ საბუთში სოფელ **ჭალა**ში მხოლოდ ქართული გვარებია დაფიქსირებული: **გოგორდავა, ჩაგლია, ჭანია, ფალია, ქვაცხა** და სხვ. XIX ს. 40-იან წლებში კი სოფელს უკვე რქმევია არა საკუთრივ ქართული, არამედ გააფხაზურებული

სახელი (გვანცელაძე, 2011: 502). ბუნებრივია, ამ ქართული გვარებით დასახლებულ სოფელს სახელიც ქართული ექნებოდა. ლექსიკონებში **ჭალა** თითქმის ერთნაირად არის განმარტებული: **ჭალა** - წყლის პირი ნაყოფიერი; წყლის პირი ტყიანი (ორბელიანი, II, 1993: 397). მეგრულ ლექსიკონებში **ჭალას** მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა **ჭალე**, რაც ნიშნავს: ჭალას, წყლისპირა დაბლობს, ნაყოფიერ მიწას. ი. ყიფშიძე ასახელებს **ჭალეს** - სოფლის სახელს (ყიფშიძე, 1994: 589; ჭარაია, 1997: 169; ქობალია, 2010: 706). ვფიქრობთ, მეგრ. **ჭალე** < **ჭალა-მ**, სადაც **-მ** სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ოიკონიმის ისტორია ორ ვარიანტად წარმოგვიდგენია: 1. ქართ. **ჭალა-მ** > მეგრ. დიალ. **ჭალე-მ** > **ჭალე** > აფხაზ. **ჭალა-ჟ** (ე ხმოვნის ა-დ გარდაქმნა და დიფთონგიზაცია) > **ჭლა-ჟ** > **ჭლო-ჟ**; 2. ქართ. **ჭალა-მ** > **ჭალა** + აფხაზ. აუ „გრძელი“ > ***ჭალაუ** „გრძელი ჭალა“ > ***ჭლაუ** > **ჭლოჟ**.

3. 1. 3. პოლისონიმები

პოლისონიმი არის ქალაქის სახელი: **ბათუმი, თელავი, გორი** და სხვ. (ცხადაია, 1988: 94). ჩვენს მასალაში გამოვლინდა როგორც რთულფუძიანი, ისე მარტივფუძიანი პოლისონიმები.

ზუგდიდი ქართულ ლაპიდარულ წარწერებში დასტურდება XII საუკუნიდან (დსწ, II, 1980: 143; 145), ჩვენს საანალიზო დოკუმენტებში კი იგი პირველად გვხვდება 1616-1621 წლებში **ზურგდიდი** ვარიანტით (ქსმ, III, 1970: 470), ხოლო 1621 წელს - დღეს გავრცელებული **ზუგდიდი** ფორმით (ქსმ, III, 1970: 419). ტოპონიმის წარმოშობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, რაც თავმოყრილია შოთა მესხიას სტატიაში: „**ზუგდიდი თუ ზუბდიდი**“. ამ სტატიის მიხედვით, დიუბუა დე მონპერე პარალელურად იყენებს ფორმებს **ზუგდიდი** და **ზუბდიდი**, ამასთანავე **ზუბ**-ს უკავშირებს **ზუფუ**-ს. აქვე ფიქსირდება მოსაზრება **ზუგდიდ**-ის **ზურგდიდ**-ისაგან მომდინარეობის შესახებ. პირველი ნაწილი მ. ბროსემ დაუკავშირა „**ზურგს**“, „**დაზვინულ მიწას**“. ეს თვალსაზრისი გაიმეორეს პლ. იოსელიანმა და დ. ბაქრაძემ. თვით შ. მესხია იზიარებს რა დიუბუა დე მონპერეს თვალსაზრისს, მართებულად მიიჩნევს **ზუბდიდი** ვარიანტს. იქვე მეცნიერი აღნიშნავს, რომ „XVII საუკუნეში და შემდეგაც იგი ერთადერთი სახელწოდება არ ყოფილა სამეგრელოს მთავრის რეზიდენციისა. იგი უცხოელებისა თუ ქართველების მიერაც **ზუგდიდად**“

იწოდებოდა“ (მესხია, 1967: 244-250). ამ ვარაუდის ნაკლი **ბ > გ** გარდაქმნის აუხსნელობაა, თორემ მეგრულში **ზუბი** ნამდვილად ნიშნავს „ბორცვს, გორაკს; მთის უღრან ტყეს“ (ქობალია, 2010: 311).

აკად. ქ. ლომთათიძე, განიხილავს რა სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ **ზუგდიდი** ვერ ჩაითვლება **ზუბდიდ**-ისგან მომდინარედ: ისინი თანაარსებობდნენ და ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ არსებობს მესამე რ თანხმოვნის ვარიანტიც, რომელიც დაუცავს აფხაზურს - ჟჳრჳტ - და აფხაზური ფონეტიკური სისტემის ნიადაგზე გაუმართავს. ავტორი ამ აფხაზური სახეობის ამოსავლად მიიჩნევს მეგრულში გარკვეულ ვარიანტად არსებულ ***ზურგითი** ფორმას, რომელიც მომდინარეობს **ზურგდიდ**-ისაგან (ლომთათიძე, 1984: 17). ამდენად, ქ. ლომთათიძე აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტის რთული სახელწოდების პირველი კომპონენტის სამ ფონეტიკურ ვარიანტს ასახელებს: **ზურგ-**, **ზუგ-**, **ზუბ-**. მისივე აზრით, საქმე გვაქვს ერთსა და იმავე ლექსიკურ მონაცემთან - ეს არის „**ზურგ**“ სიტყვა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ბორცვის, ამაღლებული და მთიანი ადგილების გადმოსაცემად (ლომთათიძე, 1984: 17). მართლაც, **ზურგა**, **ზუგუ** მეგრულში „ბორცვს“ ნიშნავს (ქობალია, 2010: 311).

ჩვენი აზრით, ტოპონიმის პირველი კომპონენტია **ზუგ-** (// **ზურგ**) „ბორცვი“. ვფიქრობთ, იგივე **ზურგ-** კომპონენტის შემცველია დღევანდელი გალის რ. სოფ. **დიხაზურგა** „მიწა-ზურგ-ა“, რომელიც ასევე ამაღლებულ ადგილას მდებარეობს. **ზუგ-** კომპონენტიანი მიკროტოპონიმები არაერთი დასტურდება სამეგრელოში. ამისათვის მოვიხმობთ პ. ცხადაიას მიერ მოძიებულ რამდენიმე მაგალითს: **ზუგა** შემადგენელი ვაკე ნოღელის მარჯვ. მხარეს (ლეხაინდრაო, ნაჯახაო). **ზუგა**, **ზუგუ**, **ზუგადიხა** აღნიშნავს მაღალ ადგილს, ზურგას. შესაძლებელია: **ზუგა დიდი > ზუგდიდი** (ადგ. ვარიანტი: ზუგიდი). მკვლევარი თვლის, რომ ზუგდიდი თავდაპირველად ალბათ ერქვა ზუგდიდის ცენტრსა და მდ. სინწას შუა მდებარე სერს, სადაც ამჟამად არის მაცხოვრის ეკლესია და სასაფლაო (ცხადაია, 2005: 26). **ზუგდიდი < ზურგდიდი < ზუგუდიდი**.

თანამედროვე ქალაქ მარტვილს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა: ჯერ **ჰყონდიდი**, მერე **მარტვილი**, 1936-1990 წლებში - **გეგეჰკორი** (კომუნისტი აქტივისტის გვარის მიხედვით), ხოლო ამჟამად კვლავ **მარტვილი** ეწოდება. ვახუშტის აღწერაში

ვკითხულობთ: „ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭურეტი, მაღალს ადილზედ, არს **ჭყონდიდი**, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მარტვირისა“ (ქც. 4. 776). ვახუშტის მიერ ნახსენები **ჭყონდიდი** მოიხსენიება სხვადასხვა პერიოდის წარწერებში, კერძოდ: X საუკუნის დასასრულს (დსწ, 1980 : 34), 996 წ., XI საუკუნეში (დსწ, 1980: 35) და XIII საუკუნის II ნახევარში (დსწ, 1980: 174). ჩვენს მასალაში **ჭყონდიდი** (მეგრ. „მუხა დიდი“) საერთოდ არ დადასტურდა, ხოლო **მარტვილი** პირველად იხსენიება 1753 წელს **მარტვირი** ფორმით (ქსძ, III, 1970: 836). დღეს გავრცელებული **მარტვილი** მიღებულია **მარტვირ**-ისაგან დისიმილაციის შედეგად: **მარტვირი** > **მარტვილი**. ტოპონიმის სემანტიკაა „მოწამე, წამებული“. სულხან-საბასა და ი. აბულაძის ლექსიკონებში დასტურდება ფორმები: **მარტვლი** და **მარტვრი** (ორბელიანი, 1991: 443; აბულაძე, 1973: 218), რომლებიც ბერძნულიდან მომდინარეობს, შდრ. ძვ. ბერძნ. **μάρτυρος** „წამებული, მოწამე; თვითმხილველი, მოწმე“ (<https://ka.glosbe.com/el/ka/%CE%BC%CE%AC%CF%81-%CF%84%CF%85%CF%81%CE%B1%CF%82>).

სენაკი ფიქსირდება რამდენიმე დოკუმენტში, კერძოდ: 1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო დავთარში“ (ქსძ, III, 1970: 477-478); 1659 წ. „შეწირულობის წიგნში...“ (ქსძ, VI, 1977: 665) და 1794 წ. „არზაში გიორგი ცეკუაშვილისა...“ (ქსძ, VIII, 1985: 309). „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით, **სენაკი** ნახსენებია ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში. საბას მიხედვით, „**სენაკი** - მცირე სახლაკი, მონოზონის სადგომი მცირე. კელენი, მცირე სადგომი“ (ორბელიანი, II, 1993: 82). ქეგლ-ში **სენაკი** არის „ცალკე ოთახი ბერისათვის, მონაზვნებისათვის, განდევნილებისათვის“ (ქეგლ, 1986: 405). გ. ელიავას ცნობით, „... XVII საუკუნეშიც მისიონერთა სამყოფი ბინებიც და კარმიდამოებიც კია აღნიშნული კასტელის რუკაზე. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით ამ ადგილას ძველი სენაკია; საშუალო საუკუნეებში ბერებს ეკლესიასთან მცირე ქოხები, სამარტვილო ოთახები, სენაკები მოუწყვიათ და შიგ ცხოვრობდნენ თურმე. აქვე მათ ჰქონიათ სტუმართა მოსასვენნი ასეთივე ქოხები. აქედან დაერქვაო „სენაკი“ (ელიავა, 1989: 69). მეგრულში **სენაკი** (**სანაკი**) არის „პატარა ოთახი“ (ქობაღია, 2010: 590). აქედან გამომდინარე, პატარა ოთახები, სახლაკები უდევს საფუძვლად ტოპონიმ **სენაკის** წარმოშობას.

ტოპონიმი **ფოთი** იხსენიება 1616-1639 წწ. (ქსძ, III, 1970: 500) და 1804 წ. (ქსძ, II, 1965: 564). აკად. ქ. ლომთათიძის სიტყვით, „ძნელად დაიძებნება გეოგრაფიული

სახელწოდება, რომელსაც ისეთი ყურადღება დაემსახურებინოს სპეციალისტებისა, როგორიც **ფაზის - ფოთს**“ (ლომთათიძე, 1989: 62). მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტოპონიმ სამწიგნ. **ფოთ-** // მეგრ. **ფუთ-**ის ამოსავალი ფუძეა **ფუთუ (ფოთო)**. ამის მტკიცების საშუალებას იძლევა ზუგდიდელთა მეტყველებაში აქამდე შემორჩენილი **ფუთუ-არ-ეფ-**ი „ფოთელები“ ფორმა. შდრ. ოიკონიმ **გუფუ-სგან** (ოჩამჩირის რ.) ნაწარმოები - **გუფუ-არ-ეფ-ი**, **კურზუ-სგან** ნაწარმოები - **კურზუ-არ-ეფი** და მისთ. ავტორი სვამს კითხვას, ხომ არ უკავშირდება ეს ფუძე თვით **პონტო-ს**?! ბერძნული **პ, ტ-**ს გადმოღება ქართველური ფშვინვიერებით უჩვეულო არ არის. ამ შემთხვევაში ახსნას მოითხოვს ქართველურში **ნ-**ს უქონლობა. მაშინ, როდესაც ნაზალიზაცია სათანადო თანხმოვანთა გარემოცვაში მოსალოდნელია, შდრ. **უთო** - მეგრ. **უნთო** (ლომთათიძე, 1989). განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ტ. ფუტკარაძეს, რომელიც **ფოთ-**ისათვის ამოსავლად მიიჩნევს **ფათ-**ს. მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს ასახელებს „კოლხური კულტურის შემქმნელი ეთნოსის ენის საკითხის“ განხილვისას, სადაც დასახელებულია ჰესიოდეს (VIII-VII ს.ს.) მიერ დადასტურებული ტერმინი **ფასის-ი**. მკვლევრის მიხედვით, ეს **ფასის-ი** აშკარად დღევანდელი **ფოთი** (< **ფათი**) ტოპონიმის ეკვივალენტია (ქართველები, 2005: 266), თუმცა ამ შემთხვევაში ახსნილი არ არის **თ > ს** ფონეტიკური ცვლილების მიზეზი. ა. ქობალიას განმარტებით **ფოთი**, მეგრ. **ფუთი** არის „ქინქლების საბუდარი“ (ქობალია, 2010: 629). დღესაც ფოთში განსაკუთრებულად ბევრია ქინქლა და კოლო. ვფიქრობთ, ეს ვარაუდი ყველაზე უფრო მისაღებია და მას არა აქვს არც სემანტიკური, არც ფონეტიკური და არც მორფოლოგიური დაბრკოლება. საყურადღებოა, რომ იმავე სახელის მქონე სოფელი **ფუთი** მდებარეობს ზესტაფონის რაიონში და მის სახელსაც იგივე ეტიმოლოგია უნდა ჰქონდეს.

დღევანდელი ქალაქი **ხოზი** საეკლესიო-ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება თავდაპირველი სახელით - **ხოფი**. კერძოდ, 1569 წლის საბუთში აღნიშნულია, რომ **ხოფის** ღმრთისმშობლისათვის შეუწირავთ ვინმე **კაკულიაი სერგია** (ქსძ, III, 1970: 275), ხოლო მოგვიანებით, 1706 წ. დასტურდება ვარიანტი - **ხოზი** (ქსძ, III, 1970: 647). **ხოფი** სულხან-საბას განმარტებით არის „ნავის ნიჩაბი“ (ორბელიანი, II, 1993: 428). ასევეა მეგრულშიც: **ხოფი** „წყალში მოსასმელი ბრტყელი ნიჩაბი; წისქვილის ღარის ჩამკეტი ხის ნიჩაბი“, **ხოპი** - „ხოფი, რაბი (დარაბა)“ (ქობალია, 2010: 730 – 731); „**ხოპი** - ფიარი (სამუშაო იარაღი - ს.კ.), ნიჩაბი“ (ჭარაია, 1997: 181). ამ მნიშვნელობათაგან ტოპონიმის

საფუძვლად იოლად გადაიქცეოდა „რაბი, ანუ წისქვილის სათავის მცირე ჩამკეტი კაშხალი“. თ. გვანცელაძის მიხედვით, ტოპონიმი **ხოფი** სუბსტრატული ქართული სახელია ამჟამინდელ გუდაუთის რაიონში, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ აფხაზთა ჩამოსახლებამდე, რაზეც მიანიშნებს მისი გააფხაზურებული ვარიანტი **ხაფ (ხჰაფ)** - აფხაზურში ფონეტიკურ ადაპტაციას უპირატესად XIX საუკუნემდე ნასესხები ლექსიკა განიცდის (გვანცელაძე, 2011: 500; გვანცელაძე, 2013: 127). ამ მოსაზრებას ის ფაქტი განამტკიცებს, რომ ამ სოფლის სახელი აფხაზურ ენაზე დამაჯერებლად არავის აუხსნია. ამრიგად, ჩვენი აზრით, სამეგრელოს პოლისონიმი **ხოზი** და აფხაზეთის ოიკონიმი მიღებულია **ხაფ** მიღებულია მეგრული **ხოფი**-საგან **ფ**-ს და ნიშნავს „წყლის ჩამკეტი მცირე კაშხალს, რაბს“. შდრ.: მეგრულში ძირითადად გამოიყენება მისი ყრუ მკვეთრი ვარიანტი **ხოპი** - მეგრ. **ხოპის დადება** „ჩაკეტვა“.

3. 2. ტოპონიმთა სტრუქტურული მოდელები

მორფოლოგიურ-სტრუქტურული თვალსაზრისით, გეოგრაფიულ სახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს უსუფიქსოდ - წმინდა ფუძის სახით, პრეფიქს-სუფიქსით, მხოლოდ პრეფიქსით, ან მხოლოდ სუფიქსით. ასევე გვხვდება კომპოზიტური წარმოების სახელები და მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის შესიტყვებები გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად.

სამეგრელოს ტოპონიმებში პრეფიქს-სუფიქსებად გამოიყენება: **ნა-არ, ნა-ევ, ნა-ურ; სა-ე, სა-ო, სა-ეთ, სა-ავ, სა-ელ, სა-არ, სა-ია**. პრეფიქსული წარმოებისათვის იხმარება: **ნა-, სა-, ო-** დანიშნულების პრეფიქსები, ხოლო სუფიქსურ წარმოებაში, როგორც მიუთითებენ, ყველაზე ხშირად გამოიყენება **-თ** სუფიქსი სხვადასხვა გახმოვანებით: **-ეთ, -ით, -ათ, -ოთ, -უთ, -თა**. ასევე: **-ან, -იან, -ოვან, -ევან; -ილ, -ელ, -ულ//-ურ; -ავ, -ევ, -ივ** (ზურაბიშვილი, 1961). მეგრულში ნაგენეტივარ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოიყოფა **-იშ // -შ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 2015: 195).

ჩვენს საანალიზო მასალაში დადასტურებულ ტოპონიმებს განვიხილავთ ცალკეულ ჯგუფებად მათი წარმოების მოდელების გათვალისწინებით. შესაბამისად, გამოვყოფთ რამდენიმე სტრუქტურულ ჯგუფს:

1. ტოპონიმები აპელატივის წმინდა ფუძის სახით;
2. მატოპონიმებელი აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები;
3. წინა ვითარების ამსახველი ტოპონიმები;
4. პირსახელისაგან მომდინარე ტოპონიმები;
5. გვარსახელებისაგან მომდინარე ტოპონიმები;
6. გვარსახელთა დასახლებებისაგან მიღებული ტოპონიმები;
7. კომპოზიტიური წარმოების ტოპონიმები;
8. მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმად.

3. 2. 1. ტოპონიმები აპელატივის წმინდა ფუძის სახით

ამ მოდელის ერთ-ერთი ოიკონიმია **ბია** (სოფ. ამჟ. ხობის რაიონში), რომელიც პირველად იხსენიება 1706 წელს შედგენილ „შეწირულობის სიგელში...“ (ქსმ, III, 1970: 647). ამოსავალია მცენარის სახელი **ბია** „კომში“, რომელიც მარტივი წარმოებისაა. ოიკონიმს მცენარის სახელისაგან მომდინარედ მიიჩნევს თ. გვანცელაძე (გვანცელაძე, 2000: 88).

1621 წელს დასტურდება ოიკონიმი **გუფუ** (ქსმ, III, 1970: 433). დღეს იგი ცნობილია **გუფი** სახელწოდებით და მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, მდინარე ღალიძგის მარჯვენა ნაპირას. ჩვენი აზრით, ტოპონიმისათვის ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **გუფ-ი** // **გუფ-უ** „გუბე, დაგუბებული ადგილი“. მეგრ. **გუფი** არის „გუბე“, შდრ.: **გუფუა** „დაგუბება“ და **გუფილი** „დაგუბებული“ (იხ. ქობალია, 2010: 231). ვფიქრობთ, **გუფუ** ეწოდა ადგილს, სადაც წყლის გუბეები დგებოდა. აფხაზურ ენაზე სოფლის სახელია **გჟჟ** [გჟჟჟ], რასაც ამ ენაზე ახსნა არ ეძებნება, მისი მეგრულიდან მომდინარეობა კი ასე იხსნება: **გუ** მარცვალი კანონზომიერად იძლევა აფხაზურ **გჟ** მარცვალს (ლომთათიძე, 1976: 168-169) - მეგრ. **გუფ-ი** // **გუფ-უ** > აფხაზ. **გჟჟ**.

სოფ. **დარჩელი** (ზუდიდის რ.) საეკლესიო ძეგლებში ფიქსირდება 1621 წელსა და 1616-1621 წლებში (ქსმ, III, 1970: 455; 470; 474). სემანტიკურად იგი უკავშირდება „დაფენას“. გ. ბედოშვილი შესაძლოდ მიიჩნევს, ტოპონიმ **დარჩელ**-ში იმავე ფუძის გამოყოფას, რაც არის **ტყვარჩელ**-ში, სადაც მეგრ. **რჩელ-ი** „დაცემულ (ვაკეს), დაგებულ ადგილს“ ნიშნავს (ბედოშვილი, II, 2013: 223-224). ჩვენი აზრით, დარჩელის ტყვარჩელთან დაკავშირება გადასინჯვას მოითხოვს, ვინაიდან არსებობს ტყვარჩელის

მიღების სხვაგვარი ეტიმოლოგიებიც, ხოლო მეგრულში ნაკლებად მოსალოდნელია **დო-** ვარიანტის მაგიერ სამწიგნობრო ენის **და-** ზმნისწინის დართვა მეგრულში ფონეტიკურად სახეცვლილ ძირზე. მეორე მხრივ, გ. ბედოშვილი მიიჩნევს, რომ **დარჩელ-** ფორმაში **-ელ-** სუფიქსი ადამიანის სადაურობის მაუწყებელი ელემენტი შეიძლება იყოს, ხოლო **დარჩ-** ფუძეში **-რ-** სონორი განვითარებული ჩანსო. მეცნიერი საყრდენ ფუძედ გამოყოფს ტოპონიმ **დაჩა-**ს, რომელიც რეალურად არსებობს ოჩამჩირის რაიონში. საბოლოოდ მკვლევარი ასკვნის: „თავდაპირველად, შესაძლოა, გვექონოდა **დაჩ-ელ-ი**, რომლისგანაც **რ-**ს ჩართვის შედეგად **დარჩელ-ი** მიგვიღია“ (ბედოშვილი, II, 2013: 223-224). ამ ვარაუდის ნაკლი ის არის, რომ აფხაზეთში ოიკონიმი **დაჩა** რუსების მოსვლამდე არსად ჩანს - ეტყობა, იგი რუსული **დაჩა** „აგარაკი“ სიტყვისგან მოდის. ჩვენი აზრით, **დარჩელი** იგივეა, რაც **დორჩელი** „დაფენილი, დაგებული, გაშლილი“. **დორჩელ-ი** მეგრულად არის „ქარისაგან მიწვენილი, ჩათელილი (ყანა); ფენილი (ქვა)“ (ქობაღია, 2010: 249). ვფიქრობთ, ტოპონიმში უნდა გამოიყოს არა სადაურობის აღმნიშვნელი **-ელ** სუფიქსი, არამედ - მიმღეობური მაწარმოებელი **-ელ**. შდრ. ტოპონიმის საწყისი ფორმაა უზმნისწინო **რჩაფა**, რომლისგანაც იწარმოება **რჩელი**, ხოლო ზმნისწინიანი - **დორჩაფა** და მისგან ნაწარმოები: **დორჩელი**. ამრიგად, ტოპონიმის მიღება ასე წარმოგვიდგენია: **დარჩელი** < **დორჩელი** < **დორჩაფილი** < **რჩაფა**.

ადგილის სახელი **ეკალ** ფიქსირდება 1616-1639 წლებში (ქსმ, III, 1970: 501). მეგრული **ეკალ(გ)** გამოიყენება აღმართი ადგილის აღსანიშნავად. ამ მნიშვნელობით დასტურდება იგი პ. ცხადაიას ტოპონიმადაც: **ეკალ(გ)** - აღმართი საავტომობილო გზაზე, სოფლის ცენტრის სამხრეთით (მუხური). ასევე, სახნავები რიონის მარცხ. მხარეს (გულეიკარი) (ცხადაია, 2005: 23; IV, 2008: 133).

ეკი დასტურდება 1616-1639 წლებში (ქსმ, III, 1970: 502). დღეს სენაკის რაიონის სოფელი **ეკი** არის თემის ცენტრი (კეკელია, 2012: 19). გ. ელიავა ტოპონიმს აკავშირებს **ეკი** „მაღლა, აღმა მიმავალი“ ზმნიზედასთან. ავტორი უშვებს სხვა ვარაუდსაც და სოფლის სახელს უკავშირებს მინერალურ საღებავს - **ეკი** // **ლეკი**, რომელსაც აქ მოიპოვებდნენ (ელიავა, 1989: 81). პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ **ეკი**, **ლეკი**, **დეკი** ეწოდება რბილ, ლალისფერ მიწას, წყლის დანალექს, შლამს; ამასთანავე, შავ ან მოლურჯო-მომწვანო მიწას (ლ)ეკს ეძახიან და შალეულის საღებავად გამოიყენება (ცხადაია, II, 1999: 287-288). ჩვენი აზრით, ამ ორი ვარაუდიდან პირველი უფრო დამაჯერებელია: **ეკი** // **ეკე**

ნიშნავს: „აღმა, ზევით“; შდრ. ასევე, ეკი-ეკი „აღმა-აღმა“; ეკი-დიკე „ზევით-ქვევით“ (ჭარაია, 1997: 63; ქობალია, 2010: 270). როგორც ჩანს, ეკი თავდაპირველად მიკროტოპონიმი იყო და მომდევნო ეტაპზე მთლიანად სოფელს ეწოდა.

ტოპონიმი **ილორი** საეკლესიო საბუთებში იხსენიება 1616-1639 წლებს შორის (ქსმ, III, 1970: 501). მას მოიხსენიებენ აგრეთვე ევროპელი მისიონერებიც. ვახუშტის აღწერით, „...დადის წყლის ჩრდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღუას **ილორს**. ხოლო ზღვს კიდეზედ, ამ წყლის დასავლეთს კიდეზედ, არს **ილორს** ეკლესია წმიდის გიორგისა“ (ქც. 4. 779). პ. ინგოროყვა სოფლის სახელწოდება **ილორ**-ში გამოყოფს ბოლოკიდურ **-ორ-ი** ფორმანტს და მიიჩნევს ქართული წარმოშობისად, ანალოგიისათვის კი ასახელებს ამავე **-ორ-ი** დაბოლოებით ნაწარმოებ სახელებს: **სხვიტ-ორ-ი**, **კოდ-ორ-ი**, **შა-ორ-ი** და სხვ. (ინგოროყვა, 1954: 176), თუმცა ამ ოიკონიმებში არავითარი **-ორ-ი** სუფიქსი არ არის. განსხვავებული მოსაზრებები აქვს თ. გვანცელაძეს: მისი ცნობით, სოფელს აფხაზურად **ელჯრ** ეწოდება, მაგრამ ამ ენაზე ახსნა არ ეძებნება. ეს სახელი რომ აფხაზური წარმომავლობისა ყოფილიყო, მაშინ ქართულად უნდა არსებულიყო არა **ილორი** ვარიანტი, არამედ ***ელირი** ფორმა, რაც არ დასტურდება არც ცოცხალ მეგრულ მეტყველებაში და არც წერილობით, თუ კარტოგრაფიულ მასალაში. მეცნიერის აზრით, ტოპონიმის ქართული ფორმა **ილორი** უნდა უკავშირდებოდეს პირსახელ **ილია**-ს: **ილია-ური** „ილიას კუთვნილი მიწა“ > **ილორ-ი**. აფხაზური სიტყვათესხების ფონოტაქტიკური წესების გათვალისწინება გვიკარნახებს, რომ აფხაზური ვარიანტის პირველწყარო ქართულია და ამგვარ ცვლილებათა გზითაა წარმოქმნილი: ქართ. **ილორი** > აფხაზ. ***აღარ** > **ელჯრ**, ანდა ქართ. **ილორი** > აფხაზ. ***ჟელჯრ** > **ელჯრ** (გვანცელაძე, 2011: 246-247). თ. გვანცელაძემ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტსაც, რომ XI საუკუნეში სოფელში წმიდა გიორგის ეკლესიის აგებისა და ამ ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მას იმერეთში, ახლანდელი სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ, გაუჩნდა ფილიალი (მეტოქი), რომელსაც ასეთ დროს მიღებული წესის მიხედვით ასევე **ილორი** ეწოდა, მერე კი იგივე სახელი სოფელსაც დაერქვა (სოფელს ახლაც ჰქვია **ილორი**) (გვანცელაძე, 2011: 247). ჩვენი აზრით, თ. გვანცელაძის ეს ვარაუდი საკმაოდ დამაჯერებელი და მისაღებია, თუმცა შეიძლება სხვაგვარი ახსნაც წარმოვადგინოთ: მეგრულში **ილორი** არის „მორი

(იგივეა რაც **ლორი**); მორებად დასაჭრელი; ძელისა; ძელიცხოველი“ (ქობალია, 2010: 324); **ილორია** „მორისა, ძელისა; სამორე ტყე“; **ილორუა** „მორებად ხლეჩა, დამორვა (ილორუ იხლიჩება, იმორება)“ (ქობალია, 2010: 324). ჩვენი აზრით, სემანტიკაზე დაყრდნობით ტოპონიმ **ილორ**-ისათვის ამოსავალი უნდა იყოს აპელატივი **ილორი** „მორი, ნამორი“, ხოლო ტოპონიმის გააფხაზურების გზის შესახებ სავსებით მართებულად მიგვაჩნია თ. გვანცელაძის მოსაზრება.

ისტორიულ ძეგლებში მიკროტოპონიმი **რობა** დასტურდება 1753 წელს (ქსძ, III, 1970: 837). ეს სოფელი ამჟამად ცალკე არ არსებობს, მაგრამ ი. მეუნარგიას ცნობით, XIX საუკუნის შუა ხანებში იგი შედიოდა სამეგრელოს სამთავროს სუჯუნის მაზრაში (ნოდია, 2010). ტოპონიმი მომდინარეობს მეგრული **რობა, რობე, რობი, რობუ** „ხევი“ სიტყვისაგან (ყიფშიძე, 1994: 512; ჭარაია, 1997: 118; ქობალია, 2010: 573; ცხადაია, 2005: 66), შდრ.: საბას მიხედვით, **რობა** არის „ველგობი“ (ორბელიანი, II, 1993: 12), რომელიც, იმავე **ჩადრმავებულის** სემანტიკის შემცველია.

1621 წლის საბუთში ამჟ. აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის მიწაზე იხსენიება სოფელი **ღაჩუ** (ქსძ, III, 1970: 432). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ოიკონიმი არცერთ სხვა წყაროში არ დასტურდება. წყაროს ტექსტიდან ჩანს, რომ ეს სოფელი მდებარეობდა სოფლებს **ხაუჟელსა** და **გუფუს** შორის და აქაურ მცხოვრებთ ჰქონდათ ქართული პირსახელები და გვარსახელები: **გაირჩქინი სალატია, უჩარდია სალატია, თოსკუამია დუშია, ძუკა დუშია, მამაია დუშია** (ქსძ, III, 1970: 432-433). რაც შეეხება ტოპონიმის ეტიმოლოგიას, იგი ცხადი არ არის და შემდგომ კვლევას მოითხოვს.

შხეფი დასტურდება 1712 წელს (ქსძ, III, 1970: 731). **შხეფი** ნახსენებია ვახუშტის თხზულებაში: „...ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს **შხეფს** ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“ (ქც. 4: 777). „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ციხეს **შხეთის ციხის** სახელიც ეწოდება (ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 577). ამჟამად **შხეფი** ადგილი (ციხე-სიმაგრე) და სოფელია სენაკის რაიონში. გ. ელიავას ცნობით, „აქ ცოდნიათ შხეფალა, დიდი სახალხო დღესასწაული. ამიტომ ამ სოფელს ეს სახელი შერჩენია. ადგილობრივებში შხეფის ორნაირი განმარტებაა: შხეფის სახელწოდება მჩქეფარე ნაკადულებიდანაა წარმოშობილი, რაც უამრავია შხეფის მთის სამხრეთ მხარეზეო და მეორე განმარტებით - ნიშნავს „შხაფას“ ქართულად შფოთვის...“ (იხ. ელიავა, 1989: 53). ა. ქობალიას

განმარტებით, **შხეფი** არის იგივე „შხეფი, ზვირთი; შხეპლი, სხეპლი; შეტევები, სატეველა“ (ქობალია, 2010: 668). მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმაა **შხეფუა** „შხეფება, ზვირთცემა“ (იქვე). ვფიქრობთ, ოიკონიმის ეტიმოლოგიის დადგენას მეტი კვლევა სჭირდება.

ჩვენს მასალაში **ხიორი** პირველად დასტურდება 1525-1550 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში (ქსძ, II, 1965: 179), 1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ (ქსძ, III, 1970: 423) და 1616-1639 წლებში შედგენილ „შეწირულობის წიგნში...“ (ქსძ, III, 1970: 501). ადგილობრივ მეგრელთა მეტყველებაში გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე მდებარე სოფელ **ხიორ**-ს დღეს **ოხური** // **ოხური** ეწოდება. პ. ინგოროყვა ტოპონიმ **ხიორ**-ს მოიხსენიებს **ხორი**, ანუ **ხვრი** ფორმებით და მათ ქართული წარმოშობისად მიიჩნევს. შდრ. სახელწოდება **ხორი** და შიდა საქართველოს გეოგრაფიული სახელები: **ხორ-ით-ი** (იმერეთში), **ხორ-ეთ-ი** (გურიაში), **ხორ-ში** (ოდშიში), **ხორ-ენ-ია** (ჯავახეთში) (ინგოროყვა, 1954: 176). **ხორ**-ძირისაგან ნაწარმოები **ოხორი** // **ოხორე**, **ხორუა** მეგრულში ნიშნავს „სახლს, დასახლებას, სახლობას“ (ყიფშიძე, 1994: 499; ჭარაია, 1997: 181; ქობალია, 2010: 730). სავარაუდოდ, დასასახლებლად ვარგის ადგილს შეიძლებოდა შერქმეოდა **ხორი** // **ხიორი**. საყურადღებო გვგონია ის გარემოებაც, რომ მეგრულში არის სიტყვა **ოხური-ი**, რაც ნიშნავს „1. ხუროს სახელოსნოს; 2. ტოპონ. მდინარე გალის რაიონში“ (ქაჯაია, II, 2002: 471). არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ადგილას ცხოვრობდნენ განთქმული ხუროები და აქედან მიიღო სოფელმაც სახელწოდება, თუმცა საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს. რაც მთავარია, ოიკონიმი არ იხსნება აფხაზურ ენაზე. უმველესი **ხიორი** ვარიანტის პირველი მოხსენიების დროისათვის, 1525-1550 წლებს შორის ამ მხარის მიწაზე აფხაზური მოსახლეობა ჯერ კიდევ არ ბინადრობდა, ამიტომ უდავო გვგონია, რომ უფრო გვიანდელი **ოხური** სახელი მომდინარეობს მეგრული **ოხორე-ი** „დასასახლებელი (ადგილი)“ ვარიანტისაგან. საყურადღებოა, რომ მსგავსი ჟღერადობის სახელი აქვს ისტორიულ ტაოში მდებარე სოფელ **ოხურ**-საც, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქართული ეკლესიისა და ციხის ნანგრევები. ამ ფაქტების გათვალისწინებით, ტოპონიმის ისტორია ასე გვესახება: მეგრ. **ო-ხორ-ე-ი** > **ო-ხურ-ე-ი** > აფხაზ. **ოხორე**. რაც შეეხება **ხიორი** ვარიანტს, მისი ეტიმოლოგია და კავშირი **ოხური** სახელთან ჯერ კიდევ გასარკვევია (გვანცელაძე, 2011: 242-243), თუმცა **ხიორი** და

ოხური ფორმებში **ო**, **ი** და **ე** ხმოვნების არსებობა XVI-XVII საუკუნეთა წერილობით წყაროებსა და აფხაზურ ენაში გამორიცხავს გეოგრაფიულ სახელთა აფხაზურობას, ვინაიდან, როგორც თ. გვანცელაძემ დაადგინა, ეს ხმოვნები, როგორც დამოუკიდებელი ფონემები, აფხაზურ და აბაზურ ენებში არ არსებობდა XIX საუკუნემდე (გვანცელაძე, 2011: 33). მნიშვნელოვანია აგრეთვე თ. გვანცელაძის მიერ დამოწმებული წერილობითი წყარო, რომელიც არაორაზროვნად გვიჩვენებს, რომ სოფელ ხოირში XVII საუკუნის მიწურულამდე მხოლოდ ქართველები, კერძოდ, მეგრელები ცხოვრობდნენ: 1616-1639 წლებში შედგენილ ბიჭვინთისადმი კათოლიკოს მალაქიას შეწირულების წიგნში წერია: „...ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე, ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედიწე...“ (ქსძ, III, 1970: 501; გვანცელაძე, 2011: 243).

ოიკონიმი **ხორგა** (ამჟ. ხობის რ.) პირველად იხსენიება 1673-1696 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში (ქსძ, III, 1970: 612), ხოლო მოგვიანებით - 1706 წ. (ქსძ, III, 1970: 646). ტოპონიმისათვის ამოსავალი უნდა იყოს „გროვა, ხროვა, ხერგი“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა. პ. ცხადაიას აზრით, ქართულ-ზანური ერთობისათვის აღდგენილ ***ხარგ**-არქეტიპს ქართულში მოუცია **ხერგ**-, ხოლო მეგრულში - **ხორგ**- შესატყვისობანი. ამ სახელური ფუძის ძირითადი, თავდაპირველი მნიშვნელობაა „**გროვა მაგარი საგნებისა (ქვა, ხე და სხვ.)**“ (ცხადაია, 1999: 120-121). იმის მიხედვით, თუ რაა დახვავებული, ან რისთვის გამოიყენება ეს ხერგი, სიტყვა გამხდარა მრავალმნიშვნელობიანი: **ხერგი** „ადიდებული წყლის მოტანილი ხეები (ზოგჯერ ყინული, ქვები და სხვ.); ერთ ადგილზე მოგროვილი წაქცეული ხეები (ტყეში); გადახრილი ხეები გზის შესაკვრელად“ (ქეგლ, 1986: 579). მეგრულშიც **ხორგა**, **ხორგი** იგივეა, რაც **ხერგი** და აღნიშნავს ყოველგვარ ხერგს, გროვას, ხერგილს, ყორეზეც იტყვიან და მდინარეში მოცურავე ყინულის ლოდებზეც (ქობალია, 2010: 730). პ. ცხადაია გამოყოფს **ხორგ**- ფუძის შემცველ ტოპონიმებს სამეგრელოში, რომლებისთვისაც ამოსავალია მნიშვნელობა: „ლოდი, ლოდნარი; ყორე...“ ასეთებია: **ხორგიში** (დასახლ. უბანი), **ხორგონა** (ტყე ჭამგვარის კალთაზე (ს. რეჩხი)), **ხორგონი** - მორევი ინწირაზე, **ხორგორნია** - მინდორი მდ. მაგანის მარცხ. ნაპირას, სადაც ფერდობიდან ჩამონაცვენი ქვა-ლოდი ყრია (ცხადაია, 1999: 120 - 121). ამდენად, **ხორგა**, **ხორგი** სემანტიკურად უკავშირდება დახორგილს, მდინარის მიერ მოტანილ ყოველგვარ ხერგს.

ტყვირი ფიქსირდება 1712 წ. (ქსძ, III, 1970: 730). დღევანდელი სოფელი **ტყვირი** შედის აბაშის რაიონში. ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ **ტყვირი** მიღებულია მეგრული **ტყვა** (ტკვა) „კიბე“ სიტყვისაგან (ჭუმბურიძე, 1987: 212), მაგრამ ეს მოსაზრება მიუღებლად მიაჩნია ი. კეკელიას, რადგან სოფელი **ტყვირი** ვაკეზეა გაშენებული და კიბისებური დამრეცი რელიეფი იქ არ არის (კეკელია, 2011: 76). პ. ცხადაიას მიხედვით, **ნარტყი**, **ნორტყი**, **გორტყილი** ტოპონიმები დასტურდება სამეგრელოში, რომელთა საწყისი - **რტყუალა** მეგრულში აღნიშნავს ეკალ-ბარდისა და დაბალი ხეების ერთმანეთში გადაწვნა-გადახლართვას. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ზმნური **რტყუალა** ფუძიდან წარმოქმნილია ლანდშაფტური ტერმინი **ტყირი** „ეკალ-ბარდით დახლართული ტყე“, რომელიც თავდაპირველად დრიმონიშად (ტყის სახელად) იქცა, შემდეგ კი მეტონიმით სოფელზეც გავრცელდა (ცხადაია, 1999: 105). ჩვენი აზრით, ოიკონიმი უკავშირდება **ტყვირი** // **ტყვილი** (ქობალია, 2010: 606), **იკორტყვილი** // **იკონტყვილი** სიტყვებს, რაც ნიშნავს „ერთმანეთში გადახლართულ, გაუვალ ტყეს“. ოიკონიმ **ტყვირ**-ს სემანტიკურად უნდა უკავშირდებოდეს სენაკის რაიონის სოფ. **ტყირის** სახელიც. ამდენად, თავიდან **ტყვირი** უნდა რქმეოდა ეკალ-ბარდებით გადახლართულ ადგილს (ტყეს).

მუხური დასტურდება 1621 წლის დოკუმენტში (ქსძ, III, 1970: 426) და აღნიშნავს სოფელს, რომელიც დღესაც მდებარეობს ოქუმწყარის მარცხენა ნაპირას (გალის რ.). ტოპონიმი სოფლების სახელებად გავრცელებულია სამეგრელოში (ჩხოროწყუსა და სენაკის რაიონებში), ასევე იმერეთში არის სოფელი **მუხურ-ა** (ტყიბულის რ.). მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ **მუხური** არის „მხარე, კუთხე“: ი. ყიფშიძის მიხედვით, **მუხური** „край, угол“. მკვლევარი ასახელებს სამეგრელოს სოფლებს: **მუხურჩა**, **განარჯიაშ-მუხური**, **ხეტუმ მუხური** (ყიფშიძე, 1994: 285); პ. ინგოროყვას აზრითაც, **მუხური** „მხარეს“ აღნიშნავს (ინგოროყვა, 1954: 177); პ. ცხადაია ასახელებს ტოპონიმ **მუხურს** ტყე-სამოვრის სახელად ქვიბიაში (სალხინოს სატყეო, მარტვილის რ.). მისი განმარტებით, ეს ადგილი „კლდისძირას მომწყვდეული ვაკეა. სწორედ ამიტომ ეწოდება მუხური, ანუ კუთხე“. შდრ. იმერ., გურ. **მუხურო** (ცხადაია, 2005: 45). თ. გვანცელაძე აფხაზეთის ქართველური წარმომავლობის სუბსტრატულ გეოგრაფიულ სახელთა შორის ასახელებს სოფელ მუხურის სახელწოდების **მოხორა** // **მუხორის** ვარიანტებს, რომლებიც ბერძნულ წყაროებში დასტურდება ახ. წ. V საუკუნიდან. შდრ.

მეგრ. **მუხური**, სვან. **მუხურ** „მხარე, კუთხე“ (გვანცელაძე, 2011: 218). ქეგლისა და მეგრული ლექსიკონების მიხედვითაც **მუხური** // **მუხურო** არის საზოგადო სიტყვა, კერძოდ, გეოგრაფიულ-ტერიტორიული ტერმინია და აღნიშნავს „კუთხეს, მომწყვდეულ ადგილს, ყურეს“ (ქეგლ, V, 1958: 1178; ჭარაია, 1997: 99; ქობალია, 2010: 501).

საანალიზო დოკუმენტებში ტოპონიმი **ხაუჟელი** დასტურდება 1621 და 1616-1639 წლებში (ქსძ, III, 1970: 431; 434; 500). **ხაუჟელი** მდებარეობდა ამჟამინდელ აფხაზეთში ოჩამჩირის რაიონის სოფლებს თხინასა და ოტაფს შორის. პ. ინგოროყვას მიხედვით, სოფელი მდებარეობდა თილითის მეზობლად, თილითისა და ღალიძგას სექტორში. მკვლევრის აზრით, სახელწოდება აშკარად ქართულია და მასში გამოიყოფა -ელ-ი ბოლოკიდური (ინგოროყვა, 1954: 176). ჩვენი აზრით, **ხაუჟელი** იგივეა, რაც **ხაჟუელი**, რომელიც ამ უკანასკნელისაგან მიიღება მეტათეზისის გზით: **ხაუჟელი** < **ხაჟუელი** „ადგილი, სადაც მომრავლებული იყო ღაჟო, ღაჟომრავალი ადგილი; ჭრელა, ღაჟღაჟა“, შდრ. ფრინველის სახელი **ხაჟო** „ღაჟო“ (ქობალია, 2010: 718). საბას განმარტებით, **ღაჟო** არის ფრინველი - ჯინკვა, ჯიმკვა (ორბელიანი, II, 1993: 247). თანამედროვე ქართულში **ღაჟო** ეწოდება მომცრო ჩიტს, რომელსაც წვრთნიან ქორ-მიმინოების მისატყუებლად და დასაჭერად (იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=41353>). ამრიგად, **ხაუჟელი** ერქვა იმ ადგილს, სადაც ბინადრობდნენ მომცრო ზომის, ჭრელი ფრინველები. საყურადღებოა, რომ ყოფილი სოფელ ხაუჟელის სიახლოვეს, კოდორის ქედზე არის მთა და მდინარე **ხოჯალი** (ენციკლოპედია, 1987: 506), რომლებსაც, თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, აფხაზები **ხოჯალ** სახელით აღნიშნავენ და ეს ვარიანტი ქართული **ხაუჟელ-ი** ფორმისგან აფრიკატიზაციისა და აუ > ო პროცესის გზით არის მიღებული: **ხაუჟელ-ი** > **ხოჯალ**. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ აფხაზურ ენაში ამ სიტყვის ადრევე არსებობის შემთხვევაში უნდა გვქონოდა არა **ხოჯალ** ფორმა, არამედ აფხაზური ენის ფონეტიკურ ნორმათა მიხედვით გამართული ***ხაჯალ** [ხჟაჯალ] ვარიანტი, რომელიც მეგრულში მოგვცემდა **ხვაჯალი** ფორმას, რაც არ დასტურდება. ე.ი. საანალიზო ოიკონიმიც, მთისა და მდინარის სახელებიც შექმნილია სწორედ მეგრულად და მერეა ნასესხები აფხაზურში. ტოპონიმის მიღების გზა ასე გვესახება: **ღაჟო** > მეგრ. **ხაჟო** > **ხაჟუელ-ი** > **ხაუჟელ-ი** > აფხაზ. **ხოჯალ**.

3. 2. 2. მატოპონიმებული აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები

საანალიზო დოკუმენტებში ბიჭვინტა პირველად იხსენიება 1525-1550 წლებს შორის შედგენილ „ბიჭვინტის იადგარში“ (ქსმ, II, 1965: 178), ამავე დოკუმენტში დასტურდება ბიჭვინტა ვარიანტი (ქსმ, II, 1965: 176-177; 180). პ. ინგოროყვა მართებულად აღნიშნავს, რომ ბიჭვინტა „...ეკუთვნის აფხაზეთის მხარეთა უძველესი პუნქტების რიცხვს. იგი მოხსენიებული აქვს არტემიდორე ეფესელს (2-1 საუკუნეები ძვ. წ.), სტრაბონს და მომდევნო ხანის ანტიკურ ავტორებს (პლინიუს უფროსი, არიანე), ასევე ადრეული შუა საუკუნეების ავტორებს (ამიანე მარცელინე, თეოდორიტე კვირელი, მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსი, ზოსიმე, პროკოპი კესარიელი, თეოფანე ბიზანტიელი)“ (ინგოროყვა, 1954: 147). ავტორი მიიჩნევს, რომ ბიჭვინტა ქართული წარმოშობისაა და ფუძე-სიტყვა ბიჭვი იგივეა, რაც ფიჭვი. რაც შეეხება -ნ-თა დაბოლოებას, ეს არის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩვეულებრივი ქართული ფორმანტი, შდრ.: გურიანთა, კორი-ნთა (ინგოროყვა, 1954: 148). მკვლევრის აზრით, ბერძენ-რომაელ ავტორებთან ფიქსირებული სახელწოდება პიტეუს წარმოადგენს ქართულიდან თარგმანს (პიტეუს „ფიჭვი“), ხოლო პიტეუნტა - სახენაცვალ სახეობას, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ქართული ბოლოკიდური ფორმანტი -ნ-თა (ინგოროყვა, 1954: 148). ზ. ჭუმბურიძის აზრითაც, „პიტეუნტა ბიჭვინტის დამახინჯებული ფორმაა, ხოლო პიტეუსი ქართული სახელწოდების თარგმანია: პიტეუს ბერძნულად ფიჭვს ნიშნავს“ (ჭუმბურიძე, 1987: 434). თ. გვანცელაძე საგანგებო ნაშრომში ვრცლად ეხება ტოპონიმ ბიჭვინტა-ს წარმომავლობის საკითხს. მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტოპონიმისათვის ამოსავალი სიტყვა ფიჭვი სულაც არ მომდინარეობს პიტეუს ფორმისაგან, როგორც ეს მიაჩნია ზოგიერთ ლინგვისტს. ავტორი აღნიშნავს, რომ „ბერძენმა კოლონისტებმა თავიანთ ენაზე თარგმნეს ეს გამჭვირვალე სახელი. ამ გზით წარმოიქმნა Πιτς ფორმა, ხოლო Πιτυντα ვარიანტისაგან, თავის მხრივ, გაჩნდა ქართულ წყაროებში ფიქსირებული პიტეოტა, ბიჭვინტა, ბიჭვინტა ფორმები, რომლებიც ქართულ-ბერძნულ ვარიანტთა კონტამინაციის შედეგია. ბერძნული Πιτυντα ვარიანტისაგან ქართული კონტამინირებული ბიჭვინტა ფორმის მიღება ახ. წ. IV საუკუნეში უკვე მომხდარი ფაქტია, რასაც ადასტურებს ახ. წ. 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილეთა სირიულ ნუსხაში ბუჯუნდე ვარიანტის არსებობა, რომელიც აშკარად ჭ თანხმოვნის შემცველი ბიჭვინტა ვარიანტისაგანაა წარმოქმნილი - სხვაგვარად სირიულ ტექსტში ჯ

თანხმოვნის გაჩენა ბერძნული ტ თანხმოვნის ნაცვლად აუხსნელია. რაც შეეხება აფხაზურ ა-მზარა „ფიჭნარი“ ვარიანტს, არ ემთხვევა ძველბერძნულ წყაროებში ფიქსირებულ პიტუს სახელის მორფოლოგიურ მოდელს და XX საუკუნემდე არ დასტურდება არცერთ საისტორიო წყაროში. ამით მკვლევარი გამორიცხავს, რომ ბერძენთა მოსვლამდე, ბიჭვინთაში ბინადრობდა აფხაზური მოსახლეობა და ბერძნებმა თარგმნეს აფხაზური ტოპონიმი (გვანცელაძე, 2011: 216-217). ჩვენი აზრით, ტოპონიმის ძირეული ნაწილი ბიჭვ- მიღებულია ფიჭვ-ისაგან ფონეტიკური გამჟღერების ნიადაგზე (ბ < ფ). ტოპონიმ ბიჭვინ-თ-ა-ში გამოიყოფა თანიაწი მრავლობითის სუფიქსი -თ. თანიაწი მრ. რიცხვის არსებობა ტოპონიმში თავდაპირველად აუცილებლად გულისხმობდა შესიტყვების მეორე წევრსაც, რომელიც ამ შემთხვევაში დაკარგულია. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს პ. ინგოროყვას მიერ აღნიშნული სიტყვა - ტყე. მისი აზრით, „ბიჭვინთაში მდებარეობს განთქმული ფიჭვის ტყე, რომელიც საღმრთო ტყედ იწოდებოდა“ (ინგოროყვა, 1954: 147). ამდენად, ბიჭვინთა არის ფიჭვთა (ფიჭვების) ტყე. ქართული ფიჭვ-ისაგან მომდინარეობს ბერძნ. პიტუს „ფიჭვი“. საბოლოოდ, ტოპონიმის მიღების ასეთი გზა გვესახება: ქართ. ფიჭვი > ფიჭვ-თ-ა [ტყე] > ფიჭვ-ი(ნ)-თა > ბერძნ. პიტუნტა > უკუსესხებით ქართ. ბიჭვინტა > ბიჭვინთა.

1616-1639 წლებს შორის შედგენილ იურიდიულ დოკუმენტებში დასტურდება ტოპონიმი ანაკრია (ქსმ, III, 1970: 500). ვახუშტი ბატონიშვილთანაც ეს სოფელი ანაკრია ფორმით მოიხსენიება: „ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე...“ ვახუშტი იქვე შენიშნავს, ოსმალებმა რუხის ციხე შემუსრეს და ამ ციხის ქვით „ანაკრია აღაშენეს უმტკიცესადო“ (ვახუშტი, 1941: 167-68). ანაკრია ამჟამინდელი ფორმის - ანაკლიას ფონეტიკური ვარიანტია. გ. ბედოშვილი მიიჩნევს, რომ ცნობა რუხის ძველი ციხის დანგრევისა და მისივე ნაშალი ქვით ახალი ციხის აგების შესახებ შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ტოპონიმ ანაკლიის სწორად გააზრების თვალსაზრისით: ანაკლია წარმოდგარი უნდა იყოს თურქ. jänikale „ახალი ციხე-სიმაგრე“ ფორმისაგან. თავდაცვითი ნაგებობის სახელად თურქ. Еникале „ახალი ციხე“ ყირიმშიც (ქერჩში) არის დადასტურებული. მაშასადამე, დღევანდელი ანაკლია მიღებული უნდა იყოს შემდეგი პროცესების გათვალისწინებით: თურქ. იანიკალე > მეგრ. ანიკალე > ანაკლია > ანაკრია (ბედოშვილი, I, 2002: 35). გ. ბედოშვილის ვარაუდს აქვს დაბრკოლება: ოსმალებმა ციხე ანაკლიაში 1703 წელს ააგეს, ტოპონიმი კი მანამდე ბევრად ადრე, ოსმალთა ექსპანსიამდეც

იხსენიება ლუი გრანჟიეს, არქანჯელო ლამბერტის, ჯოვანი ჯულიანო და ლუკას, ლუდოვიკო გრანჟეროს, ქრისტოფორო დე კასტელის, ჯუზეპე ძამპისა და სხვათა ჩანაწერებში (ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 31). ადგილობრივი გამოთქმით სოფელს ანაკრია-ც ეწოდება, ხოლო წყაროებში ტოპონიმი წარმოდგენილია სხვა ფორმებითაც: ანარგია ჟან შარდენტან, ანკლია გამბასა და კოხთან, იმავე შარდენტანის ცნობით, ანაკლიას ანტიკურ ხანაში ჰერაკლეა რქმევია ((ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 31-32). თ. ბერადის აზრით, ძველ ევროპულ რუკებზე დატანილი *Anarghia olim Heraclea* „ანარგია, ძველი ჰერაკლეა“ დამახინჯებული ანაკრიაა (ბერადე, 2013: 111). ნაკლებ არგუმენტირებული ჩანს ქ. ჯერვალისა და ნ. პეტრიაშვილის ვარაუდი ტოპონიმის კავშირის შესახებ ბერძნულ ზმნებთან: *ἀνα-κράζω* „ამოძახება, ამოყვრება; საუბრის დაწყება“, *ἀνα-κρίνω* „გამოკითხვა; გამოკვლევა, გამოძიება; განსჯა; კამათი“, *ἀνα-κρίσις* „გარჩევა, გამოკვლევა, ძიება“, *ἀνα-κλάζω* „ყვირილის, ყეფის დაწყება“, *ἀνα-κλισις* „დამახება, მოწვევა, საშველად მოხმობა“ (ჯერვალიძე, პეტრიაშვილი, 2015: 76-80). ამრიგად, წყაროთა სიუხვის მიუხედავად, ტოპონიმის ეტიმოლოგია დასადგენი რჩება. მხოლოდ იმის თქმაღა შეგვიძლია, რომ მასში სავარაუდოდ გამოსაყოფია -ია დაბოლოება.

სუჯუნა (აბაშის რ.) დასტურდება 1753 წელს (ქსმ, III, 1970: 837). ზ. ჭუმბურიძის აზრით, „მის სახელწოდებაში წარმოდგენილია **სურო** სიტყვის ძველი კოლხური შესატყვისი ფორმა **სუჯ-ი**, რომელიც დღეს მეგრულში აღარ გვხვდება და ჭანურ კილოშია დაცული. ამ ფუძეს დართული აქვს **უნ-ა** (// **ონ-ა** = ქართ. **ოვან**) სუფიქსები. ამრიგად, **სუჯუნა** (სუჯ-ონ-ა) ნიშნავს „სუროიანს“ (ჭუმბურიძე, 1987: 505). პ. ცხადაიას ვარაუდით, ლაზ. **სუჯ-ი** „სურო“ და მეგრ. **სუ(ნ)ჯ-ი** „ცვარი, ნამი“ სხვადასხვა არქეტიპებიდან მომდინარეობენ და სხვადასხვა ფუძეებს შეესატყვისებიან: ლაზ. **სუჯ-ი** შეეფარდება ქართ. **სურო-ს**, ხოლო მეგრ. **სუ(ნ)ჯი** - ქართ. **ცუარს**. ერთი მხრივ, ქართული **ცუარ-** ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისია **ცუნჯ-**. მისგან დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის გზით არის მიღებული **ცუნდ-//სუნდ-**. მეორე მხრივ, **ცუნჯ-ი** ფორმამ მოგვცა **სუნჯ-ი**. ნ განვითარებულია **ჯ-ს** წინ, მაგრამ მეტყველებაში დასტურდება **სუჯ-ი** ფორმაც. პ. ცხადაიას მართებული ვარაუდით, არქ. ლამბერტის 1654 წლის „სამეგრელოს რუკაზე“ წარწერილი დასახლებული პუნქტის სახელი **Sugiona** არის მეგრ. **სუჯონა**. აქ იტალიური **gi** კომპლექსი გამოყენებულია **ჯ**

ბგერის გადმოსაცემად. ფუძე გაფორმებულია მქონებლობის -ონა სუფიქსით. მაშასადამე, **Sugiona** არის მეგრული სიტყვა **სუჯონა** „ცვარნამიანი“ (ცხადაია, 1999: 98-99; ცხადაია, 2000: 81). სალექსიკონო მასალებშიც სამწიგნობრო ქართული **სურო**-ს მეგრულ ეკვივალენტად დასახელებულია **ცურუ**, ხოლო **ცვარ**-ის ეკვივალენტად - **ცუნდი**, **ცუნჯი**, **სუნჯი** (ყიფშიძე, 1994: 575; ჭარაია, 1997: 161; ქობალია, 2010: 597; 685). ამრიგად, სავარაუდოა, რომ **სუჯუნა** ეწოდა ცვრიან, ტენიან ადგილს.

-იმ სუფიქსით იწარმოება საეკლესიო-ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული ოიკონიმი **სუბეიში**, რომელიც სხვადასხვა ვარიანტებით ვლინდება სხვადასხვა პერიოდში. იგი პირველად იხსენიება 1525-1550 წწ. **სუბე** ფორმით (ქსძ, II, 1965: 179), 1616-1639 წწ. დასტურდება **სუბეი** სახეობა (ქსძ, III, 1970: 501), ხოლო 1621 წელს შედგენილ დოკუმენტში - **სუბეი** // **სუბვი** ვარიანტები (ქსძ, III, 1970: 426, 428). პ. ინგოროყვას მიხედვით, **სუბეში** ფორმაში გამოიყოფა ფუძე-სიტყვა **სუბვ** და ზანური დაბოლოება -ემ-ი. ავტორი **სუბვ**-ს (**სუბ-ი** // **სუბ-უ**) მიიჩნევს გეოგრაფიული სახელწოდების **ზუბ-ი** // **ზუფ-უ**-ს სახესხვაობად. მისი თქმით, -ემ-ი იგივეა, რაც ზოგადქართული -ის-ი, შდრ. **სუბ-ემ-ი** და **სობ-ის-ი** (ინგოროყვა, 1954: 166). პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიხედვით, XVIII საუკუნემდე **სუბეიში**-ის სახელით იწოდებოდა ადგილი, სადაც ამჟამად მდებარეობს გალის რაიონის სოფელი **აჩიგვარა**, (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 173-174). ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **სუბე**, **სუბვი**, **სუბი** დაკავშირებულია **ზუბი** სიტყვასთან, რაც ნიშნავს „ბორცვს, მაღლობს, მთის უღრან ტყეს“ (ქობალია, 2010: 311). მიგვაჩნია, რომ **სუბეიში**-ის ეტიმოლოგია გაარკვია ი. კეკელიამ, რომელიც ტოპონიმისათვის ამოსავლად მიიჩნევს მეგრულ **სუბე** // **სუბვი** // **სუბი** ვარიანტებს, რაც „მაღლობს, შემადლებას“ ნიშნავს (კეკელია, 2013: 164). ჩვენი მხრიდან დავძენდით, რომ ჩვენს მასალაში დადასტურებული **სუბეიში**, **სუბე**, **სუბეი**, **სუბვი** პარალელური ვარიანტებიდან თავდაპირველი უნდა იყოს **სუბე-ი** (სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ), მომდევნო ეტაპის ფორმაა **სუბე** (უბრუნვისნიშნოდ), ხოლო ყველაზე გვიანდელი ვარიანტია **სუბე-იშ-ი** (ნანათესაობითარი მეორეული ფორმა). რაც შეეხება **სუბვ-ი** ვარიანტს, იგი **სუბე-ი** ფორმის პარალელურ ფორმად შეიძლება ჩაგვეთვალოს, თუ დავუშვებდით, რომ მოცემული ფუძის არქექტიპი ***სუბევ-ი** იყო.

სოფელი **ცაიში** იხსენიება 1621, 1616-1621 წწ. (ქსძ, III, 1970: 438; 443; 474). XVII ს. **ცაიში** ისტორიულ ოდიშში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა, ვინაიდან

აქ იყო განთავსებული ცაიშის საეპისკოპოსო რეზიდენცია. ცაიში ვახუშტისთან ნახსენებია ჩაიში ფორმით: „...ხოფს ზეით არს ეკლესია ჩაიშს, დიდი, გუმბათიანი, შემკული“ (ქც, 4: 778). საყურადღებოა, რომ ფორმა ჩაიში დასტურდება ევროპელ კარტოგრაფთა მიერ შედგენილ რუკებზეც. ა. ქობალია ცაიშ-ს განმარტავს, როგორც „ცისკარს; ცის სალოცავს, ციერს“ (ქობალია, 2010: 680). ამდენად, ცაიში იგივეა, რაც „ცის, ცისა“. ოიკონიმის ისტორია ასე გვესახება: ცა-იშ-ი „ცისა“ > ჩაიში (დისიმილაციით), თუმცა, შესაძლოა, ტოპონიმი სხვა წარმომავლობისაც იყოს.

საანალიზო მასალაში ტოპოფორმანტად გვევლინება ასევე სა-_-ო კონფიქსი, რომელიც გამოხატავს დანიშნულების ადგილს.

1712 წელს ამჟ. გალის რაიონის მიწაზე დასტურდება ოიკონიმი საჩინო (ქსმ, III, 1970: 730). პ. ცხადაიას დაკვირვებით, არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ოქუმის ორ მდგენელს შუა ეკლესიის თავზე არის წარწერა **Sachino**. მის ჩრდილოეთით აღნიშნულია ბედია (ბედიის ეპარქია), ხოლო სამხრეთით - სანარდო. უეჭველია, ეს **Sachino** არის დღევანდელი სოფელი საჩინო (ოჩამჩირის რ., რეკის თემი), რომელიც სინამდვილეში მდ. ოხურეის მარცხენა ნაპირასაა გაშლილი (ცხადაია, 2000: 80; ცხადაია, 2004: 50 – 51). ოიკონიმი ნაწარმოებია ჩინ- (// ჩენ-) ძირზე სა-_-ო კონფიქსის დართვით: სა-ჩინ-ო „შესამჩნევი, ჩინებული, გამოჩენილი, ცხადი“ (აბულაძე, 1973: 378). ეს სიტყვა ქცეულა ტერმინად, რომელიც აღნიშნავს ლამაზ, მშვენიერ, წარმტაც, შემკულ ადგილს, მხარეს. საჩინო ერქვა ისტორიულ მხარეს იმერეთში (ვანის რაიონს) და ახლაც ჰქვია სოფლებს ქობულეთის, წალენჯიხისა და ოჩამჩირის რაიონებში.

1687 წელს დასტურდება სა-_-ო კონფიქსით ნაწარმოები ოიკონიმი სალხინო (ქსმ, III, 1970: 591). ტოპონიმი თითქოს ნიშნავს „ლხინის საქნელს“ (ორბელიანი, II, 1993: 36), მაგრამ უფრო მოსალოდნელია აღნიშნავდეს „სიხარულის ადგილს“, მდრ. ძველქართული ლხინი „სიხარული“.

1621 და 1616-1639 წლების საბუთებში ამჟ. ოჩამჩირის რაიონის მიწაზე იხსენიება თილითი (ქსმ, III, 1970: 428; 500). პ. ინგოროყვას მიხედვით, თილითი, ანუ თლითი ქართულია. ავტორი მიუთითებს, რომ „ბოლოკიდური ფორმანტი „-თი“ ჩვეულებრივი დაბოლოებაა ქართული გეოგრაფიული სახელებისა, სახელწოდება თილი-თი // თლი-თი ფუძე-სიტყვის მიხედვითაც უკავშირდება ქართულ გეოგრაფიულ სახელებს; შეადარეთ სოფლის სახელები ლიახვის ხეობაში: თლი // თლი-სი, თლია“ (ინგოროყვა,

1954: 174). თ. ბერაძის ცნობით, სოფელი **Tilith** (თილითი), რომელიც დატანილია ევროპულ რუკებზე, დღეს უკვე არ არსებობს. მისგან დღევანდელ სოფელ თხინას უბანში **აბააყვახუ**-ში მხოლოდ ნაგებობათა კომპლექსი შემორჩა (ბერაძე, 2013: 110). თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, **თილითში** იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე (შემორჩენილია მისი ნანგრევები **თლით აბაა**-ს „თლითის ციხის“ სახელწოდებით). XVII საუკუნის 80-იან წლებში ამ სოფელში ქართული მოსახლეობა აფხაზურმა შეცვალა და სოფელსაც **აბააყვახუ** „ძველი ციხის ბორცვი“ დაერქვა. ჩვენი აზრით, ტოპონიმი **თილით-ი** შეიცავს მატოპონიმებელ **-თ** სუფიქსს, თუმცა ფუძის რაობა ჯერ კიდევ სარკვევია.

1712 წელს შედგენილ დოკუმენტში იხსენიება ტოპონიმი **უშაბათი** (ქსმ, III, 1970: 731). ამჟ. **უშაფათი** და **შაფათი** ტოპონიმები დასტურდება გ. ელიავას მიერაც (ელიავა, 1989: 98). ვფიქრობთ, რეალურია ოიკონიმის დაკავშირება მეგრულ **უშაფათუ** სიტყვასთან, რაც ნიშნავს „დაუძლეველს, შეუმუსვრელს“ (ქობალია, 2010: 617). მოსალოდნელია, ასე რქმეოდა ამ ადგილას ადრე არსებულ მტკიცე ციხე-სიმაგრეს.

3. 2. 3. პირსახელებისაგან მომდინარე ტოპონიმები

ბანძა (სოფ. მარტვილის რაიონში) საბუთებში დასტურდება 1680 წელს (ქსმ, III, 1970: 581). მიგვაჩნია, რომ ტოპონიმი **ბანძა** მიღებულია გვარსახელ **ბანძავა**-ს საყრდენი **ბანძა** პირსახელისაგან, თუმცა არც ისაა გამოსარიცხი, რომ ეს ოიკონიმი გვარსახელ **ბანძავა**-ს მეგრულ უსუფიქსო **ბანძა** ფორმას ემყარებოდეს.

საბუთებში ამჟ. სენაკის რაიონის სოფ. **თეკლათი** პირველად დასტურდება 1712 წ. (ქსმ, III, 1970: 731). ტოპონიმის წარმოშობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. გ. ელიავას მიხედვით, **თეკლათ**-ის სემანტიკაა „იმ გორაკის ეს კალთა“ (ელიავა, 1989: 26), რაც ნაკლებად დასაჯერებელია. ორი განსხვავებული მოსაზრება აქვს გ. ბედოშვილს: 1. ამოსავალია მცენარის სახელი **თეკრა** „მთის ბოკვი, მთის ნაკერჩხალი“ (სვან.), შდრ. **თეკერა** (რაჭ.). **თეკლათ**- სახელში სუფიქსად მხოლოდ **-თ** გამოდის, რაც მცენარეულთაგან მომდინარე ტოპონიმებში გვხვდება (შდრ. **რცხილა-თ-ი**, **მუხა-თ-ი...**). 2. ანგარიშგასაწევ ვარაუდად მიიჩნევა იგი ქალის **თეკლა** სახელს. საგულისხმოა, რომ **თეკლა** ეწოდება დედათა მონასტერს საჯავახო-გურიის ქედზე, ტყით დაფარულ

დავაკებაზე (ბედოშვილი, 2013: 395). მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ **თეკლათი** ტიპის სახელებში უნდა გამოიყოს **-თი** სუფიქსი, რომელიც მეგრულში, მათი აზრით, არის იგივე მეგრული **თურ-ი** „ოჯახი, შთამომავლობა“. პ. ცხადაიას მიერ გამოქვეყნებულ მასალებში მრავლად დასტურდება ასეთი შემთხვევები: **გურათი** - სოფ. ლეახალე (ცხადაია, IV, 2008: 117); **მარიათი** „მარიას შთამომავლები“ - სოფ. ლეჯომიდე (იქვე); **მაჭვიტაიათი** „მაჭვიტაიას შთამომავლები“ - უბანი; **მამათი** (ცხადაია, 2012: 329); **ოხვათი** (იქვე: 494); **წკაათი** (იქვე: 661) და სხვ. ი. კეკელია სამეგრელოში გამოყოფს 200-მდე **თი** ბოლოკიდურიან ტოპონიმს და აღნიშნავს, რომ მათი უმეტესობისათვის ამოსავალია პირთა საკუთარი სახელები. ავტორი ასახელებს შემდეგ ტოპონიმებს: **აბედათი, ახუთი, ფაკუთი, ქვაუთი, ყომურიათი // ყუმურიათი, ჯიჯაათი, ჯუმითი** და სხვ. (კეკელია, 2009: 415) ასევე: **გეჯეთი, თეკლათი, კვაუთი, კოტიანეთი, უშაფათი, ციზეთი** (კეკელია, 2012: 27). ყველა დასახელებულ შემთხვევაში, **-თი** შთამომავლობის, ოჯახის აღმნიშვნელიაო. აქედან გამომდინარე, **თეკლათი-ც** ამ ავტორთა მიერ გაგებულია, როგორც **თეკლას თი** „თეკლას ოჯახი“ (კეკელია, 2012: 27). ამავე აზრს იზიარებს ნ. სულავა, რომელიც სადისერტაციო ნაშრომში ცალკე ქვეთავად გამოყოფს **-თი** ბოლოკიდურიან ტოპონიმებს, სადაც ამგვარი წარმოების სხვა ტოპონიმებთან ერთად ასახელებს **თეკლათ-საც** (სულავა, 2016: 61). ი. ყიფშიძის „რჩეულ თხზულებებში“ **თი, ეთი, ერთი** მხრივ, განმარტებულია, როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელი, ხოლო მეორე მხრივ, როგორც „ოჯახი, სახლი, შთამომავლობა“ (ყიფშიძე, 1994: 446). საყურადღებოა ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისი, რომელიც გეოგრაფიულ სახელთა ძირითად მაწარმოებლად ასახელებს **-ეთ** ბოლოსართს ტოპონიმებში: **კახეთი, ხევსურეთი, თუშეთი, აფხაზეთი** და სხვ. რიგ შემთხვევაში, **-ეთ** სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება სხვა ხმოვნიათი ვარიანტები, **-ით, ან -ათ: ბორითი, კვალითი, როკითი...** **მუხათი, ზანათი, რცხილათი...** სწორედ ამ **-ათ** სუფიქსიან სახელთა შორის ასახელებს მეცნიერი საანალიზო **თეკლათი** ტოპონიმს (ჭუმბურიძე, 1987: 414-415). ტოპონიმი **თეკლათი** მომდინარეობს პირსახელ **თეკლა-საგან**, რომელშიც უნდა გამოიყოს არა **-თი**, არამედ თანიათი მრავლობითის **-თ** სუფიქსი, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება სხვადასხვა გახმოვანებით დაფიქსირდეს: **-ეთ, -ათ, -ით, -უთ**. მათ შორის ყველაზე პროდუქტიულია **-ეთ** ტოპოფორმანტი, რომლის კანონზომიერი შესატყვისია მეგრულში **-ათ** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000: 12). „ლაზურ-

მეგრულ გრამატიკაში“ მოცემულია ს. ჯანაშიასა და ვ. თოფურიას თვალსაზრისი, რომლებიც **-ეთ** მაწარმოებელს გენეტიკურად მრავლობითობის **-თ (-ეთ)** დაბოლოებას უკავშირებენ. იქვე მითითებულია ვ. თოფურიას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გეოგრაფიულ სახელად გვექონდა მსაზღვრელ-საზღვრული, რომლის პირველი კომპონენტი თანიაწი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იყო და საზღვრულის დაკარგვის შემდეგ ტოპონიმად მხოლოდ იგი დარჩა (ლაზურ-მეგრ. I, 2015: 190). ჩვენც ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს და ვთვლით, რომ ეს მაგალითები საზღვრულდაკარგული შესიტყვებებია. ამ ტიპის ამოსავალი და საზღვრულდაკარგული მაგალითები არაერთი დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: **აბა-თ-ხევი** (ახალციხის რ.), **აბას-თ-უმან-ი** < **აბას-თ-უბან-ი** (ადიგენისა და ზუგდიდის რ.), ახალი **აბას-თ-უმანი** (ზუგდიდის რ.), **აბედა-თ-ი** (მარტვილის რ.), **აკაურ-თ-ა** (ბოლნისის რ.), **ახალ-კახა-თ-ი** (ზუგდიდის რ.), **ბაბო-თ-ი** (ვანის რ.), **გოგოლაურ-თ-ა** (დუშეთის რ.), **გოლა-თ-უბან-ი** (ხარაგაულის რ.), **გორ-თ-უბან-ი** (ადიგენის რ.), **გუდა-თ-უბან-ი** (ხარაგაულის რ.) - შდრ. **გუდა-ნ-ი** (ხევსურეთი), **მაქა-თ-უბანი** (ხარაგაულის რ.)... მ. ბერიძე ჯავახურ ლექსიკაშიც გამოყოფს თანიაწი მრავლობითის რამდენიმე შემთხვევას და ასახელებს შემდეგ ტოპონიმებს: **ჯვარ-თ-უკან-ებ-ი**, **კვალ-თ-ა-ხევ-ი**, **კალ-თ-უბანი**. როგორც იგი აღნიშნავს, თანამედროვე ქართულში მეტ-ნაკლებად იხმარება ნარ-თანიაწი მრავლობითის ფორმები. ამ მხრივ ჯავახური დიალექტიც არ წარმოადგენს გამონაკლისს იმ განსხვავებით, რომ მას თანიაწი მრავლობითით მიცემითი ბრუნვის გადმოცემა არ ახასიათებს. ამიტომ ავტორი აღნიშნულ ტოპონიმებს არქაულად მიიჩნევს (ბერიძე, 1992: 61). სამურზაყანოულ მეგრულში **თი** იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელი **ის** და სხვა ფუნქცია მას არ აკისრია (შდრ. მეგრ. **თი** კოჩი „ის კაცი“). რაც შეეხება **თური-ს**, იმავე სამურზაყანოულში იგი ნიშნავს არა უშუალოდ ოჯახს, ოჯახის წევრს, არამედ შორეულ ნათესავს, ანუ საზიარო ეპონიმის შთამომავალს. **თური-ს** გამოყენების ერთადერთ შემთხვევას ვაფიქსირებთ, რომელიც მიემართება მესამე პირს, ან მრ. რ. პირველ პირსაც: შხვამ **თური** ვარე „სხვისიანი არ არის“ და შხვამ **თურეფი** ვავორეთ „სხვისიანები არა ვართ“. ხოლო მკვლევართა მიერ ნახსენები შთამომავლობა, იგივე **თური**, სამურზაყანოულში აღინიშნება სიტყვით **გამნარყი**, რომელიც მიღებულია

სალიტ. ქართ. **გამონაყარი** სიტყვისაგან: **გამნარყი** < **გამონაყარი**, იგივე **გამონაყოფი**. ამრიგად, **თეკლათი** „თეკლაანთ კუთვნილს“ უნდა ნიშნავდეს.

1621 წლის დოკუმენტში დასტურდება ტოპონიმი **ნაჯგებიუ**: „მართებს შურითოლა მალურავას... **ნაჯგებიუს** მამულის ყურძნის კრეფა“ (ქსმ, III, 1970: 430). ვფიქრობთ, ტოპონიმისათვის ამოსავალია პირსახელი **ჯგებ-ი** // **ჯგვებ-ი**, რომლის ძირიც გამოიყოფა ამავე დოკუმენტში დასახელებულ **ჯგვებ-ურ-ია** გვარსახელში (ქსმ, III, 383). საბუთში ნახსენები მამული რომ ეკუთვნოდა **ჯგების**, ამაზე მიუთითებს პირსახელზე დართული წინა ვითარების ამსახველი **ნა-** პრეფიქსი: **ნა-ჯგები-უ** „ჯგების ნაქონი“, ბოლო **-უ-** ხმოვანი კი არის **-ურ** სუფიქსის ნაშთი, რომელიც სრულად აღდგება ხსენებულ გვარსახელში: **ჯგვებ-ურ-ია**. ტოპონიმის რეკონსტრუქცია ასე წარმოგვიდგენია: **ნა-ჯგებ-ი-უ** < ***ნა-ჯგებ-ი-ურ-ი** < **ჯგებ-ი** // **ჯგვებ-ი**.

3. 2. 4. გვარსახელებისაგან მომდინარე ქორონიმები

საქართველოში ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ტოპონიმს საფუძვლად უდევს გვარსახელები. ასეა ეს სამეგრელოსა და ამჟამინდელ აფხაზეთშიც, მაგრამ რატომღაც ამ ტიპის ტოპონიმებიდან საანალიზო მასალაში მხოლოდ სამი ტოპონიმი გამოვლინდა: **სადადიანო**, **საჭილაო** და **სამიქელაო**.

საბუთების მიხედვით, ქორონიმი **სადადიანო** პირველად იხსენიება 1525-1550 წწ. შედგენილ „ბიჭვინტის იადგარში“ (ქსმ, II, 1965: 179, 537, 684). ტოპონიმი ნაწარმოებია **დადიანი** გვარსახელისაგან, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს **დად-**ისაგან, რომელიც ძველი ქართული სახელია და დღეს აღარ გვხვდება, შემონახულია დადიანის გვარში (ჭუმბურიძე, 1987: 332). პ. ცხადაიას მიხედვით, **დადიანი** თავდაპირველად მხოლოდ „საგვარეულო სახელწოდება“ (ე. ი. გვარსახელი) ყოფილა. მას მოჰყავს ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც საგვარეულო სახელწოდება საქართველოში მეთაურის (ეპონიმის) სახელთან დაკავშირებით იწარმოებოდა და ამ პირის მიკუთვნებას აღნიშნავდა ხსენებული კრებულისადმი და თავდაპირველად ტერმინი **დადიანი** მხოლოდ მონათესავეობის (დადის სახლის კაცის) აღმნიშვნელი ცნება იყო. იგი წარმოქმნილია საკუთარ სახელ **დად-ზე -იან** კუთვნილებითი სუფიქსის დართვით (ცხადაია, 2000: 78-79). მორფემათა ლექსიკონშიც აღნიშნულია, რომ **-იან**

სუფიქსი ადამიანის საკუთარ სახელთაგან წარმოებისას შტო-გვარისადმი კუთვნილებას გამოხატავს. შდრ.: **ზურაბ > ზურაბ-იან-ი** (მმლ, 1988: 215). ამავე რიგისაა ოდიშის მთავართა წოდება - **დად-იან-ი**, ხოლო მისგან კი **სა- _ -ო** კონფიქსის დართვით იწარმოება ქორონიმი **სა-დად-იან-ო**, რომელიც აღნიშნავს დადიანის კუთვნილ ვრცელ ტერიტორიას. სადადიანო უბნები დღესაც მრავლად დასტურდება, რაზეც მიუთითებს გამოკვლევები. გ. ელიავა ადასტურებს ტოპონიმებს: **დადიაში ნატახტუ, დადიაში ნოხორი, დადიაში ტყა** (იხ.: ელიავა, 1989: 54, 74, 81;). ტოპონიმი **დადიანეთი** დასტურდება ქსნის ხეობაში (ახალგორის რ.), რომელსაც გ. ბედოშვილი უკავშირებს სამეგრელოს მთავრის **დადიანის** სახელს (ბედოშვილი, I, 2002: 123). პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ დადიანთა პირველი წარმომადგენელი დასახელებულია XI ს. 40-იანი წლებიდან. ესაა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დასახელებული „იოვანე ერისთავი, იოვანე დადიანი“.... პირსახელი **დად-ი** (და მისი ვარიანტები: **დადა-ი, დადა-ში, დად-უ, დად-უნ-ა, დად-უ-ა...**) გავრცელებულია სვანეთში. მკვლევარი გამოყოფს **სადადიო** უბანს - დადიანის კუთვნილი ტერიტორია ენგურის მარცხ. ვაკეზე (ცხადაია, 2005: 66), ასევე: **დადიანეფიშ ნები, დადიანეფიშ ნოხორი, დადიანეფიშ წისქვილი, დადიანეფიშ ნაწისქვილ...** (ცხადაია, IV, 2008: 121). ჩვენ მიერ საეკლესიო საბუთებში გამოვლენილი **სადადიანო** ტიპური ქორონიმია და დადიანთა გვარის მორჩილებაში მყოფ უვრცეს ტერიტორიას, მთელ იმდროინდელ ოდიშ-სამეგრელოს აღნიშნავს და არა სოფელს, ან უბანს, თუ სხვა გეოგრაფიულ ობიექტს.

ეს ქორონიმი იხსენიება „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“, რომელიც 1616-1621 წლებშია შედგენილი (ქსმ, III, 1970: 474). მას 2 მნიშვნელობა ჰქონდა: 1. წარმოადგენდა ამჟამინდელი აბაშის რაიონის სოფელ **პირველი მაისის** თავდაპირველ სახელს; 2. ერქვა თავად ჭილაძეების სამფლობელოს, რომელიც მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას მარტვილის რაიონის სოფელ ბანძიდან აღმოსავლეთით, აბაშის რაიონს, აგრეთვე სამტრედიისა და ლანჩხუთის რაიონების ნაწილს. ტოპონიმში გამოიყოფა დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი **სა- _ -ო** კონფიქსი, რომელიც დართულია **ჭილა-ძე, ჭილა-ია, ჭილა-შვილ-ი** გვარსახელების საყრდენ **ჭილა** ფუძეზე. ჩვენი აზრით, ტოპონიმში პირსახელი კი არა, გვარსახელის ფუძეა წარმოდგენილი, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ სოფელი ეკუთვნოდა **ჭილაძეების**

თავადურ საგვარეულოს, შდრ. ლომინაძეების კუთვნილი სალომინაო და ჩიჯავაძეების სამფლობელო საჩიჯავაძო იმერეთში.

1712 წელს დასტურდება ტოპონიმი **სამიქელაო** (ქსმ, III, 1970: 730). რომლისთვისაც ამოსავალია პირსახელი **მიქელა**. თუმცა, როგორც ცნობილია, **სამიქელაო** იყო არა ერთი კონკრეტული სოფლის სახელი (ოიკონიმი), არამედ ქორონიმი, ანუ თავად **მიქელაძეთა** საგვარეულოს კუთვნილი ვრცელი ტერიტორიის დასახელება (ახლანდელ სამტრედიის, ხონისა და აბაშის რაიონებში). ტოპონიმს საფუძვლად უდევს გვარსახელის ეპონიმის **მიქელას** სახელი. განსხვავებით გვართა დასახლების სახელებისაგან, ამ და **საჭილაო**-ს შემთხვევაში ტოპონიმები იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მოცემულ ტერიტორიაზე მხოლოდ მიქელაძეები და ჭილაძეები ცხოვრობდნენ.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ტოპონიმები **სადადიანო**, **საჭილაო** და **სამიქელაო** ქორონიმებად უნდა ჩავთვალოთ იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სოფელსა და დაბა-ქალაქზე უფრო ვრცელ ტერიტორიებს აღნიშნავდნენ.

აღსანიშნავია, რომ გვარსახელებზე დართული დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი **სა-** პრეფიქსი, **სა-** – **-ო** და **სა-** – **-ა** კონფიქსები საზოგადოდ ძალზე პროდუქტიული იყო არა მარტო სამეგრელოს, არამედ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს თ. გვანცელაძეც, რომელმაც ამ მოდელის ტოპონიმების მთელი წყება გამოავლინა აფხაზეთის მიწაზე გაგრის რაიონიდან გალის რაიონის ჩათვლით: ***სა-ბული-ო** // **საბული-ა** > აფხაზ. **ასაბულიფ**, **სა-ბერი-ო**, **სა-ხახუბი-ო**, **სა-შამუგი-ო**, **სა-ბულისკერი-ო**, **სა-მელაი-ო**, **სა-აბაში-ო**, **სა-აბლოთი-ო**, **სა-აბრუმი-ო**, **სა-ანთი-ო**, **სა-აფშილა** // **სა-აფშილა-ო**, **სა-ბიგვა**, **სა-გელენ-ა**, **სა-გერგედა**, **სა-ელია** // **სა-ელი-ო**, **სა-კოზმა** // **სა-კოზმა-ა**, **სა-მალიშა** // **სა-მალიშა-ო**, **სა-მატკა**, **სა-რიგვა**, **სა-სირგინა**, **სა-უბილა** // **სა-უბილ-ო** კუნთხუ, **სა-ქულა**, **სახოჭა**, **სა-ხოჯა** // **სა-ხოჯა-ო** // **ო-ხოჯ-ა**, **სა-ჯოზა** (გვანცელაძე, 2011: 188-191). ამრიგად, **საჭილაო** მიღებულია **ჭილა-ძე** გვარსახელისაგან -ძე-ს მოკვეცით: **საჭილაო** < **ჭილა** < **ჭილა-ძე** < **ჭილა--ს-ძე**.

3. 2. 5. გვართა დასახლებების სახელები

ამა თუ იმ სოფელში კომპაქტურად დასახლებული გვარები წარმოქმნიან კონკრეტულ უბნებს: **საბუთბაიო**, **საკეკუო**, **სავარდანიო** და ა.შ. მაგრამ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ ტიპის სახელები არამცთუ უბნების, არამედ სოფლის სახელებადაც გვევლინებიან. პ. ცხადაია აღნიშნავს: „...გვაროვნული წყობილების რღვევასა და საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციასთან დაკავშირებით ტოპონიმიაში აისახა მფლობელის, მეპატრონის საკუთრება, რამაც გამოიწვია ანთროპონიმფუძიანი გეოგრაფიული სახელების მოჭარბება“ (ცხადაია, 1967; 352). ამგვარი ტოპონიმები სამეგრელო-სამურზაყანოში იწარმოება **სა-** // **სა-** **-ო** და **ლე-** **-ე** აფიქსებით. მათგან საანალიზო დოკუმენტების მიხედვით, ვლინდება რამდენიმე შემთხვევა მხოლოდ **სა-** **-ო** კონფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებისა:

1712 წელს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით **საცხომარიო** უბანი დასტურდება ხობში (ქსმ, III, 1970: 732). ტოპონიმის ძირად გვევლინება დღევანდელი სოხუმის ძველი სახელწოდება **ცხუმი**. თ. გვანცელაძე აღნიშნავს, რომ ამ ქალაქს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელი ერქვა. ერთ-ერთი მათგანია ქართული **ცხუმი**, რომელიც VIII საუკუნიდან XX საუკუნემდე იხმარებოდა. მისი აზრით, **ცხუმ-ი** სვანურია და წარმოადგენს მცენარე რცხილის სახელწოდებას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველქართულ საისტორიო წყაროებში ქ. სოხუმის **ცხუმ** სახელს ვარიანტებიც მოეპოვება **ცხომ** და **ცხემ** ფორმით. სწორედ ამ **ცხომ** ფორმას გამოყოფს იგი ქართულ გვარებში **ცხომ-არ-ია**, **ცხომ-ელ-ი-ძე**, რაც ნიშნავს „ცხუმელის შვილს“ (გვანცელაძე, 2000: 89-90). - **არ** სუფიქსი სადაურობის მეგრული მაწარმოებელია. გ. ელიავას მიერ დადასტურებულია მიკროტოპონიმი: **საცხომარიო** (ელიავა, 1989: 60).

ამავე აგებულებისაა **საწულეისქირო**, რომელიც ასევე დასტურდება 1712 წ. შედგენილ დოკუმენტში (ქსმ, III, 1970: 731). ტოპონიმი რთული წარმოებისაა. მის პირველ კომპონენტს წარმოადგენს პირსახელი **წულა**, ხოლო მეორე კომპონენტი არის **სქირი** // **სკირი** „შვილი“; შდრ. გავრცელებული გვარსახელი **წულეისკირი** // **წულეისქირი** „წულას შვილი“ < **წულაისკირი**. **წულეისქირზე** **სა-** **-ო** კონფიქსის დართვით კი იწარმოა **სა-წულეისქირ-ო**, რომელიც აღნიშნავს წულეისქირებით დასახლებულ ადგილს.

სახარბედო იხსენიება 1706 წელს შედგენილ დოკუმენტში (ქსმ, III, 1970: 647). ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარსახელი ხარბედია. საკუთრივ გვარსახელი მიჩნეულია ხარბედ მეტსახელისაგან მომდინარედ (ჯომიდავა, 2000: 446). სახარბედო „ხარბედიების უბანი“ დადასტურებულია გ. ელიავას მიერ მიკროტოპონიმად (ელიავა, 1989: 57). პ. ცხადაიას მიხედვით, ხარბედია გვარსახელის თავდაპირველი და სრული ვარიანტი არის ხარაბედია. სოფლის სახელწოდება სამი ვარიანტით გვხვდება: სახარბედო (1706 წ.), სახარაბედო და სახარაბედო (1712 წ.) (ცხადაია, 2000: 166). ვარიანტთა მიღების გზები ასეთია: 1. ხარაბედი > ხარაბედია > სახარბედო > სახარაბედო; 2. ხარაბედი > ხარბედია > სახარბედო.

ოიკონიმი სააფხაზო დასტურდება 1798 წელს (ქსმ, II, 1965: 537). იგი მიღებული ჩანს მეგრულ აფხაზა ფუძისაგან -ვა დაბოლოებით ნაწარმოებ აფხაზა-ვა გვარსახელისაგან. სა-ო კონფიქსის დართვისას დაიკარგა გვარსახელის მაწარმოებელი -ვა დაბოლოება, რაც დამახასიათებელი მოვლენაა მეგრული გვარებისათვის: სააფხაზო < აფხაზავა, შდრ. საჭითანო < ჭითანავა... პ. ცხადაია აფხაზავა გვარსახელებს სამეგრელოს რამდენიმე სოფელში: ინგირში, ოქტომბერში, ჩხოროწყუმში, კახათში, ეკში.... დასტურდება ტოპონიმებიც: ლეაფხაზე (ნოლა, კიწიის თემი), სააფხაზა // სააფხაზო - უბანი კახაწყარის მარჯ. მხარეს, სააფხაზო ქუჩა // აფხაზეფიშ ქუჩა - აფხაზავებით დასახლებული მცირე უბანი. ნააფხაზუ - მინდორი ჯეგოლაში (ცხადაია, 2000: 54). საანალიზო ტოპონიმი აღნიშნავს, რომ სოფელი დასახლებული იყო აფხაზავას გვარის ხალხით. სა-აფხაზ-ო < აფხაზა-ვა < აფხაზა.

ქუჩულორია გვარსახელისაგან მომდინარე ოიკონიმი საქუჩულორიო დასტურდება 1616-1639 წლებს შორის (ქსმ, III, 1970: 501) და 1621 წელს (ქსმ, III, 1970: 413). ი. დოლიძეს სქოლიოში მითითებული აქვს ვარიანტი ნაქუჩულორიუ (ქსმ, III, 1970: 413), რაც აღნიშნავს ადგილს, სადაც წინათ ქუჩულორიებს უცხოვრიათ. პ. ცხადაიას მიხედვით, სამეგრელოში დასტურდება ტოპონიმები: ლექუჩ(უ)ლორიე // საქუჩ(უ)ლორიო - უბანი ფოცხოში. ნაქუჩულორ - ტყე ლეხარკალაიეში. ნაქუჩულუ - ბუჩქნარი ლეთორდეში (მუხური). მისი აზრით, გოქუჩულუა „მცენარის აყვავება“ ზმნის მიმღეობა „აყვავებული, აღმოცენებული“, შესაძლოა, მეტსახელად ქცეულიყო. მეორე მხრივ, ქუჩუ პირსახელია და ქუჩულორი შეიძლება ჩაითვალოს მის მოფერებით ფორმად (ცხადაია, 2000: 142). ლექსიკონებში ქუჩუ განიმარტება როგორც: „ბუჩქი;

ქოჩორა, ხუჭუჭა; კინკრიხოზე დატოვებული თმა“, **ქუჩული** - „კინკრიხოზე დატოვებული თმა“ (ქობაღია, 2010: 640). საბას მიხედვით **ქუჩულა** არის „ყვავთ დამატრობელი წამალი“ (ორბელიანი, 1993: 242), რაც ნაკლებ მოსალოდნელია საანალიზო გვარის საყრდენ ფუძედ. ამრიგად, ოიკონიმს საფუძვლად უდევს **ქუჩუ** // **ქუჩულ-ი** მეტსახელისაგან მომდინარე **ქუჩულორია** გვარსახელი: **სა-ქუჩულორი-ო** < **ქუჩულორია** < **ქუჩულორი** < **ქუჩუ**.

საყურადღებოა, რომ ამ ჯგუფის ყველა სახელი გამართულია სამწიგნობრო ენის ნორმების მიხედვით და დაირთავს მხოლოდ **სა-ო** კონფიქსს.

3. 2. 6. წინა ვითარების ამსახველი ტოპონიმები

წინა ვითარების ამსახველ ტოპონიმთა საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიულია **ნა-** პრეფიქსი. როგორც პ. ცხადია აღნიშნავს, ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს სამეგრელო, სადაც დიდი რაოდენობით გამოიყოფა **ნა-** პრეფიქსიანი მიკროტოპონიმები. „**ნა-** ერთ-ერთ ისეთ მეგრულ პრეფიქსად უნდა ჩაითვალოს, რომელიც სიტყვაწარმოებაშიც მონაწილეობს (როცა ამოსავალი ფუძე საზოგადო სახელია) და სპეციფიკური ტოპოსაწარმოებელი დანიშნულებაც აქვს მოპოვებული (როცა ამოსავალ ფუძეს წარმოადგენს არა საზოგადო, არამედ საკუთარი სახელი - ანთროპონიმი)“ (ცხადია, 1974: 117-118). საანალიზო მასალაში დადასტურებული მაგალითების მიხედვით ვლინდება **ნა-** პრეფიქსის გამოყენების ორივე შემთხვევა, როგორც ანთროპოტოპონიმის, ასევე საზოგადო სახელის წარმოებისა.

ანთროპოტოპონიმი **ნაგუაზაუ** დასტურდება 1621 წლის საბუთში (ქსმ, III, 1970: 412) და წარმოადგენს ამჟამინდელი მარტვილის რაიონის სოფლების ზემო და ქვემო ნაგვაზაოს განმაზოგადებელ სახელს. მისთვის ამოსავალია გვარი **გვაზავა**, რომელიც მიღებულია პირსახელ **გვაზა**-საგან -**ვა** ბოლოსართის დართვით. **გვაზა** საკუთარი სახელი ფიქსირდება ალ. ლლონტის მასალებში (ქსს, 1967: 65). ტოპონიმში **გ** თანხმოვნის მომდევნოდ **ვ** ბგერა ძველქართული ტრადიციის მიხედვით გადმოცემულია უ ხმოვნით. რაც შეეხება ბოლოკიდურ **უ** ხმოვანს, იგი უნდა იყოს -**ურ** სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი, რომელიც ვლინდება 1616-1639 წწ. დოკუმენტში დადასტურებულ **ნაგუაზაურ-ი** ვარიანტში. მეგრულში წარსული დროის საწარმოებლად **ნა-** // **ნო-**

პრეფიქსებთან ერთად -ერ და -ურ სუფიქსების გამოყენებაზე მიუთითებს პ. ცხადაია და ასახელებს შესაბამის მაგალითებს: ნო-წყვი-ერ-ი; ნო-შქვიდ-ურ-ი (ცხადაია, 1985: 35-36). ზოგადად, ქართულ წარმომქმნელ აფიქსთა შორის -ურ //-ულ სუფიქსი ძალზე პროდუქტიულია. გვანცა გვანცელაძე ყურადღებას აპყრობს იმ ფაქტს, რომ მრავალ ტოპონიმში -ურ //-ულ სუფიქსის ფუნქციაა კუთვნილების გამოხატვა: მსხილა-ურ-ი პარტახი ნიშნავს „მსხილას კუთვნილ პარტახს“, მანანა-ურ-ი ვენახი „მანანას ვენახს“... (გვანცელაძე, XI, 2007: 121-122). ამგვარ ტოპონიმთა ანალოგიით მიგვაჩნია, რომ ნა-გვაზა-ურ-შიც -ურ სუფიქსი სწორედ კუთვნილების გამომხატველია. მაშასადამე, ნა-პრეფიქსი მოცემულ ტოპონიმში გამოხატავს წარსული დროის ვითარებას, მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ ტერიტორიაზე უცხოვრით გვაზავს გვარის წარმომადგენლებს, ხოლო -ურ სუფიქსი აღნიშნავს, რომ ეს ტერიტორია მათი კუთვნილი, ანუ გვაზაური იყო, მაგრამ აღარ არის. ანთროპოტოპონიმის მიღება შემდეგი გზით გვესახება: ნა-გვაზა-ურ-ი < ნა-გუაზა-ურ-ი < გუაზა-ური < გვაზა-ვა < გვაზა. დღევანდელი მონაცემებით იმავე გვაზა ფუძის შემცველი სა- და ნა- პრეფიქსიანი ტოპონიმები ნ. ჯომიდავამ დაადასტურა სოფელ ნორიოში: სა-გვაზა-ო; ორმაგ პრეფიქსიანი სა-ნა-გვაზ-უ - სენაკში; ნა- პრეფიქსიანი ზემო და ქვემო ნა-გვაზ-ოვ-უ-ს მარტვილის რაიონში და უპრეფიქსო გვაზა-ურ-ი - ხონის რაიონში (ჯომიდავა, 2000: 84).

ჟანავა გვარსახელი უდევს საფუძვლად ტოპონიმს ნაჟანეული (ამჟ. გალის რ. სოფ. ოტობაია), რომელიც რამდენიმე ვარიანტით დასტურდება: ნაჟანეო // ნაჟანევი // ნაჟანეული // ნაჟანაური. ამათგან ყველაზე ადრე დასტურდება ნაჟანეო, რომელიც დასახელებულია 1525-1550 წლებს შორის შედგენილ „ბიჭვინტის იადგარში“ (ქსძ, II, 1965: 179). ტოპონიმი იწარმოება ნა- პრეფიქსის საშუალებით, რომელიც აღნიშნავს ადგილს, სადაც ადრე უცხოვრიათ ჟანავა გვარის მტარებლებს. ტოპონიმი ასე დაიშლება: ნა-ჟან-ე-ო, სადაც -ე- ხმოვანი, ვფიქრობთ, არის -ევ სუფიქსის შეკვეცილი ვარიანტი, რომელიც აღდგება, მოგვიანებით, 1706 წელს შედგენილ „შეწირულობის სიგელში...“ ნა-ჟან-ევ-ი ფორმით (ქსძ, III, 1970: 647). „მორფემების... ლექსიკონში“ აღნიშნულია, რომ სახელის ფუძისაგან ნა-_-ევ აფიქსებიანი წარმოება ხშირად არის გამოყენებული ტოპონიმებად: ნა-ზოსლ-ევ-ი, ნა-ქალაქ-ევ-ი... იქვე შენიშნულია, რომ ნა-ქალაქ-ევ-ი წინა ვითარების ამსახველია ერთ-ერთი სემანტიკური ნიუანსით, ნიშნავს „ყოფილ ქალაქს“ (ქემმელ, 1988: 132). ამის გათვალისწინებით, ნა-ჟან-ევ-ში სუფიქსი -ევ სწორედ წინა

ვითარების მაჩვენებლად მიგვაჩნია, ანუ **ნაჟანევი** ნიშნავს ადრე ჟანავების კუთვნილ, თუ ამ გვარით დასახლებულ სოფელს. **ნა-ურ** // **ნა-ულ** კონფიქსური წარმოება გვაქვს ამავე ტოპონიმის ვარიანტებში: **ნაჟანაური** (1616–1639 წწ.) (ქსმ, III, 1970: 501) და **ნაჟანეული** (1621 წ.) (ქსმ, III, 1970: 419; 423). გარკვეულია, რომ **-ულ** ვარიანტი მეორეულია. იგი მომდინარეობს **-ურ** სახეობისაგან. ამ ვარიანტებშიც **-ურ**//-**ულ** სუფიქსები აღნიშნავენ კუთვნილებას (იხ. ზემოთ). **ნა-ჟანა-ურ-ი** და **ნა-ჟან-ე[ვ]-ულ-ი** ვარიანტები მიგვითითებენ, რომ ადრე ეს სოფელი ეკუთვნოდა ჟანავას გვარს, მაგრამ ამჟამად ეს ვითარება უკვე შეცვლილია. ამრიგად, ზემოთ განხილულ ტოპონიმთა მიღების გზა ასე წარმოგვიდგება: **ნა-ჟან-ე[ვ]-ო** < **ნა-ჟან-ევ-ი** < **ნა-ჟან-ე[ვ]-ულ-ი** // **ნა-ჟანა-ურ-ი** < **ჟანა-ვა**.

დღეს გავრცელებული გვარი **პარკაია** უდევს საფუძვლად საეკლესიო საბუთებში ასახულ ტოპონიმებს **ნაპარკაო** და **ნაპარკეული**. საანალიზო დოკუმენტების მიხედვით, პირველად 1689-1701 წლების „შეწირულობის წიგნში...“ ნახსენებია ტოპონიმი **ნაპარკაო** (ქსმ, VI, 1977: 684), რომელიც იწარმოება **ნა-** პრეფიქსთან ერთად გვარსახელზე დართული დანიშნულების **-ო** სუფიქსის საშუალებით. ტოპონიმი ასახავს წინა ვითარებას და მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის **პარკაიების** ნაცხოვრები ადგილი. 1712 წელს შედგენილ „შეწირულობის გუჯარში...“ დასტურდება იმავე სემანტიკის მქონე ვარიანტი **ნაპარკეული** (ქსმ, III, 1970: 732). ჩვენი აზრით, **ნაპარკეული** ასე დაიშლება: **ნა-პარკ-ე[ვ]-ულ-ი**, სადაც **ნა-** არის წინა ვითარების გამომხატველი პრეფიქსი **-ე** (< **ევ**) სუფიქსთან ერთად, როგორც ეს იყო **ნაჟანევის** შემთხვევაში, ხოლო **-ულ** - კუთვნილებას გამოხატავს. ანთროპოტოპონიმთა მიღება ასე გვესახება. ერთი მხრივ: **ნა-პარკა-ო** < **ნა-პარკა** < **პარკა-ი-ა**; ხოლო მეორე მხრივ: **ნა-პარკ-ე-ულ-ი** < **ნა-პარკ-ევ-ულ-ი** < **ნა-პარკა** < **პარკა-ი-ა**. **პარკაია** გვარსახელისაგან **სა-ო** კონფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმს ადასტურებს გ. ელიავაც: **საპარკაიო** (პარკაიების უბანი) (ელიავა, 1989: 61).

ოიკონიმი **ნაკაღმელიუ** დასტურდება 1621 წ. შედგენილ დოკუმენტში (ქსმ, III, 1970: 420). იგი მომდინარეობს დღეს უკვე გამქრალი **კაღმელია** გვარსახელისაგან (კეკელია, 2014: 35). აქაც, ზემოთ განხილული შემთხვევების მსგავსად, ანთროპოტოპონიმი იწარმოება გვარსახელზე წინა ვითარების აღმნიშვნელი **ნა-** პრეფიქსის დართვით. ხოლო კუთვნილებითი **-ურ** სუფიქსი წარმოდგენილია **-უ** ხმოვნის სახით. **ნა-კაღმელ-ი-უ** < **ნა-კაღმელ-ი-ურ-ი** < **კაღმელ-ი-ურ-ი** < **კაღმელია**.

XVIII ს. დასტურდება ტოპონიმი **ნასაჯოგუ** (ქსმ, V, 1974: 444). ტოპონიმი ნაწარმოებია ორმაგი პრეფიქსაციით: **ნა-სა-ჯოგ-უ**, სადაც **ნა-** ასახავს წინა დროის ვითარებას, ხოლო **სა-** კუთვნილება-დანიშნულების პრეფიქსი - ახლანდელს. **სა-** პრეფიქსი მიგვითითებს იმაზე, რომ აღნიშნული ადგილი განკუთვნილი იყო ჯოგისათვის, ხოლო დამატებით **ნა-** პრეფიქსი - რომ ეს ყოფილა ერთ დროს საჯოგედ გამოყენებული ადგილი. ამას ადასტურებს ტოპონიმის ბოლოკიდური **-უ**, რომელიც - **ურ** სუფიქსის ხმოვნითი ნაწილია. გ. ელიავაც ასახელებს **ნა-ჯოგ-უ /ნა-ჯოგ-არ-ი/** ტოპონიმებს, რომლებიც ასევე ასახავენ წარსულ ვითარებას (ელიავა, 1989: 33, 37, 52, 74). საბოლოოდ, ტოპონიმის მიღების გზა ასე წარმოგვიდგენია: **ნა-სა-ჯოგ-უ < სა-ჯოგ-უ < სა-ჯოგ-ურ-ი < ჯოგი**.

აღსანიშნავია, რომ ამ ტოპონიმთან საზოგადო სახელი მხოლოდ ბოლო სიტყვას უდევს საფუძვლად.

3. 2. 7. კომპოზიტური წარმოების ტოპონიმები

თითოეულ ენას მოეპოვება თავისი ტოპონიმიკური სისტემა, რასაც ქმნიან გარკვეული მორფოლოგიური მოდელები და ლექსიკური ერთეულები. როგორც პ. ცხადაია აღნიშნავს, ქართველურ ოიკონიმთა საწარმოებლად გამოიყენება ე.წ. ინდიკატორები, რომლებიც სწორედ დასახლების სახეობაზე მიუთითებენ. ერთ-ერთ ინდიკატორად ავტორი გამოყოფს **კარი** სიტყვას, რომელიც დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (ცხადაია, 2000: 69). სამეგრელოში **კარი** კომპონენტიანი ოიკონიმები აღნიშნავენ მცირე დასახლებას, რომელიც შექმნილია ხელოვნურ თუ ბუნებრივ გარემოში, რომელსაც აზუსტებს კომპოზიტის პირველი წევრი: **ოხვამეკარი** „ეკლესიის კარი“, **თხინაშკარი** „თხილნარის კარი“ და სხვ. (ცხადაია, 2000: 70). შუა საუკუნეებში შედგენილ დოკუმენტებში ვლინდება რამდენიმე შემთხვევა ტოპონიმთა კომპოზიტური წარმოებისა.

ამ ტიპის ოიკონიმებს მიეკუთვნება 1616-1639 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში დადასტურებული კომპოზიტური წარმოების **გულველისკარი** (ქსმ, III, 1970: 501). მას საფუძვლად უდევს ანთროპონიმი **გულველი**. დღეს აბაშის რაიონში დასტურდება სოფ. **გულეიკარი**. პ. ცხადაიას თქმით, „სოფელს თავდაპირველად

გულველი ერქვა. გულველის წმ. გიორგის ეკლესიის აშენების შემდეგ - **გულველისკარი**“ (ცხადაია, 2000: 71). საკვლევ ოიკონიმს საფუძვლად უდევს პირსახელი **გულველი**, ხოლო ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ის აღნიშნავს იმას, რომ სახელდებული ადგილი ეკუთვნის გულველს. **გულველისკარი < გულველი**.

აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე 1525-1550 წწ. დოკუმენტში დასტურდება **მარმარის კარი** (ქსძ, II, 1965: 179). ოიკონიმი აღნიშნულია არქ. ლამბერტის რუკაზე მდინარე კოდორის ხეობაში, მდინარე სკურჩის მარჯვენა სანაპიროზე. პ. ინგოროყვა მას ქართულად მიიჩნევს, შდრ.: **ტაშის-კარი, გულეი-კარი, წალი-კარი** და სხვ. (იხ. ინგოროყვა, 1954: 173). თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, ამჟამად ოჩამჩირის რაიონის სოფლებს ბაღლანსა და ჯობრიას შორის, მდინარე კოდორის ახლოს მდებარეობს ნაციხარი, რომელსაც აფხაზები **მარმალ-აბაა**-ს „მარმალის ციხე“ სახელით იცნობენ. ჩვენი აზრით, **მარმარის კარი** უნდა ნიშნავდეს **მარმარილოს კარს**. სულხან-საბა **მარმარა**-ს განმარტავს, როგორც „მარმარილოს“ (ორბელიანი, I, 1991: 441), მეგრულშიც დასტურდება პოლისემიური სიტყვა **მარმალი**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „მარმარილო“ (ქობალია, 2010: 391). **მარმარა // მარმალი** ბერძნული სიტყვაა, მაგრამ მასში დისიმილაცია **რ > ლ** მხოლოდ ქართველურ ნიადაგზეა მომხდარი. ჩვენი აზრით, ეს სახელი დახვდებოდა XVII საუკუნის მიწურულს ამ ადგილას მოსულ აფხაზობას, რომელმაც ქართული ტოპონდიკატორი **კარი** ჩაანაცვლა აფხაზური **აბაა** „ციხე“ ინდიკატორით, ხოლო მეგრულ ნიადაგზე დისიმილირებული **მარმალ** ვარიანტი უცვლელად ისესხა (ამ ენას არ ახასიათებს ორი **რ** ფონემიდან ერთ-ერთის დისიმილირება).

1525-1550 წლებში დასტურდება ტოპონიმი **ტყაურუ** (ქსძ, II, 1965: 179), ხოლო მოგვიანებით, 1621 წელს - მისი ვარიანტი **ტყავრუ** (ქსძ, III, 1970: 434). გ. როგავამ დაადგინა, რომ მეგრ. **ტყაურუ // ტყავრუ** კომპოზიტია და შედგება ორი ფუძისაგან: **ტყა** „ტყე“, ხოლო მეორე სეგმენტი **ურუ // (ვრუ)** უნდა იყოს მეგრ. **წურუ** (ყურუ) „ყრუ“ (როგავა, 1960: 182).

1616-1639 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში დასტურდება ტოპონიმი **ჭალადიდი** (ქსძ, III, 1970: 500; II, 1965: 210). ტოპონიმი გამჭვირვალეა: როგორც ი. კეკელია აღნიშნავს, **ჭალადიდი** ჰქვია რიონისპირა ვრცელ ჭალას სახნავ-საბალახოებით (კეკელია, 2012: 88).

კომპოზიტია დღევანდელი ქ. მარტვილის ძველი სახელწოდება **ჭყონდიდი**, რომელიც დასტურდება 1753 წ. (ქსძ, III, 1970: 836), თუმცა საერო წყაროებში თითქმის 1 000 წლით ადრე იხსენიება. ვახუშტი წერს: „ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭურეტი, მაღალს ადილზედ, არს **ჭყონდიდი**, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, **მარტვირისა**“ (ქც. 4. 776). ი. ყიფშიძის მიხედვით, **ჭყონდიდი** მიღებულია მეგრ. **ჭყონი** „მუხა“ და **დიდი** სიტყვათა შეერთებით (ყიფშიძე, 1994: 599). როგორც დადგენილია, ახლანდელი ტაძრის ადგილას მდგარა დიდი მუხის ხე, რომელსაც წარმართები მსხვერპლად დედისერთა ვაჟებს სწირავდნენ. ეკლესიის სატრაპეზო აგებულია მას მერე, რაც მას შემდეგ, რაც ადგილობრივი გადმოცემით, ეს მუხა მოკვეთა ანდრია მოციქულმა.

წამხარი დასტურდება 1525-1550 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში (ქსძ, II, 1965: 179). იგივე ოიკონიმი ფიქსირებულია აგრეთვე გვიან შუა საუკუნეებში მოღვაწე იტალიელ მისიონერთა რუკებზე ამჟამინდელი გალის რაიონის სოფელ თაგილონის ადგილას. დღეს **წამხარი** თაგილონის უბანია (ბერაძე, 1971: 152). პ. ინგოროყვა **წამხარ**-ში გამოყოფს ბოლოკიდურ **-არ-ი** დაბოლოებას, რომელსაც მიიჩნევს ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ჩვეულებრივ მაწარმოებლად (შდრ. **წუნარი**, **ხიდარი**, **გომარი** და სხვ. აგრეთვე თვით აფხაზეთში: **გაგარი**, **დანდარი**). მკვლევარი ტოპონიმს შემდეგნაირად შლის: **წამხ-არ-ი** (ინგოროყვა, 1954: 177), თუმცა არ აზუსტებს **წამხ-** ძირის რაობას. ჩვენი აზრით, **წამხარი** რთული შედგენილობისაა, იგი შედგება ორი კომპონენტისაგან: **წყალ-ი** + **მხარ-ი** < **მხარე**. სავარაუდოდ, ჯერ უნდა ყოფილიყო **წყარმხარე** „წყალმხარე, წყლის, მდინარის მხარე“, რომლისგანაც პირველი ნაწილის კვეცის შედეგად მივიღეთ: **წა-** (< **წყარ-**). ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს პ. ცხადაიას მოსაზრება, რომ მეგრულისათვის უჩვეულო არ არის **წყალ** > **წა[ლ]** პროცესი: **წაჩხური** „წყალცივი“; **წამელო** // < **წყამელო** < **წყარმელე** „წყალგაღმა“; **წაკურთხია** < **წყალკურთხევა** და სხვ. (ცხადაია, 2000: 80). ვფიქრობთ, **წამხარიც** ამავე ტიპისაა. ტოპონიმის ისტორია ასე გვესახება: **წა-მხარ-ი** < **წა-მხარე** < **წყარმხარე** < **წყალმხარე**.

1616-1639 წწ. და 1616-1621 წწ. შედგენილ დოკუმენტებში ნახსენებია ოიკონიმი **ღალიძგა** (ქსძ, III, 1970: 476-477). **ღალიძგა** მეგრულად ნიშნავს „ღელის ნაპირს“. ჰიდრონიმ **ღალიძგა-ს** თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა მეცნიერთა მიერ სხვადასხვანაირად არის განმარტებული. პ. ინგოროყვას აზრით, „სახელწოდება ამ

მდინარისა **ღალიძგა** სიტყვასიტყვით ნიშნავს ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა“. ავტორი სქოლიოში მიუთითებს, რომ „მდინარე ღალიძგას შემორჩენილი ჰქონდა ძველი სახელწოდება **ეგრის-წყალი** ვიდრე მე-17-18 საუკუნეებამდე“ (ინგოროყვა, 1954: 128). აქ ავტორი ცდება, რადგან **ღალიძგა** მეგრულად არის **ღალიშ ძგა**, ანუ „ღელის ნაპირი“ და არა „ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა“. თ. ბერაძისათვის **ღალიძგა**, „...კიდე-მდინარეს ნიშნავს“. როგორც ავტორი აღნიშნავს, „თავის დროზე ის რაღაც პოლიტიკურ ერთეულებს შორის გამყოფი იყო. ხომ არ წარმოადგენდა ეს მდინარე საზღვარს ცხუმისა და ოდიშის საერისთავოს შორის? ამ შემთხვევაში ოდიშის საერისთავოს დას. საზღვრად მდ. ღალიძგა უნდა გვეგულისხმება“. XVII საუკუნეში დამოწმებული ეს ტოპონიმი უკვე საზღვრის გამომხატველი აღარ იყო (ბერაძე, 1967: 168). პ. ცხადაია უფრო მართებულად მიიჩნევს ალ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის განმარტებას, რომ **ღალიძგა** სიტყვა-სიტყვით არის **берег реки**, ანუ მდინარის ნაპირი და თავდაპირველად ასე ერქვა სოფელს (ცხადაია, 2004: 42). ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ჰიდრონიმი თავდაპირველად წარმოადგენდა ოიკონიმს, ე. ი. დასახლებული პუნქტის სახელს და შემდეგ მეტონიმიის შედეგად იქცა იმ მდინარის სახელად, რომელიც მას ჩაუდიოდა. უფრო ზუსტად: ისეთ დიდ მდინარეს, როგორიცაა ღალიძგა, შეეფერება ლექსემა **წყარი** (შდრ. სოფელი **წყალიძგა**, რომელშიც იგულისხმება რიონი) და არა **ღელე**. აქედან გამომდინარე, **ღალიძგა** უნდა დარქმეოდა ღალიძგის ერთ-ერთი შენაკადის, ღელის - ნაპირს, ხოლო შემდგომ უნდა ქცეულიყო აქ გაჩენილი დასახლების სახელად. მეტონიმიის მესამე ეტაპზე სოფლის სახელი გადავიდა მდინარეზე. ასეთი გრადაცია (აგრონომი > ოიკონიმი > ჰიდრონიმი) ცნობილია მსოფლიოს მრავალი ხალხის ტოპონიმიაში (ცხადაია, 2004: 45). პ. ცხადაიას მოჰყავს ქ. ლომთათიძის თვალსაზრისი, რომელიც ქართულ ენაში **ღელე** სიტყვის მნიშვნელობისა („ხევი, ხეობა“) და ქართველურში ნავარაუდევია **ღ // გ** მონაცვლეობის შესაძლებლობის გათვალისწინებით წერს: „ხომ არ უნდა გავიგოთ ღალიძგა როგორც გალიძგა „გალის (ანუ ღელის) განაპირა მხარე?!“ ...ერთი და იმავე გეოგრაფიულ სივრცეში დადასტურებული და დღემდე შემორჩენილი „გალი“ და „ღალი“ საერთო ამოსავალს შეიცავს“ (იხ. ცხადაია, 2004: 42-43). თ. გვანცელაძის მიხედვით, მდინარე ღალიძგას „...მეგრულ დიალექტზე **ღალიძგა**, ხოლო აფხაზურად **ააღძგა** ეწოდება. აფხაზური ფორმა წყაროებში არ დასტურდება მაშინ, როდესაც მეგრული ვარიანტი ქართულ წყაროებში დამოწმებულია 1639 წლიდან

სწორედ **ღალიძგას** სახით და ერქვა ამ მდინარის ნაპირზე მდებარე სოფელს, სადაც დადიანების სასახლეც მდგარა. შემდეგ სახელი მეტონიმის გზით მდინარეზეც გადატანილა“ (გვანცელაძე, 2011: 43). **ღალიძგა** მეგრულად ნიშნავს „ღელის ნაპირს“. თ. გვანცელაძის აზრით, აფხაზური **ააღძგა** მიღებულია **ღალიძგა**-საგან **ღა** მარცვლის გარდაქმნით **აა** ბგერებად და **ი** ხმოვნის რედუქციით. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ **ღა** მარცვლის ამგვარი ქცევა უცხო არ არის აფხაზურისათვის, რასაც ადასტურებს ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც, ორი **ა** (**აა**) ხმოვანი ამ ენაში წარმოიქმნება **ღა** მარცვლისგანაც (გვანცელაძე, 2011: 44). მეცნიერის აზრით, სახელი რომ აფხაზურიდან შესულიყო მეგრულში, ამ უკანასკნელში უნდა არსებულიყო ***ააღძგა**, რაც არსად დასტურდება. **ა** ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს კი აფხაზურში მეორე **ა** ხმოვანი არასოდეს ერთვის, მაშასადამე, თ. გვანცელაძის დაკვირვებით, ირკვევა, რომ მდინარის სახელში აფხაზურმა ენამ ორი **ა** ხმოვანი წარმოქმნა **ღა** მარცვლის სანაცვლოდ და ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ტერიტორიაზე აფხაზთა მასობრივად დასახლების შემდგომ, ანუ XVIII საუკუნის დასაწყისიდან (გვანცელაძე, 2011: 44). და ბოლოს, **ღალიძგა** რომ ნამდვილად სოფლის სახელი იყო, ამაზე მიუთითებს „საცაიშლო გამოსავალი დავთრის მინაწერებიც“ (1616-1621 წწ.): „...**ღალიძგას** სასახლეშიდ მოიტანდნენ სააღაპოსა...“ (ქსძ, III, 1970: 476); „...ერთმან მთავარმან სასახლის **ღალიძგის** ეკლესიაში ჟამი სწიროს“ (იქვე); „ამის გარეთ მართებს **საღალიძგოს** კაცებსა...“ (იქვე: 477). ამ კონტექსტებიდან გამომდინარე, **ღალიძგა**-ში აშკარად იგულისხმება დასახლებული ადგილი და არა ღელის პირზე მდებარე სასახლე.

ეს ტოპონიმები წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულებია, მაგრამ უკვე ერთ სიტყვად არიან შერწყმულნი.

3. 2. 8. მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმად

შეურწყმელი, ანუ ორსიტყვიანი მსაზღვრელ-საზღვრულების ჯგუფს ეკუთვნის **ანარიას ღელე**. იგი საეკლესიო-ისტორიულ დოკუმენტებში დასტურდება 1616-1621 წლებში (ქსძ, III, 1970: 470). პ. ცხადაიას მიხედვით, ეს **ანარიის ღელე** არის დღევანდელი **ჭითაწყარი** „წითელი წყალი“, რომელიც მიედინება ნაჭაობარ **ანარია** // **ონარია**-დან (ცხადაია, I, 1999: 13). ა. ქობალიაც ამგვარადვე განმარტავს **ანარიას** „წყლის ნადგომი,

ჭაობი, ანარევი“ (ქობალია, 2010: 37). **ანარია** სოფელია გალის რაიონის გუდავის თემში. მდებარეობს ოხურიწყარის მარცხენა მხარეს, ნაჭაობარია. ანარიას ღელეც აქედან გაედინება და ერთვის ოხურიწყარს მარცხნიდან. მდინარე ორივე სახელს ატარებს: მარცხენა ნაპირის, კერძოდ, ანარიისა და მეორე გუდავის მცხოვრებნი მას უწოდებენ **ანარია // ანარიაწყარ-ს**, ხოლო მარჯვენა მხარის, ე. ი. ილორისა და ნაგვალაოს, მცხოვრებნი - **ოხური // ოხურიწყარ-ს** (ცხადაია, 2004: 112). **ანარია** დასტურდება ზუგდიდის რაიონშიც, რომელიც მე-17 ს. პირველ ნახევარშია მოხსენიებული. **ანარია** ფიქსირდება ასევე სახნავის სახელად ქვემო იმერეთშიც, სამეგრელოს მოსაზღვრედ. ამიტომ პ. ცხადაია **ანარია-ს** მიიჩნევს ზანურ სუბსტრატად აფხაზეთში (ცხადაია, 2004: 113). მეგრულისათვის თავკიდური ხმოვნების მონაცვლეობა უცხო არ არის. ი. ყიფშიძე ასახელებს ორიოდე მაგალითს თავკიდური **ო-** ხმოვნის **ა-**თი შეცვლისა: **აგაფა // ოგაფა** „კავი. სახვნელი“; **ანანგერი // ონანგერი // უნანგერი** „უნაგირი“ (ყიფშიძე, 1994: 396; 398). მსგავსი პროცესი მომხდარა ოიკონიმშიც: **ანარია // ონარია**.

1616-1621 წლებში იხსენიება ტოპონიმი **ბარცხილას ღელე** (ქსმ, III, 1970: 470). მოსაზღვრელ-საზღვრულის პირველი წევრი **ბარცხემი // ბარცხენია** ოიკონიმი დღესაც დასტურდება სამეგრელოში, რომელსაც აფიქსირებს პ. ცხადაია ჭითაწყარში. ეს არის ბუჩქნარი ჯუმის მარჯვენა მხარეს. ამოსავალია **ბარცხი**, რომელსაც მკვლევარი ასე განმარტავს: „**ბარცხი, ბარცხენი** მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე, ეკლით დაბოლოებული ფოთლებით, იხმარება ცოცხად, ბუხრის ან ქვევრის საწმენდად“, შდრ. **ბამგი, თავვისარა** (ცხადაია, 2005: 9). **ბარცხისაგან** მომდინარე ოიკონიმები არის ჩხოროწყუს რაიონშიც: **ბარცხი** - სახნავი ლეაფხაზეში; **ბარცხენი** - უბანი, იგივე **ბარცხონი; ბარცხონა** - უბანი ხაბუმე-მუხურის გზაზე (ცხადაია, IV, 2008: 86). **ბარცხი** და მისგან მომდინარე ჰიდრონიმსა და ტოპონიმს ადასტურებს გ. ბედოშვილიც. მისი თქმით, **ბარცხანა** არის მდინარე ხელვაჩაურის რ-ში. **ბარცხანა** ეწოდება, აგრეთვე, ქ. ბათუმის ერთ-ერთ უბანს. გ. ელიავას მიხედვით, **ბარცხი** „ჩირგვნარი, ბარცხნარი ადგილი“ (ელიავა, 1977: 103). ამრიგად, საანალიზო დოკუმენტებში დადასტურებული ჰიდრონიმი **ბარცხილას ღელე** უნდა დარქმეოდა იმ ღელისპირა ადგილს, სადაც ხარობდა მცენარე **ბარცხი**.

1696-1742 წწ. შორის შედგენილ ნუსხაში დასტურდება **გაღმა ხორგა** (ქსმ, III, 1970: 770). დღევანდელი ხობის რაიონის სოფელი **ხორგა** დამატებით საზღვრულ წევრებად

გალმა, გამოლმა, პირველი და შუა სიტყვებს დაირთავს: **გალმა პირველი ხორგა, გამოლმა პირველი ხორგა, გალმა შუა ხორგა, გამოლმა შუა ხორგა**. ეს მიუთითებს იმაზე, რომ **ხორგა** იმდენად ვრცელ ტერიტორიას წარმოადგენს, რომ მას დასჭირდა მსაზღვრელი წევრები მეტი კონკრეტულობისათვის. ამასთანავე, სოფელი გაშლილია მდინარე ხობის ორივე ნაპირზე, რაზეც მიუთითებს მსაზღვრელი წევრები: **გალმა და გამოლმა**. აქედან გამომდინარე, საანალიზო დოკუმენტების მიხედვით სავარაუდოა **გალმა ხორგას** საპირისპიროდ **გამოლმა ხორგა** ვარიანტის არსებობაც, რომელიც დოკუმენტებში არ ფიქსირდება.

1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ სოფელ ჭალასთან (ამჟ. ჭლოუ ოჩამჩირის რაიონში) ერთად იხსენიება მიკროტოპონიმი **ნიჯაინო სასახლე**: „არის ჭალას საყდარი და **ნიჯაინო სასახლე** და კაცები და მართებული გამოსავალი...“ (ქსმ, III, 1970: 434). ჩვენი აზრით, ამ სახელის დაწერილობაში კალმისმიერი, ან ბეჭდვის შეცდომაა: უნდა ეწეროს არა **ნიჯაინო სასახლე**, არამედ **ნაჯაიანო სასახლე**, ვინაიდან, როგორც ისტორიკოსი კ. ოკუჯავა მიუთითებს, ეს სასახლე ეკუთვნოდათ ქართველ თავადებს ჯაიანების გვარიდან (ოკუჯავა, 2007: 166). XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე დაიწყო აფხაზთა მასობრივი ძალადობრივი ჩასახლება, ჭალას მფლობელი მერაბ ჯაიანი იძულებული გამხდარა გამოქცეულიყო მშობლიური სოფლიდან და კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისათვის შემდეგი შინაარსის წიგნი მიერთმია: „ესე მტკიცე წიგნი მოგართვი თქვენ, კათალიკოზს, ბატონს გრიგოლს ჩვენ, ჯაიანმა მერაბ, ასე რომ ჩვენი ქვეყანა თათრის [ურჯულოების, წარმართების - ს.კ.] ხელად შეიქმნა და მერმე ამხელი კაცი ვარ, იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგეხვეწეთ და წყალობა გვიყავით და ჩვენს სიცოცხლეში დაგვაყენეთ და ჯიქთუბანს [სოფელი ამჟ. სამტრედიის რაიონში - ს.კ.] სამი მოსახლე გლეხი გვიბოძეთ...“ (ოკუჯავა, 2007: 167). თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, ოჩამჩირის რაიონის სოფლების ჭლოუსა და აფხაზური ათარის მცხოვრები აფხაზი ინფორმატორები მას უდასტურებდნენ, რომ ეს სოფლები წარსულში ჯაიანების კუთვნილება ყოფილა. რაც შეეხება წერილობით წყაროში დადასტურებულ ტოპონიმ **ნიჯაინო-ნაჯაიანო**-ს, იგი ზუსტად ისეთივე აგებულებისაა, როგორც ზემოთ განხილული წინა ვითარების გამომხატველი სამეგრელო-აფხაზეთის სხვა ტოპონიმები: **ნაგვაზაუ, ნაჟანეო, ნაპარკაო, ნაკადმელიუ**.

1712 წელს იხსენიება **სახობოში ბია** (ქსმ, III, 1970: 732), ანუ „სახობოს კომში“.

1616-1621 წლებში შედგენილ დოკუმენტში დასტურდება **შანის ღელე** (ქსმ, III, 1970: 475). სავარაუდოდ, ჰიდრონიმს საფუძვლად უდევს პირსახელი **შანა**, რომელიც დასტურდება „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (ქსს, 1967: 141). სახელწოდებიდან ვიგებთ, რომ ღელე ეკუთვნის **შანა** პირსახელის მქონე პირს. თუმცა, უცნობია, რა ნიშნით უნდა მიეკუთვნებინათ შანასთვის ეს ღელე.

ცალკე უნდა განვიხილოთ 1525-1550 წწ. შორის შედგენილ „ბიჭვინტის იადგარში“ მოხსენიებული ოიკონიმები: **აითარნე**, **არუხა** და **რაბიწა**. პირველი ორი ტოპონიმი დღეს არსად გვხვდება არც პირვანდელი და არც შეცვლილი ფორმით. როგორც თ. გვანცელაძე აღნიშნავს, XVI საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის მთავრის მამია III დადიანის სახელით შედგენილი საბუთი უძველესი მოწმობაა ამჟ. აფხაზეთის ჩრდ.-დას. ნაწილში, კერძოდ, გაგრის რაიონში თანამედროვე აფხაზთა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებისა. მისივე აზრით, დოკუმენტში პირველად იხსენიება შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზური ენის ნორმების მიხედვით გაფორმებული ორი ტოპონიმი: **აითარნე** და **არუხა**. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროიდან აფხაზური მოსახლეობა თანდათანობით მრავლდება ჯერ მდინარე კოდორისკენ, შემდგომ კი მდინარე ღალიბგისკენაც, რასაც მოჰყვა ტოპონიმთა მასობრივი ცვლა: ერთი მხრივ, დავიწყებას ეძლეოდა გეოგრაფიულ ობიექტთა ადრინდელი ქართველური სახელები, მეორე მხრივ, აფხაზურ ენაში ლექსიკის სესხების კანონთა საფუძველზე ფონეტიკურად იცვლებოდა ქართველური ტოპონიმები და, მესამე მხრივ, ჩნდებოდა სრულიად ახალი აფხაზური სახელები (გვანცელაძე, 2000: 44). მეცნიერი ტოპონიმ **არუხა**-ს ძირად მიიჩნევს ქართულ **რუხ**-ს (შდრ. **რუხ-ი** - სოფ. ზუგდიდის რაიონში), რომელსაც ერთვის აფხაზურ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსი და ბოლოკიდური უფუნქციო -ა ხმოვანი, რაც ხშირად ემატება აფხაზურში ნასესხებ ფუძეებს - ამგვარი უფუნქციო ა ხმოვნის დართვას ქ. ლომთათიძე **ა-ურ ვოკალიზაციას** უწოდებს (გვანცელაძე, 2010: 70; ლომთათიძე, 1997: 17). ი. კეკელიამ გაიზიარა თ. გვანცელაძის ეს მოსაზრება და დამატებით გამოავლინა **რუხ**- ფუძის შემცველი მეგრული მიკროტოპონიმები: **რუხი** და **რუხი(შ)ღალი** „რუხის ღელე, რუხის მდინარე“ - მინდორი და მდინარე ტალერის

სატყეოში მარტვილის რაიონში⁷. მკვლევარი იქვე იმოწმებს სხვა ფუძეებიან ტოპონიმებსაც (კეკელია, 2015: 76-77), რომლებიც, ჩვენი აზრით, არ უკავშირდება საანალიზო რუხ- ფუძეს. ავტორმა რუხი და რუხიშღალი ტოპონიმების რუხ- ფუძე დააკავშირა მეგრულსავე სიტყვებთან: რუხ-ი // რუხ-უ „როხი; ლოხი; დიდი“, რუხ-უ-ა „ლოდებით შენება“, რუხ-ილ-ი // რუხ-ულ-ი „ლოდებით ნაშენი; დიდი, ლოდის თვისებისა“, რუხ-ულ-ია // რუხ-უ-ია „ლოდივით ვეება“, რუხა „კაწარა (სადურგლო იარაღი, რომლის საშუალებითაც ფიცარზე კიდის გასწვრივ ხაზს ავლებენ, – საფხაჭი, საკაწრისი)“ (ქობალია, 2010: 574) და დაასკვნა, რომ „...ტოპონიმი რუხი და არუხა შეიძლება უკავშირდებოდეს ქვიან, კაწარ, ლოდნარ ადგილს, ქვადორდიან ნიადაგს“ (კეკელია, 2015: 77). ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას იმ დაზუსტებით, რომ რუხა, როგორც სამუშაო იარაღის, კაწარას სახელი, ამ კონტექსტში ვერ ჯდება. ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ 1525-1550 წლებამდე სოფ. არუხა თავიდან ატარებდა ადგილობრივი მეგრელების მიერ შერქმეულ რუხ-ი „დიდი, ვეებერთელა, ლოდისებური“, ან მისგან მომდინარე კნინობითი რუხ-ა ფორმებიდან ერთ-ერთ სახელს და შედიოდა დადიანების სამფლობელოში, „ბიჭვინტის იადგარის“ შედგენის დროისათვის კი სოფელში უკვე იმდენად იყო შეცვლილი ეთნიკურ-ენობრივი ვითარება, რომ ეს სუბსტრატული ტოპონიმი მეორეულად გაფორმდა აფხაზური ა- პრეფიქსით და, შესაძლოა, უფუნქციო - ა ხმოვნით (ა-ური ვოკალიზაცია).

რაც შეეხება სოფლისა და იქვე მდებარე ზეთისხილის მთის აითარნე სახელს, იგი თ. გვანცელაძემ დაუკავშირა საქონლის მფარველ ღვთაება აითარ-ის სახელს, აითარს კი პირველი ადგილი ეჭირა აფხაზურ პანთეონში. ავტორის აზრით, აფხაზურ აითარ-სა და მეგრულ ჟინი ანთარ-ს „ზეციური ანთარი“ ერთი ფუძისგან მომდინარე სახელები აქვთ, მაგრამ საანალიზო ტოპონიმი ნაწარმოებია აფხაზური აითარ ფორმისაგან მატოპონიმებული -ნჲ სუფიქსის დართვით (გვანცელაძე, 2007: 192). ივარაუდება, რომ ეს სუფიქსი ქართულ საბუთში გადმოცემულია -ნე ვარიანტის სახით. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ აფხაზური ღვთაება და მესაქონლეობისა და ნადირთა მფარველი მეგრული ანთარი, აგრეთვე ხევსურული ანატორი ერთი ღვთაებაა და მისი აფხაზური

⁷ ი. კეკელია იმერეთში, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანეში მდებარე სახნავისა და ქვიტირსა და ფარცხანაყანეში არსებული ტყის სახელად შეცდომით იმოწმებს ტოპონიმ რუხი[ს]ტყე-ს. თ. გვანცელაძემ, რომლის დედუღეთიც ფარცხანაყანეშია, დაგვიზუსტა, რომ ამ სოფელსა და მეზობელ ქვიტირში სინამდვილეში არსებობს ტოპონიმი რუხი[ს]ტყე.

სახელი აფხაზ-აფსუებს აფხაზეთში დამხვედური მეგრული მოსახლეობისაგან უნდა შეეთვისებინათ: მეგრ. **ანთარი** > **ალთარი** > **აფხაზ**. **აითარ** (ჯავახიშვილი, 1979: 123; გასვიანი, 2011: 224). ამ აზრს იზიარებს ი. კეკელია და ვარაუდობს, რომ ნამეგრელარი სახელი **აითარნე** აფხაზებს თან უნდა წაეღოთ და მისი მინაბადია ოჩამჩირის რაიონში, მდინარე კოდორის ნაპირას მდებარე სოფელ **ათარა**-ს სახელი (კეკელია, 2015: 73), რაც ლინგვისტურად ნაკლებდამაჯერებელია და მოითხოვს მყარ არგუმენტებს. ამრიგად, ტოპონიმის ისტორია ასეთია: მეგრ. **ანთარ-ი** > **ალთარ-ი** > **აითარ-ი** > **აფხაზ**. **აითარ** > **აითარ-ნე** > ქართ. **აითარნე**.

„ბიჭვინტის იადგარში“ ხსენებული **რაბიწა** ოიკონიმი დღესაც არსებობს ოდნავ განსხვავებული სახელით - **რაფიწა** ეწოდება სოფელს გაგრის რაიონის ლიძავის თემში. კ. ოკუჯავამ მისი პირველი სეგმენტი დაუკავშირა ქართ. **რაბო**, სვან. **რაბ** და მეგრ.-ლაზ. **რობუ** // **რუბა** „ხევი, ჩაღრმავებული ადგილი“ სიტყვებს, ხოლო მეორე ნაწილად ჩათვალა ხ. ბლაჟბას მიერ გამოყოფილი აფხაზური წა „ქვეშ“ სეგმენტი, ანუ, მისი ფონეტიკურ-მორფოლოგიურად დაუსაბუთებელი ერთი ვარაუდით, **რაბიწა** // **რაფიწა** ნიშნავს „რაფის ქვეშ, რაფის ფსკერზე“, მეორე ვარაუდით კი სახელი შეიცავს ლაზურ კნინობითობის -**ეწა** // -**იწა** სუფიქსს და ნიშნავს „პატარა ხევს“ (ოკუჯავა, 2002: 77). სამ ვარაუდს გვთავაზობს ი. კეკელია: 1. იმერ.-მეგრ. **რაბი** „ოდროჩოდრო ადგილი“ + **წყარი** > **წალი** > წა „წყალი“; 2. მეგრ. **რაბი** // **რაბო** „ხევი, ჩაღრმავებული ადგილი“ + **წყარი** > **წალი** > წა „წყალი“; 3. **რაბი** // **რაფი** // **რეფი** „საწისქვილე არხის სათავე ნაგებობა, მცირე კაშხალი სარწყავ არხზე“ + **წყარი** > **წალი** > წა „წყალი“ (კეკელია, 2015: 79). ვფიქრობთ, ამ ვარიანტთაგან ყველაზე დამაჯერებელი პირველი უნდა იყოს და ტოპონიმის თავდაპირველ სემანტიკად საგულვებელია „ოდროჩოდრო ადგილას გამავალი წყალი“.

ძირითადი დასკვნები

1. საკვლევ დოკუმენტებში, ძირითადად გამოვლინდა მამაკაცთა სახელები. ქალთა სახელების გამოყენების რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა მაშინ, როცა მოიხსენიებიან ბიბლიური პერსონაჟები, ან დიდებულთა ოჯახის წევრები. ეს სახელებია: ანნა, ევა, ეკატერინე, ელენე, მარიამ. ყველა მათგანი ქრისტიანულ-კანონიკური ანთროპონიმია.
2. XVI-XVIII საუკუნეების საბუთებიდან ირკვევა, რომ მიუხედავად ქრისტიანული კალენდარული სახელების დამკვიდრებისა, ქართველურ ნიადაგზე წარმოქმნილი ანთროპონიმები დავიწყებას არ მისცემია. 401 ერთეულიდან 54 კანონიკური პირსახელია, რომლებიც ხშირად მეორეული ვარიანტებითაც დასტურდება, ხოლო დანარჩენი 350 - არაკანონიკურია. კალენდარული პირსახელების პირველადი ფორმები არცერთ შემთხვევაში არ გამოიყენება დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებში. ისინი დასტურდება ძირითადად სამ შემთხვევაში, როდესაც ჰქვიათ: 1. წმინდანებს; 2. სასულიერო პირებს; 3. დიდებულებს. ესენია: აბრამ, ანდრია, ანტონი, ბაგრატ, ბესარიონ, გიორგი, გრიგოლ, იოანე, მაქსიმე, პეტრე, ფილიპე და სხვ. დაბალი სოციალური წრის პირებს ხშირად ჰქვიათ კანონიკურ სახელთაგან აფიქსაციით, ან ფუძის გამარტივებით ნაწარმოები მეორეული ვარიანტები: აბრამ-ა-ი, გოგ-ია // გოგი-სა // გოგი // გიგო, ივანე // ივანე-კა // იანე // ივანი-ა // ივან-ა // ივან-ა-ია; პეტრე-ია და სხვ.
3. დაბალი წრეებში დასტურდება უპირატესად მეგრული გამჭვირვალე პირსახელები, რომლებსაც აქვთ სემანტიკურ-ემოციური ნიუანსები. მათ შორისაა ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების, გრძნობების, თვისების, სოციალური მდგომარეობის და სხვ. თვისებათა გამომხატავი ანთროპონიმები. უხვადაა ნაზმნარი ანთროპონიმები, რომლებიც თითქმის მზა ფრაზებს წარმოადგენენ: გემჭიშია, გირდი, მირჩქილია, ინგარია, მიძირუდა, გოკურცხია, მომარდია, იშამორთი და ა.შ. გამჭვირვალე ანთროპონიმთა გვერდით გამოვლინდა გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე პირსახელები: ამაწყაპა, აფრასუხუ, ბიძაბი, გამახადი, ელიჯარ, თალიბერი, იონადი, ისაგიჯუ, ისორთუდი, კაჭუ, კვაბალია, ლახუ, საბაკუ, სპაჭკუ, ქაღარა, ჯამარიბა.
4. არაკანონიკურ პირსახელთა უმრავლესობა მეტსახელის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, ვინაიდან, განხილული მასალა ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში

ფიქსირდება, შესაბამისად, მათში დასახელებული ყოველი პირის სახელი ოფიციალურ პირსახელად აღიქმება.

5. საყურადღებოა, რომ უკლებლივ ყველა გამჭვირვალე არაკანონიკური ანთროპონიმი ქართველური წარმოშობისაა. მათი გავრცელების არეალი უწყვეტად მოიცავს ვრცელ ტერიტორიას მდ. ცხენისწყლიდან მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირის ჩათვლით. ამ პირსახელთა მტარებლებს, გარდა სამეგრელოს რაიონების სოფლებისა, უცხოვრიათ აწინდელი აფხაზეთის მიწაზე მდებარე ქართულ სოფლებში (გუფუ, თილითი, ნაჟანეული, ოხური, ტყაურუ, ჭალა (ჭლოუ), ხაუჟელი...), რაც მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთი ოდითგანვე დასახლებული იყო ქართული მოსახლეობით.

6. გვარსახელთა წარმოქმნის გზები საკმაოდ მრავალფეროვანია. 212 გვარსახელიდან უმრავლესობას საფუძვლად უდევს ქართველური, ან გაქართულებული აპელატივებისაგან წარმოქმნილი სახელები, რომლებიც იწარმოებიან სხვადასხვა სუფიქსთა საშუალებით. ორივე მხარეში ფუნქციონირებდა ყველა ის დაბოლოება, რომლებიც მიჩნეულია მეგრულ გვარსახელთა მაწარმოებლებად: -ია < -იან // ი-ა < ე-ა, -უა < უ-ა // -უ-ა < ო-ა, -ვა, -ში, -სქირ, -სქუა, -ბერი < ბერე. ისინი ქართული წარმოშობისაა და მათ შორის არ დასტურდება აფხაზური წარმომავლობის არცერთი მაგვარსახელებელი დაბოლოება. მაშასადამე, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა იმ დროს ბლომად იყო და ატარებდა გვარსახელთა ეროვნულ მოდელებს.

7. მხოლოდ ქართული ტოპონიმიის საფუძველზეა შექმნილი სადაურობის სახელებისაგან მიღებული, ანუ ტოპონიმიზებული გვარსახელები.

8. ქართული საეკლესიო საბუთების დიდი მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ მათში დოკუმენტირებულია ქართველური წარმომავლობის ისეთი გვარსახელები, რომლებიც დღეს უკვე აღარ არსებობს. ესენია: არტონია, დამაკოჩია, ტოროჯია, თიფშუა, თუთაშხია, კაკუა, კაპარჭია, კოდარია, მითანაფია, მჭიფია, ჟვანესკირია, რუსაყია, სალდაყია, ფიცხუა, ფაცხლია, ღვაჭაჭია, ღრუბლაია, ღუამჭითავა, შამბია, ცისტარია, წაწულუა, ხისტარია, ხერაკია, ჯოდორია...

9. XVI-XVIII საუკუნეებში შედგენილ ქართულ საეკლესიო საბუთებში საკვლევ ტერიტორიაზე დადასტურდა 67 ტოპონიმი: ქორონიმები, პოლისონიმები და ოიკონიმები. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ 67 ტოპონიმიდან 23 (34,3%)

გავრცელებული იყო ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი 44 კი - სამეგრელოში.

10. აფხაზეთის ტერიტორიაზე ადრე გავრცელებულ ტოპონიმთა არეალი მოიცავს უწყვეტ ტერიტორიას მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირიდან მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირის ნაწილამდე, გამონაკლისია ამჟამინდელი ბიჭვინთა და გაგრის რაიონის მიწაზე არსებული სამი სოფელი (**აითარნე, არუხა და რაბიწა**). ბიჭვინთის ხშირი ხსენება ლოგიკურია, რადგან იგი ოფიციალური რეზიდენცია იყო აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსებისა. საბუთების ამგვარი არეალი იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ საბუთების უმრავლესობა შედგენილია XVII საუკუნეში, როცა აფხაზთა წინაპრები უკვე მასობრივად სახლობენ მდ. კოდორის მარჯვნივ მდებარე მიწაზე და აქ ვერ ვრცელდება ქართული ეკლესიის მოქმედება მოსულთა წარმართობისა და მაჰმადიანობის გამო. სწორედ ეს მიზეზი განაპირობებდა იმას, რომ საბუთებში საერთოდ არ იხსენიება ამჟ. სოხუმისა და გუდაუთის რაიონების გეოგრაფიული სახელები და მწირად ფიქსირდება გულრიფშისა და გაგრის რაიონების ტოპონიმია - აქ არ იყვნენ ქრისტიანები, წარმართებსა და მაჰმადიანებს კი ეკლესიის წინაშე ვალდებულებები არ ეკისრებოდათ.

11. გეოგრაფიული სახელების უმრავლესობა ენობრივად განეკუთვნება სამწიგნობრო ქართულ და მეგრულ ონომასტიკონს. მათი ნაწილი დღეს უკვე ფონეტიკურად არის ადაპტირებული, ან გადააზრიანებულია აფხაზურ ენაზე. ამგვარია: **ჭალა** (> აფხაზ. **ჭლოუ**), **გუფუ** (> აფხაზ. **გუფ**), **თილითი** (> აფხაზ. **თლგთ-აბაა** „თილითის ციხე“), **ილორი** (> აფხაზ. **ელგრ**), **ხოირი** // **ოხურეი** (> აფხაზ. **ოხარე**), **ხაუყელი** (> აფხაზ. **ხოჯალ**), **მარმარისკარი** (> აფხაზ. **მარმალ-აბაა** „მარმალის ციხე“), **ღალიძგა** (> აფხაზ. **ააღძგა**), **ანარიას ღელე** (> აფხაზ. **ანარია**), **მუხური**, **ბიჭვინტა**, **საჩინო**. ისტორიულ ქართულ ტოპონიმთა ნაწილი ამჟამად უკვე არ არსებობს. ესენია: **წამხარი**, **სუბეიში** // **სუბე** // **სუბეი** // **სუბვი**, **ნაჟანეული** // **ნაჟანევი** // **ნაჟანეო** // **ნაჟანაური**, **ნაკადმელიუ**, **ღაჩუ**, **ტყაურუ** // **ტყავრუ**. ქართველურ ტოპონიმთა სიმრავლეს ვერ მივაწერთ განხილული იურიდიული დოკუმენტების დამკვეთთა და შემდგენლების (კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა) თვითნებობასა და ანტიაფხაზურ განწყობას, ვინაიდან გამოვლენილ ტოპონიმთა ამჟამინდელი აფხაზური ვარიანტების ქართველურ წარმომავლობას ამტკიცებს როგორც მათი მორფოლოგიურ-

სემანტიკური თავისებურებანი, ისე აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათესხების წესების გათვალისწინება, რაც გამორიცხავს ამ სახელთა აფხაზურ წარმომავლობას.

12. გაანალიზებული 67-ვე ძველი ტოპონიმის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ საფუძვლად უდევს ქართული სამწიგნობრო ენის, ან მეგრული კილოს კუთვნილი აპელატივები, სახელები და გვარები, რომლებიც ნაწარმოებია სამწიგნობრო ქართული ენის, ან მეგრული ტოპოფორმანტების გამოყენებით.

13. ტოპონიმთაგან მხოლოდ ორი სახელია ისეთი, რომელთა ძირებიც მეგრულია, მაგრამ გაფორმებულია აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარით. ეს არის ამჟ. გაგრის რ.-ის მიწაზე ფიქსირებული სოფლების სახელები: აითარნე (< აითარ-ნე < მეგრ. თეონიმი აითარ-ი < ალთარ-ი < ანთარ-ი) და ა-რუხ-ა (მეგრ. რუხ-ა // რუხ-ი „დიდი, ვეებერთელა, ლოდისებური). ისინი ცხადად ასახავენ ამ მიწაზე ეთნიკურ-ენობრივი ვითარების ცვლას.

14. ის ფაქტი, რომ ამჟ. სამეგრელო-აფხაზეთის მიწაზე ძველ საბუთებში დადასტურებული ტოპონიმები ძირეულად ქართველურია და გაფორმებულია ქართველური აფიქსებით, გვიბიძგებს იმ მთავარი დასკვნისაკენ, რომ XVI-XVIII საუკუნეებში ენგურ-კოდორის შუამდინარეთში ჯერ კიდევ არსებობდა ერთიანი ქართველური ტოპონიმიკური სივრცე, რომელიც არ იყო შემღვრეული მოსულ აფხაზთა დედაენის ფონოტაქტიკური და ტოპონიმიკური მოდელებით, რასაც ადასტურებს იმავე პერიოდში სხვა წერილობით თუ კარტოგრაფიულ წყაროებში ასახული ისეთი ოიკონიმებიც, როგორიცაა: ბედია, წიფურია, სკურჩა, მოქვი, დანდრა (დრანდა), ფშია, სკურ-ის თურქიზებული ისკურია ვარიანტი, კვიტოული // პიტაური, კამულეთი, თხალარი, მარცხული, ზეგანი, მარგულა // მერკულა, ოქუმი, ფუწყური, ხეთი, გაგიდა, ოლუმე, სათამაშა, წყურგილი-სპურგილი, ტკვაჯა, პაპათი, წარჩე, ჩხორთოლი, ბარღეფი, ნაბაკია, გოგიელი, ჟირპიჯი, სათანჯო და სხვ. გაანალიზებული ტოპონიმები ქმნიან ზუსტად იმავე მორფოლოგიურ-სტრუქტურულ მოდელებს, რაც დღემდეა დამახასიათებელი სამეგრელოს ტოპონიმიისათვის და გრძელდება ენგურ-კოდორის შუამდინარეთის ტერიტორიაზეც. იმდროინდელი და ამჟამინდელი მორფოლოგიური ინვენტარიც არ ქმნის არავითარ სხვაობას. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ XVI-XVIII

საუკუნეებში შედგენილი საეკლესიო საბუთები აბსოლუტური სიზუსტით ასახავენ ქართველურ სინამდვილეს.

15. შუა საუკუნეთა საეკლესიო საბუთებში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ომონასტიკური ერთეულები (პირსახელები, გვარები და ტოპონიმები) უნდა ჩაითვალოს იმ სუბსტრატულ ფენად, რომელიც დახვდა აქ მოსულ აფხაზთა წინაპრებს და დაილექა მათ დედაენაში და მცირედი ცვლილებით მოაღწია დღემდე.

ამრიგად, ქართული საეკლესიო საბუთების კვლევამ აჩვენა, რომ XVI საუკუნემდე ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე არ ჩანს არაქართული მოსახლეობის ბინადრობის არანაირი კვალი არც პირსახელებში, არც გვარებსა და არც ტოპონიმებში. ეს მხარე სამეგრელოს ონომასტიკური სივრცის უშუალო ორგანული გაგრძელება იყო.

დამოწმებული ლიტერატურა

1. **აბულაძე, 1973:** აბულაძე, ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973;
2. **აფრიდონიძე, 1987:** აფრიდონიძე, შ. ზანური ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანია ტიპის გვარების შესახებ), ონომასტიკა, I, აკად. შ. ძიმგურის რედაქციით, თბ., 1987;
3. **აფრიდონიძე, 1988:** აფრიდონიძე, შ. „თუნდა წაბლიანს დავარქმევ...“ ჟურნ. „ბალავერი“ , 2-3, თბ., 1988;
4. **ახალაძე, 2005:** ახალაძე, ლ. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), I, თბ., 2005;
5. **ბაგრატონი, 1997:** ბაგრატონი, ი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). ზურაბ კაცელაშვილის რედაქციით. თბ., 1997;
6. **ბედოშვილი, I, 2002:** ბედოშვილი, გ. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით - ეტიმოლოგიური ლექსიკონი. I, თბ., 2002;
7. **ბედოშვილი, 2013:** ბედოშვილი, გ. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით - ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 2013;
8. **ბერაძე, 1967:** ბერაძე, თ. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1967;
9. **ბერაძე, 1971:** ბერაძე, თ. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. „მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის სერია“, #3, 1971;
10. **ბერაძე, IV, 1971:** ბერაძე, თ. ვახუშტი ბაგრატონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971;
11. **ბერაძე, 2013:** ბერაძე, თ. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი XVII საუკუნის 50-იანი წლების იტალიური რუკების მიხედვით. ქართვეური ონომასტიკა, VI, თბ., 2013;
12. **ბერიძე, 1992:** ბერიძე, მ. ჯავახეთი (ტოპონიმური ანალიზი), თბ., 1992;
13. **ბერძენიშვილი, I, 1940:** დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. XV-XVIII სს. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1940;

14. **ბერძენიშვილი, 1953:** დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1953;
15. **ბუკია, 2000:** ბუკია, მ. მეგრულ - აფხაზური მწყემსური ლექსიკა თ. სახოკიას ნაშრომში „სამურზაყანო“ . არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, თბ., 2000;
16. **ბუკია, 2013:** ბუკია, მ. მეგრულ პირსახელთა წარმოების თავისებურებებისათვის, ქართველური ონომასტიკა, VI, თბ., 2013
17. **ბლაჟბა, ლაკობა, 2006:** О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. Сухум[и], 2006;
18. **გაგულაშვილი, 1993:** გაგულაშვილი, ი. ქართული გვარები. საკუთარი სახელები. ქუთაისი, 1993;
19. **გამყრელიძე, ივანოვი, 1984:** Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы. II. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры. Тб., 1984;
20. **გასვიანი, 2011:** გასვიანი გ. აფხაზეთი ისტორიული საქართველოა. ტბ., 2011.
21. **გვანცელაძე, 2005:** გვანცელაძე, გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. ნაწილი I. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. თბ., 2005;
22. **გვანცელაძე, XI, 2007:** გვანცელაძე, გ. ქართულ ტოპონიმთა ერთი ტიპის ისტორიისათვის. ქართველური მემკვიდრეობა, XI, 2007;
23. **გვანცელაძე, 2009:** გვანცელაძე, გ. ადამიანი და ცხოველები. ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკის პრაგმატული ლექსიკონი, თბ., 2009;
24. **გვანცელაძე, 2009:** გვანცელაძე, გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. ნაწილი II. თბ., 2009;
25. **გვანცელაძე, 2015:** გვანცელაძე, გ. ქრისტიანულ კანონიკურ ანთროპონიმთაგან მომდინარე მეორეული პირთა სახელები ქართულ გვარსახელებში ისტორიულ იურიდიულ დოკუმენტთა მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სერია, XIII, 2015;
26. **გვანცელაძე, 2015:** გვანცელაძე, გ. კვლავ ჰიდრონიმ კოდორის ეტიმოლოგიისათვის, ქართველური ონომასტიკა, VII, თბ., 2015;
27. **გვანცელაძე, 2000:** გვანცელაძე, თ. „არტანუჯი“, საისტორიო ჟურნალი, თბ., 2000;

28. **გვანცელაძე, 2000:** გვანცელაძე, თ. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. იბერიულ-კავკასიური ენათმცნიერება, XXXIV, თბ., 2000;
29. **გვანცელაძე, 2003:** გვანცელაძე, თ. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. 1. თბ., 2003;
30. **გვანცელაძე, 2007:** თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. კრებ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბ., 2007;
31. **გვანცელაძე, 2008:** გვანცელაძე, თ. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. თბ., 2008;
32. **გვანცელაძე, 2009:** გვანცელაძე, თ. რა ენაზე ლაპარაკობდნენ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე ახ. წ. VII საუკუნემდე? ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2009;
33. **გვანცელაძე, 2010:** გვანცელაძე, თ. ბა მარცვლის შემცველ ქართულ პირსახელთა და გვარსახელთა წარმომავლობისა და -ობა, -ება, -იბა, -(ა)ბა სუფიქსთა რაობის საკითხისათვის. ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრ., N2, თბ., 2010;
34. **გვანცელაძე, 2011:** გვანცელაძე, თ. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011;
35. **გვანცელაძე, 2013:** გვანცელაძე, თ. აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიის გაყალბების მორიგი მცდელობის შესახებ. ქართველური ონომასტიკა, VI, თბ., 2013;
36. **გვანცელაძეები, 2015:** გვანცელაძე გ., გვანცელაძე თ. აფხაზეთის ტოპონიმები შუა საუკუნეთა ევროპულ პორტოლანებზე. ონომასტიკური კრებული. ახალციხე, 2015.
37. **გითოლენდია, 2008:** გითოლენდია, თ. ქართველურ გვარსახელთა ხელახალი გაფორმების მაგალითები მუჰაჯირთა 1867 წლის სიის მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, V, თბ., 2008

38. **გითოლენდია, 2009:** გითოლენდია, თ. დაბოლოებამოკვეცილი ქართველური გვარსახელები 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში, საერთშორისო სამეცნიერო კრებული „მარჯი“, N2, თბ., 2009
39. **გითოლენდია, 2010:** გითოლენდია, თ. -უა დაბოლოებიანი დღეისათვის გამქრალი ქართველური გვარსახელები აფხაზ მუჰაჯირთა სიაში, საერთშორისო სამეცნიერო კრებული „მარჯი“, N3, თბ., 2010;
40. **გოდერძიშვილი, 2012:** გოდერძიშვილი, ქ. ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები, თბ., 2012;
41. **გუდავა, 1964:** გუდავა, ტ. მერცხალი (ეტიმოლოგიური ძიება). იკვ, XVI, 1964;
42. **დსწ, II, 1980:** დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX – XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ., 1980;
43. **ელიავა, 1977:** ელიავა, გ. აზაშისა და გეგეჰკორის რაიონების ტოპონიმისა, თბ., 1977;
44. **ელიავა, 1989:** ელიავა, გ. სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989;
45. **ვახუშტი, 1941:** ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941;
46. **ზურაბიშვილი, 1961:** ზურაბიშვილი, თ. ტოპონიმის შესწავლისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961;
47. **თოფურია, 1979:** თოფურია, ვ. შრომები, III, თბ., 1979;
48. **თოფჩიშვილი, 1997:** თოფჩიშვილი, რ. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ., 1997;
49. **თოფჩიშვილი, 2000:** თოფჩიშვილი, რ. ქართული ანთროპონიმული მოდელი წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000;
50. **თოფჩიშვილი, 2003:** თოფჩიშვილი, რ. ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წ. I. თბ., 2003;
51. **იმნაიშვილი, 1971:** იმნაიშვილი, ივ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 14. თბ., 1971;
52. **ინგოროყვა, 1941:** ინგოროყვა, პ. სვანეთის საისტორიო ძეგლები. 2. ტექსტები. თბ., 1941;

53. **ინგოროყვა, 1954:** ინგოროყვა, პ. გიორგი მერჩულე, თბ., 1954;
54. **კასლანძია, I, 2005:** В.А. Касландзия. Абхазско-русский словарь. Т. I. Сухум[и], 2005;
კასლანძია, II, 2005 - В.А. Касландзия. Абхазско-русский словарь. Т. II. Сухум[и], 2005.
55. **კეკელია, 2012:** კეკელია, ი. ოდიშარია, დ. სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2012;
56. **კეკელია, 2013:** კეკელია, ი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიიდან (სიდა, სუბეიში / სუბვი, წყაბა). ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი, 2013;
57. **კეკელია, 2014:** კეკელია, ი. ოდიშის ისტორიული ტოპონიმიიდან. კონსტანტინე კაპანელის (ჭანტურიას) დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2014;
58. **კეკელია, 2015:** კეკელია, ი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიიდან (აითარნე, არუხა და რაბიწა). ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრებული, №7. თბ., 2015;
59. **კეკელიძე, 1951:** კეკელიძე, კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951;
60. **კვარჭია, 2002:** ვ. კვარჭია. აფხაზეთის ტოპონიმიკა. სოხუმი, 2002 (აფხაზურ ენაზე);
61. **კვარჭია, 2006:** В.Е. Кварчия. Историческая и современная топонимия Абхазии (Историко-этимологическое исследование). Сухум[и], 2006;
62. **კვაჭაძე, 1993:** კვაჭაძე, ლ. ქართული ენა, თბ., 1993;
63. **კიზირია, 1985:** კიზირია, ა. წარმომავლობის სახელები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. იკე, XXIII, თბ., 1985;
64. **ლამბერტი, 2011:** ლამბერტი, ა. სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011;
65. **ლმგ, 2015:** ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემეშიში, მ. ჩუხუა „ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, თბ., 2015;
66. **ლომთათიძე, 1976:** ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1976;
67. **ლომთათიძე, 1984:** ლომთათიძე, ქ. კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში. თბ., 1984;

68. **ლომთათიძე, 1987:** ლომთათიძე, ქ. „ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის -ია სუფიქსის საკითხი ქართულში“, იკე, XXVI, თბ., 1987;
69. **ლომთათიძე, 1989:** ლომთათიძე, ქ. ფოთის სახელწოდებისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული. XVI, თბ., 1989;
70. **მაისურაძე, 1965:** მაისურაძე, ი. „ბერ“ ძირი ქართულ სახელ-გვარებში. „მაცნე“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1, თბ., 1965;
71. **მაისურაძე, 1981:** მაისურაძე, ი. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981;
72. **მაისურაძე, 1990:** მაისურაძე, ი. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990;
73. **მარი, 1936:** Марр. Н.Я. О языке и истории абхазов. Ленинград, 1936;
74. **მალრაძე, 2006:** მალრაძე, ვ. ქართველური ტოპონიმებისა და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბ., 2006;
75. **მესხია, 1967:** მესხია, შ. „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკ. შანიძის 80 წლისთავისადმი, თბ., 1967;
76. **მიზჩუანი, 1999:** მიზჩუანი, თ. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ., 1999;
77. **ნოდია, 2010:** ნოდია, ლ. სუჯუნას ისტორიულ-გეოგრაფიული ფრაგმენტები. თბ., 2010. <http://saunje.ge/index.php?id=661&lang=en>.
78. **ოკუჯავა, 2007:** ოკუჯავა, კ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში. „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე“. თბილისი, 2007;
79. **ონიანი, 1989:** ონიანი, ა. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია). თბ., 1989;
80. **ონიანი, 1979:** ონიანი, ჯ. სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის „მოამბე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1979;

81. **ორბელიანი, I, 1991:** ორბელიანი, ს. ს. ლექსიკონი ქართული, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევათა და განმარტებათა ლექსიკის სამიუბელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1991;
82. **ორბელიანი, II, 1993:** ორბელიანი, ს. ს. ლექსიკონი ქართული, II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევათა და განმარტებათა ლექსიკის სამიუბელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1993;
83. **პალ, I, 1991:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გამოსაც. მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა; [ტომის რედ.: მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი]. თბ., 1991;
84. **პალ, II, 1993:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, გამოსაც. მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ; [რედ.: ე. ცაგარეიშვილი]. თბ., 1993;
85. **პალ, III, 2004:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, მასალები შეკრიბეს და გამოსაც. მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა; ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ; ტომის რედ.: ზაზა ალექსიძე. თბ., 2004;
86. **პალ, IV, 2007:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაც. მოამზადეს: გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ და სხვ. ; ტომი შეადგინეს და რედ. გაუკეთეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. თბ., 2007;
87. **პალ, V, 2015:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდლობაძემ, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ; ტომი შეადგინა და რედ. გაუკეთა მზია სურგულაძემ; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბ., 2015;
88. **ჟორდანია, 1897:** ჟორდანია, თ. ქრონიკები. ტ. II, თბ., 1897;
89. **როგავა, 1955:** როგავა, გ. ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის. აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955;
90. **როგავა, 1960:** როგავა, გ. ზოგი გეოგრაფიული სახელის (ოჩემჩირე, ტყაურე) შედგენილობისათვის. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, თბ., 1960;

91. **როგავა, 1970:** როგავა, ჯ. მეუნარგიათა გვარის წარმოშობის შესახებ. ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, # 2, 1970;
92. **სარჯველაძე, 1997:** სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენა. თბ., 1997;
93. **სილაგაძე, თოთაძე, 1997:** სილაგაძე, ა., თოთაძე, ა. გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997;
94. **სულავა, 2016:** სულავა, ნ. სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია (სტრუქტურულ - სემანტიკური და ფონეტიკური ანალიზი). სადოქტორო დისერტაცია. თბ., 2016;
95. **სწმ, I, 1986:** სვანეთის წერილობითი ძეგლები. ისტორიული საბუთები და სულთა მატთანები. I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბ., 1986;
96. **სწმ, II, 1988:** სვანეთის წერილობითი ძეგლები. II. ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბ., 1988;
97. **ტსმ, 1977:** ტბეთის სულთა მატთანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ. თბ., 1977;
98. **ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:** ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000;
99. **ფუტკარაძე, 1998:** ფუტკარაძე, ტ. „თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა“, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998;
100. **ფუტკარაძე, 1999:** ფუტკარაძე, ტ. „სონანტების ალოფონთა ასახვისათვის ასომთავრულში (სამეტყველო კოდების შერევის ერთი ნიმუში)“, ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999;
101. **ფუტკარაძე, 2005:** ფუტკარაძე, ტ. ქართველები. ნაწილი I. ქრისტიანობამდელი ეპოქა. თბ., 2005;
102. **ქალდანი, 1980:** ქალდანი, მ. -ელ / -ავ სუფიქსის საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში, იკე, XXII, თბ., 1980;
103. **ქაჯაია, I, 2001:** ქაჯაია, ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, 2001;
104. **ქაჯაია, II, 2002:** ქაჯაია, ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 2002;
105. **ქაჯაია, III, 2002:** ქაჯაია, ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, 2002;
106. **ქეგლ, 1951:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბ., 1951;

107. **ქეგლ, IV, 1955:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, 1955;
108. **ქეგლ, VIII, 1965:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.VIII, თბ., 1965;
109. **ქეგლ, 1986:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბ., 1986;
110. **ქემმელ, 1988:** ჯორბენაძე, ბ., კობაიძე, მ., ბერიძე, მ. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988;
111. **ქობალია, 2010:** ქობალია, ა. მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010;
112. **ქსე, 1987:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987;
113. **ქსძ, II, 1965:** ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965;
114. **ქსძ, III, 1970:** ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970;
115. **ქსძ, V, 1974:** ქართული სამართლის ძეგლები, V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1974;
116. **ქსძ, VI, 1977:** ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII - XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977;
117. **ქსძ, VIII, 1985:** ქართული სამართლის ძეგლები, VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. შემდგ. დ. მეგრელიძე. თბ., 1985;
118. **ქც, II, 1959:** ქართლის ცხოვრება. II, თბ., 1959;
119. **ქც, IV, 1973:** ქართლის ცხოვრება. IV, თბ., 1973;
120. **ქცტლ, 2013:** ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013;
121. **ქწ., I, 1987:** ქართული მწერლობა, I, თბ., 1987;
122. **ღლონტი, 1967:** ღლონტი, ალ. ქართველური საკუთრი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბ., 1967;
123. **ღლონტი, 1986:** ღლონტი, ალ. ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბ., 1986;

124. **ღლონტი, 1988:** ღლონტი, ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988;
125. **ყაუხჩიშვილი, 1925:** ყაუხჩიშვილი, ს. ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში. არილი. ტფ., 1925;
126. **ყიფშიძე, 1994:** ყიფშიძე, ი. რჩეული თხზულებანი, თბ., 1994;
127. **შანიძე, 1958:** შანიძე, აკ. ეტიმოლოგიური შენიშვნები **ჯაკონია** („კერპი“). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XX, №5. თბ., 1958;
128. **შანიძე, 1962:** შანიძე, აკ. ქართული ენის გრამატიკა, I. მორფოლოგია. თბ., 1962;
129. **შანიძე, 1973:** შანიძე, აკ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973;
130. **შანიძე, 1981:** შანიძე, აკ. ვინაობის სუფიქსი **არ** ქართულ ენაში. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. თბ., 1981;
131. **ჩანტლაძე, 2012:** ჩანტლაძე, ი. კვლავ „**კოდორ**“-ის ეტიმოლოგიისათვის. წიგნში: ი. ჩანტლაძე. ქართველური ლექსიკის ისტორიიდან. თბ., 2012;
132. **ჩიქოზავა, 2008:** ჩიქოზავა, არნ. შრომები, IV. ჭანურ - მეგრულ - ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 2008;
133. **ჩუხუა, 2000-2003:** ჩუხუა, მ. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბ., 2000-2003;
134. **ცხადაია, 1967:** ცხადაია პ. ლე-ე და სა-//სა-ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან სამეგრელოში. ტოპონიმოკა, I, თბ., 1967;
135. **ცხადაია, 1974:** ცხადაია, პ. ნა- პრეფიქსის ფუნქციისათვის მთიანი სამეგრელოს ანთროპოტოპონიმებში. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1974;
136. **ცხადაია, 1985:** ცხადაია, პ. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985;
137. **ცხადაია, 1988:** ცხადაია, პ. ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1988;
138. **ცხადაია: 1999:** ცხადაია, პ. ტოპონიმოკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე. ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999;
139. **ცხადაია: 1999:** ცხადაია, პ. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, I, თბ., 1999;

140. **ცხადია, 2000:** ცხადია, პ. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000;
141. **ცხადია, 2000:** ცხადია, პ. ტოპონიმური ვითარება სამურზაყანოში. საისტორიო ჟურნალი „არტანუჯი“ თბ., 2000;
142. **ცხადია, ჯოჯუა, 2003:** ცხადია, პ., ჯოჯუა, ვ. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003;
143. **ცხადია, 2004:** ცხადია, პ. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004;
144. **ცხადია, 2005:** ცხადია, პ. ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005;
145. **ცხადია, 2005:** ცხადია, პ. ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005;
146. **ცხადია, IV, 2008:** ცხადია, პ. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV (ჩხოროწყეს რ.), თბ., 2008;
147. **ცხადია, 2012:** ცხადია, პ. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), IV, თბ., 2012;
148. **ჭარაია, 1997:** ჭარაია, პ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997;
149. **ჭუმბურიძე, 1987:** ჭუმბურიძე, ზ. დედაენა ქართული, თბ., 1987;
150. **ჭუმბურიძე, 1992:** ჭუმბურიძე, ზ. რა გქვია შენ? თბ., 1992;
151. **ჭუმბურიძე, 1998:** ჭუმბურიძე, ზ. ეთნონიმური გვარები ქართულში. ქართველური მემკვიდრეობა, II, 1998;
152. **ჭყონია, 1910:** ჭყონია, ი. სიტყვის კონა, სანკტ-პეტერბურგი, 1910;
153. **ხორავა, 2004:** ხორავა, ბ. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბ., 2004;
154. **ხორავა, 2007:** ხორავა, ბ. XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე“. თბილისი, 2007;
155. **ხორავა, 2013:** Хорава Б. Мухаджирство абхазов 1867 года. Тбилиси, 2013;
156. **ხორავა, 2014:** ხორავა, ბ. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბ., 2014;
157. **ხორნაული, 1994:** ხორნაული, 1994: ხორნაული, გ. ქართული გვარების საკითხი. ონომასტიკური კრებული, თბ., 1994;
158. **ხორნაული, 2003:** ხორნაული, გ. ქართული ონომასტიკა, თბ., 2003;
159. **ჯავახიშვილი, 1937:** ჯავახიშვილი, ივ. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი, 1937;

160. **ჯავახიშვილი, 1950:** ჯავახიშვილი, ი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950;
161. **ჯავახიშვილი, 1979:** ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად. ტ. I. თბ., 1979;
162. **ჯავახიშვილი, 2012:** ჯავახიშვილი, ი. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 2012;
163. **ჯანაშია, 1937:** ჯანაშია, ს. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მოამბე“, I, თბ., 1937;
164. **ჯანაშია, 1940:** ჯანაშია, ს. ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში (ისტორიული პრობლემები ქართული ონომასტიკონის სინათლეზე). სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. 1, #8. თბ., 1940;
165. **ჯანაშია, 1959:** ჯანაშია, ს. შრომები, III, თბ., 1959;
166. **ჯერვალიძე, პეტრიაშვილი, 2015:** ქ. ჯერვალიძე, ნ. პეტრიაშვილი. ტოპონიმ ანაკლიას ეტიმოლოგიისათვის. ჟურნ. „ქართველოლოგია“, 2015, 3, #1.
167. **ჯომიდავა, 2000:** ჯომიდავა, ნ. 3000 მეგრული გვარსახელი. თბ., 2000;

ელექტრონული რესურსები:

168. წმიდანთა სახელები, მათი ხსენების დღეები და სახელთა მნიშვნელობის განმარტება (სათვეო კალენდრის მიხედვით): http://www.orthodoxy.ge/sakhelebi/ka/m_ani.htm#sthash.IbK0bage.dpuf
169. <http://www.orthodoxy.ge/sakhelebi.htm>
170. <http://www.orthodoxy.ge/sakhelebi/sani.htm>
171. <http://www.ena.ge/explanatory-online>
172. <https://ka.glosbe.com/el/ka/%CE%BC%CE%AC%CF%81%CF%84%CF%85%CF%81%CE%B1%CF%82>
173. <http://www.gramota.ru/slovari/dic/?word=%D0%B0%D0%BC%D0%B1%D0%B0%D0%BB&all=x>
174. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98>
175. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D>
176. <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B5%D1%80%D0%B3%D0%B5%D0%B9>
177. <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BE%D1%84%D1%80%D0%BE%D0%BD%D0%B8%D0%B9> ; <http://www.orthodoxy.ge/sakhelebi/sani.htm>
178. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=41353>